საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი

გრიგოლ ჯვარიძე

# ივანე გვარამაძის
## პირადი არქივის აღწერილობა

ახალციხე 2011

უაკ (UDC) 930 (479.22) (092)
ჯ-286

ჩვენს მიერ წარმოდგენილ წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ შეძლებისდაგვარად, სრულყოფილად შეგვესწავლა და წარმოგვაჩინა XIX საუკუნის მესხი მამულიშვილის, ივანე გვარამაძის, "ვინმე მესხის", პირადი ხელნაწერებისა და მის ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა მოძიებული მასალის აღწერა და კლასიფიკაცია.

აღნიშნული ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს სამცხე-ჯავახეთის ისტორიით დაინტერესებულ პირებს და იქნება გზამკვლევი სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში სამეცნიერო მუშაობისათვის.

**რედაქტორი:** **მიხეილ ქავთარია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**რეცენზენტები:** **ციური ლაფაჩი**
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი
**ნატო ყრუაშვილი**
**ასოცირებული პროფესორი**

წიგნი დაიბეჭდა კერძო "იურიდიული" კომპანიის მფლობელის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ **შალვა გვარამაძის** ქველმოქმედებით, რაზედაც დიდ მადლობას ვუხდით.

ISBN 978-9941-0-3888-4

ივანე გვარამაძე — “ვინმე მესხი”
1831-1912 წწ.

# რედაქტორისგან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ახალციხის მუზეუმი სამხრეთ საქართველოს რეგიონში ისტორიულ ფასეულობათა სიმდიდრით გამორჩეული ცენტრია.

მუზეუმში დაცულია მესხეთის აქტიური ჭირისუფლის, ივანე გვარამაძის (ვინმე მესხის) ვრცელი პირადი საარქივო მასალა, რომლის კატალოგიზაცია, აღწერა და საზოგადოებისათვის გაცნობა აუცილებელი საქმე იყო. ამ საქმის აღსრულება იტვირთა გრიგოლ ჯვარიძემ.

გრიგოლ ჯვარიძე მოღვაწეობს ახალციხის მუზეუმში. იგი ძირძველი ახალციხელია, თავისი კუთხის ქომაგი და, რა თქმა უნდა, მუზეუმის ეროვნული საქმიანობის გულშემატკივარი.

გრიგოლ ჯვარიძის მიერ შედგენილი ივანე გვარამაძის პირადი არქივის აღწერილობა შენაძენია მესხეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის შემსწავლელთათვის.

# შესავალი

ცნობილია, რომ 1830-იან წლებში, რუსეთ-თურქეთის ზავის შედეგად სამცხე-ჯავახეთი საქართველოს შემოუერთდა. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, მხარეში ნაწილობრივ მაინც იწყება კულტურული აღორძინება: იხსნება სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. მიუხედავად ამისა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და საფრთხე დაემუქრა ისედაც დაკნინებულ ქართულ ენასა და დემოგრაფიულ ვითარებას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მხარის განთავისუფლებისათვის ბრძოლის სათავეებში ვხედავთ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებს: ივანე გვარამაძეს, ილია ალხაზიშვილს, სოლომონ ასლანიშვილს (ბავრელს), ვასილ კოპტონაშვილს და სხვებს. პატრიოტთა ჯგუფის სათავეში - გვევლინება "ვინმე მესხის" ფსევდონიმით ცნობილი ქართველი კათოლიკე მოძღვარი, სულიერი მამა - ივანე გვარამაძე. "ვინმე მესხმა" და მის გარშემო შეკრებილმა თანამოაზრეებმა დაიწყეს მესხეთის გადარჩენისათვის ბრძოლა. მათი საქმიანობა უერთდებოდა საქართველოში დაწყებულ დიდ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები ედგნენ.

ივანე გვარამაძე იყო საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, პოეტი, მწერალ-პუბლიცისტი, მხატვარი, პედაგოგი, მთარგმნელი, ხალხური სიტყვიერებისა და ისტორიულ-არქეოლოგიური მასალების შემკრები, მხარის სიძველეთა საუკეთესო მცოდნე და დამცველი. მან თავისი დაუღალავი საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში.

ივანე გვარამაძე დაიბადა 1831 წელს, სოფელ ვალეში, გლეხის — მესარქიშვილის ოჯახში. მათი ძველი ისტორიული გვარი "გვარამაძე", ივანემ, შემდეგში დიდი წვალებით აღიდგინა. ივ. გვარამაძემ თვითგანათლების გზით საკმაო ცოდნა მიიღო. წერა-კითხვა ვალის სოფლის მღვდელთან ისწავლა. სწავლობდა ახალციხეში საეკლესიო სკოლაში პ. შაჰყულიანთან (ჭილიმუზაშვილი). სწავლის გაგრძელება მოუხდა ქუთაისში პ.ხარისჭირაშვილთან. სხვადასხვა დროს სწავლობდა თბილისში, კონსტანტინეპოლში, ალექსანდრეპოლში, სარატოვში. ახალგაზრდა ივანეს ყველგან სასულიერო წრეში უხდებოდა ტრიალი, "უკვე საკმაოდ განათლებულმა ახალგაზრდამ, დიდი წვალების შემდეგ 1868 წ. ქ. სარატოვში შეძლო მღვდლად კურთხევა, 1869 წელს მღვდლობის ხარისხ-მინიჭებული სოფელ ხიზაბავრაში გაიგზავნა მთავარ მღვდლის თანაშემწედ."[1] სხვადახვა დროს იმუშავა რაბათში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, სოფელ ივლიტაში, შემდეგ ისევ ხიზაბავრაში და სიცოცხლის ბოლომდე იმოღვაწა ახალციხეში

იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიასთან არსებულ დაწყებითი სკოლის ზედამხედველად, საღვთო სჯულისა და ქართული ენის მასწავლებლად.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად იგი "ვინმე მესხის" ფსევდონიმით წერდა სტატიებს ჟურნალ-გაზეთებში: "დროებაში", "ივერიაში", "მწყემსში", "კვალში", "აკაკის კრებულში", "მოგზაურში" და სხვა თავის დროის გამომცემლობებში.[2]

ივ. გვარამაძემ კარგად იცოდა ლათინური, თურქული, ფრანგული, რუსული და სომხური ენები. მან სომხურ ენაზე საუბარი ბავშობიდანვე ისწავლა. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მისთვის გუმრში სასულიერო სასწავლებელში სწავლის ოთხი წელი, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა სომხური ენა, წერა-კითხვა და ლიტერატურა. დაინტერესებული იყო სომხეთის მდიდარი ისტორიით. იგი გუმრის სემინარიაში ყოფნის დროს გულდასმით ახდენდა დაკვირვებას სომეხ მეცნიერთა საქმიანობაზე, მათ გამოკვლევებზე. ამიტომაც ივ. გვარამაძის შემოქმედებით წერილებში გვხვდება სომხეთის ისტორიის ფრაგმენტების თარგმანები, პოლემიკური ხასიათის წერილები, ზაქარია ჭიჭინაძე სამართლიანად აღნიშნავს: "ივ. გვარამაძე, რამდენადაც ქართულს ენასა და მწიგნობრობაში იყო დაუცხრომელი მკითხველი, არა იმაზე ნაკლებ სჩანდა სომხურს ძველს და ახალ ენის შესწავლაში, მწიგნობრობაში და ნამეტურ მათს ძველსა და ახალ ისტორიაში. სომხური ძველი და ახალი ენა, ისტორია და მწიგნობრობისისტორია ისე ზედმიწევნით იცის, რომ იგი ამით არც ერთს მხითარისტს არ ჩამოუვარდება. ივ. გვარამაძე ამ ორ ერთა ისტორიის წყაროდ უნდა ჩაითვალოს, ნამეტურ ჩვენთვის, რადგან მან კარგად იცის თუ სომხურს ძველსა და ახალ მწერლობაში სად რა არის საქართველოს და ქართველთა შესახებ დაწერილი და დაბეჭდილი."

ზაქარია ჭიჭინაძე თავის მოსაზრებას ადასტურებს დიმიტრი ბაქრაძის აზრითაც - "ამას არამც თუ მარტო მე ვამბობ, სწორედ ამავე აზრის გახლდათ დიმიტრი ბაქრაძე. ეს პირი მას ყოველთვის პატივისცემით იხსენიებდა, აქებდა იმასაც დიდათ, რომ მამა იოვანემ სომხური ენა იცისო, მას ჩვენს მწერლობაში ბევრი ძვირფასი ცნობები შემოაქვს და ბევრსაც შემოიტანს კიდევაო. სომხურის ენის ცოდნით, მან არამც თუ მარტოდ სომხური ზოგიერთი რამ წყაროები გაგვაგებინა, არამედ ოსმალური, სპარსული, არაბული ძველი და ახალი მეისტორიეთა ცნობებიც მრავალი გადმოგვცა."[3]

"1886 წელს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ."[4] აღნიშნულის წინააღმდეგ ქართული ტიპიკონის აღდგენისათვის ბრძოლის საქმეში მესხეთში მებრძოლთა შორის ერთ-ერთმა პირველმა ივანე გვარამაძემ აღიმაღლა ხმა. ზემო ხსენებული ბრძანებით ქართული ენა დავიწყებას ეძლეოდა, ქართულ ენაზე წირვა ლოცვის შეზღუდვა ხელს უწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის გარუსებას და გასომხებას. ივ. გვარამაძე მოითხოვდა "ქადაგება უწინარეს ყოვლისა იმ ეროვნების ენაზე უნდა წარიმართოს ამა თუ იმ ქვეყანაში, რომელი ეროვნებისაც მრევლი არისო." ამასვე მოითხოვდა იგი მესხეთის კათოლიკურ ეკლესიებისათვისაც, სადაც

წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე მიმდინარეობდა. ამ პერიოდში ქართულ კათოლიკეებს არ ჰქონდათ უფლება თავიანთ ეკლესიებში ქართული სახარების წაკითხვისა, ქართული ქადაგების წარმოთქმისა და მით უმეტეს ქართულად ლოცვა გალობისა. ამ უსამართლობას ივ. გვარამაძე ებრძოდა სიტყვით და საქმით როგორც მოძღვარი ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს ქართულად ქადაგებდა, და იგივეს აკეთებდა მრევლშიც, სადაც  არ  უნდა ყოფილიყო ეს იქნებოდა წვეულება, ქორწილი, დაკრძალვა თუსაზოგადოებრივი თავშეყრა. ყველგან, მამა ივანე თავისი საამური ქართულით სიტყვას წარმოსთქვამდა. მისი მჭერმეტყველური საუბარი ყოველთვის იზიდავდა მსმენელს. იგი ყველა ქართველს მოურიდებლად, თამამად სთხოვდა და ავალებდა, რომ ის ყოფილიყო მტკიცე მამულიშვილი, საქართველოს სიყვარულით გამსჭვალული. მისი სატყვის ერთნაირად სჯეროდათ და დიდი ყურადღებით ისმენდნენ მრავალენოვანი სამცხის მოსახლეობა: კათოლიკეები, მართლმადიდებლები და მაჰმადიანი ქართველები.

ივანეს დაუღალავმა შრომამ მიხეილ თამარაშვილთან, ი. ანტონოვთან და სხვა გამოჩენილ მესხ კათოლიკეებთან ერთად დიდი როლი შეასრულა მესხეთში ქართულ ენაზე საეკლესიო წესების აღდგენაში, რაც 1900-იან წლებში მოხდა. უამისოდ მას ვერც კი წარმოედგინა ქართული ენა და ქართველობა მათი განვითარება და განახლება.”[5]

მამა ივანეს, სულიერი სიახლოვე აკავშირებდა თავისი დროის მღვდელთმთავრებთან, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მეცნიერებთან და მწერლებთან. იგი დაკავშირებული იყო იმ დროისათვის გამოჩენილ, მისთვის საინტერესო ყველა განათლებულ პიროვნებასთან. მის სახელზე წერილები მოდიოდა: რომიდან, კონსტანტინეპოლიდან, სარატოვიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან და სხვა ქალაქებიდან. აღნიშნული ურთიერთობისა  და მიმოწერის წყალობით ივ. გვარამაძეს საშუალება ეძლეოდა თვალყური ედევნებინა ევროპაში, რუსეთში და თბილისში კულტურული განვითარების ყოველი სიახლისათვის, რაც იქ ახალი და მნიშვნელოვანი ჩნდებოდა.

ივ. გვარამაძეს, როგორც ყველას საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ჩაბმულ პიროვნებას, დაუგროვდა მეტად მდიდარი შემოქმედებითი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მის საარქივო ფონდში ყურადღებას იქცევს გამოკვლევები, შემოქმედებითი ნამუშევრები, თარგმანები, საბუთები, სიები, განცხადებები, ნასყიდობის ქაღალდები, კარაბადინები, მის მიერ გაგზავნილი და მიღებული წერილები. საკუთარ ბიბლიოთეკაში შეგროვილი დაცული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები. “ყველა ეს მასალა დაცულიიყო მისი შვილის კ. გვარამაძის მიერ, რომელმაც 1937 წელს გადასცა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.”[6]

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი განათლების, კულტურისა და მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი მძლავრი კერაა მხარეში. თავდაპირველად იგი დაფუძნდა XIX ს-ის ბოლოს ივანე გვარამაძის მიერ საოჯახო მუზეუმის სახით, ამან დასაბამი მისცა 1921 წელს გადაკეთებულიყო სამაზრო მუზეუმად, რომელმაც მხოლოდ სამი წელი იარსება და 1924 წელს გაუქმდა.

1937 წელს კონსტანტინე გვარამაძის დიდი შრომის შედეგად მიღწეული იქნა, რომ ახალციხეში კვლავ გახსნილიყო მუზეუმი, რომელსაც უკვე მხარეთმცოდნეობის სტატუსი მიენიჭა და მემკვიდრეობით მიიღო ძველი სამაზრო მუზეუმის მასალა.

1972 წლიდან მუზეუმი ტერიტორიულად განთავსდა ახალციხის ძველ ნაწილში — რაბათში, ციხის ტერიტორიაზე.

1976 წელს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადავიდა და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი გახდა.

2004 წლის 30 დეკემბრიდან შეიქმნა საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომელშიც გაერთიანდა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმიც.

მუზეუმის ფონდებში დაცულია 25 ათასზე მეტი ექსპონატი. საცავები შინაარსისა და ხასიათის მიხედვით დაყოფილია: არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ნუმიზმატიკის, საეკლესიო, ფოტო და ხელნაწერთა განყოფილებად.

ხელნაწერთა ფონდში ინახება, როგორც ქართული ასევე სომხური ხელნაწერები და ძველი ნაბეჭდი წიგნები.

ხელნაწერთა განყოფილებაში გარდა ივანე გვარამაძის არქივისა, რომელზედაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი, დაცულია მხარის საზოგადო მიღვაწეების: კონსტანტინე გვარამაძის, ქრისტესია გვარამაძის, ნიკოლოზ ასათიანის, ილია მაისურაძის, გიორგი გოგოლაძის, ბესარიონ ტაბიძის, ზაქარია დიდიმამიშვილის, ვახტანგ სუდაძის და ჩვენი თანამედროვე მეცნიერ-თანამშრომლების მიერ შეკრებილი შემოქმედებითი საარქივო მასალები. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ძირითად რაოდენობას წარმოადგენს ივ. გვარამაძის დანატოვარი არქივი, რომლის აღნუსხვაც მოხდა 1937 წლის 10 ივნისს, სპეციალური კომისიის წევრების მიერ. თავჯდომარე: პავლე ინგოროყვა; წევრები: გიორგი ბოჭორიძე და ალექსანდრე ბარამიძე. აღნიშნულ ნუსხაში ხელნაწერებთან ერთად შეტანილია კ. გვარამაძისაგან შესყიდული ნივთებიც, რომელთა შესყიდვა კ. გვარამაძისაგან 1938 წლის 14 მაისს განხორციელდა. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის დ. ლობჟანიძის თაოსნობით და კომისიის წევრების: სერგი მაკალათიას და სოლომონ ცაიშვილის უშუალო მონაწი-ლეობით (სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ექსპონატი 3991 - 3992 კ. გვარამაძე).

ამით დასაბამი მიეცა შექმნილიყო საქართველოში ცნობილი, ერთ-ერთი უმდიდრესი საარქივო ფონდი, თავისი უნიკალური სამეცნიერო ღირებულებებით.

ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსებმა არქივის ხელნაწერებზე დაყრდნობით გამოსცეს ფუნდამენტალური ბიოგრაფიული ნაშრომები "ვინმე მესხის" გვარამაძის შესახებ. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ: შოთა ლომსაძე — "მესხები" 1987 წელი, დავით კოჟორიძე - "განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში" 1986 წელი, ილია მაისურაძე – კრებული მესამე "სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები" 1968 წელი, ნატო ყრუაშვილი - "ივანე გვარამაძის როლი მესხურ განმანათლებლობაში" 2008 წელი, მანანა მიჩიტაშვილი – "ივ. გვრამაძის საისტორიო და საზოგადოებრივი შეხედულებანი" - 1995 წელი და სხვა.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული უძველესი ხელნაწერთა წიგნების აღწერა და გამოცემა პირველად მოხდა 1987 წელს პროფესორ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით, მეცნიერების - ბატონ მიხეილ ქავთარიასა და ქალბატონ ცაცა ჭანკიევის მიერ, სათაურით: "ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა".

"ნაშრომში წარმოდგენილია ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშების ნუსხები, XI ს-ის ოთხთავი, XII-XIV ს-ის პარაკლიტონები, "ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი წიგნის ფრაგმენტი XVI ს-ის, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის ყველაზე ადრეულია, ლათინურ-ფრანგულიდან და სომხურიდან ნათარგმნი კათოლიკური ხასიათის თხზულებები, ორიგინალური მასალა, ქადაგებათა კრებულები და ქრონიკები."[7]

ამასთან ზემოთ ხსენებულ გამოცემაში, შესწავლილ ხელნაწერების გარდა, ფონდში დაცული სხვა მასალა, ჩვენს მიერ დალაგდა და გაუკეთდა კატალოგიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ივ. გვარამაძის საარქივო მასალა გაბნეულია მუზეუმის ექსპონატების შემოსულობათა სამ დავთარში, სხვადასხვა სამუზეუმო ექსპონატებს შორის. არქივის აღწერილობა დალაგდა ქრონოლოგიურად. ხოლო ივ. გვარამაძისადმი გამოგზავნილი წერილები კი დალაგებულია ანბანურ რიგზე ავტორთა გვარების მიხედვით.

ჩვენს მიერ არქივის დალაგება - სისტემაში მოყვანა გვირჩია და დამუშავების საკითხებში წლების მანძილზე რჩევებითა და მითითებებით დიდი დახმარება გაგვიწია ბატონმა მიშა ქავთარიამ.

ივ. გვარამაძის საარქივო ფონდი 964 ერთეულს მოიცავს და ხუთი ძირითადი ნაწილისაგან შედგება:

I – ბიოგრაფიული;

II — საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.

III – შემოქმედებითი;

IV – მიწერ-მოწერა: გაგზავნილი და მიღებული წერილები;

V – სხვადასხვა;

ასეთია ივ. გვარამაძის პირადი არქივის სახე, არქივის შინაარსი, მნიშვნელობა და თავისებურებანი. იგი უკვე დიდი ხანია იქცა მხარისა და საქართველოს ისტორიის არა ერთი მეცნიერის ყურადღების საგნად.

იმედი გვაქვს წინამდებარე აღწერილობა გარკვეულ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, წყაროთმცოდნეებს, დამწყებ მკვლევარებს, მაძიებლებს, მხარისა და საქართველოს ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

ავტორი
**სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის**
**ფონდების კურატორი გრიგოლ ჯვარიძე**

I

# ივანე გვარამაძის ბიოგრაფიის ამსახველი მასალა

**1.** **209**

**“ივანე მესხის ცხოვრება”**

იწყება: “წელს ერთმა ჩემმა  მეგობარმან მკითხა ოცხეს გამომშვიდობის შემდგომ, განა არ გაქვს, მამაო, შენი ცხოვრება დაწერილი. მე მოვახსენე არა მეთქი! და მითხრა: “კარგია დასწერო სიკვდილ-სიცოცხლეა, დაშთესთ მომავალ თავობასა, ვინ იცის როგორ გამოადგესო! მე ამისთანა ჯეროვანმა რჩევამ ცოტა რამ გამომაფხიზლა ჩვენი ცხოვრების გარშემომყოფი მზრუნველობის რულითგან”...

ხელნაწერის ყდა უბრალოა, ფურცლები დაზიანებული და შიგადაშიგ ამოცვენილია. საჭიროებს რესტავრაციას. წიგნის პირველ ფურცელს შიგანა მხრიდან დაკრული აქვს ივანე გვარამაძის ფოტო სურათი ზომით: 5,5X6,5-ზე. ავტორს წიგნში აღწერილი აქვს თავისი ცხოვრების დაწვრილებითი ცნობები. წიგნი მთავრდება: “ვაჭარ- ხელოსანი, მართალი უანგარო, უმეცარ მორჩილი და გლახაკი მომთმენი, რომელთ ღვთის მოყვარება კაცთ მოყვარებით უნდა იყოს დაწინაურებული, ასრე უცხოვრიათ ჩვენ კეთილ სახსენებელ წინაპართა და ასრევე უნდა ვიცხოვროთ ჩვენც ჩვენს სიკვდილამდის ჩვენის ქრისტიანობის დასამტკიცებლად საქმითა!”

*შავი მელანი, 1891 წელი, ქ. ახალციხე. 134 ფურ. ავტოგრაფი, მხედრული.*



ივანე გვარამაძის მოკლე ბიოგრაფიის წიგნის თავფურცელი

2. 2226

## საბუთი გაცემულია ვალის წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდლის სტეფანე ზაქაროვის მიერ

იწყება: “მიეცა ესე ჩემგან, ვალის კათოლიკეთ ეკლესიის  პრიხოდის მღუდელი ტერ სტეფანე ზაქაროვისაგან ახალციხის მცხოვრებელი იოვანე პავლეს ძეს მესარკოვისა, ამისათვის რომელ ვითარც ჰსჩანს კონდაკის წიგნისაგან, ვალის წმინდა ღთისმშობლის ევკლესიისა, ხსენებელი იოვანე დაბადებულ არს 1831-სა წელსა, ოკდებრის 14-სა რიცხვსა, შჯულიერი შეუღლებათაგან, მამისა თვისისა განსვენებული პავლე მესარკოვისა და დედისა თვისა, მარიამა ბაღდასაროვისაგან და მონათლულ არს ამავე ღვთისმშობლის ეკლესიასა შინა, 19-სა რიცხვსა იმავე თვისა, მღუდლისა მიერ... აღნიშნულის “დასარწმუნებლად ხელის მოწერით ჩემთა და დასმითა სახელობით ბეჭდისა ვარწმუნებ, 22 აგვისტოსა 1857 წელსა სოფელ ვალესა.”

ხელს აწერს ვალის წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი ტერ სტეფანე ზაქაროვი, დასმულია საეკლესიო ბეჭედი.

ხელნაწერი საბუთი შედგება ორი ფურცლისაგან, დაწერილია შავი მელნით, ფურცელი გაყოფილია შუაზე ერთ ნაწილზე დაწერილია რუსულად, მეორეზე კი ქართულად. გაცრეცილია, საშუალო დაცულებით, იკითხება კარგად.

*შავი მელანი, სტეფანე ზაქაროვი, სოფელი ვალე, 1857 წ. 2 ფურცელი, რუსული, მხედრული.*



ივანე გვარამაძის დაბადების მოწმობა

ივ. გვარამაძის განცხადება სომეხ კათოლიკეთ
მმართველობისადმი.

აცნობებს, რომ მან 70 მანეთი გასულ წელს უკვე გაგზავნა ბ. პაპაევის სახელზე და სთხოვს სამაგიეროდ გამოგზავნონ 300 მანეთი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1886 წ. 1 ფურცელი. მხედრული.*

**4.** **2453**

## აღწერილობა

აღწერილობა, რომელშიც შეტანილია ის უძრავ-მოძრავი ქონება, ვექსილები, ნაღდი ფული, სანთელი, ზეთი და სხვა, რაც ეკუთვნოდა ახალციხის წმინდა იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიას. ქონებაზე ზედამხედველები და პასუხისმგებლები იყვნენ: "ტერ შაანოვი, სინდიკის კანდიდატები - იოსებ ვაჰრამოვი და გაბრიელ ბათმანოვი. აღწერილობა შედგენილია 1892 წელს. აღნიშნული აღწერილობით ეკლესია ჩაუბარებია "ახალ დანიშნულ თანამდებობის შემსრულებელს ტ. იოვანეს მესარკოვსა. მაისის 21. 1892 წელი." აღწერილობა დაწერილია 8 ფურცელზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი არ იკითხება, 1892 წ. 8 ფურცელი. მხედრული.*

**5.** **2502**

ივ. გვარამაძე მესარკოვის "აღმორჩევის ფურცელი".

ლაპარაკია ეპისკოპოს ანტონ ცერის მოწვეულ ვექილთა და ახალციხის წმიდა იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიის ერთა მიერ მღვდლის თანამდებობაზე ივ. გვარამაძის არჩევის შესახებ.

ნახსენებია: პავლე საარევი, იოსებ ვარლამოვი, რაფაელ ლოცავანოვი, სიმონ ბათმანოვი, იაკობ თუმანოვი, ფრანჩესკო პეტრეს ძე ქაჩხიევი და სხვა. აქვს რუსული მინაწერი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი არ იკითხება, 1892 წ. 1 ფურცელი. მხედრული*

**6. 138**

**"გენიალოგია, ჩვენი გვარ-ტომის თავგადასავალი"**

ავტორი ხელნაწერში გადმოგვცემს მამამისის - პავლესაგან გადმოცემულ თავიანთი გვარისა და წინაპრების წარმოშობის ამბავს, რომ მათი გვარი ყოფილა "გვარიძე დედეულად და გვარამაძე მამეულად" ივ. გვარამაძის აზრით, მათი გვარის წარმოშობა დაკავშირებულია 1310-1318 წლებიდან მსახურთუხუცეს ვაჩე გვარამაძესთან. შემდეგ ხელნაწერში განხილულია მთელი რიგი ისტორიული მოვლენები. მოგვითხრობს პაპამისის მიერ ერობაში წერა-კითხვის სწავლისა და კარგი დიაკვანის შესახებ. პაპამისს ხუთი ვაჟი და ხუთი ქალიშვილი ჰყოლია. სტეფანე, იაკობი, იორამი, და პავლე - პირველი ცოლისგან. მეორე ცოლისგან ქუთაისელი მესარკიანთ ქვრივი ელენესაგან სტეფანე შესძენია 123 წლისას. ბოლოს წერილში საუბარია ბებუთოვის მიერ მათი მესარკოვად გამოცხადების შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 11 ფურცელი. დაუწერელია 5 ფურც. მხედრული.*

**7. 1836**

**ზაზა გვარამაძე**

ივ. გვარამაძე წერილში გადმოგვცემს თავისი პაპის - ზაზა გვარამაძის შესახებ, რომელიც გარდაიცვალა 140 წლის, მას მეორე ცოლისაგან 123 წლისა ყოფილა, როცა ვაჟი შესძენია.

"1828 წელს ახალციხის აღებისა სალდათებმან შტიკით დახვრიტეს, ასე 140 წლისა მოკვდა, ხუთჯერ კბილები ამოსვლოდა და 123 წლისას ვაჟი შესძენია მეორე ცოლისაგან, ქუთაისელი მესარკოვის ბალახათ ქალი ელენესაგან". ნახსენებია: მანუჩარი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**8. 2423**

**ივ. გვარამაძის წერილი "ოცნება".**

წერილში გადმოცემულია ავტორის სტუდენტობის წლების ამბავი თბილისში ყოფნის დროს. აქ მას სამ რამემ მოუკლა გული.

1. ერთი რომ სტუდენტების სწავლა უფრო მოდაზეა, ვიდრე მეცნიერულად.
2. ბანოვანის ერთმა სტუდემტმა მისი მოყვანილი ფაქტი დაგმო და მუნიან თხას მიამგვანა.

3. უსამართლო მომხრეობამ, პირფერობამ და პირმოთნეობამ, გამოიყვანა ივანე მოთმინებიდან.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**9. 2889**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი "კორესპონდენცია აჭარაზე და მის მოსახლეობაზე აჭარლებზე.**

წერილში ავტორი ქებით იხსენიებს ზ. ჭიჭინაძის საქმიანობას აჭარაში ქართულ წერა-კითხვის გავრცელების თაობაზე. აჭარის ფონზე ივ. გვარამაძე გვიხატავს ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობას ახალციხეში და მის მახლობელ კათოლიკურ სოფლებში. გადმოგვცემს სომხურ კათოლიკეების ზეგავლენას მათზე. "კალთაში გიზივარ და წვერს გაგლეჯო". "სწორედ ესენი გვიშვებიან" ამბობს ავტორი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 3 ფურც. მხედრული.*

**10. 2890**

**ივ. გვარამაძის წერილი "კრებისაგან წ-ა ანტონისა"**

ხელნაწერი შესრულებულია ერთ ფურცელზე. დაწერილია გაკრული ხელით. ახასიათებს მთელი რიგი ორთოგრაფიული თავისებურებანი.

ხელნაწერის ძირითადი შინაარსია, იმ უფლებათა ჩამოთვლა შენდობისა, რომელიც კრებამ მიანიჭა მღვდელ ივ. გვარამაძეს.

ხელნაწერში ჩამოთვლილია აგრეთვე ის ეკლესიები, რელიგიური

დღესასწაულები და წმინდა ადგილები, სადაც ივ. გვარამაძეს კრება აძლევს უფლებას შენდობის მიცემისას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**11. 2892**

**ივ. გვარამაძის წერილი ცოდვების მრავალნაირობის შესახებ.**

წერილი ფურცელზე სვეტად არის დაწერილი. აქვს ჩასწორებები. "ცოდვა არის ბოროტი საქმე, ღმერთისა და ბუნების წინააღმდეგ, რაც დაგვაკარგინებს საუკუნო ცხოვრებას. ცოდვა ორია ნათესაობითი და საქმითა".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურცელი, მხედრული.*

12. 1834

“მოკლე ცნობა ვინმე მესხი გვარამაძის ცხოვრებისა”

ივ. გვარამაძე მოგვითხრობს თავის ბიოგრაფიას, თუ ვინ იყო მისი მშიბლები: “მისი მშობელნი გლახაკნი ყოფილან, მამა ზოზოთ იოვანეს ძე პავლე ახალციხელი, ოსმალოს დროს ახალციხის ფაშების სარდალი ყოფილა.” გადმოგვცემს თავის ბიოგრაფიას და შრომების სიას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XX –ს-ის დასაწყისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

## II

## საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

13. 3070

ივ. გვარამაძის მიერ ახლად შედგენილი
“ქართლის ცხოვრების წყაროები”

წიგნი იწყება წინასიტყვაობით, სადაც ავტორი მოუწოდებს ყველა ადამიანს თავის ვალად გაიხადოს ღთის მსახურება: “ყოველ კაცს მოუცილებელ ვალად სდევს ღთის მსახურება”. წინასიტყვაობას ამთავრებს ავტორი ამით, რომ მის ხელთ არსებული მასალიდან შეადგინა აღნიშნული წიგნი და კიდევ დაამატა თავისი ცოდნა აზრი და დაწვრილებით გადმოიტანა ქაღალდზე. “რაც მასალად და საფუძვლად დავინახე ჩვენის ისტორიისა, გამოვსწერე შევაერთე ჩემი აზრებიცა და ყოველთ აქ ვაცხადებ დაწვრილებით”.

წიგნის ბოლო ნაწილი ნაკლულია და დაზიანებული.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1877 წ. 67 ფურცელი. მხედრული.*

14. 2420

ივ. გვარამაძის ისტორიული ხასიათის წერილი.

იწყება: “ჩვენ იმ დღის “დროების” №250 დაგვრჩა შესათავებელი”. ფურცელზე არის სხვა ხელით ნაწერი. ხელწერილი დაწერილია სოფ. უდეში მცხოვრები ელისაბედ სტეფანას ქვრივის მიერ, პეტრე დათებოვის მკურნალობის შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1878 წ. 1 ფურცელი. მხედრული.*

15. 3165

“დაბეჭდილებ გარედ ყოფილნი”

ივ. გვარამაძის მიერ შეკრბილი ანდაზები, გამოცანები და სუფრულები - “დაბეჭდილებ გარედ ყოფილნი” წიგნის შედგენის თარიღია 1883 წ. 25 აპრილი, სოფელი ხიზაბავრა.

შესავალში ავტორი მიუთითებს, რომ მას აქვს სურვილი შეკრიბოს ძველი ხალხური ნათქვამები და გადაიტანოს წიგნში ზუსტად იმ კილოთი, როგორც ხალხში არის გავრცელებული, სინანულს გამოთქვამს იმის შესახებ, რომ აქამდე კი გააკეთეს ეს საქმე მამულის მოყვარე პირებმა: ჩუბინოვმა და უმიკაშვილმა, მაგრამ მათ ბევრი საქმე შეცვალეს თავიანთ ნებაზე, რაც არ არის კარგი. “სამესხეთოში ხმარებულ ანდაზებს” ავტორი ალფავიტის მიხედვით იწყებს: “ავ პაპა იყავიო და ავ ჭამაც გიყავიო”.

“ბატონს ბატონურად მიეპყას და ყრმას ყმურადო”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1883 წ. 30 ფურც. მხედრული.*

16. 2427

ივ. გვარამაძის მოგონება იოვანე სიმონის ძე
მაისურაძის შესახებ

იოვანეს თბილისში დაუმთავრებია სააფთიაქო სასწავლებელი, ჯერ უმუშავია ბ. შმიდტის აფთიაქში, შემდეგ წასულა რუსეთში და ბოლოს ახალციხეში ჩამოსულა სამუშაოდ.

“1861 წელს მე პირველად გავიცან თბილისში ახალციხელი ბ.იოვანე სიმონის ძე მაისურაძე, რომელიც იქაურ თავისუფალ ბ.შმიდტის აფთიაქში მსახურობდა. მაშინვე, პირველ ყმაწვილ კაცობაშივე ეტყობოდა სამაგალითო კაცთმოყვარეობა, სიმშვიდე და ენერგია, როგორც ხორციელი, ეგრეთვე სულიერი. 1864 წელს დააბეჭდინა ქართულად ლოცვის წიგნი, სადაც არის მოთავსებული სიმბოლო სარწმუნოებისა კათოლიკეთა. გადმოვიდა შემდგომ ახალციხეშითა, საკუთარი თავისუფალი აფთიაქი გამართა და განაგებდა მას”. ნახსენებია ივლიტის წმიდა ჯვრის ეკლესიის მღვდელი ტერ იოკიმ მაზმანინი. საუბარს აგრძელებს სიმონ მაისურაძის გავლილ ცხოვრებაზე: “რაც შეეხება მის ცხოვრების გზა-კვალსა განსაკუთრებით უყვარდა გულუხვობა, სტუმართ მიღება, მეტადრე უფრო უცხო პირთა, გლახაკთ მოწყალე და გაჭირვებულთ და სნეულთ შემწე - მომხმარო იყო. მრავალჯერ მოცილე მოდავე პირთა შუა შევიდოდა და მშვიდობას ჩამოაგდებდა. გარდაიცვალა 6 მარტს 1886 წელსა”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1886 წ. ახალციხე 2 ფურცელი. მხედრული*

17. 2447

ივ. გვარამაძის წერილი სასულიერო მმართველობისადმი

ავტორი აცნობებს იმ შეურაცხმყოფელი წერილის შესახებ, რომელიც მას მიუღია ზემდგომებისაგან და რომლითაც შვიდი დღის განმავლობაში უნდა დატოვოს მან და მისმა ოჯახმა მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართი. აღნიშნული წერილი გამოგზავნილია სომეხ კათოლიკე სასულიერო მმართველობიდან 1886 წელს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1886 წ. 2 ფურცელი. მხედრული.*

18. 2394

ივ. გვარამაძე ებრაელთა შესახებ

განხილული აქვს სხვადასხვა დროისა და შინაარსის მოვლენები. ფურცელი გაცრეცილია და არ იკითხება.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული*

19. 2400

"რათ გვთვისობენ ჩვენ ძალით სომხები"

ივ. გვარამაძის წერილი "რათ გვთვისობენ ჩვენ ძალით სომხები". ავტორი საუბრობს დავით მეფე კურაპალატის გაძლიერებაზე მესხეთში. აღწერილი აქვს აბასთუმნის დალაშქვრის ამბები.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

20. 2402

ივ. გვარამაძის წერილი გიორგი ბრწყინვალის აღნაგობისა და ხასიათის შესახებ, ნაწყვეტი. ფურცლის მეორე გვერდი რუსულადაა დაწერილი.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX სის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული*

**21.** **2403**

ივ. გვარამაძის მიერ ამოკრებილი მასალა. სარგის თმოგველის დილარგეთის, ტიმოთეს მოგზაურობის, ქართლის ცხოვრების და სხვათა წყაროებიდან. “ადარბადაგანი, ხორასანი, თურქისტანი, ერაყი...”

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

**22.** **2407**

ივ. გვარამაძის მიერ ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელწოდებები თავისი განმარტებებით.

“ახალქალაქი - ჯავახეთში”

“დმანისი - ქალაქი საქართველოს საზღვარზედ”

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული.*

**23.** **2409**

**ივ. გვარამაძის წერილი**

აღწერილია ევროპის ბუნებრივი პირობები და იქ გავრცელებული ცხოველთა სამყარო, ცხვარი, კურდღელი და სხვა.

ფურცელი ამოვარდნილია წიგნიდან. გვერდი დანომრილია 13 და 14 ნომრით. წარმოადგენს გაგრძელებას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**24.** **2410**

**“დიახ ყოფილან და არიან ქართველ კათოლიკენი.”**

ავტორი წერილში უამრავი ფაქტებით ამტკიცებს ქართველებში კათოლიკეთა ძველთაგანვე არსებობას.

სქოლიოში მითითებული აქვს აღნიშნულის დამადასტურებელი წყაროები.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 6 ფურცელი. მხედრული.*

25. 2411

ივ. გვარამაძის წერილი სასულიერო კანონების შესახებ

კანონები ამოკრებილია სხვადასხვა ლიტერატურიდან.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX სის ბოლო, 1 ფურცელი. მხედრული.*

26. 2412

"საქართველოს კათოლიკეების დამოკიდებულება ართვინისა და კონსტანტინეპოლის კათოლიკეებთან."

მისი აზრით, აღნიშნული კავშირი უფრო მჭიდროა ვიდრე სომეხ კათოლიკეებთან.
"სომხის პატრიარხმან დააბეზღა ოსმალოს მთავრობას, რომ მე არ მემორჩილებიან, ევროპის სასულიეროს გავლენის ქვეშ არიანო"...

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX სის ბოლო, 1 ფურცელი. მხედრული.*

27. 2413

მსოფლიო წმინდა კრების ჩატარების შესახებ

ივ. გვარამაძის წერილი მსოფლიო წმინდა კრებათა ჩატარების შესახებ, წერილი შედგენილია მოციქულთა, მწვალებელთა და სხვადასხვა თარიღთა მიხედვით.

"მსოფლიო წა კრება იქნა 325 ნიკის ქალაქსა ბეთანიისა".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 2 ფურცელი. მხედრული.*

28. 2414

ივ. გვარამაძის წერილი წარღვნის გამო.

ავტორი წერილს იწყებს: "1542 ქ.ნ. გადავიდა საბერძნეთში და არეულობა მოხდა დიდი".
ნახსენები ჰყავს სოკრატე, არისტოტელე, პლატონი და სხვა. მიმოიხილავს ქრისტიანობის გავრცელებას და მის სიკეთეს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 2 ფურცელი. მხედრული.*

**29.** **2415**

**ივ. გვარამაძის წერილი სხვადასხვა სახარებიდან ამოღებული ნაწყვეტები**

წერილში გადმოცემული არის ერთი ებრაელისა და ღმერთის დიალოგი.

“ერთხელ ერთი სჯულის მეცნიერი ებრაელი წარსდგა ქრისტესთან გამოსაცდელად და ჰკითხა: მოძღვარო, რა უნდა ვქნა, რომ საუკუნოდ ვცხონდეო?”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**30.** **2416**

**ივ. გვარამაძის წერილი ამოკრეფილი ისტორიული წყაროებიდან**

იწყება: “530 გამეფდა ვახტანგის ძე. ამან გააშენა სპარსების მოოხრებული საქართველო — განასრულა თბილისის ქალაქი და მეფობდა კეთილად”. ფურცელს მეორე გვერდზე აქვს სომხური ნაწერი 1874 წელი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

**31.** **2417**

**ივ. გვარამაძის წერილი**

ავტორს განხილული აქვს ევროპელების მიერ VIII საუკუნეში არაბების, XII-XIII საუკუნეებში მაჰმადიანების განდევნის საკითხი. “მთელმა ევროპამ ამ დასაწყისის ჭეშმარიტება გვაჩვენა”. ამ ამბებს იხილავს ქრისტიანულ სარწმუნოებასთან კავშირში. “მაშასადამე აღარავინ გაბედოს გასამართლება იმ დასაწყისისა, რომელთაც ძევა ჩხრეკა სარწმუნოებისა დადდგინებულია”. ნახსენებია: შვეცია, ნორვეგია, დანია, ინგლისი, შეერთებული შტატები, პაპი, დიდი მეცნიერი გალილეი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული.*

**32.** **2425**

ივ. გვარამაძის წერილი. წერილში ავტორს წარმოდგენილი აქვს თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაზე სხვადასხვა ფაქტორები:

1. სიმდიდრე კაცს გააამპარტავნებს.
2. ბოროტების სიმძიმე.
3. ეკლესიის ცოდვანი.
4.უწყალობა.
5 თავდაბლობის გამოჩენა.
6.უსამართლო შენაძენი.
7. შვილების სისაწყლესა აღზრდაზედა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული*

**33.** **2426**

**"ვნების ქადაგების წყარონი"**

ივ. გვარამაძს წერილი "ვნების ქადაგების წყარონი" დაყოფილი აქვს თავებად:

1. ვნების ქადაგების წყარონი.
2. აქ მოსვლა იუდასი და შეპყრობა.
3. ქრისტეს შეპყრობაზედ.
4. მოსამართლესთან წარდგინება.
5. შოლტით ცემაზედა.
6. ეკლის დაგვირგვინებაზედა.
7. გარდმოხსნისა ჯვრითგან.
8. წერილი საეკლესიო ხასიათისაა, განიხილავს მაცხოვრის წამებას, ჯვარზე გაკვრას და გარდმოხსნას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი. მხედრული.*

**34.** **2891**

**ივ. გვარამაძის წერილი, როგორ გააჩინა ღმერთმა ცა და ქვეყანა**

ივ. გვარამაძის წერილი, თუ როგორ გააჩინა ღმერთმა ცა და ქვეყანა, წყალი და მიწა. "მიწისგან აღმოცენებულან მცენარენი, ხე ტყე, ხენარნი, ცხოველნი ზღვისა თუ ხმელეთისანი. გაუჩენია გამჩენუფალ ღმერთსა, წერილი ფურცელზე ორ სვეტად არის დაწერილი არის გადაშლილი და შესწორებული სიტყვები.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**35.** **2896**

**ივ. გვარამაძის წერილი მასწავლებელ ფირალიშვილის გარდაცვალებაზე**

ავტორი შესავალში ამბობს: “ამ წუთისოფლის საუბედურო მოვლენათა შორის, უპირველესი ადგილი უჭირავს შავს სიკვდილსო, ყოველი წოდების მქონე დაბადებული კაცთათვის საზოგადო საყოველთაო ხვედრია სიკვდილი.” და ა.შ.

ფურცელის მეორე გვერდზე აქვს ფანქრით ნაწერი ტექსტი. იგი არ იკითხება.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც. მხედრული.*

**36.** **2901**

ივ. გვარამაძის წერილი იწყება “ოცდაათ წლამდის იოული ჩვენი თავის დედასთან დარჩა”... წერილი საეკლესიო ხასაიათისაა შემდეგ თავში განხილული აქვს მკვდრეთით აღდგომა “იესოსი ჩვენისა ქრისტესი”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 2 ფურც. მხედრული.*

**37.** **2902**

**ივ. გვარამაძის წერილი, საეკლესიო ხასიათის**

იწყება: ა). ეს უნდა ვიცოდეთ, დაბადების რიცხვი.
ბ). ……
გ). საღმთო წერილი საზოგადოდ წინა საქმის შემდგომ იხსენებს”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 2 ფურც. მხედრული*

**38.** **2903**

**ივ. გვარამაძის წერილი ქართველთა მონათვლის შესახებ.**

აღწერილი აქვს მოვლენები თუ როგორ მოემზადნენ ქართველები მოსანათლავად, რომ მიხაელ მთავარ ანგელოზმან მოიწვია ოთხკუთხივ მთელი ქვეყნის ანგელოზები საქართველოს

ანგელოზებთან ერთად და გაუმართავს ლხინი: “გაბრიელ, რაფაელ და ურიელ მთავარ ანგელოზნი წინ წამოდგნენ”. ავტორი წერილში განიხილავს ანგელოზების საუბარს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურც. მხედრული.*

**39.** **2904**

**ივანე გვარამაძის წერილი სასულიერო პატრებზე**

ივ. გვარამაძე წერილში ქება - დიდებას უძღვნის სასულიერო პატრებს, რომლებმაც ოსმალოს საშინელი “დევნილობის” დროს იზრუნეს ქრისტიანი მრევლისათვის, ესენი არიან: ანტონ მღ. ხუციანთი, მამასახლისი ხიზაბავრისა. გოგია გოგოლაშვილი, ეკლესიის ზედამხედველი მიხაელ მღ. ვარძელაშვილი და სხვა.

“არც კათოლიკეთგან და არც არა მართლმადიდებელთაგანნი არა ოდეს, მამასახლისადაც ისეთი ძლიერი კაცი ჰყოლიათ როგორც გოგია გოგოლაშვილი ყოფილა, რომ მისი შიშით თურმე ვერ მოდიოდნენ სოფელში ოსმალოები და ვერც ლეკები.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფუც. მხედრული.*

**40.** **2905**

**ივ. გვარამაძე მესხეთის შესახებ**

ივ. გვარამაძის წერილი შეეხება მესხეთის ცალკე დამოუკიდებელ ერთეულად არსებობის პერიოდს და მის საომარ მოქმედებებს მეზობელ მხარეებთან.

“მესხეთი რა ასე თავის თავს განაგებდა, მეფეებს ბევრჯერ სურდათ როგორმე ჩაეგდოთ სამესხეთო ხელში, ბაგრატ მეფეს სამესხეთოს მისაკუთრება უნდოდა”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ს ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**41.** **2907**

ივ. გვარამაძის წერილი “თქმული სოფორონ იერუსალიმელ პატრიარხისა”.

“ალილულია, ალილულია
მოიხსენიე ჩემზე და შემიწყალე მე ღმერთო ჩემო!
ვითარ საშინელ არს სასჯელი შენი”.

შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურც. მხედრული.

**42.** **2909**

**ივ. გვარამაძის წერილი მარიამ ეგვიპტელის ცხოვრების შესახებ**

მოთხრობილია მარიამის მიერ გარყვნილად გატარებული ცხოვრების ერთ პერიოდზე, შემდეგ კი მის მონანიებაზე და უდაბნოში წასვლაზე.

“მარიამ ეგვიპტელმა ერთ ხან გარყვნილად იცხოვრა. იერუსალიმს წავიდა, ღვთისმშობლის ხატის წინ ილოცა. უდაბნოში წავიდა მოსანანიებლად. ქვეყანა გაკვირვებულია ამ დედაკაცზედ, რომ მოსამართლეს ხელიდგან გადაურჩა.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 2 ფურც. მხედრული.*

**43.** **2918**

**“სამესხეთოს დაქცევა”**

ავტორს დასაწყისში მოყვანილი აქვს ანდაზა: “ჭინჭველს რომ ფრთა გამოესხმის, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო”. აღწერილია მესხეთში თავადებისა და აზნაურების უთანხმოება, რამაც მთელ მოსახლეობაზეიმოქმედა. “თვეობით” ეკლესიები არ იღებოდა, ლოცვა-კურთხევა არ ჰქონდა ერს. მოწყვეტილნი იყვნენ ღთის სიტყვას, რაც ხელს უწყობდა გულის აცრუებაში მღვდელსაც და ბერსაც. “გამრავლებული იყო; ცოდვა ბოროტობა, უსჯულობა, უსამართლობა ურთიერთსაკუთრებათა ცარცვა-გლეჯა, მრუშობა, ქალის ტაცება, ავაზაკობა, კაცის კვლა, ტყუილი მოწმობა, ცილის წამება, ღალატი და მისთანა ბოროტებანი”.

ბოლოს ლაპარაკია ბაგრატ მეფის მიერ სამესხეთოს დაკავების შესახებ. მოხსენიებული ჰყავს ოთარ შალიკაშვილი, ქაიხოსრო, ყვარყვარე ათაბაგის ძე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX სის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**44.** **2919**

**ივ. გვარამაძის წერილი “რა საფუძველით მიაჩნდათ ძველად წმ. მამებსსა ერთი წა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია”.**

წერილის შესავალში მოთხრობილია პეტრე მოციქულის მიერ კლდეზე აშენებული ეკლესიის შესახებ.

წ-ა. ირინე ამბობდა: “რომის ეკლესიასთან უნდა იყვნენ შეერთებულნი ყველა ეკლესიების მორწმუნენი”.

*შავი მელანი ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურც. მხედრული.*

**45.** **2920**

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ლოცვანი.**

“და ასული თუ კაცმა მღვდლისა შეაგონა სიძვითა სახელი მამისა თვისისა შეაგონა, ცეცხლითა დაიწვედ”.

წერილის ქვემოთა ნაწილში განხილულია მეორე სჯულის ლოცვანი, რომელიც ყველამ უნდა გაიმეოროს: “იყავნ წყეული”.

“წყეულ იყავნ, შეურაცხოს მამა თავისი გინა თუ დედა თავისი.

წყეული იყავნ მიიღოს ქრთამი მოკლავად სულისა მართლისა”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**46.** **3042**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი სიტყვა XIX საუკუნის საზოგადოების შესახებ**

“ბატონებო, საზოგადოდ ისე არ გაივლის საუკუნეები ღვთის განგებით, რომ რამდენიმე დიდბუნებოვანი მაღალი ნიჭის მქონე კაცი არ მოგვევლინოს ქვეყანასა”.

წერილი ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტულად არავისზე საუბრობს.

მეორე გვერდზე აქვს მინაწერი, ჩამატებები და ძნელად იკითხება.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურც. მხედრული.*

**47.** **3046**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი წიგნი: “მშობლები და მათი შვილები”.**

ავტორი დასაწყისში გადმოგვცემს უფლის მიერ სამყაროს გაჩენას. თუ როგორ გააჩინა ცა მნათობებით, ხმელეთი, ყოვლნაირი მცენარეებითა და ცხოველებით, ადამიანი კი მიწისაგან გააკეთა და ჩაჰბერა სული. წიგნის შინაარსი მთლიანად ეთმობა საიქაო ცხოვრების ეპიზოდებს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 47 ფურცელი მხედრული.*

**48.** **3159**

**“ლოცვები და გალობანი”**

წიგნი შედგენილია ივ. გვარამაძის მიერ ლოცვების და გალობანის საფუძველზე:

“დიდება შენდა მეუფეო ზეცითა ნუგეშის მცემელო... მგალობელნი შენნი ღვთისმშობელო, წყარო ცხოველო დაუსრულებელო თავისად გამწყობელნო, გაიძლიერე სულიერად სამღვთისა დიდებისა შენისა და ღირსყავ დიდებისა გვირგვინითა”.

წიგნი დაწერილია ძალიან წვრილი ასოებით, ძნელი საკითხავია,

შიგადაშიგ აქვს მოხატული ფურცლები, პატარა ზომის 6,5X5 სმ. ფურცლები ამოცვენილია. გაცრეცილია და გახუნებული. ყდები გაფორმებულია დაბალი ხარისხის “ვარშავის” ვერცხლით. ყდის პირველ გვერდზე გამოსახულია თაიგული., შუაში ღვთისმშობელი იესო ქრისტეთი ხელში. ყდას გარშემო შემოვლებული აქვს თითბერის ფირფიტა, უკანა ყდაზე იგივე სახის გვირგვინია. შუაში ფეხზე მდგომ იესოს ხელში უპყრია და გულთან აქვს მიტანილი ბერძნული ასო X (რაც ნიშნავს ქრისტეს).

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ს ბოლო, ქ. ახალციხე, 87 ფურცელი, მხედრული.*

**49.** **3180**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი ანდაზები**

წიგნი იწყება წინასიტყვაობით. მეორე ფურცლიდან შეკრებილი აფორიზმები და ანდაზები სათაურით:

“სამესხეთოში ხმარებული ზოგიერთი ანდაზები”.

წინასიტყვაობაში გადმოცემულია სურვილი, რომ ავტორს უნდოდა შეეკრიბა მთელი ანდაზები და “გაეწყო” იმ სახით, როგორც ძველად იყო ხმარებული ერში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ამჯერად ვერ ახერხებს.

აფორიზმები ანბანის მიხედვითაა დალაგებული:

ა). ავი პაპა იყავიო და ავი ჭამაც გიყავიო

ბ). ბატონს ბატონურად მოეპყარ და ყმას ყმურადაო!

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 2 ფურც. მხედრული.*

**50.** **3181**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი ლექსები (სტროფები) სხვადასხვა ფრინველებზე, თევზებზე და მწერებზე**

“ზღვის მერცხალნი, ზღვის ყორანი, მფრინავი თევზი” და სხვა.

“ზღვის ყორანიც ზღვის პირთ ბუდობს, სადაც კლდენართა ფესვია, დაჰხარიან ზღვის ღელვასა, სადაც ვახშმად აქვთ თევზია...”

წიგნის ძირითადი ნაწილი დაზიანებულია და არ იკითხება.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 2 ფურც. მხედრული.*

**51.** **1903**

**ივ. გვარამაძე, "ხელთუქმნელი პირი ღვთისა."**

ივ. გვარამაძის დაწერილ საბუთში ლაპარაკია ედესიის მეფე აბგარის გაქრისტიანების შესახებ.

"აბგარი გაქრისტიანდა ქრისტეს ამაღლების შემდგომ თადეოს მოწაფისაგან, აბგარის სიკვდილის მერმე მისმა შვილმა ანანემ რა ისევ კერპთმსახურობა იწყო."

წერილი მთავრდება პასუხით იესოსაგან ანანია შიკრიკის მიერ აბგარ თავადთთან.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**52.** **1927**

**ივ. გვარამაძე, წერილი "გაგონება ბ. დარბაისელნო."**

მე დიდად მაკვირვებს გაზეთი "მშაკის": წერილში საუბარია, რომ სომხებს ყველგან სომხურად უნდათ ლაპარაკი და არა სცემენ პატივს ქართულს საქართველოში მაშინ, როდესაც ყოველ ერს, ფრანგს, რუსს, ინგლისელს და სხვას თავის ქვეყანაში თავისი ენა აქვს სალაპარაკოდ.

ფურცელის მეორე გვერდი იწყება: "ისტორიული შენიშვნა ვინ იყო წ-ა ნინო?" დიდის მადლობის ღირსი არის ჩვენი მეცნიერი დ. ბაქრაძე თავისი დაუღალავი მწერლობისა და მეცადინეობისათვის.. ნახსენებია ანდრია მოციქული და სხვა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**53.** **2404**

**ივ. გვარამაძის მიერ ჩაწერილი თარიღები სხვადასხვა პირთა მოსვლისა, წასვლისა და გარდაცვალების შესახებ**

"1857 წელს ტერ პეტრე ხარისჭიროვი წავიდა იერუსალიმს და წაიყვანა მენახირათ სიმონაი."

მეორე გვერდზე ივ. გვარამაძე სთხოვს პატრ პავლეს შესაძლებლობისამებრ გაიღოს საწირავის მოწყალება.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1911 წ. 1 ფურცელი. მხედრული*

# III
# შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

**54.** **3171**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი საკუთარი წიგნების სია**

წიგნების რიგითი ნომერი იწყება 1-დან და მთავრდება 169. სიას ადასტურებს და ხელს აწერს "გამგებელი სომეხ კათოლიკეთა სასულიეროთა არხიმანდრიტი შაჰყულიანი."

წერილის მეორე ფურცელზე დაწერილია "მტკიცე ანდერძი" არხიმანდატრ პავლე შაჰყულოვის მიერ, რომელიც ანდერძით უტოვებს თავისი ფულით აშენებულ შენობას წმინდა იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიას. ანდერძს ხელს აწერენ: შაჰყულოვი, მოწმე თადოზიანი, იაკობ ხითაროვი, თომა ქურჩიბაშოვი, გალესტოვი, სტეფან გასპაროვი, დეპუტატი პეტრე ჯიმშეროვი. ანდერძი შედგენილია 1852 წლის 11 იანვარს ახალციხეში. მომდევნო ფურცელი დათმობილი აქვს რუსულ ნაწერს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1852 წ. 3 ფურცელი, მხედრული.*

**55.** **2361**

ივ. გვარამაძის რჩეული ლექსები სათაურით "ყვავილის კონა".

1) უსუსური ყრმა

"ვაი მე დედავ დავბადე
დავწვი და დავდაგე
შიშველს კვართ დამიმზადე.
თუ გავხდე დაიქადე."

2) საუკუნო გმირი, 3) აწყვერი, 4) რუსთავის ციხე, 5) ბაფთი, 6) მწირის ყოფა,7) კეთილმოღვაწის მისაგები, 8) ავლადიდება, 9) მარად სახსოვარი, 10) კავკასიის მთები, 11) სული და ხორცი, 12) ქართველი, 13) დროება.....

*შავი მელანი. 1862 წ. 28 ფურცელი. მხედრული.*

**56.** **2249**

**ივ. გვარამაძის ლექსი – "ტრფიალი ქალი და მისი მიჯნური."**

ლექსი "ტრფიალი ქალი" ოთხი სტროფისგან შედგება. იგი იწყება:
"ახ რად დამდაგე ლამაზის სახე ბადრის წარბ-წამწამო."

მისი მიჯნური: "შროშან ყვავილი შლილი ჩემს გულსა,
შენ შეგწირავ მსხვერპლად ტკბილ სულსა,"

ორივე ლექსი სამიჯნურო ხასიათისაა.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1863 წ. 2 ფურცელი. მხედრული.*

**57.** **3913**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი სიტყვა. "თქმული კეთილაღზრდილს უფალსა იოვანეს-ძე ფალაშოვზედა"**

"დიდება ღმერთსა, რომ მშვიდობით მობრძანდით თქვენს სამშობლო ოჯახში, შემდგომად სამის წლის მწირობასა, ნუგეშად სანატრელ პატიოსანთა მშობელთა და თავსტომთა თქვენთა: რომელთა სიხარულნი მარადის დიდ და გამოთქმულ არიან წინაშე მოყვარეთა მათთა... აწ განქარვებულან და დასრულებულან ყოველნი ჭორნი, ნაღველნი. განბრწყინებულა გული თქვენი ეგრეთის სიხარულის მიზნითა მარად, დაუვიწყებელ სახსოვრად სულიდათის და გულითადის ძმობისა თქვენისა მოგიძღვნი სიძე მესხი ივანე გვარამაძე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1864 წ. ქ. სამცხე, 1 ფურც. მხედრული.*

**58.** **2881**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი "წყარონი საეკლესიო და საერო ცხოვრებისა საყოფაქცეოდ საქართველოს ახალმოსწავლე ყმრმათა".**

ავტორს წიგნი დაყოფილი აქვს ნაწილებად. პირველი გვერდი შესავლით იწყება: "ა. ნაწილი", სადაც გადმოცემულია ქვეყნის დაარსება. "ღმერთმა უჩინო არარაისგან ტანი და ქვეყანა გააჩინა"

შემდეგი ნაწილი არის "გარდასავალი". ბ. ღმერთმან აღმოსავლეთს უკვდავების სამოთხეში დაჰბადა ადამი და მარხულობის პირად ეს ერთი მცირე ბძანება მისცა, რომ ყველა ხის ხილისგან ეჭამათ".

შემდეგი ნაწილი ეთმობა “შთამომავლობას”.
წიგნის ბოლო ფურცლებზე დაწერილია ლექსები და აფორიზმები.
“ვისაც ჭირი უნახია, წამალიც იმას ჰკითხეო”
“ვინც აიკიდა გოდორი, იმან შეჭამა კოტორი”
“კაცი რასაც გასცემს, ღმერთიც იმას მისცემსო”
“კაცის აშენებული სახლი ქალმა დააქცია და ქალისა კი ეშმაკმაც ვერაო”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1866 წ. ქ. ახალციხე, 34 ფურც. მხედრული.*

**59.** **2250**

**ივ. გვარამაძის ლექსები. (სულ 18. დასათაურებით)**

ა) “აღმოვაჩენ გულითად სიხარულს”...
ბ) “სული და ხორცი”
გ) “სუფრული”
დ) “კავკავიის მთები”
ე) “სახმლო მამული-სატრფოსადმი”
ვ) “უსუსური ყმა”
ზ) “საუკუნო გმირი”
თ) “ლორეს“
ი) “....სვე...”
კ) “სარწმუნოების მსხვერპლნი”
ლ) “ქრისტეს ჯვარი“
მ) “მოწაფე და კალამი”
ნ) “გული”
ო) “შვილის აღზრდა”
პ) “ბავთი”
ჟ) “გალობა”
რ) “რუსთავს ციხე”
თ) “ბავთის მღებრიშვილზედ”

სუფრული

მიყვარს ვენახი ხევანი.
ხშირი სხმა ხილის ძლევანი.
ყურძნისა მწიფე ტევანი
ტკბილის ხმა ღვინის ლევანი.

კავკასიის მთები.

რა არს კავკავ მთებო, რა ფერხულ ჩაგიბიან?
მიგიციათ ზურგი ზურგთა, მკლავი მკლავთა გაგიბიან.

სატრფოსადმი

ახ რად დამდაგე ლამაზის სახბადრო წარბ წამწამო!
გიშრის ქოჩორ ულვაშთა საროდ ზრდილ ტანად ლერწამო!

უსუსური ყრმა

ვაჟიშვილს ბევრნი ნატრობენ, ზოგი სტირს ზოგნი ხარობენ,
ვაჟზედ დედ-მამა მნათობენ, საზრდოდ არავის ანდობენ.

გული.

გულო, რა ხარ? ან რას გავხარ, ხან დამტირი და ხან თავს დამხარ.

მოწაფე და კალამი.

ჩემო კალამო, თავს ნუ მალამ, თუ კარგად დაწერ, დამავალამ!

გალობა.

ცამ მოხედა ივერთ მხარეს, მოელხინათ მზეს და მთვარეს,
ვარსკვლავთაც გაიხარეს, ანათებენ არემარეს.

“რუსთავს ციხე”

“მითხარ ციხე რის მოწმედ ხარ? ვის სახელზედ ნაგები?
რა დრო გქონდა ? რა გარდაგხდა? საბრალოვ რა ნახევი?
ან რას ხედავ? რას შეგჩივის ? რა აქვს ამ მტკვარს დაღები?
და თუ იქნება, მიამბე, რომ შევიტყო მაგები.”

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1867 წ. 10 ფურცელი. მხედრული.*

**60.** **2145**

**ივ. გვარამაძის წერილი უმაღლეს სამღვდელოებას**

“წმინდა გულით შემიძლია ვაღიარო ღვთის წინაშე 1868წ. თქვენმა ნახვამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემს გულში და დამიტკბო სული სრულიად.” ლაპარაკია საეკლესიო სწავლების მდგომარეობაზე. ნახსენები არიან:

1) არხიმანდიტრი პავლე შაჰყულიანი.
2) ტერ იაკობ ჩით ჩამანი.
3) პავლე ნახაპეტიანი.

წერილში არის სომხური ნაწერიც.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1868 წ. 2 ფურცელი. მხედრული.*

61. 2375

### ივ. გვარამაძის წერილი "თბილისის კათოლიკეთ (ფრანგთ) დიდ მარხვის შესუბუქებაზედ."

აღნიშნულ წერილს ავტორი უგზავნის გაზეთ "დროებას" და უმორჩილესად სთხოვს მის გამოქვეყნებას. წერილი ძირითადად ეხება კათოლიკეთა მიერ მარხვის დროს ჭამას და მათ მიმბაძველობას ევროპელ კათოლიკეთ.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1868წ. 2 ფურცელი. მხედრული.*

62. 2883

### ივ. გვარამაძე — ღვთის მეტყველება

ივ. გვარამაძის მიერ სომხურიდან ნათარგმნი: "ღთის მეტყველება ტვინ ამოწოვილი წოდებული" "სომხურ ენაზედა ნათარგმნი და გარდმოცემული შრომითა, ტფილისის პეტროს ვართაპეტის მიერ და დაბეჭდილი ვენეტიკსა წინა 1778." იწყება "რომელიც ასე შემდგომ ეკლესიის საიდუმლოებითა აღასრულა, რომელიც შემდგომ უფალმან დაამტკიცა და განაწესა".

ხელნაწერი დაყოფილია თავებად პირველ თავში საუბარია "საზოგადო ეკლესიისა საიდუმლოთა ზედა".

მეორე თავში - "ნუთუ ახლი სჯულის საიდუმლოებანი შედგებიან საქმითა და სიტყვითა, ნივთითა და სახითა".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1868 წ. 6 ფურცელი, მხედრული*

63. 1530

### ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი ხელნაწერი წიგნი

წიგნის დიდი ნაწილი დაწერილია სომხურ ენაზე. 135-ე გვერდიდან იწყება ქართული ხელნაწერი სათაურით: "ეპისტოლე პავლე მოციქულისა". ტექსტში საუბარია ცოლისა და ქმრის ურთიერთ პატივისცემაზე და სიყვარულზე. ეპისტოლეში ეს ურთიერთობა გატოლებულია ქრისტესა და ეკლესიიის ურთიერთობამდე.

141- გვერდიდან იწყება "ნათლის ღების საკითხავ ეზეკიელის წინასწარმეტყველისა" ბოლო ფურცლები წიგნში დაუწერელია.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1869 გვერდი, 143 გვერდი, მხედრული.*

**64.** **128**

**კრებული**

ა). სომხური ზენაურის წირვის საგალობელი
ბ). იამბიკო წირვისა საკმეველისა დროს
გ). წირვის დაწყებისა და ხელის დაბანვის ფსალმუნი კგ (23..)
დ). ბზობის საღამოს კარის გაღების წესი. ფსალმუნი რიზ (117)-ზე არის: "ქართული ზენაური წირვის საგალობელი და ბზობა, საღამოს ეკლესიის კარის გაღების წესი, მსგავსად ძველად ყოფილის ჩვეულებისა, რომლის ნაშთი ჩანს ხიზაბავრის ღვთისმშობლის ეკლესიასა შინა ტერ ანტონ ხუციანის მიერ გარდაწერილს საეკლესიო წიგნსა შინა."

*შავი მელანი, ავტოგრაფი. 1870 წელი 16 ფურცელი. მხედრული*

**65.** **2362**

**ივ. გვარამაძის ლექსები მეორე ნაწილი**

1) ვაჟკაცობა.

"ვაჟკაცობავ ხარ კარგი რამ
გამოსადეგი საუცხოდ,
მძაფრად გაფასებ, გაღირამ
შინ იყო თუ გარედ უცხოდ!

2) მაჭანკალი, 3) ქვეყნიერება, 4) ანბანის მნიშვნელობა, 5) საყვარელი თამარ, ნინო, 6) ცოდვის ტყვე, 7) ღირსება 8) ჯავახეთი. 9) ვარდისციხე.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1872-1874 წლები, 12 ფურცელი. მხედრული.*

**66.** **179**

**ივ. გვარამაძე — "მოკლე ქართლის ცხოვრება ახალი შენიშვნებითა შრომა მესხი ივ. გვარამაძისა ქ. ახალციხე 1873 წელსა".**

ხელნაწერის მე-3 გვერდზე მოცემულია: მოსე წინასწარმეტყველის მიერ აღწერილი სამეფო წერილი (დაბადება) იმ პირთათვის, რომელნიც უარს ჰყოფდნენ დაარსებასა ცა ქვეყანასა ღვთისგან.

ქვემოთ შენიშვნაში მითითებულია მოსეს მიერ ქვეყნის დაარსების ორი ვარიანტი, შემდეგ კი ადამისა და ევას სამოთხეში ყოფნა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1873 წ. 18 გვერდი, მხედრული.*

67. 2140

ივ. გვარამაძის წერილი “ერთი დღის მგზავრობა”.

წერილში ავტორი გადმოგვცემს თავის მოგზაურობას ახალციხიდან ოცხემდე, თუ როგორ იღვიძებს ბუნება, მინდორ-ველი, ფრინველთა გალობა, მიწისა და ნათესების მდგომარეობა.

წერილი იწყება: “დილა ადრიან წირვის შემდეგ, სამშაბათ დღეს 8 საათზე, გავემგზავრე ცხენით ახალციხიდან ოცხესკენ”. მეორე ფურცელზე მოთავსებულია წერილი გამოგზავნილი ივ. გვარამაძისადმი 1878 წელს.

ავტორის ხელის მოწერა არის, მაგრამ არ იკითხება. ნახსენებია ტერტერა ხარისჩაროვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1878წ, 2 ფურცელი, მხედრული.*

68. 2156

“მდაბიური დღე კეთილობა”

ივ. გვარამაძის წერილი “მდაბიური დღე კეთილობა”, “მოკრიალებული ცა, დიდრონი ხეები, მოწყვეტ-მოწყვეტით მდგარი სახლები, მდორე და თავთხელი მდინარე”...

წერილის პირველი ფურცელი სომხურად არის დაწერილი.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1878 წ. 2 ფურცელი. მხედრული*

69. 2286

ივ. გვარამაძის წერილი “დროების” რედაქტორს.

სთხოვს დაუთმოს პატარა ადგილი მის წერილს, რომელშიც უნდა თავისი აზრი თქვას დიმიტრი ბაქრაძის საქართველოს ისტორიის შესახებ.

ქვემოთ გარჩეულია სიტყვა აზნაურის წარმოშობაზე.

წერილს ბოლოში აქვს მინაწერი ლექსის სტროფები:

“ჯავახეთის ხილიო, ატოლი და ღიმიო
ისიც, რომ გამოელევათ გაუწყდებათ ლხინიო.”
“ბულბული ვარდსა შემოჯდა, ენით ამბობს გალობასა:
მოირთე და მოიკმაზე ნუ მოიშლი ქალობასა”.

*შავი მელანი. 1879 წ, 2 ფურცელი, მხედრული.*

70. 3162

ივ. გვარამაძეს მიერ გადმოწერილი "საფარის ეკლესიის სამხრის ეკვტერზედ" არსებული წარწერა.

აქვე არის სამხრეთის კანკელისა და ცალკე ქვაზედ არსებული წარწერა. გადმოწერის თარიღად მითითებული აქვს 1879 წლის აპრილი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1879 წ. 1 ფურც. მხედრული.*

71. 182

ივ. გვარამაძე, "ქართლის ცხოვრება ახლად შედგენილი მესხი იოანე მღვდელის გვარამაძისაგან"

"საჭირო ცნობებით გავრცელებული და შესწორებული შემლებისამებრ სასარგებლოდ საქართველოს ერისა და სადიდებლად მაღლისა ღმერთისა. 1881 წელსა ს. ხიზაბავრას."

"გარჩევა ქართველთ და (საორანების) ტომისა". ავტორი შესავალ ნაწილში რჩევას იძლევა, რომ ყოველმა კაცმა სასურველია იცოდეს ნამდვილი ისტორია თავისი გვარ-ტომისა, ჩამომავლობით ვინ იყო მისი წინაპარი - "მამამთავარი", სად ცხოვრობდა და როგორ, რა ენაზე ლაპარაკობდა. კაცს ამის სურვილი აღეძვრება მაშინ, როცა იგი "სრულს" კაცობაში ადგამს ფეხს..."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1881 წ. სოფელი ხიზაბავრა, 1 ფურცელი, მხედრული.*

72. 2173

წესდება

კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებისა. მასში ჩამოთვლილია საზოგადოების საქმიანობის შესახებ. მისი დამტკიცება ინება მისმა ბრწყინვალებამ ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა: მთავარ სამმართველოს უფროსმა ღენერალ-ლეიტენანტმა სტაროსელსკიმ 25 ნოემბერს 1881 წელს. ქ. თბილისს.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1881 წ. 4 ფურცელი, მხედრული.*

73. 170

**“ლექსიკონი ბუნებით მეცნიერების შედგენილი მესხი ივ. გვარამაძისაგან 1882 ს. ხიზაბავრას”.**

ხელნაწერში ავტორი განმარტებას იძლევა აღნიშნულ ლექსიკონის აუცილებლობაზე, იქვე მიუთითებს, რომ “აქ გამოკრებილი ყველა არ არის სახმარი ზოოლოგიისათვის, მაგრამ რადგანაც ერთი და იგივე სახელწოდება ცხოველთა თუ მცენარეთა სხვადასხვა რიგად გამოთქმულია ევროპულ თუ აზიულ ენებზედა ორ-სამ ნაირად ამისათვის საჭიროდ ვხედავ გაირკვეს, რაც შეიძლება ჩვენთვის და მომავალ თაობებისათვის ადვილ გასაგებად. თქვენი მონა ვინმე მესხი.”

ხელნაწერის მე-2 გვერდზე იწყება “ლექსიკონი ბუნებით მეცნიერებისა.” იგი დალაგებულია ალფავიტის მიხედვით. პირველი განმარტებითი სიტყვა არის აბრეშუმი – ხელნაწერი მოიცავს 16 დაწერილ ფურცელს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1882 წ. 16 ფურცელი, მხედრული*

74. 175

**“წამება მიქაელ გობრონისა და ასოცდაცამეტ მოყვასთა მისთა მეციხოვან მესხთ აზნაურთა. თქმული ლექსად მესხ ივ. მღ. გვარამაძისაგან 1882 მაისი ს. ხიზაბავრას.”**

ხელნაწერის მე-2 გვერდზე ავტორს გაკეთებული აქვს შესავლის სახით “ორიოდე სიტყვა,” სადაც ლაპარაკობს იმ სიამოვნებაზე, რომელსაც ღებულობს ავტორი გმირ წინაპრებზე საუბრით და განსაკუთრებით იმ გმირებზე, რომლებიც იყვნენ საეკლესიო-ღვთის მსახურნი. მინაწერი: “ვუძღვნი გულმდაბლად პატივცემულისა “დროების” რედაქტორისა ბ. სერგეი მესხსა.”

ლექსი იწყება “ერთ ღმერთო, წმინდა სამება
მომეც მე ის სული წმინდა,
რომ ვსთქვა დიდებულთ წამება
მით შენი დიდება მინდა!”

21-ე გვერდზე მოცემულია ლექსიკონი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი. 1882 წ. ს. ხიზაბავრა, 37 გვერდი, მხედრული.*

75. 2236

**ივ. გვარამაძის პასუხი. მოხსენება 1. 1882 წლისა.**

კავკასიის ისტორიულ არქეოლოგიურ საზოგადოებაში. აქვეა ცნობა გვარამაძის არჩევისა - კავკასიის ისტირიისა და არქეოლოგიის საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად.

ხელნაწერს ხელს აწერს საზოგადოების თავმჯდომარე. დ. ბაქრაძე. გამოთქვამს იმედს, რომ გვარამაძე მიიღებს მონაწილეობას საგანმანათლებლო საქმიანობაში.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ივ. გვარამაძე, დ. ბაქრაძე, 2 ფურცელი,*
*1882წ. 20 აგვისტო. მხედრული.*

**76.** **3220**

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი წიგნი**

"წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა". წიგნი სქელტანიანია და შეიცავს 238 ფურცელს. მასში ჩაწერილია უამრავი ლექსები და თქმულებები.

მე-2 გვერდიდან იწყება "წამება ქეთევენ კახთა დედოფლისა"

"შენ უწინარე ყოველთა საუკუნეთა მყოფელო
თვისისა დასაბამისა, თვით თავსა შორი მყოფელი."

მე-7 გვერდზე – ქება განლექსილი ანბანთაგან, თეიმურაზ მეფისაგან.

133-ე გვერდზე – შესხმა თამარ მეფისა და მეუღლე მისისა დავით მეფისა.

"თქმული ლექსად, აბდულ მესია შავთელისაგან."

197-ე გვერდზე "სიტყვა საქართველოს ზნეობისა, თქმული ვახტანგ მეფისა."

219-ე გვერდიდან იწყება სიტყვების განმარტებითი ლექსიკონი.

წიგნს აქვს მუყაოს მაგარი ყდები. მინაწერი: "ეს წიგნი ეკუთვნის მესხ იოვანე გვარამაძესა" გვხვდება სათაურების მხატვრული გაფორმებები.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1882 წ. 238 ფურცელი. მხედრული.*

**77.** **2379**

**ივ. გვარამაძის "პასუხი ისტორიულ და არხეოლოგიურ შენიშვნაზე**
**და კრიტიკოს ბ. გრ. ყ-ძესა."**

ავტორი წერილში სინანულს გამოთქვამს იმის შესახებ, რომ თითქო იმჟამად არაფერი უნდა იყოს ხელისშემშლელი საქართველოში მეცნიერების განვითარებისა. მისი აზრით ამისათვის საკმარისი პიროვნებებიც არიან, რომლებმაც განათლება ევროპაში მიიღეს და სვამს კითხვას "რა გვაბრკოლებს?". მისი აზრით ამ საქმის ჩამორჩენა ურთიერთ შეუთანხმებლობაა.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1883 წ. 2 ფურცელი. მხედრული.*

**78.** **125**

**"განხილვა ასურეთისა და ქალდეთისა"**
**(იოაკიმ მენანის)**

ავტორი ანალიზს უკეთებს ასურეთისა და ქალდეთის მოთხრობებს, რომელთაც 25-30 წლის განმავლობაში "ძალდატანებით" ასწავლიან მათ.

“რა კარგი იქნებოდა მარტო ბერძნებს და ებრაელებს დავრწმუნებოდით, რაც გარდმოუცია ჩვენთვის” - სწერს ავტორი. ჟ. მენანის გამოცემა უკეთესი იქნებოდა თუ ერისა და ქალაქების შესახებ სხვადასხვა გეოგრაფიული ცნობები და ახსნა დაემატებოდა.

მე-7 ფურცელზე იწყება წირვების ტექსტები, რომელნიც გადმოწერილია ავტორისავე განმარტებით, რომელიღაც ეტრატის “ნაწიბურზედ ნაწერანი!”

*შავი მელანი, მხედრული, ავტოგრაფი, [1884წ], 9 ფურცელი. დაბეჭდილია “ივერიაში” 1884 23-24-25.*

**79. 2237**

**ისტორიულ არქეოლოგიური საზოგადოების შეტყობინება** ივ. გვარამაძისადმი, სიძველეთა ასაღწერად. ღია ფურცელი.

*შავი მელანი, 1884წ. 30 ივნისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**80. 2238**

**ისტორიულ არქეოლოგიური საზოგადოების შეტყობინება** ივ. გვარამაძისადმი: მაზრაში სიძველეთა ასაღწერად და აქ ჩამოსულ მამასახლისთა დასახმარებლად.

ხელს აწერს მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. (გვარი არ იკითხება)

*შავი მელანი, 1884წ. 1 ფურცელი 22 აგვისტო. მხედრული.*

**81. 1905**

**ივ. გვარამაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა ბ. იოანე სიმონასშვილის მაისურაძის დასაფლავებაზე.**

წერილი იწყება ფსალმუნით. “ვხედავთ, ჩემო საყვარლნო მამანო, ძმანო და დედანო! თუU როგორ ამ უწყალო სიკვდილმან მოულოდნელად გაგვტაცა ჩვენ ხელითგან ეს ჩვენი საუკეთესო ძმა და მეგობარი ბ. იოანე მაისურაძე ამ ჩვენის წუთის ცხოვრებისაგან.

“მართლაც ვის დავიწყებია ამ განსვენებულის ქველმოქმედებანი, შემბრალებლობანი, მშვიდობის მოყვარეობანი,... რომ ამისი კეთილის მაგალითით ახალთაობაში განგვიმრავლოს ამისთანა სასარგებლო პირნი, ჩვენი დაცემული საბრალო სამშობლო მამულის აღსადგინებლად, თავის წმინდა სახელის საქებ სადიდებლად.” ამინ.

მარად მლოცველი უფლისა, მონა მწუხარე მესხი ივ. მღ. გვარამაძე, 8 მარტი 1886 წელსა ქ. ახალციხეს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1886 წ. ქ. ახალციხე. 1 ფურც. მხედრული.*

82. 184

**“ძველის ძველი ისტორიული ცნობები მესხ ქართველთა ლინგვისტურად მესხი ივ. მღ. გვარამაძისაგან მოკლედ შედგენილი 1887წ. ქ. ახალციხეს”**

ხელნაწერს აქვს წინასიტყვაობა, მე-4 გვერდიდან კი იწყება უშუალოდ ძველის-ძველი ისტორიული ცნობების” აღწერა, სადაც საუბარია ღმერთის მიერ ქვეყნის გაჩენის შესახებ”.

“და შექმნა ღმერთმან კაცი მტვრისა მიმღებელმან ქვეყნისაგან და დანერგა სამოთხე ედემს აღმოსავლეთით და დაადგინა  მან კაცი, რომელი შეჰქმნა!!. შემდეგ საუბარია თუ როგორ დაარქვა სახელები ფრინველთ, პირველად, “ორბს დაარქვა “ორბი”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1887 წ. ქ. ახალციხე. 2 ფურცელი, მხედრული.*

83. 2382

**ივ. გვარამაძის წერილი სომხურ გაზეთში გამოქვეყნებული წერილის შესახებ.**

“აი რასა სწერენ სომხის “ახალსაუკუნოების (ნორ- ლარ) გაზეთში. ცრუ სომხის კათოლიკის ერთი კორესპოდენცია”. სამდურავს გამოთქვამს სომეხთ ეკლესიათ მსახურზე, რომ ისინი ყველა ღონეს ხმარობენ ჩვენი “ენისა და ტიპიკონის გასაუქმებლად”.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1887 წ. 1 ფურცელი. მხედრული.*

84. 172

**“მათეს სახარების თარგმანისაგან გამოკრებული მოკლედ უფრო საძლენოლნი 1888 ქ. ახალციხეს”.**

ხელნაწერის მეორე გვერდიდან დაწყებულია მათეს სახარების თარგმანი, აქვე არის “მათათანის შვილთა” გენიალოგია, რომელიც დაწყებულია “დავითით” და მთავრდება იუდათი “რომელსაც ეწოდებოდა თადეოზი”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1888 წ. ახალციხე, 8 ფურცელი მხედრული.*

## ივ. გვარამაძის პოემა “ყრმათ სანავარდო სამნახველო ცხოველთა”.

პოემას აქვს შესავალი, რომელშიც ავტორი განსაზღვრავს ტექსტის დედააზრს. გალექსილი აქვს ბუნებაში ადამიანის გარშემო მყოფი უამრავი ცხოველი და ფრინველი თავიანთი დამახასიათებელი ნიშან- თვისებებით.

“სწავლული კაცი მზებრ ბრწყინამს, ხედამს ქვეყნის ყველაფერსა,
ავიც იცის, კარგიც იცის, სარგო სავნოს იკვლევს ბევრსა.
უსწავლელი კი ბრმა არის, ეხეტება ღამებრ ბნელსა,
ბევრჯერ ცდება, თავპირს იმტვრევს, ვარდება ჭირთ მეტად ძნელსა.

“კაცი მეფე არს ქვეყნისა, ცხოველთა შორის და მცენარეთა.
სულითა ღთის სახისა არს, ჰგავს ანგელოზთ ზენერთა,
უკვდავ თავისუფალი სიბრძნე აქვსთ თავსმჩენართა.
ნიჭით სჭარბობს ყოველ ცხოველთ, ბღენძთა ხენართა!”

მაიმუნი

“მაიმუნი ცოტად კაცთს ჰგავს ცხოვრებით კვლავ გონებითა.
დაუყვავებთ, გაიხარებს, უწყრებით სჩანს ღონებითა,
ვინც სახლის საქმეს შეაჩვევს, მორბედობს კარგ მონობითა,
მაგრამ წუწკი ავხორცია, პირუტყობს გემოვნებითა!”

კურდღელი

“კურდღელი ორნაირია, თვალღიამ იცის ძილია,
შინაურ გარეული მსწრაფლ მგრძნობ ფეხ მალ რწყილია.”

ღორი

“ღორმა სთქვა, სხედამთ მიდამოს, რაც ისვრება დღე თუ ღამით,
ყოველ უწმინდურობას ვწმენდ, ვასუფთავებ დინგის ყამით,
რაცება მეტი მომივა, მით ვილუმპები სრულ ლამით,
რომ შემეძლოს მონელება, მაშ ნუღარ მიწუნებთ ამით”.

“სპილო“

“ხმელეთის პირუტყვთ მხეცებში სპილო ყველაზე დიდია,
არა მახვილი ეშვი აქვს, ცხვირზე ჩიჩვრი ჰკიდია,
მით სვამს, ჭამს, ებრძვის მტერთ, ხმლისა არა აქვს რიდია
მშვიდი არს, მაგრამ დამსწავლი, მტერ მოყვარესთვის უძევს ხიდია.”

პოემის თავი და ბოლო ფურცელი დაწერილია ფანქრით.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1888წ. ქ. ახალციხე, 23 ფურცელი. მხედრული.*

**86.** **2424**

**ივ. გვარამაძის ლექსები "ოცხის მდინარე" და "ოცხის ტყე".**

ავტორს ლექსებში გადმოცემული აქვს ოცხის მდინარე და მისი შემოგარენი ტყე-ბუნება.

"ნეტა მითხარ ეს მდინარე
სულ რას სჩივის დღე და ღამე,
გაიძახის, ხმას არ სწყვეტს,
გაახელა არე-მარე."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1888 წ. 2 ფურცელი. მხედრული*

**87.** **3142**

**"ყრმა სანავარდო ქვეყნის"**

"სასარგებლოდ ახალმოზარდ მოწაფეთა და სხვათა დალექსილი შაირად. 1889 წ. ქ. ახალციხე."

ავტორი წინასიტყვაობაში გადმოგვცემს ღმერთის მიერ ცისა და ქვეყნის გაჩენას, შემდეგ კი ადამიანისა და მის გარშემო ცხოველების, რომელთაც ყველას თავისის სახელი უწოდა.

"და შექმნა ღმერთმან კვლავ ქვეყნისაგან ყოველნი მხეცნი ველისანი და ყოველნი მფრინველნი ცისანი და მოიყვანა იგნი ადამისასა ხილვად რაი უწოდოს მათ."

პირველ ლექსში "ყრმათ სანავარდო ქვეყნის ცხოველნი" ავტორი გადმოგვცემს ღმერთის მიერ პირველი დღიდან თუ ვის აჩენს, მეორე დღეს და ასე შემდეგ დღეების მიხედვით.

წიგნის მეთორმეტე გვერდიდან ავტორი იწყებს სახეობის მიხედვით ცხოველების გაჩენის ლექსად გადმოცემას. "წიწილა".

"ახლა მინდა მოგახსენოთ პირუტყვთა ამბავებია,
მუცლით მშობელთ, კვერცხით მჩეკელთ, მწერთ და მატლთა
მხეცთა, ნადირთ, ფრინველთ, ქვემძრომელთ, წყალში მცურავთ
რაებია
დაბადებითვე იციან თავეთ საქმე დავებია."

წიგნში დაუწერელი ფურცლები ბევრია.

*შავი მელანი, 1889 წ. 53 ფურცელი, მხედრული.*

**88.** **130**

**ივ. გვარამაძე, "მაისის სადღესასწაულო ლოცვანი"**
**1890 ქ. ახალციხეს**

ხელნაწერში წარმოდგენილია ლოცვანი ღვთისმშობლის უმანკო ჩასახებისა: "პატივისცემა დედაო ქვეყნისაო, ცათაო ქალწულო ქალწულთაო"; მაისის თვის მცირე მარიამის თვეს უწოდებს ავტორი: "ბედნიერნი უნდა ვიყოთ, რო ამ მაისს თავის პირველ დღის დაწყებისთანავე გვხვდება ეს შესავედრებლობის ტკბილი სახელი მარიამისა, რომელსაც აძლევს წმ. ეკლესია შესავედრებელთ ცოდვილთაო". მაისის თვის კეთილი განზრახვები დაყოფილია დღეების მიხედვით:

1 დღე – მარიამი არის შესავედრებელი ჩვენი
2 დღე – მარიამის ხმა ჩვენ გწურთნის
3 დღე – მარიამს ჩვენ ვუყვარვართ გულითა

მარიამი არის ჩვენი დამცველი მოსარჩლე

ქალწული მარიამი ჩვენ წაგვიყვანს ზეცას და ა. შ. მთავრდება შეწირვით ყოვლად წმ. ქალწულ მარიამთან.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1890 ქ. ახალციხე, 35 ფურცელი, მხედრული.*

**89.** **1896**

**"სიტყვა თქმული იოსებ მღ. ხუციანოვის დასაფლავებაზედა**
**ივ. მღ. გვარამაძისაგან"**

"პატივცემულნო მამანო და ძმანო! დღეს ჩვენ შეკრბილ ვართ ამ წმინდა ეკლესიაში, დიდის მწუხარებით ვგლოვობთ ერთს ჩვენს დანაკლისსა, რომელიც არის აქავ მდებარე სხეული უფლის მიერ განსასვენებულს მამა იოსებ მღვდელს ხუციანოვისა".

ხელნაწერში მოთხრობილია იოსებ მღვდლის ცხოვრება, მისი საქმიანობა, მისდამი სიყვარული, სადაც კი მას უმუშავია.

ავტორი წერილს ამთავრებს: "ახლა რამ უნდა გვანუგეშოს და გაგვამხნეოს ჩვენ? სხვა არაფერმან თუ არა მხოლოდ მისმან სამაგალითო კეთილმოღვაწეობამ, რომელიც დასტოვა ჩვენთვის მარად სახსოვრად და მისაბაძვლად მთელს ჩვენს სიცოცხლეში"

მესხი ივ. მღ. გვარამაძე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 21 თებერვალი 1890, ქ. ახალციხე, 2 ფურც. მხედრული.*

90. 1898

**ივ. გვარამაძე, "დღენი ჩვენი ვითარცა აჩრდილნი წარხდნენ და მე ვითარცა თივა გავხემე ფსალმუნისა"**

ივანე გვარამაძე საუბრობს ადამიანის მიერ განვლილ ცხოვრების თანამიმდევრობაზე. "სად დარჩნენ ნეტარ ის სასიხარულო დღენი, როცა იშობა ეს განსასვენებელი ყრმად...

"მეორე ნაბიჯი კაცის ცხოვრებისა უფრო მეტად შესანიშნია თავისის კეთილ შედეგებითა, რომელიც არის დაქორწინება".

მესამე ნაბიჯს სიკვდილს თვლის და მიანიშნებს, რომ აგერ მესამე ნაბიჯზედ ამ განსასვენებელს სწვევია უეცრად შავი სიკვდილი და მოუსპია ამ წუთის ქვეყნიდგან."

წერილი მთავრდება: "გაგანათლოს ზეცას სასუფეველში განისვენე მშვიდობითა. ამინ" მარად მლოცველი მესხი ივ. მღ. გვარამაძე 28. აპრილი 1890. ქ. ახალციხე.

**შავი მელანი, ავტოგრაფი, 1890 წ. 2 ფურც. მხედრული.**

91. 2272

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი სიტყვა ქართველ კათოლიკე აბბატ მამა პეტრე ხარისჩაროვის გარდაცვალების გამო.**

ხალნაწერის შესავალი ფსალმუნით იწყება: "ვითარცა განამრავლე წყალობა შენი ღმერთო."

"კურთხეული ღთიური განგებულება ყოველს დროს, ყოველ მხარეს, ყოვლითურთ, ყოველნაირის კეთილი მზრუნველობით განაგებს ხოლმე კაცთ ტომთათვის მრავალნაირს ყოველს საქმესა. არ არჩევს სრულიად მცირედ რიცხვ - ერსა, ერმრავალისგან. არც გლახაკი მდიდართაგან, არც მდაბალი მაღალთაგან და არცარა უგნური გონიერთაგან : ყველას ერთ კვალად იჭერს, ერთნაირ ღონე - საშველს აძლევს ღვთის მადლის მისაღებად, ერთ რიგის თანასწორობით უწილავს სულ-ყველას თავიანთ ხვედრ ღვთის წყალობას."

ეხება რა განსვენებულის დახასიათებას ამბობს: "ეკლებში ვარდი ამოვა, წყლისპირთ ნაპირებზედ შროშანი, მინდორ-ველზედაც ყვავილი. ჩვენს ამ მცირე საბრალო გაღატაკებულს ახალციხის ქალაქშიც უკანასკნელ სხვათა მოძღვართა შორის, როგორც ვიცით, ამ ჩვენს მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში, ხომ აღმოჩნდა უფლის მიერ აწ ახალ განსვენებული მამა მოძღვარი პეტრე ხარისჩაროვი, რომელმაც რა შეჰხედა ჩვენს მოუძლურებას შინაგანის და გარეგანის მტრების მომძლავრებისგან, თავის მამულის ღირს შვილურის მეტისმეტი კაცთმოყვარეობით შეჭურვილმან,... თავის თავიც შესწირა ღმერთსა მონოზნობითა. დააფუძნა მონასტერი კონსტანტინეპოლსს ღვთისმშობლის უმანკო სახელობაზედ. განამრავლა მღვდელ-მონაზონი. იწყო ბეჭდვა და გამოსცა საკმაოდ სასულიერო და სამოქალაქო ქართულად მეტად სასარგებლო წიგნები. თუმცა ჩვენდა დიდ სამწუხაროდ, საიმისოდ ვერას ვსარგებლობთ ჩვენ დღემდის მისი ძვირფასის წიგნებითგან, მაგრამ ბრალი დანაშაულობა ჩვენის გონების გაუხსნელობისა არის და არა მისი. ჯერ კიდევ ვერ გამოგვიფხიზლია უმეცრების ღრმა – ძილისაგან. ღამის ფრინველებივით ისევ სიბნელეს მივჰსდევთ და არა დღის ბრწყინვალე სინათლეს."

განსვენებული 1842 წელს უკურთხებიათ მღვდლად და მაშინვე "განწესებულა" სამრევლო მღვდლად ახალციხის წმიდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში შემწედ. 1856 წელს გამგზავრებულა საზღვარგარეთ და იქ დარჩენილა სიცოცხლის ბოლომდე.

სიტყვა მთავრდება: "უფალმან საუკუნო  განსვენება მიანიჭოს და სამარადისო ნათლითა განანათლოს ზეცის სასუფეველსა შინა იგი, რათა იყოს მეოხე ჩვენი." ამინ.

მისი ნამოწაფარი უღირსი მონა მესხი ივ. გვარამაძე.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1890წ. ქ. ახალციხე, 2 ფურცელი, მხედრული.*

**92.** **3166**

**ივ. გვარამაძეს მიერ შედგენილი "ძველი აღთქმის შემოკლებული" ვარიანტი 1890 ქ. ახალციხე.**

ავტორი აღთქმის შინაარსს გადმოგვცემს კითხვითა და პასუხით (მიგებით)"

კითხვა:  ვინ არის გამჩენი ცისა და ქვეყნისა?

მიგება: ყოვლის მპყრობელი ღმერთი: მამა, ძე და სული წმინდა ერთი ღმერთი სამ გვამში.

წიგნის დასასრულში ავტორს სომხური ტექსტის ქართული შრიფტით აქვს გადმოწერილი "სომხური წირვა".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1890 წ. 5 ფურცელი, მხედრული.*

**93.** **3934**

**ივ. გვარამაძის მოსახსენიებელი**

იგი შეეხება ღთისმშობლის ხატს, რომელიც დახატულია უბრალო ქაღალდზე და ინახება იოვანე ნათლიმცემლის ეკლესიაში, ივ. გვარამაძის აზრით, ეს ნახატი უნდა ეკუთნოდეს იტალიელ რაფაელს, რომელიც გარდაცვლილია 1520 წელს, 36 წლისა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1890, 20 ენკენისა ქ. ახალციხე, 1 ფურც. მხედრული.*

**94.** **1894**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი სიტყვა**

"სიტყვა თქმული კონსტანტინე ივ. გვარამაძისაგან თავის დედის  ბაბადია ანიკო კეკელას გარდაცვალებაზედა".

"ნეტა მითხრათ, თუ რა არის ამ წუთისოფლის ავლა დიდება, სიკეთე და სარგებლობა ამ ქვეყანაზედა?"

ხელნაწერში მოტანილი აქვს "ვეფხისტყაოსნიდან" ერთი სტროფი. ლექსი: "ვერ დაიჭირავს სიკვდილსა." შემდეგ აგრძელებს საუბარს. "აგერ ამ ულმობელ სიკვდილს თავისი მახვილი ბრჭყალი გაუკრავს ჩვენთვისაც და გამოუგლეჯია ჩვენის ხელთაგან მეტად საყვარელი, სასურველი და ტკბილი მშობელი დედა ჩვენი, რომელსაც მრავალი ჭირი, მრავალი მწუხარება, შავი და ბნელი დღენი უნახამს ჩვენს აღზრდაზედ, ჩვენს ამ დროდ მოყრამდის..."

“უკანასკნელ ყოვლად მწუხარე მამაშვილნი და ძმანი მოგესალმებით, მწარე ცხარე ცრემლით მტირალნი, საყვარელო დედავ ჩვენო, შეგავედრებთ ყოვლად მოწყალე კაცთმოყვარე ღმერთს მაცხოვარს ჩვენს იესო ქრისტეს, მან მოგანიჭოს ზეცას სასუფეველს დიდება და ნუგეში გვცეს ჩვენდა: ამინ!”

მინაწერი: “1890.31 ქრისტეშობისა 4 საათზედ გარდაიცვალა და 1891 2 იანვარს დასაფლავდა ქ. ახალციხეს.”

დასასრულს ხელნაწერი მთავრდება ლექსით: “ივ. მღვდლის გვარამაძის გლოვა”

“უდროვოდ დღე დამიღამდა, მზე ჩამოვიდა მე დია,
ჩემი მეუღლე სულ გელი სიცოცხლის მტკმობი მზედია,
ჩემი მარჯვენა, ჩემი მზე, თვალის სინათლე ბედია,
ჩემი დამცველი, მფარველი: მოეხრა ჩემთვის ქედია.”

ლექსი რამდენიმე სტროფიანი, დათარიღებულია 31 იანვარს 1892 წლით.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1891 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**95.** **2365**

**ივ. გვარამაძის ლექსები.**

1) ოცხე 2) ოცხეს ტყე, 3) ოცხის მდინარე, 4) ოცხის საღამო, 5) ხმა სამესხეთოს სამარებიდან. 6) სომხების (პოემის) ავლადიდება,

“სომხისა თვალი, რას ეკიდება?
ენა აქვს ტლანქი, პირს ეხიდება,
იმაზედ კარგი, რა ეყიდება?
წყალს წაღებული ხავსს ეკიდება!”

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1891 წ. 11 ფურცელი. მხედრული.*

**96.** **134**

**ვ. გვარამაძე, “საისტორიო მისიონარული დღიური, წერილები”**

ხელნაწერი გადმოწერილია “მესხი ივ. მღვდლისა გვარამაძისაგან 1892 ქ. ახალციხეს.”

იწყება: “1763. ქრონიკონნი დაუწერია დღიური საისტორიო მასალები ახალციხელ ხოჯოსანათ ტერ იოანეს, ამ რიცხვს წინათ ყოფილი ფურცლები დაკარგულა სამწუხაროდ და ასე ნაკლები მის მემკვიდრედ შეუკრავთ ერთ წიგნად.”

დღიური გამოცემულია. შ. ლომსაძე, ახალციხური ქრონიკები, თბილისი, 1979 წ. “საქართველოს ისტორიის ქრონიკები” XVII-XIX სს. ავთანდილ იოსელიანი. თბილისი 1980. ‘საბჭოთა საქართველო.”

**შავი მელანი, ავტოგრაფი, 1892 წ. 55 ფურცელი, მხედრული.**

97. 166

**“საიდუმლონი აღსარება მიუცილებლად საჭირო ყოველთა ქრისტიანთათვის. ევროპული წყაროებისაგან. გადმოცემული ქართულად მესხი ივ. მღ. გვარამაძისაგან ქ. ახალციხეს. 1892”.**

ხელნაწერი იწყება მე-3 ფურცლიდან წინასიტყვაობით, მასში ავტორს გადმოწერილი აქვს მღვდელთმსახურთა სამსახურის შესახებ, რომლებიც ქრისტეს მაგიერ და მის წარმომადგენლად არიან მოვლინებულნი ამ ქვეყნად. მათმა ერს უნდა ჩააგონონ-ასწავლონ სჯული და კანონი, სარწმუნეობა. “მღვდელი უნდა წინუძღვოდეს თავის ერსა, როგორც სიტყვითა, ისე კეთილი მაგალითებითა და კეთილის მოღვაწეობითაცა, რომ უფრო მეტად გასავლენი იყოს მისი ყოველი დარიგება თავის ერის წინაშე.”

ხელნაწერში მე-5 ფურცლიდან დაწერილია წიგნის პირველი ნაწილი “აღსარება საყოველთაოდ თავთაგანვე ყოფილა”

შავი მელანი, ავტოგრაფი, 1892 წ. 139 ფურცელი, მხედრული.

98. 1900

**ივ. გვარამაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა ელენე მუსხელოვის დაკრძალვაზე...**

“ეს და ამაზედ უკეთესი საქმეები რომ ვთქვათ, ახლანდელს მიცვალებულს პატიოსანის დედა ელენე მუსხელოვისა ზედა, არ შევსცდებით; კეთილ სამაგალითო იყო ყოველს თავის მაღალს კეთილშობილურს ცხოვრებაში”... “მტერისა და მოყვარის მიმღები, გლახაკთ მოწყალე, უბედურთა და წუთქვეყნისაგან დაჩაგრულთა მანუგეშებელი.”

... “უფალმან შვილები უცოცხლოს და ყოველი კეთილმომხსენებელი მოკეთენი.....……

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1892 წ. 2 ფურც. მხედრული.*

99. 174

**ივ. გვარამაძე, ლექსიკონი**

“ქართული ლექსიკონის დასამატი ლექსები სიტყვების გასამრავლებლად შედგენილი ახლად მესხი ივ. მღ. გვარამაძისაგან სახელმძღვანელოდ საქართველოს ერთტომ მოგვარე მცხოვრებთა მესხთა, ქართველთა, იმერელთა და კახელ. ქ. ახალციხე 1893 წ.

ლექსიკონი დალაგებულია ალფავიტის მიხედვით: იწყება სიტყვა - “აბაბანება” - ძლიერ აკანკალება, ათახთახება. სალექსიკონო სიტყვების განმარტება შეწყვეტილია 432 გვერდზე, მას შემდეგ არის დაუწერელი ფურცლები. მხოლოდ 448 გვერდზე არის განმარტებები მოცემული სიტყვებისა.

წიგნს ბოლო გვერდზე აქვს კოტე გვარამაძის მინაწერი: “იმ დედნის ასლი, ე.ი. გადათეთრებული, პროფესსორ ნ. მარს ჰქონდა მინდობილი სარედაქციოთ, რაც უნდა მოინახოს არქივში მისსივე სახელობის ინსტიტუტში 1938 წ. კ.გ.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1893 წ. 450 გვერდი, მხედრული.*

**100.** **1895**

**სამგლოვიარო სიტყვა წარმოთქმული, ივანე გვარამაძის მიერ ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების გამო.**

“დღეს ჩვენ ისეთს მეტად დიდს სამწუხარო მდგომარეობაში ვართ ფიზიკურად თუ გონებრივად, რომ ენით არ გამოითქმება! ყრმანი დადუმებულან, ღონე-საშვალება მოსპობიან, სრულიად ხმა გასკმენდიან და ქვანი ღაღადებენ! აგერ დღესაც მგლოვიარენი ერთის ჩვენის ღირსი მამულიშვილისა, როგორიც იყო მარად სახსოვარ ძმა ჩვენი ბ. ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი”.

მესხი ივ. მღ. გვარამაძე 1893 წელსა, ვინმე მესხი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1893 წ. 1 ფურც. მხედრული.*

**101.** **126**

**ივ. გვარამაძე ლუტერის შესახებ**

“დამარღვეველი ლუტერის და კალცვანის მწვალებლობისა და ძლიერი ჰსწავლა მართლმადიდებლობისა, უ. ტალაფორისაგან ფრანგის მოძღვრისა, პარიზის ღვთისმეტყველების სასწავლებლისა გარდმოცემული მესხი ივ. მღ. გვარამაძისაგან.” ქ. ახალციხე 1894.

ხელნაწერში გადმოცემულია რომის კათოლიკე მოძღვრისა და ახალმწვალებლის საუბარი. ხელნაწერს აქვს წინასიტყვაობა, რომელშიც ნათქვამია, რომ მაცხოვარმა ჯვარცმის წინ თავის საყვარელ მოციქულებსა და ყველა ქრისტიანს სამი რამ უანდერძა: ა). მშვიდობა. ბ). სიყვარული და გ). ერთობა.

მეოთხე გვერდიდან იწყება მოლაპარაკება: წურთვა, დაფუძნება ეკლესიისა და მისი სიმტკიცე, გამგებლობის წესი, სარწმუნეობის ძიებაში მწვალებლობისა წინააღმდეგ და საკუთრად მეთექვსმეტე საუკუნეებისა.

“ახალმწვალებელი კალვანანი რომის კათოლიკე მართლმადიდებელ მოძღვართაგან.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1894 წ. 80 ფურცელი, მხედრული.*

**102.** **1901**

**ივანე გვარამაძე, სიტყვა დაკრძალვაზე წარმოთქმული**

წერილში არ ჩანს ვის დაკრძალვაზეა სიტყვა წარმოთქმული. იწყება: “ყოვლად მოწყალე უფალს ღმერთს არ აღუმაღლებია ამ ქვეყანაზედ ეგრედ ხელმწიფნი და ყველანი

კეთილშობოლთ და მდიდართ და სხვა წყების წოდებისანი, როგორც აღუმაღლებია სასულიერო პირთაგანი - მღვდელნი და მოძღვარნი. უფალმან იესო ქრისტემ თავის ანდერძით გვასწავლა, ურთიერთ სიყვარული, მშვიდობა და ერთობა".

წერილი მთავრდება ფსალმუნით. მესხი ივ. მღ. გვარამაძე 23 მაისი 1894 წ. თბილისი. ვინმე მესხი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1894, ქ. თბილისი, 2 ფ. მხედრული.*

**103. 2160**

ივ. გვარამაძის მიერ სომხურ ენაზე დაწერილი წერილი. "პასუხი მშაკს".

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 1894 წ. სომხური შრიფტი.*

**104. 2185**

**ივ. გვარამაძე, "ქართველთა უდაბნოები წმინდა ადგილებში"**

პირველ გვერდზე აქვს მინაწერი ივ გვარამაძისა. "აი რას სწერს არაბთა მწერალი შიხაბედინ ელკენკაშენდი თამარ დედოფალზედ".

"საქართველო, როგორც ცხადია, არის ერთი ძველთაგან მთელი მხარე ქრისტიანობისა, პირველწოდებული ანდრია მოციქული შემდგომ ამაღლებისა თავისი მოძღვრისა, გახდა მონაწილე ღვთისმშობლისა, რომელსაც უნდა მოექცია კერპთ თაყვანისმცემლები და უნდა ესწავლებინა ჭკუა-განათლება, რომელიც მოფენილი იყო მთელს ქვეყანაზედ".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1894 წ. ქ. თბილისი. 14 ფურცელი, მხედრული.*

**105. 171**

**ივ. გვარამაძე, "სამოციქულო ეპისტოლე"**

"ყოვლად სამღვდელო უფლისა ჩვენისა ლეონ იგ-ისა ღვთიურის წინაგანგებულებითა მღვდელთმთავრისა სამოციქულო წერილი შენახვისა და დაცვისათვის საეკლესიო წესიერებისა აღმოსავლეთულთა 1895. ქ. ახალციხე."

"ლეონ ეპისკოპოსი მონა ღვთისმსახურთა სამარადისო სახსოვრათ."

ავტორი ხოტბას ასხამს აღმოსავლეთის ეკლესიის ძველთაგანვე დიდებულებას. "არა იმათსედ ნაკლების სურვილითა, ჩვენც აღძრულნი მოვიზიდენით, დასაწყისშივე ჩვენის მღვდელთმთავრობისა აღმოსავლეთის ქრისტიანთ ტომებისაკენ." ბოლო ფურცელს აქვს მინაწერი.

"სტეფანე პეტრე კათალიკოსი-პატრიარხი კილეკისა. სომხურითგან ნამდვილათ გარდმოცემულია ქართულათ 15 მაისს 1895 წ. ქ. ახალციხეს მიერ ივ. მღ. გვარამაძისაგან.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1895 წ. 10 ფურცელი. მხედრული.*

**106.** **1891**

**თავად რაფიელ ერისთავის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა**

ივ. გვარამაძის წერილი იწყება ფსალმუნით "რაი არს კაცი- უფალო რამეთუ მოიხსენე მისი ანუ ძე კაცისა"...

"სწორედ იმ გვარიშვილთა ერთ პატივცემულ მოღვაწე პირთაგანი არის ჭეშმარიტად ჩვენი ძველი დარბაისელი მამა მოხუცი პოეტი თავადი რაფიელ დავითის ძე ერისთავი, რომლის ორმოცდაათი წელი  მოღვაწეობის იუბილეს ვიხდით დღეს ჩვენ მრთელს საქართველოს მცხოვრებლებთან ერთად!"

წერილის ბოლოში ხელს აწერს თქვენი მლოცველი უღისრსი მონა მესხი ივანე მღვდელი გვარამაძე "ვინმე მესხი"

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1895 წ. ქ. ახალციხე 2 ფ. მხედრული.*

**107.** **1892**

**"სამგლოვიარო სიტყვა" ივ. გვარამაძის მიერ წარმოთქმული**
**დონ დიმიტრის გარდაცვალებაზე**

"უფლის მიერ განსვენებულო ღირსო მამაო დონ დიმიტრი, აგერ თქვენს ნაშთს წინ ეგებება დიდი სიმრავლე ქრისტიანთა, აღელვებულნი მწუხარე თვალცრემლიანი დიდი კრძალვა პატივისცემითა, ეგრედ როგორც ოდესმე ძველი ღვთისმსახური..." სიტყვას ამთავრებს გამოთხოვებით: "შემდგომ ვემთხვიოთ მიცვალებულის კუბოს გამოსალმებითა და ვითხოვოთ უფლისაგან, რათა სასუფეველის დიდება დაუმკვიდროს მას, რომ მუდამ ჩვენი შემწე და მეოხე იყოს ყოველს ჩვენს საჭიროებაში ყოვლად წმინდა სამებასთან. ამინ."

თანა მწუხარე უღირსი მონა მესხი ივ. მღ. გვარამაძე. ვინმე მესხი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 14 თებერვალი 1895 წ. ქ. ახალციხე. 1 ფ. მხედრული.*

**108.** **1906**

**ივ. გვარამაძის მირ დაწერილი სიტყვა, ახალციხის 4 კლასიანი**
**საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის ივანე გობაძის გარდაცვალებაზე.**
**1885 წელს. 1938 წ. სიტყვა გადაუწერია კ. გვარამაძეს.**

"დიახაც წმინდა ეკლესია მოგვიწოდებს ჩვენ, მამანო, მივსცეთ უკანასკნელი ამბორი ამ ახლად განსვენებულს ივანეს, რომელმაც განვლო თავისი მოკლე ხნის ცხოვრება, ქუთაისის ღიმნაზიის კურსის შესრულების შემდეგ.

იგი იქვე დანიშნული იქნა ქუთაისის მოწაფეთა ამღზრდელად, საიდანაც გადმოყვანილი იქნა ახალციხის სამაზრო შკოლის მასწავლებლად, აქედან ოზურგეთის, შემდეგ კი ახალქალაქის სასწავლებლის ზედამხედველად და შემდეგ უკვე მეათე წელიწადია, რაც ახალციხის სამაზრო სასწაავლებელი გადაკეთდა სამოქალაქო სასწავლებლად და ეს განსვენებული არის ამ სასწავლებლის თავსდგომი."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1895 წ. ქ. ახალციხე, 3 ფურც. მხედრული.*

**109. 1908**

**ივ. გვარამაძის მიერ წარმოთქმული სამგლოვიარო სიტყვა,**
**სტეფანე მღვდლის გოზალოვის (კოჭიბროლაშვილის) დასაფლავებაზე.**

სიტყვა იწყება: "რად წევხარ ეგრედ უმოძრაოდ კუბოში ქრისტე კეთილის მწყემსის წარმომადგენელო, მსახურო მოძღვარო. აგერ შემოკრებილან შენს გარემოს სიტყვიერნი ცხოვარნი შენნი, გთხოვენ დიდის ვედრებითა წინამძღვრობასა თავიანთ ქრისტიანულ ცხოვრებაში. თითქო არ გიყვარდა წოლა, მუდამ შენი დღენი მღვიძარე იყავ, ფხიზელი და ყურმახვილი. აღსდეგ შენებრ მხნე, ვაჟკაცურად დატრიალდი, მიეც მწყემსური სიმამაცე და წაუძეხ წინ ყოველთ".

ივ. გვარამაძე აქებს მიცვალებულის განვლილ ცხოვრებას და აღნიშნავს, რომ დიდია მისი ღვაწლი ჯერ ხულგუმოს ეკლესიისა და მის მრევლის მიმართ, მერე უდის ეკლესიისა და მისი ერის მიმართ. სიტყვას ამთავრებს, "ვეეედროთ უფალსა, რომ დაუმკვიდროს ზეცას სასუფეველს დიდება და იყოს მუდამ ჩვენს მეოხედ ღმერთთან." ამინ.

დიდად მწუხარე უმცროსი მონა მესხი ივ. მღ. გვარამაძე. 19 მარტსა 1895 წელსა. ქ. ახალციხე. მეორე ფურცელს აქვს მინაწერი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1895 წ. 2 ფ. მხედრული.*

**110. 1911**

**ივ. გვარამაძის მიერ წარმოთქმული სამგლოვიერო სიტყვა,**
**ვის დაკრძალვაზე არ ჩანს.**

იწყებს ფსალმუნით. შემდეგ: "აგერ, კეთილო მოძღვარო, მოასვენეს შენი ნაშთი შენს საყვარელ სამშობლოს ვალის ღვთისმშობლის ეკლესიასთან, იქ, სადაც დაბადებულხარ, აღზრდილხარ, გისუნთქია, გაბედნიერებულხარ და აღგივსია ყოველნი მორწმუნენ ღვთის მადლზედა, აქვე შენს საყვარელ ეკლესიის გვერდით მოუმზადებიათ შენის ნეშტისათვის სამარე, რომ მუდამ ლოცვა-წირვით მოხსენებულ იყო, რომ მუდამ გეყურებოდეს ეკლესიისგან ღთის ქება- დიდება, ლოცვა წირვა და გალობა..."

მთავრდება, რომ ყველანი პირნათლად გამართლებულნი აღმოჩნდეთ ღთის წინაშე. ამინ. 11 მარტი 1895 წ. ს. ვალე.

*იისფერი მელანი, ავტოგრაფი, 1895 წ. 1 ფურც. მხედრული.*

111. 3170

ივ. გვარამაძე, ერეკლე მეორეს დროების შესახებ

ხელნაწერში გადმოცემულია ერეკლე მეორეს დროინდელი საქართველოს ყოფა: "შინაური და გარეული მტრების თარეში აბაშიძეების, წერეთლების, დადიანებისა და სხვათა თავგასულობა."

ხელნაწერში აღწერილია ერეკლეს ჩატარებული ომები ლეკების წინააღმდეგ. მის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ლაშქრობები და ერთიანი საქართველოს განმტკიცების ამბავი. ამას და სხვა მრავალ ამბავს ანალიზს უკეთებს ივ. გვარამაძე დახოტბას ასხამს სახელგანთქმულ მეფეს, მის მიერ გადატანილ ომებსა და სანაქებო საქმეებს. აღნიშნული წერილი დაწერილია მეასე წლისთავზე წარმოსათქმელად თბილისის აღებისა აღა-მაჰმად-ხანის მიერ, ავტორი გულისტკივილით დასძენს ბოლოს.

"დღევანდელი დღეობა დადგენილია ჩვენს ჩასაგონებლად და გამოსაღვიძებლად ჩვენის უმეცრობის ღრმა ძილისაგან. ჩვენის უზრუნველობით და შორს გაუმჭვრეტელობით ბევრს რამეში შევმცდარვართ და ბევრი რამეც დაგვიკარგია. ახლა დროა განათლებულ ტომებს მიბაძეთ. ვნახოთ ჩვენის თვალით თუ როგორ გვეპყრობიან და რა ყოფას გვაწევენ ის მაწანწალა ტომები, რომელნიც თავის მოსახლეობით შემოგვხიზნიან."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1895 წ. ქ. ახალციხე, 2 ფურც. მხედრული.*

112. 4010

ივ. გვარამაძის მიერ ნათარგმნი წერილი.

ნაშრომში გადმოცემულია ლეონ ეპისკოპოსის სამოციქულო წერილი, შენახვისა და ლოცვისათვის საეკლესიო წესიერებისა აღმოსავლეთელთათვის. წერილი იწყება: "აღმოსავლეთის ეკლესიების ღირსება ძველათაგანვე დიდებულის სახსოვრებით დიდ პატივცემულად მიღებულია მრთელთ ქრისტიანთ ქვეყნებში".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1895 წელი, 3 ფურც. მხედრული.*

113. 127

გარკვევა მოთხრობათა საღრმთო წერილებისა ძველისა აღთქმისა კესარიის კალინოსის იესოსი რიგოსნისაებრ გარდმოცემით შედგენილი მესხი იოანე მღვდელი გვარამაძისაგან სასარგებლოდ ყოველთა კაცთა, მეტადრე სასულიერო პირთა. ქ. ახალციხე 1896 წ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ქ. ახალციხე, 1896 წ. 408 ფურცელი, მხედრული.*

114. 1893

### ივ. გვარამაძის წარმოთქმული სამგლოვიარო სიტყვა
### "სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებაზედა"

"კარგად მოგეხსენებათ, თუ რა დიდს გამოურკვეველს და გაუგონებელს სამწუხარო მდგომარეობაში არის დღეს ჩვენი ქვეყანა საქართველო, ჩვენი მხარენი, შინაგანად თუ გარეგნულად, სულიერად თუ ხორციელად... სხვათა მაზიარებელნი უზიარებლად ვრჩებით. სხვების შემსწრენი, მიმღენი, ცარიელზედა ვრჩებით....."

"აგერ ერთი იმათგანიც იყო ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, მეტად საქებური კაცი, ღვთის მსახური, კეთილ სამაგალითო სწავლული, გულ-კეთილი, კაცთ-მოყვარე, მოწყალე, მშვიდი, მდაბალი, გონება მახვილი... იყო მეტად საყვარელი არა მარტო თავის სამწყესოთა და თანამგრძნობელთა საუკუნოდ იყოს ხსენება მისი."

სამგლოვიარო სიტყვა მთავრდება: "ახლა ჩვენს სანუგეშოდ სხვა არ გვრჩება რა თუ არა ეს, ვევედროთ მხურვალე ლოცვით მოწყალე ღმერთს... ამინ"

მესხი ივ. მღ. გვარამაძე. ვინმე მესხი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1896 წ. 29 იანვარს ქ. ახალციხე 2 ფურც. მხედრული.*

115. 2125

### ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი პასუხის – პასუხი გაზეთ "მშაკისათვის".
### "ქართველ კათოლიკეთ კითხვაზედა"

ლაპარაკია სომეხ კათოლოკეთა სიცრუეზე ქართველთა მიმართ. მიუთითებს, რომ დღესაც მცხეთის მართლმადიდებელთ დედა ეკლესია კათოლიკე ეკლესიად იწოდება. განმარტავს — საქართველოში მოგზაურთა, შვეიცარიელზე და გამბა გრაფის შეცდომებში შეყვანაზე, რომელსაც სომხები არ თაკილობდნენ, რომ სომხები უცხოელ მოგზაურთ გაუძღვებიან წინ და "ბნელ ცნობებს" მისცემენ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1898 წ. 4 ფურცელი. მხედრული.*

116. 1909

### ივ. გვარამაძე, სიტყვა ხიზაბავრის ეკლესიის კურთხევაზე

ივანე გვარამაძის მიერ დაწერილი და წარმოთქმული სიტყვა ხიზაბავრის ეკლესიის კურთხევაზე. სიტყვის შესავალს იწყებს ფსალმუნით, შემდეგ კი "დიდად საქებ სადიდებელნი არიან მარად, ის რომის კათოლიკეთ პატრები, რომელთაც ოსმალოს საშინელ დევნილობასა სარწმუნეობისათვის, შეუკრებიათ როგორც ახალციხეს და მის მაზრების სხვადასხვა სოფელ დაბებში, ისე სოფელ ხიზაბავრასაც თითო ოროლობით კათოლიკენი, როგორც თორითგან, ხულგუმოთგან, ახალქალაქიდგან, ბარალეთიდგან, აზავრეთიდგან, ორჯითგან, გოკიითგან,

ხერთვისითგან, დადეშითგან, აწყვრითგან, წყრუთითგან და მისთანა სოფლებითგან და დაუსახლკარებიათ თავიანთ შემწეობით. სოფელ ხიზაბავრის მცხოვრებლებთან ერთად, რომ ერთობასა სიმრავლე შესძლებოდათ როგორმე დაცვა ქრისტიანული წმინდა სარწმუნეობისა და ისეც ასრულებულა მათი განვლილი დაწყობილება.!"

ავტორი საუბრობს აწყურიდან გადმოსულ მოსახლეობის თაობაზე, რომ ხიზაბავრის მოსახლეობის ნახევარზე მეტი აწყურიდან გადმოსულან. მათ ჯერ ასპინძის ხეობაში უცხოვრიათ, ხვილიშის ეკლესიაც კი შეუკეთებიათ. "ერნი ჯერ მორიდებიან ოსმალოს მწარე დევნილობას ხეობის სოფლები, მერე მისულან ასპინძას, ხვილიშას ერთ ხანს თავი შეუფარებიათ, სადაც ხვილიშის ნანგრევი ეკლესიაც შეუკეთებიათ და იქ ულოცია მათ წინამძღვარ მღვდელს. რა უფრო გაძლიერებულა ძარცვა-გლეჯვა, აკლებულა ჩიხორიშთან ერთად ხიზაცა, მაშინ ასულან ხიზაბავრას, შეხიზვნიან. მერე ხიზაბავრასაც დასცემიან. ჩაკეტილან ერთიან მცხოვრებნი თავიანთ დარნებში ორი თვე უცდიან, რა ვერ გაუტეხიან სიმაგრე, ამდგარან და წასულან მტერნი ხელცარიელნი."

საუბრობს, 1807 წელს კურთხეულ მამა ანტონ ხუციან (გოდებაძეზე) იგი ახალციხეში ყოფილ 'გაწესებული" მის მახლობელ სოფლებში უდეში, ვალეში, არალში უმოღვაწია." ახსენებს მამა სტეფანე მღვდელს მღებრიშვილს. კეთილი სიტყვებით იგონებს ანტონ მღვდელ ხუციანოვს. საუბარია ოსმალოს მიერ ხერთვისის აოხრებაზე.

"დიდი წინააღმდეგობა გაუწევია ბაშაღასთვის მამა ანტონ მღვდელს, ხმალ ამოღებული დასდგომია, არც მძევალი მიუცია და არც ქვრივ ობოლნი გაუყიდინებია ტყვედ ხიზაბავრიდგან."

ავტორი ქებას უძღვნის ამ ეკლესიის მშენებლობის დიდ მოამაგეს, ამასთან ერთად, დღეს საქებ სადიდებელია ამ წმინდა ეკლესიის ზედამხედველი მამა მიხეილ ვარძელაშვილი, რომელმაც ესრე მშვენიერი ეკლესია აღაშენა."

ივ. გვარამაძე თავის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ერის დალოცვით ამთავრებს.

"დაამშვიდოს ქვეყანა, განაპოხიეროს მიწა-წყალი ასაღორძინებლად სარჩო ჭირნახულისა, აკურთხოს ყოველი თქვენი ნამუშევარი, სახმარი ძალ-ღონე, ძლიერება მისცეს თქვენს მუშახელთა, ხვნა თესვასა, ფარცხვა კვალვასა და მკა-ლეწვასა. ხელი მოგიწყოთ უფალმან ყოველი თქვენი ხილნარის რგვა-მოყვანისა, ვენახის გაშენებისა, მოგცეთ მოთმინება ვაზის გამრავლებისა და განაყოფიერებისათვის,

... ღვინო-პური და ყველანაირი საზრდო სარჩო-საბადებელი, დაგიმშვენოთ ყოველივე კეთილად ამას ცხოვრებისა და შემდგომ ღირს იქნათ ზეცას სასუფეველის, ამინ."

ოდესმე თქვენ მღვდელ ყოფილი უღირსი მონა მესხი ივ. გვარამაძე 23 თებერვალი 1900 წელს, ქ. ახალციხე ვინმე მესხი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1900 წ. 2 ფურც. მხედრული.*

**117.** **2366**

**ივ. გვარამაძის ლექსი**

უსათაურო, გადმოცემულია სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა საქმიანობა. იქვე ავტორი მოუწოდებს მათ თავიანთი საქმის სიყვარულს და ქვეყნისათვის სამსახურს.

"თუთუნი და კარტოფილი ამდიდრებს ბევრგან სოფლებსა"

"მეკირენო კირი დასწვით, კარგის კლდისა მაგარია,

გამოსადეგი შენობის ქვით კირისა, კარგ გვარია”.

*შავი მელანი. ავტოგრაფი 1900 წ. 1 ფურცელი. მხედრული.*

**118.** **133**

**“წმ. მოღვაწე ნინო”**

ავტორი მოგვითხრობს მირიან მეფისა და ნინო დედოფლის დიალოგს, როცა მირიანმა თავის თავი ბედნიერად იგრძნო მას შემდეგ როცა მირიანმა შეიძულა კერპთმსახურება და მიმართა ქრისტიანობას. საუბარი აქვთ სულის უკვდავებაზე და სიკეთეზე, ღმერთის გაჩენაზე, წყლისა და ხმელეთის არსებობაზე, ეხებიან, თუ ვისი ასული იყო ღვთისმშობელი ქალწული მარიამი.”

იქვეა პასუხი: “დავითის ჩამომავალთ იოვაკიმისა და ანნასი”.

შემდეგ გრძელდება თუ სად აღიზარდა მარიამი, ვისზედ გათხოვდა რამდენი წლის და ა.შ. ხელნაწერის მეორე ნახევარი დათმობილი აქვს მირიან მეფის ურთიერთობას რომის კეისართან ქრისტიანობის მიღების შესახებ სათაურით “მირიან მეფე ქართველთა”.

ხელნაწერი მთავრდება ლექსით:

“ქრისტიანთა გვიხარია
  განათლდა ჩვენიც მხარია,
  გავნედლდით ხეებრ მხმარია.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1901 წ. ქ. ახალციხე, 43 ფურცელი. მხედრული*

.

**119.** **1528**

**“წმინდა ალფონსო ლიგურიის ვინიტნი ყოვლისწმინდა ზიარებისა
და ყოვლად წმინდა ქალწულისა.**

“გადმოღებული მესხი ივ. მღ. გვარამაძისაგან სასარგებლოდ ყოველთა და მეტადრე სასულიერო პირთა 1901 წელს, ქ. ახალციხეს”.

ხელნაწერში აღწერილია თუ რას გვასწავლის წმინდა სარწმუნეობა. “... რომ სიყვარულისა და ლმობიერების ტახტზე ზის იესო, რათა ჩვენ თავისი მადლნი უხვად მოგვანიჭოს”.

ხელნაწერი მთავრდება “ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, მე შენი ვარ და შენც ჩემი ხარ. ამინ”. აქვეა განხილული მოკითხვა ღვთისმშობლისა. აქვს საძიებელი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1901 წ, 94 გვ. მხედრული*

**120.** **124**

**ივ. გვარამაძე, "არიან თუ არა ქართველი კათოლიკენი"**

ხელნაწერის შინაარსი: ქრისტეს ეკლესია ერთი ყოფილა და არა ორი. ისიც კათოლიკური.

პირველ კათოლიკეთა სარწმუნეობა თამარ მეფის დროს შერყეულა, მიზეზად ასახელებს მიქელ კათალიკოზის წინააღმდეგობას თამარისა და სოსლანის შეუღლებისას. "ცოლქმრობის კავშირს დარღვევა, სიცოცლეშივე ქმარს არ შეეძლება სხვაზედ დაქორწინებაო."

ხელნაწერის მეორე ნაწილი შეეხება, სომეხ მოღვაწეთა მიერ ქართველ კათოლიკეებზე ზეგავლენის მოხდენის შესახებ, ოსმალობის დროს.

დაბეჭდილია "მოგზაურში" მარტი 111. 1902 წ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1902 წელი, 8 ფურცელი, მხედრული.*

**121.** **168**

**"მოთხრობითი ცხოვრება ღვთის დედის ქალწულის მარიამისა"**

"დაწერილი დონ ორსინი მღვდლისა, გადმოქართულებული ზოგიერთი დამატებულებითურთ მესხი იოანე მღ. გვარამაძისაგან. ქ. ახალციხეს 1902 წ."

ხელნაწერის მეორე გვერდზე ივ. გვარამაძეს აქვს განმარტება, რომ "ღვთით ვუძღვნი ღრმა თავდაბლობით ამ ჩემს მცირე სანიჭარს, მათს ყოვლად სამღვდელოებას ტირასპოლის ეპარქიის რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსის, უფალს ბარნს ყოვლად სანატრელს ფ.დ. ედუარდსა როპსა ყოვლად უღირსი მონა ღვთისა მესხი ივ. მღ. გვარამის ძე".

მესამე მეოთხე ფურცელი ავტორს დათმობილი აქვს ხელნაწერის წინასიტყვაობისათვის, სადაც გადმოცემულია ღვთის მიერ ცისა და ქვეყნის გაჩენის თაობაზე.

მე-5 ფურცელზე ჩამოთვლილია ყოვლად წმინდა ღვთსმშობლის დღესასწაულები მთელი წლის განმავლობაში თვეების და რიცხვების მიხედვით.

მე-6 გვერდიდან კი იწყება უშუალოდ "მოთხრობა ქალწულ დედის ცხოვრებისა."!

წიგნი შეიცავს სულ 192 ფურცელს. აქედან დაწერილია 184 ფურცელი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი 1902 წელი, 184 ფურცელი, მხედრული.*

**122.** **2884**

**ივ. გვარამაძის ხელნაწერი "რა საფუძვლით მიაჩნდათ**
**დიდათ წ-ა მამებს, ერთი წ-ა. კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია".**

ხელნაწერი შესრულებულია ერთ ფურცელზე, გადაშლილი სიტყვები და ჩასწორებანი არ აქვს, ხელნაწერი სუფთადაა შესრულებული, ორ ადგილას დალაქავებულია მელნით, ასო ჰ-ს წერს თავისებურად. წერილი თითქმის მთლიანად წარმოადგენს ციტატების კრებულს

სახარებიდან: მათესი, ლუკასი, იოანესი, ეპისტოლე ზმირინიისა, წ-ა მეობისათვის პოლიკარპისა, წ-მ. ირინე და ტერტელიანის წერილებიდან.

ხელნაწერი ხელმოწერილია მესხი ივ. მღ. გვარამაძის მიერ.

*შავი მელანი, ავტოგაფი, 20 მაისი 1902 წ. ქ. ახალციხე. 1 ფურც. მხედრული.*

**123.** **123**

**"ძველ თქმულებათა ცნობანი"**

ხელნაწერის შინაარსი

ა). ადამისა და ევას გაჩენა ღმერთის მიერ.

ბ). ბრძენ პირთა მიერ მეფის არჩევა და ნოეს კიდობანის ამბავი

გ). წარღვნის შემდგომი ცვლილებები დედამიწაზე.

დ). დარვინიზმის მიმდევართა მიმართ გამოთქვამს სამდურავს და მათ "ურწმუნოებს" ეძახის.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1906 წელი 5 მაისი, ქ. ახალციხე 15 ფურცელი. მხედრული.*

**124.** **131**

**"ცხოვრება ღვთისმშობლის ქალწულის მარიამისა.**

"სახლობაში სახმარი ქრისტიანთა. შეკრებით დაწერილი ხელად მესხი ივ. მღვდელი გვარამაძისაგან სასარგებლოდ ყოველთა საძღვნოთ. ქ. ახალციხეს, 1908 წ.

ხელნაწერში მოთხრობილია, რომ იაკობ მამამთავარმა თავის მამა ისაკისაგან რომ მიიღო კურთხევა, დაადგა თავის გზას შუამდინარეთში, იქ დაუღამდა და გამთენიისას ნახა სიზმარი-თითქოს ერთი ვეზერთელა კიბე იყო ამართული ცისკიდემდის, ზედ ანგელოზები ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ, კიბის თავში კი ჩანდა ღმერთი, რომელმაც უთხრა იაკობს: "მე ვარ ღმერთი აბრაამისა, ისაკისა და შენი, ნუ გეშინია, მანდ სადაც გძინავს: ეგ ადგილი შენ მოგცე და შენს ჩამომავალსა... " გამოღვიძებისას იაკობს ძალიან შეშინებია, უფიქრია რომ ეს ადგილი ყოფილა თვით უფლისაო.

ხელნაწერის შემდეგი თავები დათმობილი აქვს: უმანკო ჩასახებას წმინდა ქალწული მარიამისა და სხვა.

მთავრდება ლექსით: "ქება წმ. მამა იოსებისა".

*შავი მელანი, ავტოგრაფი. 1908 წელი, 61 ფურცელი. მხედრული.*

**125.** **1920**

**“სამცხის თავგადასავალი”**

ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი საბუთი სამცხის თავგადასავლისა და ახალციხის წოდების შესახებ.

ავტორი წერილში ხოტბას ასხამს სამცხეს. “სამესხეთო ყოვლიფრით შემკული იყო და უკეთესი მთელს საქართველოზედ, ჯარისკაცით რომ პირველნი იყვნენ ომს და ბრძოლაში, წინა წინ ესენი აუტეხდნენ ბრძოლას, ამათ უკან მოჰყვებოდნენ ქართლელნი, მარჯვნივ მისდგებოდნენ იმერლები და მარცნივ კახელნი.” საუბრობს სამცხის მოსახლეობის შრომისმოყვარეობაზე და უნარზე სოფლურ და ქალაქურ ცხოვრებაში.

ნახსენებია: თამარ დედოფლის შვილისშვილი დავით მეფე, სარგის ჯაყელი, ბექას ქალის - ნათელას შვილი იყო გიორგი მეფე ბრწყინვალე.

...ჩამოთვლილი აქვს ფაშები და მათი მოღვაწეობის წლები: “უსუფ ფაშა, როსტომ ფაშა, სალიმ ფაშა. ისაკ ფაშა. ასლან ფაშა და სხვები. მერე ვინც მეტ ქრთამს მისცემდა, ის გაფაშდებოდა ახალციხის ბატონად”

წერილი შედგენილია ქართლის ცხოვრებიდან და მიუთითებს გამოყენებულ 397 გვერდს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1909 წელი, ქ. ახალციხე 2 ფურცელი, მხედრული.*

**126.** **183**

**“სული ჭეშმარიტებისა”**

ივ. გვარამაძის ხელნაწერი სული ჭეშმარიტებისა იწყება “თავიდანვე სამესხეთოში ერთი წმინდა სამოციქულო ქრისტიანული აღიარება დაწინაურებული ყოფილა...”

*შავი მელანი, ავტოგრაფი. 1911 წელი, ქ. ახალციხე, 16 ფურცელი, მხედრული.*

**127.** **2370**

**ივ. გვარამაძე, “ქართველთ ცხოვრება”**

ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი “ქართველთ ცხოვრება”. იგი დაუწერია ავადმყოფს “ლოგინად მწოლარეს”. წერილი საეკლესიო ხასიათისაა, ავტორი მრავალგზის იხსენებს სხვადასხვა სახარების აზრებს: “ღმერთმან ცა და ქვეყანა ექვს დღეს გააჩინა”.... შემდეგში ეხება წარღვნასა და ნოეს ცხოვრებას კიდობანში.

*შავი მელანი. ავტოგრაფი 1912 წ. 24 ფურცელი. მხედრული.*

128. 2372

ივ. გვარამაძის მოთხრობა "შურიანობის სიბოროტე"

კოტე გვარამაძის განმარტებით ეს უკანასკნელი ნაშრომია. "სულის ახდენამდე არ გაუგდია ხელიდან კალამი დაუმთავრებელი დარჩა ეს მოთხრობა."

ავტორი შურიანობის დასაბამად თვლის ამპარტავნობას. "ყოველი ცხოვრების წყარო და საწყისი ამპარტავნობა არის, ასე ყოველი ცოდვების ფესვი და ძირი არის შურიო."

*შავი მელანი. ავტოგრაფი 1912წ. 13 გვერდი. მხედრული.*

129. 129

"ლოცვანი ღვთისმშობლის მიმართ სათქმელი"

შინაარსი: ტექსტში წარმოდგენილია ლოცვანი ცოდვათა მოტევებისათვის.

ორშაბათისა – ლოცვა გამძლეობის მიღებისათვის. სამშაბათისა ლოცვა ნეტარული სიკვდილის თხოვნისათვის. ოთხშაბათსა – ლოცვა ჯოჯოხეთისაგან განთავისუფლებისათვის. ხუთშაბათსა – ლოცვა საუკუნე ნეტარებისათვის. პარასკევსა – ლოცვა მარიამისა და იესოს სიყვარულის მიღებისათვის. შაბათს ლოცვა ღვთისმშობლის მარიამის მეოხების თხოვნისათვის.

ხელნაწერი წიგნის ერთი ნაწილი ეთმობა "საუფლო დღესასწაულებში წარმოთქმულ ლოცვებს: შობას, ახალ წელს, ხარებასა, აღდგომასა, ამაღლებასა და სხვა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 15 ფურცელი, მხედრული.*

130. 132

"საეკლესიო ისტორიული წყაროები"

ივანე გვარამაძის მიერ შედგენილი ხელნაწერი წიგნი "საეკლესიოს ისტორიული წყაროები" იწყება: "ყოველი სახლობა და ქვეყანა ურთიერთობით აშენდება-ამაღლდება და წარიმართება..."

*შავი მელანი, უთარიღო, ავტოგრაფი, 120 ფურცელი. მხედრული.*

131. 135

"ქართლ-სამესხეთოს გეოგრაფია"

ხელნაწერში მოცემულია საქართველოს ცალკეული ნაწილების აღწერა, იწყება ფშავ-ხევსურეთით, მას დასაწყისი აკლია. შემდეგში აღწერილია ივრის ხეობა, არაგვის ხეობა და საგურამო. ქართლი, იმერეთი, სვანეთი, აფხაზეთი, იმერეთი. მხარეები დახასიათებულია გარკვეული თანმიმდევრობით. ეხება მათ გეოგრაფიულ მდებარეობას, მოსაზღვრე ტერიტორიებს, ხეობებს, მდინარეებს. აღწერილი აქვს მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებული

ციხე - სიმაგრეები, ეკლესიები და წმინდა ადგილები. აღწერს მოსახლეობის თვისებებს და მათ სამეურნეო საქმიანობას. მოხსენებულია ვახუშტის შრომები.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 16 ფურცელი, მხედრული.*

**132.** **136**

**ივ. გვარამაძე, პოემა "წუთი ქვეყნის სამნახველო"**

პოემაში - "წუთი სოფლის სამნახველოში" აღწერილია, ღმერთის სიძლიერე, იგი როგორც დამბადებელი ყოვლისა, ზესკნელისა, ქვესკნელისა, გარესკნელისა და უჩინოთასი. ღმერთი როგორც ამღორძინებელი მცენარე-ხეხილთა საცხოვრებლად სულდგმულთა".

პოემაში გატარებულია აზრი, რომ სააქაო ცხოვრება ემორჩილება მთლიანად ღმერთს, მისი მეშვეობით ხდება დედამიწაზე ყოველგვარი ცვლილებები: "არ გარდვლენ შენსას ნებასა, სრულ ასრულებენ შენს თქმულთა, ავსებენ ზღვას, ჰაერს, ხმელეთს, ტყე, ღრე, მინდორს, ყანებს ხნულთა!..

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 12 ფურცელი, მხედრული.*

**133.** **137**

**"ქორონიკონი რომის კეისრებისა"**

ხელნაწერიში ჩამოთვლილია ქორონიკონი რომის კეისრებისა "117 ადრიანე, ელიოზი სპანელი რომს შობელი, 21 წ. 10. თ."

ხელნაწერში განხილული ქორონიკონი მოდის 1785 წლამდე, სადაც ავტორი მიუთითებს, რომ "ჯაფარ ხანი, ძმა მურად ხანისა, დაჯდა გარნა განიდევნა რა მთავართაგან, შეაფარა თავი შირაზსა."

ხელნაწერში გარდა კეისრების ქორონიკონისა ივ. გვარამაძე იხილავს პალეოგრაფიულ ნიშნებს და იძლევა შესაბამის განმარტებებს;

"ქრისტე ღმერთო, ადიდე დიდებათა საუკუნითა ერისთავთ ერისთავი კვირიკე, რომელისა ბრძანებითა შეიმოსა წიგნი ესე ფულითა მათისა მწირმლოცველისა მიქელისათა"

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 12 ფურცელი დაწერილია,*
*დაუწერელია 4 ფურცელი, მხედრული.*

**134.** **139**

**"ქართლის ცხოვრების წყაროები"**

ხელნაწერი დაწერილია ივ. გვარამაძის მიერ. იწყება წინასიტყვაობით "ყოველ კაცს მოუცილებელ ვალად სდევს:

ა). ამ დროის მსახურება...

*შავი მელანი, ავტოგრაფი. უთარიღო, ქ. ახალციხე. 52 ფურცელი. მხედრული.*

135. 140

“ისტორიულ არხიოლოგიურ-ლინგვისტური ცნობები”

ხელნაწერში საუბარია თუ რომელი ენა იყო პირველი მამა ადამისა. ჩამოთვლილია მათგან რამდენიმე: ასურული, ქალდეური, ფინიკური, ებრაული, რომელთაც მეცნიერება გარკვეულ წილად უპირატესობას ანიჭებს. აქვეა განლაგებული აღნიშნული აზრის საწინააღმდეგო მოსაზრებები, განხილულია “ნოეს კიდობანის” აშენების საკითხი, რომ ნოეს ერთ ხანს უცხოვრია ჯავახეთში და იქ არის სოფელი “ნემზარა”, რომელიც ნოეს ცოლის სახელს წარმოადგენს და მის საპატივსაცემოდ არის წოდებული.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 15 ფურცელი, დაწერილია 6 ფურცელი, დაუწერელია 9.*

136. 144

“წმინდა ესტატეს ცხოვრება”

ხელნაწერის წინასიტყვაობაში გადმოცემულია, რომ ყველა საეკლესიო და მსოფლიო მწერლობა თანახმა არიან... “ესტატ პირველად წოდებული მხედართ მძღვანი, ვესპასიანე სპასალარობის დროს იყო მისსივე ხელდებული, ის განთქმული მხედართმთავარი იყო, რომელიც იოსებ ებრაელი მწერალი ხშირად იხსენიებს ურიისტანის აოხრების ცხოვრებაში.”

ხელნაწერს პირველ ფურცელზე აქვს მინაწერი “საფუძველი მოლექსისა” ქვემოთ კი ერთი სტროფი ლექსი ვეფხისტყაოსნიდან.

ავტორი მე-3 გვერდიდან იწყებს თხრობას ”გვირგვინი წამებულთა წმ. ესტატესი”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 77 ფურცელი, მხედრული.*

137. 152

“წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე” ანუ
“ბექა- აღბუღას სამართალი” - “სამართალი აღბუღასი”

ივ. გვარამაძის მიერ გადაწერილი, იწყება: “შევიყარენით ჭოღთას, მინდობილნი, ღვთისა და აწყურის ღვთისმშობლისანი და გაქცევისა დავიდევით წინა პატრონისა პაპის ჩემისა მანდატურთუხუცესის ბექას განაჩენი..” საწყისი ფურცლის დაბლა ავტორი იძლევა განმარტებას: “ეს გაათაბაგდა 1444 და გარდაიცვალა 1451”. ტყავ გადაკრული ყდით.

საწყისი სამი და წიგნის შიგნით გვხვდება დაუწერელი ფურცლები. წიგნი რესტავრირებულია.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო,, 246 ფურცელი, მხედრული.*

138. 167

“მარგალიტ თქმულის წიგნითგან ამოწერილი”
“სიტყვა ეფრემ ბერისა გაბრიელისა საღმთოსა მოძღვრისა
სომხის სოსთენეს მიმართ.”

ხელნაწერში საუბარია მეფე ბაგრატთან ჩატარებულ კრებაზე, რომელსაც განუხილავს არა საეკლესიო, არამედ სამხედრო ხასიათის საკითხები.

აქ ყოფილა ვინმე მონაზონი, ნათესავი სომეხი მოძღვრისა, რომელსაც სახელად სოსთენე ერქვა. იგი მოსულა ბაგრატ მეფესთან და ამპარტავნობით დაუწერია თავისი სჯულის ქება.

ხელნაწერში მე-14 გვერდზე წარმოდგენილია ქობულეთის მაზრაში არსებული გეოგრაფიული სახელების განმარტებები.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 21 გვერდი, მხედრული.*

139. 169

“სამოციქულო ეპისტოლე”
“მთავრობათა და ერობათა მთელის ქვყნისა ლეონ XIII.”

ხელნაწერში ლაპარაკია მღვდელმსახურთა მიმართ გამოთქმულ საზოგადო მოლოცვებზე, რომელნიც გამოთქმული იყო გასულ წელს ეპისკოპოსების იუბილის გამო. კმაყოფილებას გამოთქვამს თავის პერიოდის მღვდელმთავრების მიერ თავიანთ საქმიანობის კარგად ცოდნისა და შესრულების შესახებ. ხელნაწერი მთავრდება მე-12 ფურცელზე: “ღმერთი, რომელიც დიდი არის თავის მოწყალებითა და რომლის უფლებაში არაიან საათნი და დრონი, ჩვენი აღთქმანი და ჩვენი სურვილი, სწრაფ მოგვმადლოს ჩვენ თავს დიდლმობიერებათა იესო ქრისტეს აღთქმის აღსრულება.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 12 ფურცელი, მხედრული.*

140. 173

“სწავლა წირვისა მაქსიმე აღმსარებლისა”

აღნიშნულ თავში ლაპარაკია, თუ ვინ არიან მეტნი თაყვანისმცემელნი სარწმუნეობის.

ქვემოთ შუა ნაწილიდან იწყება “მისსივე სწავლა თავცნობისათვის” ამ თავში განხილულია თუ რა არის “სწავლა იოვანე ოქროპირისა ლოცვისათვის”.

“მისსივე მოწყალებისათვის,” “მისსივე მარხვისათვის”, “მისსივე მართალთა და ცოდვილთათვის”, “მისსივე ღვთის დიდებისათვის”, “სარწმუნეობისათვის”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, ქ.ახალციხე,
32 გვერდი მხედრული.*

139. 169

“სამოციქულო ეპისტოლე”
“მთავრობათა და ერობათა მთელის ქვყნისა ლეონ XIII.”

ხელნაწერში ლაპარაკია მღვდელმსახურთა მიმართ გამოთქმულ საზოგადო მოლოცვებზე, რომელნიც გამოთქმული იყო გასულ წელს ეპისკოპოსების იუბილის გამო. კმაყოფილებას გამოთქვამს თავის პერიოდის მღვდელმთავრების მიერ თავიანთ საქმიანობის კარგად ცოდნისა და შესრულების შესახებ. ხელნაწერი მთავრდება მე-12 ფურცელზე: “ღმერთი, რომელიც დიდი არის თავის მოწყალებითა და რომლის უფლებაში არაიან საათნი და დრონი, ჩვენი აღთქმანი და ჩვენი სურვილი, სწრაფ მოგვმადლოს ჩვენ თავს დიდლმობიერებათა იესო ქრისტეს აღთქმის აღსრულება.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 12 ფურცელი, მხედრული.*

140. 173

“სწავლა წირვისა მაქსიმე აღმსარებლისა”

აღნიშნულ თავში ლაპარაკია, თუ ვინ არიან მეტნი თაყვანის-მცემელნი სარწმუნეობის.

ქვემოთ შუა ნაწილიდან იწყება “მისსივე სწავლა თავცნობი-სათვის” ამ თავში განხილულია თუ რა არის “სწავლა იოვანე ოქროპირისა ლოცვისათვის”.

“მისსივე მოწყალებისათვის,” “მისსივე მარხვისათვის”, “მისსივე მართალთა და ცოდვილთათვის”, “მისსივე ღვთის დიდებისათვის”, “სარწმუნეობისათვის”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, ქ.ახალციხე, 32 გვერდი მხედრული.*

144. 180

“ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის უმანკო ჩასახებასა ზედა”.

ხელნაწერში ლაპარაკია საყვარელი დედა მარიამის ოქროვანი ბრწყინვალე იუბილის შესახებ.

“მაშასადამე, დიდის სიხარულ ფარფარეჭობის დაუვიწყარი სახსოვარ-სახსენებელია წრეუნდელი წელიწადი, რადგან 8 ქრისტეშობისა სრულდება ნახევარ საუკუნეობა, მას მიღმა, რაც ორმოცდაათი წლის წინათ, 1854 წელსა 8 ქრისტეშობას პიო პაპის მიერ საქვეყნოდ გადაწყდა ღვთის დედა ყოვლად წმ. ქალწულის მარიამის უმანკო ჩასახება.”

ხელნაწერი მთავრდება ლოცვით.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 25 გვერდი, მხედრული.*

145. 181

“ისტორიული მასალები”

ხელნაწერში ლაპარაკია, რომ ყოველი სახლი და ქვეყანა “ერთობით” აშენდება, შეუერთებლობით” დაირღვევა და დაიქცევა. კაცის გონივრული გულკეთილობით იბადება სიყვარული, სიყვარულისაგან თავმდაბლობა, მორჩილება და მოთმინება. “თავმდაბლობისა და მორჩილებისა და მოთმინებისაგან ძვირფასი ერთობა”, ერთობისაგან ყველანაირი კეთილი შრომა და შრომისაგან მრავალნაირი სიკეთე, ნაყოფი და სიმდიდრე მთელი ქვეყნისა.

“თუ ოდესმე წარმატებულა კაცობრიობა ქვეყანაზედ, მხოლოდ ერთობით წარმატებულა”...

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი, მხედრული.*

146. 185

“კრებული ძველებური სანადიმო სუფრულები ხიზაბავრასა
და ახალციხის მიდამოებში სალხინო”.

“ლხინო, ლხინს გამოგიგზავნი, ვარდო გაშლილო, იაო,
ნეტარ ვინ შემატყობინა გულში რა ჩამიდიაო?”

“სუფრა ვარდითა სავსე არს, ზედ მინა ჩარიგებული
ვსვათ, ვჭამოთ, ძმანო ვულხინოთ, გვაქვს კერძი ჩარიგებული.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი, მხედრული.*

147. 190

ლექსიკონი

ლექსიკონის სუფთა ფურცელს კ. გვარამაძის ხელით აქვს მინაწერი, რომ ეს წიგნი “ვინმე მესხის გადაწერილია,” წიგნში სიტყვათა განმარტება იწყება მე-18 გვერდიდან.

“აბაზი – ოთხი შაური.”

“აბანო – სახლი დასაბანელი.”

წიგნი შეიცავს 828 გვერდს, ტყავგადაკრულ მუყაოს ყდით.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, მხედრული.*

**148.** **1492**

**“წუთი ქვეყნის სამნახველო” “შაირი”**

ხელნაწერი დაწერილია 10 ფურცელზე სტროფების სახით სტროფები გამოყოფილია ერთმანეთისაგან და დალაგებულია ალფავიტის მიხედვით.

- ა -

“თავდაპირველად გააჩინა ცა და ქვეყანა ღმერთმან არსად,
შემდგომ იწყო გაჩენილთა სრულქმნა და დაყოფა გარსად.
მისცა ყოველთ ბუნების ძვრა, არ დასტოვა უქმი არსად,
მით სჩანდა ქვეყანა ხილული გვიღირს ჩვენ კაცთა ძვირფასად.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 10 ფურცელი, მხედრული.*

**149.** **1494**

**ივანე გვარამაძის ხელნაწერი “უსათაურო”**

ხელნაწერი წარმოადგენს რვეულის ფურცლის ერთ ნაწილზე
ნაწერს სადაც გადმოცემულია, რომ 1784 წელს 16 აგვისტოს კონსტანტინეპოლის “აპოსტლიკ ვიქარმან” შეატყობინა რომში წმინდა კრებას იმის შესახებ, რომ “ახალციხის” კაპუცინის პატრები ლათინურად წირვას ამბობენ სამოციქულოს და სახარებასაც ლათინურად კითხულობენ, ჩვეულება აქვთ, რომ იმავე სამოციქულოს და სახარებას ქართულად უკითხავენ”. ამის შესახებ კითხვაა დასმული. ამ შეკითხვაზე უპასუხიათ კარდინალებს. “ძლიერ კარგად შეიძლება ნების მიცემა ეგრედ გარდაწყვეტილებისა”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 12 ფურცელი, მხედრული.*

**150.** **1848**

**“გაამოსთ ოცხის აბანოები”**

ივ. გვარამაძის ლექსი “გაამოსთ ოცხის აბანოები” დაწერილია ლურჯი ფერის ფურცელზე. ფურცელი დაზიანებულია ძალიან და ბოლოში ფურცლის მოხეული ნაწილი აკლია კიდეც. ლექსი 25 სტროფისაგან შედგება.

იწყება: “მოგახსენამ სიყვარულსა, მოკითხვას კვლავ და სალაამს.
წრფელი დიდის სურვილით, ლერწამთ თითვახლებ კალამსა,
მელნად ვაწებ წყლულ გულს სავსეს, ცრემლის, სისხლით
დანალამსა,
აღვსძრავ ბაგეთ, ენას ვხმარ, წამლად ლექსთ მაღამსა.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX-ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი, მხედრული.*

151. 1855

## ივ. გვარამაძის ლექსი “წუთი სიზმარი”

ლექსი “წუთი სიზმარი” იწყება:

“გადავხედე წუთსა სოფელსა, ვნახე სულ ყველას თესვა
ახალგაზრდა კაცი-ქალი, დაბრძნილები თუ ბერია
უმეცარნი, მეცნიერნი, უგნურნი სულ ბევრია,
დროება კალოს ლეწამდა, ება მრავალი კევრია”!

ფურცლის პირველ გვერდზე დაწერილია ივ. გვარამაძის შვილის, ოქროპირის წერილი. წერილი კერძო ხასიათისაა. მის ქვემოთ კი არის ისევ ივ. გვაარამაძის ორ სტროფიანი ლექსი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

152. 1867*

## ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა ხერთვისის ციხიდან.

“სახელითა ღვთისაითა ოხითა და შეწევნითა წმინდისა მშობლისა
მისისათა მიინდოს წმინდისა იოანე მახარებელთ ვიწყეთ მეფეთ მეფისა”. სუ. 985.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი.*
*ასომთავრული, მხედრული.*

* ივ. გვარამაძის მიერ სამცხე-ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა გამოაქვეყნა ვალერი სილოგავამ. I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი სამხრეთ საქართველოს პრობლემებისადმი. თეზისები, ქ. ახალციხე 12-13. VI. 1992 წელი

153. 1868

## ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა “ბიეთის ეკლესიიდან”

“ადიდე... ესე საყდარი არ”.

წარწერის დაბლა ჩამოთვლილია ადგილმდებარეობის სახელწოდებები, ნაწერი ფანქრითაა ძნელად ამოსაკითხია.

*შავი ფანქარი, ავტოგრაფი, XIX ს. მეორე ნახევარი, 2 ფურცელი.*
*ასომთავრული, მხედრული.*

154. 1869

## ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა “ურავლის ზევით ტყეში მონასტერისა”

წარწერას დაბლა აქვს ივ. გვარამაძის განმარტებითი მინაწერი

“ურავლის პატარა ეკლესიაზედ” - “მოწამესა შეუნდეს ღმერთმან”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი, ასომთავრული, მხედრული.*

**155. 1870**

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერები საროს ციხის ქვაზედ:**

“ქრისტე ადიდე თამარ და ძე გიორგი
მეფეთა მეფე დიმიტრი……”
“ჭიატა” - ჭიატას მონასტრის ეკლესიაზედ ორბელის ძეს
ხუცეს.” ფურცელზე არის კვლავ ერთი წარწერა ოცხის ან წუნდის.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც.*
*ასომთავრული, მხედრული.*

**156. 1871**

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ვარძიის წარწერა.**

“ყველა წმინდაო ვარძიისა ღვთისმშობელო, ადიდე შენი სოფელი დედისა ამირახვლის აღშენებული პატრონი... ცოდვანი მათნი შეუნდოს ღმერთმან ამინ.”
ფურცლის მეორე ნაწილზე დაწერილ წერილში ნახსენებია ზედა ვარძია.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი,*
*ასომთავრული, მხედრული.*

**157. 1872**

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი საფარის მონასტრის ასომთავრული წარწერები:**

1. საფარის სამხრეთის ეკვდერის

“... სახელითა ღმერთისათა მე საფარისა მოძღვარმან გრიგოლმან...

2. სამზრის სანათურ ქვეშ

“ + ამისა აღმშენებლისა გრიგოლს მოძღვრისა შეუნდოს ღმერთმან.”

3. სამრეკლოს, სამრეკლოს ქვეშ

“სუმბატ ნიკოლოზ... მსახურთ უხუცესი”
“შენ წმინდაო იოანე, ჯაყელო იოსებ და ნათლის მცემელო ძენი მისნი”.
ფურცლის მეორე გვერდი წარმოადგენს რუსულ მოწმობას, რომელიც გაცემულია 1872 წ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურც, ასომთავრული, მხედრული.*

158. 1873

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა სმადის ეკლესიიდან.**

“+ სახელითა ღთისათა აღეშენა ეს წმინდა ეკლესიაი იოანე
მაწყვერელ ეპისკოპოზისა ხელითა”... წარწერა გაკეთებულია ნახევარ წრიულად. ჯერ გარეთა წარწერა გადმოწერილია ნატურაში ასომთავრულით შემდეგ კი ივ. გვარამაძე იძლევა განმარტებას თავისივე ხელის მინაწერით. შესაბამის ტექსტს გადმოგვცემს ისევ ნახევარ წრიულად.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. ასომთავრული, მხედრული.*

159. 1874

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ფიისა და გელსუნდის ეკლესიების ასომთავრული წარწერები ფიის ეკლესიის ტრაპეზზედ:**

“სახელითა ღთისაითა მე ბაქარმა და ძმათა ჩემთა დავდგით ესე ეკლესიაი ქრონიკონი იყო, სიე, 995”
“მეორე ეკლესია წმ. გიორგისაა”...
ფურცელზე სულ დაბლა წარწერა არის გელსუნდის სტელისა.
ფურცლის მეორე გვერდი დაწერილია მთლიანად ასომთავრული
წარწერებით”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი, ასომთავრული, მხედრული.*

160. 1875

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა ბურნაშეთისა და კოთელიის ეკლესიიდან.**

“უფალო, ვითარცა იხსენ დანიელი პირთაგან ლომთასა, ეგრე იხსენინ ამის წმინდა ეკლესიისა მშენებელნი ხელთაგან ჯოჯოხეთისათა”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც. ასომთავრული, მხედრული.*

161. 1876

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა განძის ეკლესიიდან**

“დედაო ღვთისაო, მეოხე ყავ ერისთავთ ერისთავს ლიპარიტს და შვილთა მისთა დღესა მას საშინელსა.
“ქ. შეიწყალე მონა შენი გიორგი ესე საფარელი მღვდელი”...

“ქრისტე, შეიწყალე ემანოელნი გიორგის-ძე მშრომელნი მისნი”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. ასომთავრული, მხედრული.*

**162. 1877**

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა განძის ეკლესიიდან.**

“კარზედ”

“... გვირგვინოსანი მეფობაი გიორგისა, ლაშქარნი და სამეფოი დაიფარენ დედაო ღვთისა მხსნელისა”.

აღნიშნული წარწერის დაბლა გადმოწერილია ეკლესიის სამხრეთ კედელზე არსებული წარწერა.

“ქე ღმერთო, ორთავე ცხოვრებათა მანდატურთ უხუცესი შალვა ძითა და ძმათა მათგანნი ცოცხალი...

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი, ასომთავრული, მხედრული.*

**163. 1878**

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერები ეშტიისა და კუმურდოს ეკლესიებიდან**

“ეშტიის ეკლესიაზედ – წმ. სტეფანე შეიწყალე სული ჩემი.”

“კუმურდოს - ... მარიამ დედოფალი აღაშენა... ესე მეფობისა მათსა მღვდელ მთავრობასა ზოსიმე კუმურდელისა.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი, ასომთავრული, მხედრული.*

**164. 1879**

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა აზავრეთის ეკლესიიდან**

“აზავრეთ ეკლესიაში უფალო თართა ძესა შეეწიე”

“ხომაკაი შეიწყალე ღმერთო”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი, ასომთავრული, მხედრული.*

165. 1880

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერები ბავრისა, მაჭატიის და ხორენიას ეკლესიებიდან.**

“ბავრას – ქ. ესე საფლავ მგალობლისა არის შეუნდოს ღმერთმა და ვინც შენდობა თქვას, მასაცა შეუნდოს ღმერთმა”.

“სახელითა ღვთისაითა აღეგო ეკლესია წმინდისა ფეფერონიისა”.

“მაჭატიას – ქ-ე ადიდე ბაგრატ კურაპალატი”

“ქ-ე შეიწყალე... მონაი შენი”

ფურცლის ერთი ნაწილი დათმობილი აქვს ხორენას ახლო მდებარე ეკლესიიდან გადმოწერილ ტექსტს (ხორენა სოფელია ჯავახეთში).

ხელნაწერის მეორე ფურცელზე სომხური წერილია დაწერილი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი, ასომთავრული, მხედრული.*

166. 1881

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა**

ავტორის მიერ მითითებული არ არის რომელი ეკლესიისა. წარწერის დაბლა სხვა ხელით და მელნით არის მინაწერი “სმადა”

ოვალური წარწერა - “ამ ეკლესიის აღმშენებელს ერისთავთ ერისთავს შაბურისძეს, მაწყვერელ მთავარეპისკოპოსს შიოს. წარწერის შიგნით ჯვარია ჩახატული, ზემოთ თავზე - “წ-მ ღმერთო, შეუნდე სულსა ბერისასა” დაბლა წარწერის - მარცხენა მხარეს ‘ქორონიკონს, რ.მ.გ. 923

დაბლა მარჯვენა მხარეს “და მშრომელთა მისთა შეუნდოს ღმერთმან.”

ფურცლის მეორე გვერდზე გადმოხატულია ფრესკები წარწერებით.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. ასომთავრული, მხედრული.*

167. 1882

**ივ. გვარამაძის მიერ ნაწერი პატარა ტექსტი.**

“30 ნოენბერს...

“5 დეკემბერს... მამა საბა კაბადოკელი წინამძღვარ მონაზონთა და საკვირველ მოქმედი”. არის სხვადასხვა მინაწერი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი, მხედრული.*

168. 1883

ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა

ავტორი არ უთითებს ეკლესიას, ფურცლისა და წარწერის ზემოთ მარცხენა კუთხეში იკითხება "სამხრეთ" დაბლა კი შემდეგი ტექსტია: "ქრისტე შეიწყალე ბეშქენ (ბერისძე ან ბესოსძე) შეიწყალე ეგნატი, გაბა,... მურვანის ძე. წმინდაო მეოხე ყავ წინაშე ღთისა". ფურცლის მეორე გვერდზე ერთი სტროფი ლექსია დაწერილი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი, ასომთავრული, მხედრული.*

169. 1884

ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი "გობრონის საფლავის ქვის ჩუქურთმა და წარწერა."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი, მხედრული.*

170. 1885

"არტაანის ციხისა"

ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა "არტაანის ციხისა".

*შავი მელანი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც. ასომთავრული, მხედრული.*

171. 1886

ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა. ავტორი არ მიუთითებს საიდანაა გადმოწერილი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი, ასომთავრული, მხედრული.*

172. 1887

ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა მითითებული არა არის საიდანაა გადმოწერილი.

"დაიცვენ ჯაფარ დედაშვილი მისნი".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. ასომთავრული, მხედრული.*

173. / 1889

ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერა.
წარწერების შუაში ჯვარია ჩახატული. განმარტება არ აქვს ავტორს გაკეთებული.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი, ასომთავრული, მხედრული.*

174. 1890

**ივ. გვარამაძის სიტყვა წარმოთქმული თავად
რაფიელ ერისთავის გარდაცვალებაზე**

"ნეტარ იყვნენ მშვიდნი რა მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა".

"ნეტარ შენ განსვენებულო რაფიელ ერისთავო, რომ ამ წუთი-სოფელს შენი დღენი მუდამ ქებით იხსენებდი ამ ჩვენი ტკბილი სამშობლოს კეთილ მოღვაწე კარგ კაცებთან ერთად. ბედნიერია ის- დედა, რომელმაც შენ გშობა. დაილოცოს ის ძუძუნი, ის წმინდას ძე, რომელმანც მოგიყვანა სისრულეში, აყვავდეს, უჭკნობდეს ის აკვანი, რომელმაც შენ გარწია და ძილმოსვენებით აღგზარდა საგოგმანებელ ყრმად." შენი სახელი დაიმკვიდრებს ამ ქვეყნად უკუნით უკუნისამდე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

175. 1897

**ბავთი სიმონ იოანეს ძე მღებრიშვილის გარდაცვალების
გამჟღავნებაზედ თქმული".**

"დღეს მეც ამ სამოწმებლის შემდგომ, ამასზედვე დავაფუძნებ ჩემს უძლურს სიტყვასა და ვეტყვი კეთილმოღვაწე დროული მშობლის მამის მაგივრად."

ავტორი ქებას ასხამს გარდაცველბულის მიერ განვლილ ცხოვრებას და ამთავრებს: "სიმწუხრე სიხარულად გიქციონ და მცირეოდენის მოთმინების მაგივრად ათეული კეთილ მოგაგოს სააქაოდ და საიქაოსაც გაღირსოს საუკუნო ნეტარება,…ამინ."

აქვს მინაწერი, უმორჩილესი სიძე მესხი ივანე გვარამაძე.

ხელნაწერის ერთი გვერდი სხვა შინაარსისაა და მოთხრობილია ტირასპოლის ეპისკოპოზის ფრანჩისკო ცოტმანის განკარგულებაზე. ნახსენებია: ალექსანდრე არარატიანი, ასლანოვი, პავლე ნააპეტიანი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფ. მხედრული.*

176. 1899

**ივ. გვარამაძის სიტყვა წარმოთქმული
სტეფანე პავლეს ძე მეფისოვის დაკრძალვაზე**

წერილი იწყება ფსალმუნით: “ესე რა ზომით ჰყვენ დღენი ჩემნი უფალო!”

“კარგად ხედავთ პატივცემულნო ძმანო, მამანო და დედანო, თუ როგორ კეთილშობილი, კეთილ სამაგალითო პირი იყო ეს განსვენებული.” წერილი მთავრდება: “ეს ეს არის, მეტად ვეღარ ვნახამთ ხორციელად ამ ჩვენთან შეზრდილს შესანიშნს ჩვენს ნამდვილ სამშობლო მამულის ღირსეულ შვილსა, საუკუნოდ იყოს ამის სახსენებელი, ამინ.” მარად მლოცველი მესხი ივ. მღ. გვარამაძე.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფ. მხედრული.*

**177. 1902**

**ივ. გვარამაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა ტერ პეტროს აღოშოვის დასაფლავებაზე.**

წერილი იწყება: “სიტყვა თქმული ტერ პეტროს აღოშოვის დასაფლავებაზედა. პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმინდათა მისთა... მოვედით. ქრისტიანო მამანო და დედანო, პატიოსნურად პატივისმცემელთ შეჰფერის ლოცვა-ვედრებით განვასვენოთ გვამი გარდაცვალებულის ამ ჩვენი ერთადერთი კეთილმოღვაწე სულიერისა მამისა, რომელიც თავისი კეთილის ცხოვრებით, მომზაძავი იყო ღირსთ წმინდა მამათა...

ვის არ უნახავს, ვის არ ახსოვს ამის მშვენიერი წარმოსადეგი ნაკვთიანობა.

“პირველ სამსახურში შესვლისთანავე სოფელ უდეს მღვდლად გამოიჩინა დიდი ნიჭიერება...” მთავრდება: “მით იყოს კურთხევა მარადის მამისა ძისა და სული წმინდისა თქვენზედა, ამინ.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, ქ. ახალციხე, 2 ფურც. მხედრული.*

**178. 1904**

**ივ. გვარამაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა დაკრძალვაზე**

ვის დაკრძალვაზე არ ჩანს, იწყება: “თუ როგორ ცრუ და მატყუარა ყოფილა ეს წუთისოფელი, რომელიც სიზმარივით წარმოგვიდგენს და მოგაჩვენებს ხოლმე ჩვენს დროებაში სიღრმიდან ვიდრე მოხუცებულობამდე...

კარგად წარმოვიდგინოთ ჩვენს გონებაში, თუ ვისი არს სხეული ესე. მან რომ გუშინ ცოცხალი იყო და დღეს კი მკვდარი არს...

წერილს ხელს აწერს დიაკონი მესხი ივ. გვარამაძე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**179. 1907**

**ივ. გვარამაძის მიერ წარმოთქმული სამგლოვიარო სიტყვა**
**დონ დიმიტრის დაკრძალვაზე**

წერილი იწყება შესავალი სიტყვებით: უფალო, შევიყვარე შვენიერება სახელისა შენისაი და ადგილი საყოფელი დიდებისა შენისა".

"უფლის მიერ განსვენებულო ღირსო მამაო დონ დიმიტრი! აგერ შენს ნაშთს დიდი სიმრავლე ქრისტიანთა წინეგებება აღელვებული მწუხარე თვალცრემლიანი...

რა შეასრულეთ სწავლა მაღალი თქვენი რომის ქალაქში, ეღირსეთ თქვენს სანატრელს მღვდელ მოძღვრობის წმინდა აღსავალსა თუ არა და ჩამოთვლილ აქვს განსვენებულის კეთილი საქმიანობა. მინაწერი თანამწუხარე უღირსი მონა მესხი. ქ. ახალციხე

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, ქ. ახალციხე, 2 ფ. მხედრული.*

**180.** **1922**

**ივ. გვარამაძის მიერ წერილი სიდედრისადმი**

წერილი დაწერილია ლექსად. მოთხრობილი აქვს ამბავი, თუ რა გადახდა მას კვირა დღიდან ორშაბათამდე.

"ქრისტე აღდგა, განვიხარე, დავესწარი აღდგომასა,
მილოცებდნენ მე მოყვრები გაისადაც დასწრებასა"

ფურცლები დაზიანებული და გაცრეცილია სიძველისაგან.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XX ს-ის დასაწყისი, 2 ფურც. მხედული.*

**181.** **2076**

**ივ. გვარამაძის მიერ გადაწერილი "ჩვენი ეპისკოპოსი ბარონ დე როპპ ედუარდის კონდაკი"**

"ბრძანება კლერთა ანუ ეკლესიერებთან"

"ა. უნდა ცდილობდნენ ეკლესიების აშენებასა, სადაც არ იყოს და ან ძველთა გაახლებასა".

ხელნაწერი დაყოყოფილია თავებად... დარიგება ერისკაცთა".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XX ს-ის დასაწყისი, 2 ფ. მხედრული.*

**182.** **2093**

**"საათაბაგოს გარემოება ადრინდელი ვახუშტისაგან შეკრებილი"**

ხელნაწერი იწყება: "კათალიკოს პატრიახისა არს ზემო ქართლი, სამცხე-საათაბაგოს თავადნი და სოფელნი. კავკასის-ძე მისის მამულითა..."

შემდეგ ჩამოთვლილია "თუ რომელნი ეპისკოპოსნი ყოფილან"...

ცალკეა განხილული " ... არგონავებითუთ მოგზაურობა".

ნახსენებია აბასთუმნის დიდი სასახლე და გათათრებული მესხები, ოცხეს აოხრება, რუსების მიერ ახალციხის აღება და სამასი წიგნის წაღება მათ მიერ პეტერბურგში.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 12 ფურცელი. მხედრული.*

**183.** **2094**

ივ. გვარამაძის წერილი განმარტებებს იძლევა სხვადასხვა პერიოდის ფულებზე.
მეორე ნაწილი შეეხება რომელიღაც სოფლის გაზაფხულის საქმიანობას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურც. მხედრული.*

**184.** **2095**

**განწესებულება**

ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი "განწესებულება საზოგადოთ ლეონ XIII პაპისაგან 12 თებერვალი 1903 წელს მიღებული ტირასპოლის რომის კათოლიკეთა და კათოლიკეთათვის ჩვენი ეპისკოპოსის უ. იოსებ კესრელისაგნ".

წერილში ჩამოთვლილია წვეულებები და დღეები თუ კათოლიკეთათვის როდის რის მოწყობა და რისი ჭამა შეიძლებოდა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XX ს-ის დასაწყისი, 2 ფურც. მხედრული*

**185.** **2096**

**ივ. გვარამაძე, ტერ სიმონ ასლანოვის შესახებ**

ივ. გვარამაძის მიერ გადმოცემულია ამბავი ტერ სიმონ ასლანოვის შესახებ, რომ იგი ძლივს დარჩა საეკლესიო მმართველობაში მწერლად, მას შესახებ ცნობებს აგროვებენ. ნახსენებია ტერ მეფისოვი, ჩითჩიანი, ხუციანოვი.

ფურცლის მეორე გვერდზე დახატულია საეკლესიო დეტალების ხუთი ნიშანი წითელი ფანქრით.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**186.** **2097**

**ივ. გვარამაძის წერილი**

იწყება: "... პურო ცხოვრებისა, რომ განაღებ ზეცის კარსა ჩვენს გარეშე არც მტერობა მოგვანიჭე ჩვენ შეწევნა"

ქვემოთ ნაწილში ლაპარაკია "კერპის მღვდლების" მატყუარობაზე

მეორე გვერდი კი დათმობილი აქვს ბერძენი ნაქები ფილოსოფოსების აზრებს, სიმთვრალისა და გარყვნილობის შესახებ. ნახსენებია პლატონი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

187. 2098

ივ. გვარამაძის ხელნაწერი წიგნი
“რომი და ქრისტიანობა საქართველოში.”

ავტორი შესავალს იწყებს თავის მიერ 1902 წ. “მოგზაურში” 111-ში გამოქვეყნებული წერილით. “არიან თუ არა ქართველი კათოლიკენი?” მას მოყვანილი აქვს მთელი რიგი საბუთები, რითაც უმტკიცებს იმდროინდელ საზოგადოებას კათოლიკე ქართველთა შესახებ.

ხელნაწერი მთლად დაშლილია.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 31 ფურცელი, მხედრული.*

188. 2099

ივ. გვარამაძის ხელნაწერი წიგნი “ოსმალოს მეფეების წყობილება
და ლურსმული წარწერები სომხეთში”.

წიგნის შესავალი იწყება: ვიდრე ოსმალოს მეფეები ჩამოვიდოდნენ ანატოლიის განიის ქალაქში, მეფე და სულთნები ისხდნენ, ტაჯიკის გვართაგან, სელჯუგის მოდგმისანი”...

*შავი მელანი, ავტოგტრაფი, უთარიღო, 12 ფურც. მხედრული.*

189. 2100

ივ. გვარამაძის მიერ შეკრებილი
“ქართლის ცხოვრების” მასალები.

პირველი ფურცლის პირველ გვერდზე ავტორს უწერია იგავები. შემდეგ წინასიტყვაობა, რომელიც დაწყებულია: “ყველა კეთილ ღვაწლს აქვს თავისი ოხჭანი, მეტადრე მწერლობასა, გეოგრაფია იყოს, პოეზია თუ ისტორია”.

*შავი მელანი ავტოგრაფი, უთარიღო, 12 ფურცელი, მხედრული.*

190. 2101

ხელნაწერის პირველი ორი ფურცელი დაწერილია უცნობი ავტორის ხელით. ნაწერი თითქმის არ იკითხება.

მესამე ფურცლიდან ივ. გვარამაძე გადმოგვცემს “ქართული ენის, ანბანისა და ზნე ჩვეულებების შესახებ”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 10 ფურც. მხედრული.*

**191.** **2102**

**ივ. გვარამაძის მიერ აღწერილი სამცხე-საათაბაგოს სხვადასხვა კუთხე და ქალაქები.**

დაწერილია 20 ფურცელზე, ფურცლები ერთად წიგნად არის შეკრული და ჩადებულია თანამედროვე საქაღალდეში. შესავალი დაზიანებულია, თარიღი არ ჩანს, ავტორი აღწერს სამცხე-საათაბაგოს სხვადასხვა მხარეს და მათ ტრადიციებს: ახალციხეს, აწყვერს, ჯავახეთს, თრიალეთს, ქვაბლიანს, ხერთვისს, არტაანს, არტანუჯს, ოლთას, შავშეთს, აჭარას და სხვა.

ხელნაწერის დიდი ნაწილი ეძღვნება სტამბულის გალავნების წარჩინებულთა ცხოვრებასა, კართა და პალატთა აღწერას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 20 ფურცელი, მხედრული.*

**192.** **2103**

**ივ. გვარამაძე, საქართველოს ისტორიის საკითხები**

ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი "საქართველოს ისტორიის საკითხები". ხელნაწერი მოიცავს 13 ფურცელს, მეთორმეტე დაუწერელია.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 13 ფურცელი, მხედრული.*

**193.** **2105**

**პასუხი გაზეთ "მშაკს"**

ივ. გვარამაძის წერილი "პასუხი" სომხურ-ნაციონალურ გაზეთ "მშაკის" ავტორებს. მტკიცება, რომ თითქოს საქართველოში ქართველი კათოლიკენი არ არსებობენ და თუ არსებობენ ისინი სომეხი კათოლიკენი არიან ავტორისათვის მიუღებელია.
წერილი შედგენილია ვატიკანის არქივში დაცული ცნობების საფუძველზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც. მხედრული.*

**194.** **2106**

**ივ. გვარამაძე, ბერძნულ მითოლოგიაზე**

ივ. გვარამაძის წერილი, სადაც ლაპარაკია ბერძნულ მითოლოგიაზე – ჰომეროსზე, მის ნაწარმობების “ილიადასა” და “ოდისიაზე” გმირობაზე. წერილი გახუნებულია და თითქმის შეუძლებელია მისი წაკითხვა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურც. მხედრული.*

**195.** **2107**

**ივ. გვარამაძის წერილი “კი განა არიან ქართველი კათოლიკენი?”**

ავტორი სვამს კითხვას – მერე კი ქვემოთ გაცემულია პასუხი: “თავიდგანვე დიაღ ყოფილან და ახლაც არიან ქართველი კათოლიკენი, უკვირთ ჩვენს მართლმადიდებელ ქართველობას ქართველ კათოლიკობა, სომხების და მისთანა ჩვენი მოწინააღმდეგე პირთ აყოლიან”

ბოლოში ნახსენები აქვს: “მართლად 1103, რუისის შემდგარ კრების წინა სიტყვაში გამოთქვამს შეკრებილ მამათა თავიანთ სულგულის მართალი დადგენილება... ა.შ.

წერილი მთლიანად ეხება ქართველ კათოლიკეთა არსებობის მტკიცებას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 10 ფურცელი. მხედრული.*

**196.** **2108**

**ივ. გვარამაძის ამღზრდელობითი ხასიათის წერილი.**

საუბარია ახალგაზრდა თაობის რიგიან აღზრდაზე. “ადრე ჩვენს სამესხეთოში მრავალნი სწავლულნი პირნი გამოსულან-განთქმულან საქვეყნოდ და თავი უსახელებიათ სასულიეროსა თუ სამხედროს ასპარეზზედა”. აღნიშნავს, რომ ეს ხალხნი არა მარტო თავადთადა აზნაურთა წოდებისანი ყოფილან, არამედ იგივე მოქალაქენი და “გლეხთაგანიცა”.

წერილის მეორე ფურცლებს აქვს მინაწერი “13 მარტს 1884
ს. ხიზაბავრას” მამასახლისის დასმის შესახბ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი. მხედრული.*

**197.** **2109**

**ივ. გვარამაძის წერილი “რედაქტორისადმი”**

ივ. გვარამაძის წერილი, ავტორი წერილის წერას იწყებს “უფალო რედაქტორო! (რედაქტორის ვინაობა არ ჩანს), მე პირდაპირ ვაცხადებ ჩემს სურვილს ჩვენის სამშობლო მამულისა...”

ქვემოთ ლაპარაკია თბილისის გაჩენაზე და მესხეთის (მესხების) წინაპართა ვინაობაზე.

“1500 გარდადიან საბერძნეთისკენ ალანნი და ზოგზოგნი ქართველები, მესხები და ლაზები. ესენი პირველად სადაც დადგნენ, უწოდეს ”ფოკირ” ჯავახეთს ფოკის მაგიერ. კახელნი მაკედონიას დადგნენ, ადგილს უწოდეს (არ იკითხება) და მთას ალბანია. და ა.შ. გრძელდება ევროპულ ნაწილში განსახლების აღწერა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს. II ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული.*

198. 2110

“ივ. გვარამაძის წერილი”

იწყება: “დაპყრობით გამეფდა გორგასლანის ძე - დაჩი და უწყო მოოხროებულ ქართლს შენება მხოლოდ მთლად დარჩენილი იყო იმერეთი, სამესხეთო და კახეთი...” იმან იმეფა 12 წელი” გამეფდა ბაკურის ძე ფარსმანი... და ა.შ.

აბზაცები აქვს დათმობილი ისტორიულ პირთა გამეფებასა და მათ მოღვაწეობას. ფურცლის ერთ ნაწილზე მიწერილია სომხური ტექსტი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

199. 2111

ივ. გვარამაძის “წერილი”

წერილში მოგვითხრობს სხვადასხვა პირთა მიმართ ისტორიულ ცნობებს, ერთგან წერს: “სომხების ისტორიის შემდგენელი იყო მამა მოსე ხონელი...”

“როცა ალექსანდრე მაკედონელის მოადგილე ქვეყნის მპყრობელნი მოუძლურდნენ ერთმანეთის გარდაკიდებით”...

შემდეგ მიუთითებს: “ყოველ კაცს მოუცლელ ვალად სძევს სინდისი, ღვთის მსახურება თვისა და თავის ოჯახობის დაცვა და ა.შ. წერილის ნაწილი დათმობილი აქვს სომხურ ტექსტს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო. 2 ფურც. მხედრული.*

200. 2112

ივ. გვარამაძის “უსათაურო წერილი”

წერილში მოგვითხრობს ვახტანგ მეფის საქმიანობაზე: “ვახტანგი იზრდებოდა ღმერთის მსახურობის სწავლაში მიქაელ ეპისკოპოსთან. რა იქნა ვახტანგი 15 წლისა რჩევა ჰქნა სახალხოდ გაელაშქრა ოსეთზედა, რა გარდასწყვიტეს ყოველმან წარჩინებულმან შეკრიბა სამოციათასი ქვეითი და ათი ათასი ცხენოსანი...”

წერილი მთლიანად ისტორიული ხასიათისაა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო. 2 ფურცელი. მხედრული.*

201. 2113

ივ. გვარამაძე, მეფე გიორგი ბრწყინვალეს ეპოქის შესახებ

ხელნაწერი შესდგება ორი ფურცლისგან. პირველი ფურცელი

დაწერილია რუსულ ენაზე და წარმოადგენს ამონაწერს ქორწინების მოწმობიდან (იოსებ ბარიკალოვისა და მარია გაგლოევის) შესახებ. მეორე ფურცელზე ივ. გვარამაძე მიმოიხილავს მეფე გიორგი ბრწყინვალის ეპოქას.

"გიორგი ბრწყინვალე დედამისმა ნათელამ გამოზარდა..."

"დემეტრე მეფე თავდადებულის შემდგომ წარსდგა მეფე დავით ნარინის შვილი ვახტანგი და მიიღო საქართველოს მეფობა 1289 წ. მაგრამ ვერ ითავა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო. 2 ფურც. მხედრული.*

**202.** **2114**

**ივ. გვარამაძის "უსათაურო წერილი"**

წერილში ლაპარაკია იყალთოს აკადემიაზე, რომ იგი ჩამოყალიბდა XII საუკუნეში და იქ სწავლა განათლება მიიღო შოთა რუსთაველმა, აქ ასწავლიდნენ: ბერძნულს, სპარსულს, არაბულს, საომარ ვარჯიშებს, რაშიც განთქმულნი იყვნენ მესხები.

ივ. გვარამაძე არ ეთანხმება თანამედროვე განათლების ხასიათს: "მეტად საკვირველია ზოგიერთი თანამედროვე ახალგაზრდის სწავლა, ისინი სწავლობენ ინგლისურს, ფრანგულს, ნენცურს..."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს. II ნახევარი, 1 ფურც. მხედრული.*

**203.** **2115**

**ივ. გვარამაძე, XI საუკუნის ისტორიის შესახებ**

ფურცლის მეორე გვერდი დაწერილია ივ. გვარამაძის ხელით და ეხება XI საუკუნის ისტორიის ამბებს (1021-1086 წ.წ.).

პირველ გვერდზე დაწერილია წერილი ივ. გვარამაძისადმი, მისამართი არ ჩანს. "მის ღირსებას მღვდელს ივანე გვარამაძეს, ახალციხეს ანუ სადაც იყოს".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო. 1 ფურც. მხედრული.*

**204.** **2217**

**ივ. გვარამაძის წერილი ბექა აღბუღას აღნაგობის აღწერის შესახებ**

წერილი იწყება: "ხოლო იყო ესე ბექა ტანით ახოვანი, ფერით პუროვანი, თმითა და თვალთ მშვენიერი, ბეჭმკერდითა სრული და ძალით ძლიერი, ომსა შინა მხნედ მებრძოლი".

წერილი გადმოწერილია "ქართლის ცხოვრებიდან", იგი მთავრდება: "ესრედ ასრულდა წინასწარმეტყველება ბერისა და ნათლისა წინაშე თქმული 1889 წელსა."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს. II ნახ. 2 ფურც. მხედრული.*

**205.** **2118**

**ივ. გვარამაძე, ქსნის ერისთავის გამაჰმადიანების თაობაზე**

ფურცლის ერთ გვერდზე აქვს წარწერა ივ. გვარამაძის მისამართით: "მის ღირსებას ტერ იოვანე მესხ გვარამაძეს. ახალციხეს".

მეორე გვერდი კი დაწერილია ივ. გვარამაძის ხელით  წერილი თავ- ნაკლულია, გადმოცემულია კახელ აზნაურშვილზე და ქსნის ერისთავზე ელიზბარ და ძმა შალვაზე გამაჰმადიანების თაობაზე.

შემდეგში მოგვითხრობს: "არგვეთს მთავარნი დავით და კონსტანტინე შეებნენ მურვან ყრუს".

"მიხეილ გობრონი იყო მესხის დიდებული მეციხოვნე"

წერილის ბოლოში ნახსენებია მთარგმნელი მამანი ივ. გრძელის ძე 1009. ზაქარია მანდატის ძე 1004. ბარლი ბაგრატის ძე 1014. იე. ოქროპირ ხახულელი 1014. იე. ბოლნისელი, ნინოწმინდელი. ანტონ მნათე. ლარიონ თვალელი, ექვთიმე და სხვა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურ. მხედრული.*

**206.** **2119**

**ივ. გვარამაძის მიერ გაგზავნილი საგაზეთო წერილი გაზეთ "ივერიაში"**

წერილი იწყება: "პატივცემულო ბ. რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად მცირე რამ ადგილი მისცეთ ამ ჩემს წერილს თქვენს პატიოსანს "ივერიაში". სამართლის აღსადგენად."

წერილში ავტორი ამტკიცებს, რომ ადამიანი გაჩენილია ადამისა და ევასაგან და არა ადამიანის მსგავსი მაიმუნისაგან. წერილი მთავრდება იმით, რომ ჩვენს დავარდნილ საუკუნეში ისედაც ბევრს უსწავლელს ატყუებენ და დასაღუპავად იმეტებენ.

*შავი,  მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**207.** **2120**

**ივ. გვარამაძის ხელნაწერი წერილი**

წერილში განხილულია ქადაგებები, შეგონებანი და სხვადასხვა საინტერესო ამბები. მოხსენებული არიან გამოჩენილი პირნი, ფილოსოფოსნი და მეფენი.

წერილი იწყება: "პავლე კარდინალის ხმარებული მოწმობები"..... შემდეგ. "უეცარი სიკვდილი, თევზის ფხა გაეჩხირა ყელში და მით მოკვდა ტარკვეტიანი რომის მეფე". "ცოდვების თავგასულობა". "პირმოთნეობა მღუპავ კაცისა". "უწყლობაზედა". "გრძნეულობაზედა". "სიმართლეზედ". "ქმრების სიყვარული ცოლებისაგან".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო,  3 ფურცელი. მხედრული.*

208. 2122

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი სწავლა-ცნობა მართლმადიდებელ (ბერძნის) და კათოლიკეთ (რომის) სარწმუნოებასთან.**

“დღემდინ არ ყოფილა რიგიანი ბუნებისმეტყველების სწავლა ჩვენს დედა ენაზედ და არც არავის მიუქცევია ყურადღება ამასაზედა, რომ საზოგადოებას მისცემოდა სწავლის საშველი ევროპული ენებისა”.

ფურცელს ნაპირზე აქვს მინაწერი მუქი შავი მელნით 15 აპრილს 1875 წ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

209. 2123

**ივ. გვარამაძის წერილი მონღოლ დამპყრობთა შემოსევების შესახებ**

წერილი იწყება: “მონგოლების გადაკიდებული უწყვეტლივ ზედიზედ მოსევით საშინლად მოოხრდა ჩვენი ქვეყანა, აღარსად დარჩა ქალაქ დაბები, სოფლები”...

ნახსენებია თამარ მეფის მამა გიორგი. შემდეგ “1226 –შემოესია ჯალალედინის 14000 კაციანი ლაშქარი” და სხვა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

210. 2124

**ივ. გვარამაძე, წერილი**

ივ. გვარამაძეს წერილში მოთხრობილი აქვს გაგონილი იგავის (ანეგდოტების) მსგავსი ამბები. ერთი ამბავი ასე იწყება: “ერთ დღეს მგელიჭამიანთ ანტონა თავისი ჩვეულებრივი უხიაკობით იდგა ბაზარში და მასხრობდა”..... მეორე ამბავი: “ერთხელ ერთმა თბილისელმა გლახაკმა თქვა: ერეკლე მეფეს ვნახამ...” მესამე ამბავი: “ერთხელ დარეჯან დედოფალმა რაღაც ხუმრობისათვის გასდევნა....”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული*

211. 2126

**ივ. გვარამაძე, წერილი**

ივ. გვარამაძის წერილი იწყება ლექსით:

“ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

უცებს ვერ მიიყოლებ,
არც ერთს ზედა დაზავდება,
გულს ცეცხლი გაუქრება,
ათას ერთად ღელავს ზვავდება.

ქვემოთ ლაპარაკია ქვეყნად მომხდარი მოვლენების ახსნა – განმარტებაზე. წერილის მეორე გვერდზე ჩამოთვლილია ადგილის დასახელებები და იქ მცხოვრებნი, ავტორისათვის ნაცნობი სახელები.

მაგ. ყორღანათ – გაბრიელაი, ლეცხელი - თეთრუაი, ბარალელი - ძუძუნაი და ა.შ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

**212.** **2128**

**ივ. გვარამაძე ნოეს კიდობნის შესახებ**

ივ. გვარამაძე  წერილში ლაპარაკობს ნოეს კიდობნის აშენებაზე სომხეთში, შემდეგ არარატის მთაზედ... ებრაელების თქმულება, რომ თარბა (აბრამის მამა) კერპებს აშენებდა თიხისაგან და იმით ცხოვრობდა.”

“ევროპის ცივილიზაციის სათავე ხეთების იგივე (გეტების) ცივილიზაციაა  და ევროპა მადლობელი უნდა იყოს ამისაო. საუბარია ეგვიპტიდან მრავალ შეგნებულ კაცთა გადასახლების შესახებ საბერძნეთში 1550 წლის წინათ..... ამის მიხედვით წერილი დაყოფილია 8 ნაწილად.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი. მხედრული*

**213.** **2129**

**“რისთვის ყოფილა ინკვიზიცია”**

წერილი დაწერილია ოთხ ფურცელზე, ოთხივე გვერდზე ივ. გვარამაძე წერილს იწყებს: “რისთვის ყოფილა ინკვიზიცია, რაც დღევანდელთ კაცთ მოთაყვანე მეცნიერთაგან დიდად იკიცხება, რათა და რისთვის”.

წერილში მოთხრობილია ეკლესიის საქმიანობაზე და მის როლზე. ქვემოთ კი კათოლიკური სარწმუნოების განშტოებაზე. ნახსენებია გალილეის აზრებზე დაყრდნობილი მრევლის მოძრაობა. წერილი მთავრდება ლექსით:……

“ვახსენე ღმერთნი, გადავკარ წვერნი, უწვდინე ქვიშასა.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 4 ფურცელი. მხედრული*

214. 2130

**ივ. გვარამაძის წერილი "მართალია? ქართველებს სომხებსავით მდიდარი ისტორიული წარსული არა აქვთ"**

"საკვირველი არის სომხის "მშაკის" გაზეთის წინდაუხედაობა"....

ავტორი სვავს კითხვას: რა იციან სომხებმა ისტორიისა, რომ ქართველებს მათზე მდიდარი წარსული არა აქვთ? წერილში ქვემოთ მოჰყავს მთელი რიგი ცნობები ქართველთა ისტორიიდან. ლაპარაკია დამწერლობაზეც.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული*

215. 2131

**ივ. გვარამაძე ქართულ ადგილთა სახელების შესახებ**

ივ. გვარამაძე წერილში არჩევს ქართული სახელების ზოგიერთ ნიმუშს, რომლებიც მოხსენებული არიან მცირე აზიაში: "მრავალნი სახელები მდიდართა, ქალაქთა, ადგილთა იპოვებიან მცირე აზიაში, რაც არიან საქართველოში" მაგალითად: კიზიკი ქალაქი მდებარე მარმარეს ზღვის პირად და ქიზიყი კახეთში. ქუთაია, ენგური და სხვა...

წერილის სქოლიოში მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

216. 2132

**ივ. გვარამაძე, წერილი**

წერილი იწყება "ჩვენო საყვარელო ძმანო მესხებო, აჭარლებო და შავშელნო ჩვენ და თქვენ ერთი დედმამის შვილნი ვართ".....

წერილში გადმოცემულია საქართველოს ისტორია და კათოლიკე მღვდელთა მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტები. "ჩვენ დღესაც სომხის ტიპიკონი კათოლიკობის დასაცველად გვაქვს და არა თუ გასომხებისათვის".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი მხედრული.*

**217.** **2133**

**“ღმერთის მიერ სამყაროს გაჩენის შესახებ”**

ივ. გვარამაძე წერილში გადმოგვცემს ღმერთის მიერ სამყაროს გაჩენის შესახებ და ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნის ამბავს. “როგორც ღმერთმა ადამის სხეული შეჰქმნა მიწისგან და ჩაუდგა მას სული”.

წერილის ბოლო ნაწილი შესამჩნევად სხვა კალმით არის დაწერლი, რომელშიც გადმოცემულია მოკლე ცნობა მესხების წარმომავლობის შესხებ: “მესხეთში თავთაგან წარმართობის დაწყებითაგანვე მოყოლებული სამნაირი დღე არის დიდ პატივისცემაში”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**218.** **2134**

**ივ. გვარამაძე, წერილი**

ივ. გვარამაძის წერილის ფურცელი რამდენჯერმე არის გაკეცილი და წერილები დაწერილია ფურცლის ნახევარზე მთელს სიგრძეზე. იწყება: “ყოვლად ცხადია, რომ ჩვენი ტომნი მესხ-ქართველნი თავითგანვე ძლიერი მეომარნი ყოფილან”...

ქვემოთ ლაპარაკია ბერძნების მიერ საქვეყნოდ ცნობილ თამაშობებზე, რომლითაც წვრთნიდნენ მეომრებს. ფურცლის მეორე ნახევარი დათმობილი აქვს ლექს-პოემას “ვაი შენ წუნდავ, გეწია ორპირობის ცოდვა, ღალატობდი ძმათ...”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**219.** **2135**

**ივ. გვარამაძის საგაზეთო სტატია ქართველთა**
**მიერ კათოიკობის მიღების თაობაზე**

ივ. გვარამაძე სტატიაში არ ეთანხმება ბაროზდინს თავის სტატიაში გამოთქმულ აზრს – ქართველთა მიერ კათოლიკობის მიღების თაობაზე.

ავტორი მოგვითხრობს კათოლიკობის გავრცელების შესახებ ქართველთა და სომეხთა შორის.

წერილი იწყება: “კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია?” წერილის მეორე გვერდზე რუსული მინაწერია, რომელსაც თარიღი აქვს მითითებული, 31 იანვარი 1885წ. ქართული.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**220.** **2136**

**ივ. გვარამაძე, წერილი**

წერილი ორ ფურცელზე არის დაწერილი. პირველი ფურცელი ქართული შრიფტითაა, მეორე კი სომხურით არის დაწერილი.

ქართული იწყება: "თამაზ ყული ხანი იყო დიარბექირელი ქურთი. შაჰაბაზმა შეასია ლაშქარი სირიაში". წერილი მთავრდება: "რამდენიმე დღეს შაჰი გახლდა ისპაანში და რაც მოწინააღმდეგენი იყვნენ სულ ამოჟლიტა და ხელახლათვე დადგინდა შაჰათ".

ფურცლები შუაზეა გახეული.

*შავი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული.*

**221.** **2137**

**ივ. გვარამაძე კათალიკოზ ფირიონ I-ის შესახებ**

ივ. გვარამაძის წერილში გადმოცემულია, რომ კათალიკოზი ფირიონ I (სვიმონ პეტრე სომეხთ კათალიკოზი), მოსესგან 580 წელს დაადგინა სომეხ-ქართველთა შორის განხეთქილების დასაწყისი. წერილი ერთ გვერდზეა დაწერილი, ბოლოში აქვს სომხური მინაწერი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

**222.** **2138**

**ივ. გვარამაძე საქართველოს ისტორიის შესახებ**

ივ. გვარამაძე წერილში მოგვითხრობს "დავით მეფეს თავის სიკვდილისას მეფობა უნდა დაეტოვებინა თავის ძმა გიორგისთვის, ამ პირობით, რომ თავის ძე დიმიტრი რა გაიზრდებოდა, მისთვის უნდა გარდაეცა საქართველოს მეფობა." წერილში ნახსენებია (მეჭურჭლეთუხუცესი შალვა).

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

**223.** **2139**

ივ. გვარამაძე გადმოგვცემს: აფხაზთა, ქართველთა და სომეხთა მეფეთა შესახებ. ნახსენებია ბუღა, ბაგრატი, გუარამი, ადარნასე, დავით კურაპალატი და სხვა. მოყვანილია სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა თარიღი: 889, 1020, 1021, 1015 წლები.

ფურცლის ერთი ნაწილი დაწერილია სომხურად.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**224.** **2142**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი ლექსი “გული”.**

ვერტიკალურად პირველ სვეტში ჩამოყოლილია ლექსი, რომელსაც სათაურად აქვს “გული”.

ლექსი იწყება ა). გულო, რა ხარ ან რას ჰგავხარ,
ხან დამტირი და ხან თავს დამხარ.

ლექსის სტრიქონის გასწვრივ არის ასეთივე თანმიმდევრობის სომხური შრიფტით შესრულებული თარგმანი.

ლექსი მთავრდება “უგული, მხდომი მრავალთ მდგომი
ხანც ხან ზღვაა თვალთ უწვდომი.”

აქვს მინაწერი: “რაი არ იცი ხარ ნაფიცი დარ ავდრის დროს იყო მტკიცი”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**225.** **2143**

**მისიის უწყება**

“დიდად მოწყალე ღმერთსა, საყვარელო ძმანო, სურს ცხონება ყოველთა კაცთა, რომლისთვისაც აძლევს თითოეულ კაცს საჭირო საშველთ და შემწეობათ, რომ მიაღწიონ ყოველთა ზეციურ დიდებასა”.

ხელნაწერი ძნელად წასაკითხია. აქვს ჩამატებები. მეორე გვერდი სომხურადაა დაწერილი.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**226.** **2151**

ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი წერილი სომხურ ენაზე. (ჯოჯოხეთური შურის ასლი)
ისტორიული მინაწერები.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი. მხედრული.*

**227.** **2154**

**აღმორჩევის ფურცელი**

1885 წელს 13 ღვინიობის დღესა მმართველობამ სომეხ კათოლიკეთ სასულიერო კავკასიის ამიერ აღმასრულებლად ანტონის ცერისა....მომანდო რა აღმორჩევა...

ფურცლის მეორე გვერდზე არის სომხური წერილი. ნახსენებია: კალაიჯევი, ხოჯევანოვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**228.** **2175**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი წერილი**
**სიტყვათა ბრუნვის შესახებ**

წერილი იწყება: "ტაგარ, საწნეხელი, ღვინო, დიდი ჭური, მარანი-ქვევრები. მეორე გვერდზე: "აბებკვა, აბებკული, აბეგვა, აბეგვული, აბედვა.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**229.** **2178**

**ივ. გვარამაძის წერილი: "უსამღვდელოესებას" სომეხ კათოლოკეთ**
**მმართველობის მწერლის ცხადად ქრთამის აღების თაობაზე**

ქვემოთ ნახსენებია მოუმზადებელი ღარიბი დიაკვნისაგან ოცი მანეთის აღების თაობაზე. წერილი მთლიანად საეკლესიო ხასიათისაა.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**230.** **2179**

**"შაჰყულიანის ვინაობა"**

ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი წერილი "შაჰყულიანის ვინაობა". შაჰყულიანის წინაპარნი გორითგან მოსულნი არიან ახალციხეში, საკმაოდ შეძლება ჰქონდათ და ვაჭრული აღებ-მიცემობით უცხოვრიათ. თვით პავლე შაჰყულიანი დაბადებულა 1760 წ. მონათლულა და ქართული წერა-კითხვა უსწავლია ტერ ანანე აბაზაძისაგან. 12 წლისა გაუგზავნიათ რომში, კარგი სწავლის მისაღებად.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**231.** **2180**

**სომხური ტიპიკონის გავრცელების თაობაზე**

წერილი იწყება: “თქვენო უდ. სამღვდელოებავ აგერ სომხურ ეკლესიას აუსრულდათ თავიანთი სათხოვარი, გაუჩნდათ მმართველი წინამძღვარი მამა სარქის ტერ აფსამინი, დაჯილდოებული თქვენს მიერ ეპისკოპოსის უფლებით.

წერილის ბოლოს ლაპარაკია სომხური ტიპიკონის გავრცელებაზე, რაც მიზნად ისახავს ქართველთა გასომხებას.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**232.** **2201**

**ივ. გვარამაძეს წერილი**

ივ. გვარამაძის წერილი “ბანდარელი ალი ფაშას” მოსვლის პერიოდში ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ აღწერილია, რომამ დროს შიმშილობა ყოფილა, რომ ბათმანი “ქბილი 60-70 ფარად” დაბლა არ ყოფილა და “ხახი” კი “6-7 ყურუში” ყოფილა. საუბარია შიმშილობის დროს, თუ როგორ მოაჭრეს მაჯა ერთ ქურდ მეფურნეს. ფურცლის მეორე გვერდი სხვა მელნითა და სხვა ხელით არის ნაწერი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**233.** **2205**

**ივ. გვარამაძის ლექსი “ოცხის საღამო”.**

“ოცხეს რომ დაღამებულა მიწყნარებულან ფერფლნია,
არვინ არ სჩანან ძველთაგანნი, გმირი მეფენი მტერთ თავ მტეხნია
მთა ბართ უფალნი, ტყე ღრეთ უკვანი მარდობით მკვეხნია
ალალ მართალნი, გულწმინდა გამტანნი, ფიცთY არ მტეხნია”.

ავტორი ლექსში ხოტბას ასხამს ოცხის ხეობის მკვიდრთ თავიანთი ვაჟკაცობისა და სიდარბაისლის გამო. ფურცელს ნაპირებზეც აქვს მინაწერი, ლექსი 17 სტროფია.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**234.** **2211**

**ივ. გვარამაძეს მიერ თათრული სიტყვების განმარტება**

ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი თათრული სიტყვების განმარტებითი ბარათი:
“ყაბაზი-მეფარჩე, კარგი რამეების მყიდავი”. “იოლდაშ - ამხანაგი თანამგზავრი”.
ჩამონათვალი დაწერილია წერილის კონვერტზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**235.** **2212**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი სია იმ პირებისა, რომლებმაც შესაწირი შეიტანეს აწყურისა და ახალციხის ეკლესიების ხატების შესამკობად**

"როგორც შარშან ახალციხის კათოლიკე საზოგადოებამ შეამკო მოოქროვილი ბუდით, აწყურის ღვთისმშობლის სასწაულიანი ხატი, ეგრეთვე საჭირო არის შევუმზადოთ ოქროს გვირგვინები ღვთისმშობელს და იესოს "1893 29 მარიობისა ქ.ახალციხეს."

1) ერთი თუმანი შესწირა იოსებ გოგიელოვმან

20) ი. ნაბიეროვი - 20

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი 1 ფურცელი, მხედრული.*

**236.** **2215**

**ივ. გვარამაძის წერილი სახარებიდან**

ავტორს საუბარი აქვს ღვთისმშობელ მარიამზე, რომ მარიამი დაღლილ-დაქანცული გავიდა ერთ ცარიელ მინდორზე დაისვენა, და თავქვეშ დაიდო ქვა, თავი თავისუფლად დადო და ტკბილად ჩაიძინა, ნახა სიზმარი. წერილში სწორედ ეს სიზმარია მითხრობილი.

ფურცლის მეორე გვერდი რუსულ ენაზეა დაწერილი, სადაც უდის მცხოვრები - ათუნოვი ეპისკოპოს იოსებს სთხოვს, ნება დართოს წმინდა კათოლიკურ ეკლესიაში შესვლისა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი, მხედრული*

**237.** **2227**

**ივ. გვარამაძის მიერ "პაპის კონდაკის სათაურის თარგმანი"**

წერილი იწყება "გასაწურთნავად ქართველთ ერისა," მთავრდება: "ჩვენი ფიზონომია, ყოფა-ქცევა, წმ. ქართული ენა. სასაფლაოებისქართულად წარწერანი ცხადად ამტკიცებენ ჩვენს ვინაობას ძალად არ გაუსომხებივართ დღემდის და ახლა რისთვის უნდა სომხობა უნდა ვიკისროთ".

ხელნაწერში მოხსენიებულნი არიან: XXII-იოანე პაპი, გიორგი ბრწყინვალე, ბაგრატ V, ურბანთ V-პაპი, ბერნარდო თეოფნიკო, ბინ იფაკიო მეცხრე, ნიკოლა V პაპი, II პი –პაპი, თურეკო

I, II-პავლე პაპი, იოანე II, ალბერთო ანჯელ, ბართლომე ეპისკოპოზი, ქირნელი მოძღვარი, I ანტონ კათალიკოზი, თეიმურაზ I, მარი ბროსე, სიმონ ღოღობერიძე, თემურ ლენგი, პავლე შაჰყულიანი, გრიგოლ მეფისოვი, იაკობ ჩითჯიანი, სიმონ ასლანოვი, იოსებ ხუციანოვი, ტერ ალექსანდრე არარატიანი, ტერ პოლიოს ნახაპეტიანი, ტერ შაანოვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული.*

**238.** **2242**

**მოწმობა, ივ. გვარამაძის ხელით დაწერილი "ახალციხის მცხოვრებნი მრევლნი ივლიტის წმ. ჯვრის ეკლესიის."**

მოწმობაში საუბარია სამოცდათხუთმეტ მანეთზე, რომელიც ჩილინგაროვმა გაუგზავნა სარატოვის ეპისკოპოსს და დაადანაშაულა ივ. გვარამაძე ამ ფულის გაფლანგვაში. მრევლი ხელს აწერს და ამოწმებს, რომ საჭირო იყო ეს ფული გახარჯულიყო საეკლესიო ნივთების საყიდლად.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული.*

**239.** **2248**

**ივ. გვარამაძის მიერ შეგროვილი ცნობები.**

"აი რა აღმოჩნდა რომაულ ძველ გარდაწყვეტილების ხელნაწერზედა".

1). ცნობები იესო ნაზარეველზე.

"მთავარო ჩვენო და მსაჯულო! იესო, კაცო მართალო, წმიდა,უდანაშაულო, როგორც შენც ვერავითარი ბრალი ჰპოვე მასში, გავხსნა სხეული მისი დავმარხო თავის საკუთარ საფლავშიო."

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**240.** **2252**

**თათრული სიტყვების განმარტება**

ივ. გვარამაძის მიერ ჩამოწერილი თათრული სიტყვების განმარტებები, ქართულად:

"ახი" - სასყიდელი, მისაცემი.

"ჰავასი - სურვილი, ნატვრა, ხალისი." სულ ორმოცდარვა სიტყვაა განმარტებული.

ფურცლის მეორე გვერდზე დაწერილია წერილი, რომელიც ეგზავნება ივ. გვარამაძეს, სადაც ატყობინებენ, რომ "გიგზავნით უნიკაშვილის ლექსიკონს და ჭაბუკას "პერევოდის ბლანკს."

წერილზე ხელის მოწერა გაურკვეველია.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**241.** **2254**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი მოთხრობა**

“სასწაულ მოქმედ ამენაშატისა წმინდა ღვთისმშობლისა”.

მოთხრობა საეკლესიო ხასიათისაა. საუბარია წმინდა ღვთისმშობლის სასწაულ მოქმედებაზე. ბოლოვდება ლოცვით ღვთისმშობლის მიმართ.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი. მხედრული.*

**242.** **2255**

**ივ. გვარამაძის ზნეობითი ანდაზები**

ხელნაწერში არის თათრულიდან ნათარგმნი, გადმოცემულია იგავების მსგავსი მონათხრობი.

“ვინც არ ირწმუნებს, რასაც თვალით არ ნახავს მისი სახლი მშვიდობიანად იქნება.”

“ოქრო ყვითელი მიწა არს, ენა არ აქვს მაგრამ სადაც ოქრო ენას ამოიდგამს, იქ ყველა ენა დაებმისო.”

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 8 ფურცელი. მხედრული.*

**243.** **2258**

**ივ. გვარამაძე დედამიწის კონტინენტების შესახებ**

ივ. გვარამაძის მიერ გადაწერილი ბლოკნოტი, ბლოკნოტში აღწერილია გეოგრაფიული მონაცემები დედამიწის კონტინენტებისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების შესახებ.

მეორე ფურცელზე დართული აქვს ხელით ჩახაზული ნახევარსფეროების რუკა. “ევროპის სიდიდე (სივრცე იზომს) 2,793,000 ოთხკუთხი მილია.”

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 21 ფურცელი. მხედრული.*

**244.** **2262**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი “შესხმა”**

“შესხმა” დაწერილია საფარის ღვთისმშობლის დედა ეკლესიაში. იწყება “სიმართლის მზე მე იგი საუკუნო მამისა, უსაზომო ღირს მოწყალებითა გამოგვბრწყინდა რა სოფლად.”

მთავრდება: “არა მიმხედველმან უღირსებისა ჩემისა ღთისმშობლის პატივისათვის და მართლმადიდებელ ქვეყნათ სასარგებლოდ წავსწერ მესხი ივ. გვარამაძე.”

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო,  1 ფურცელი. მხედრული.*

**245.** **2263**

**ივ. გვარამაძის მიერ ჩამოწერილია წიგნების დასახელებითი სია:**

1. ხუცური სახარება საძიებლითა
2. აღბუღას სამართალი... სჯულის კანონი
3. ვაფხისტყაოსანი, საბა ორბელიანის და სხვა ლექსები

19. ქართული ახალი აღთქმა
ფურცლის მეორე გვერდი მის მიერვე დაწერილია სომხურად.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**246.** **2266**

**თათრულ სიტყვათა განმარტებანი**

ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი ადგილობრივ მოსახლეობაში ხმარებული (თათრული, თურქული) სიტყვების განმარტებანი.
სადაგდია — უსაქმური,
მათრეველა – უვარგისი კაცი,
ფეშქაში — საჩუქარი ძღვენი.....
ფურცელს აქვს რუსული მინაწერი.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**247.** **2267**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი "ისტორიული მასალები."**

ავტორი წერილში გადმოგვცემს, რომ ამას წინათ 1878-1879 წლის "დროებაში" დაბეჭდილა აღნიშნული ისტორიული მასალები, მაგრამ მაინც ცნობს საჭიროდ ზოგიერთის დამატებას, რაც ხელს შეუწყობს ქართლის ცხოვრების შევსებას. ლაპარაკია აწყურელ მაჰმადიან — ქელიმ ეფენდი მოლაზე.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული.*

**248.** **2269**

**ივ. გვარამაძის განცხადება სასულიერო მმართველობისადმი.**

ამცნობს, რომ იგი შეუდგა მუშაობას სოფელ ხიზაბავრის და მის ახლო მდებარე სოფლების ვარგავისა და ბნელის მოსახლეობასთან 1873 წლის 4 ქრისტეშობიდან. ასევე განცხადება არის დაწერილი მეორე ფურცელზე სომხურად. ნახსენებია ტერ იაკობ იგითსანოვი.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი. მხედრული.*

**249.** **2271**

**მესხური სუფრულები**

ივ. გვარამაძის მიერ ჩაწერილი ხალხური მესხური სუფრულები. ხიზაბავრის სახელწოდების წარმოშობა, სოფელ ხიზაბავრის მოსახლეობის ხასიათი, სუფრულის მცოდნეთა გვარ-სახელები.

ფურცლის მეორე გვერდზე დაწერილია წერილი: მღ. ლაზარე გოზალიშვილის მიერ გაგზავნილი ივ. გვარამაძისადმი.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი. მხედრული.*

**250.** **2274**

**ივ. გვარამაძის ლექსი**

ივ. გვარამაძის ლექსი "აშხარა ამენაინ" (ლოცვა-ვედრება)
"აწ მე მომხედეთ წუთის სოფლისნო და შემიბრალეთ,
ბაგეპირს ვაღებ, წარმოვსთქვამ ენით მე ჩემს საჩივარს..."

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ს მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

**251.** **2276**

**სხვადასხვა პირთა გარდაცვალების თარიღები**

ივ. გვარამაძის მიერ ჩამოწერილია სხვადასხვა პირთა გარდაცვალების თარიღი. აქვე აქვს გვარამაძის წინაპართა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

"1800წ. ტერ სტეფანე, ნათლამს აწყვრელ პატარა იოანეს-ძეს. 1857წ. გარდაიცვალა აწყვერელი იოვანეს-ძე პავლე - მამაჩემი."

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**252.** **2279**

**ივ. გვარამაძის მიერ ჩამოწერილია ლექსები,
სუფრულები და აღდგენილი ძველებური გალობანი,
რომელიც ეძღვნება აკაკი წერელთის იუბილეს.**

“ვუძღვნი იუბილარს მგოსანს, თ. აკაკი წერეთელს.”
თ. აკაკი.
“ხარ ჩვენი დიდი მგოსანი.
ენა მზე, ტკბილი ხმოსანი.
გშვენის კურთხევა ოსანნი.
ვით გამკობენ ჩვენს დროსანი.

მაგით ხართ ქართველთ დიდება,
რაც თქვით უკვდავად იდება,
იცოცხლეთ, რაც რომ გინდება
ხმა შენი არ მოგვწყინდება.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 18 ფურცელი. მხედრული.*

**253.** **2281**

**ივ. გვარამაძის წერილი “ზნეობითი სიყვარული და ერთობა.”**

“სომეხთ მკითხველთ მრავლათ იციან ჩვენგვარი უბედურების და სასწაულის წყალობის სათავეები.”

ფურცლის მეორე გვერდზე ლექსებია დაწერილი, ნაწერი არ იკითხება.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**254.** **2282**

**ივ. გვარამაძე თხზულებანი “სიკეთის ქმნა და შვილის ზრდა.”**

სიკეთის ქმნაში ავტორი გადმოგვცემს, რომ ამ ქვეყანაზე ყველანი სესხის ამღებ მიმცემნი ვართ, ერთ მხარეს ხელნაკლულნი დგანან მეორე მხარეს სიკეთის მქმნელნი....

შვილის ზრდა ლექსად აქვს წარმოდგენილი. აღნიშნავს, რომ ქალიშვილის გამზრდელმა რძის “ხსენთან” ერთად უნდა მიაწოდოს სიყვარული ღვთისა.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**255.** **2284**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი ქართული ლექსიკონი**

იწყება:
აბალთება-აბუალთვა
აბედვა, ავბედამ

აბედულება, ამბედაობა.
ადუღება, ადიდება, აკამკამება.

ავტორს დაბოლოებაში მოყვანილი აქვს ურმის შემადგენელი ზოგიერთი დეტალი და მისი განმარტება.

"ნემსა-ურმის ყელების შემაერთები გასაყარი ხე, რომელზედაც დამაგრებულია ხელნაები. (ხერნიები).

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ს მეორე ნახევარი, 4 ფურცელი. მხედრული*

**256.** **2285**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი ლოცვა "ნივენა"**

ვინც ცხრა დღეს ილოცებს იესოს გულისადმი მოსაშოვნელად, რომელიმე საცალკეო მადლისა."

პირველი დღე მოთხრობილია ლოცვა, მეორე დღე, მესამე და მეოთხე.

შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული

**257.** **2338**

**ივ. გვარამაძის მიერ ლექსად წარმოთქმული დარიგება**
**და დახასიათება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისადმი.**

"მებუფეტენო, არ გაკლიათ თეთრი პური გამომცხვარნი,
მდიდრები თქვენი არიან თვალ გული გაქვთ გამაძღარნი".....

"მეტყეურნო, მოამზადეთ შეშა საწვავათ საჟენი,
ძელები და  გასაყრები, კვანტნი, ჭერნი საშენია".

"დიდმაღაზიის პატრონებო, მოიგონეთ თქვენი ვალი,
ფართლეულის,შალეულის, რკინეულის ლურსმან ნალის".

*შავი მელანი.  XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული*

258. 2339

ივ. გვარამაძის მიერ შეკრებილი “სამესხეთოში
ხმარებული ანდაზები და გამოცანები”

1). “აზნაურთა სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო”.
“ავი კაცი აღდგომასაც ავიაო”. “ბედაურები დაიხოცნენ და ვირებს მეიდანი დარჩათო”.

2). “ხარი არ არს რქები აქვს, ვირი არ არს კურტანი აქვს, ხორცი აქვს ძვალი კი არა”.

*შავი მელანი. უთარიღო, 2 ფურცელი. მხედრული*

259. 2340

ივ. გვარამაძის მიერ ამოკრებილი მასალა “მარგალიტის წიგნისაგან”

“დასაბამად სქნა ღმერთმან ცად და ქვეყანა”
“ათანას ალექსანდრელისა თქმული კითხვა და მიგება”.
“სიტყვანი წმინდათა მამათანი”
“შესხმა და სახელები წმინდისა ღთისმშობლისანი”
“ძველად ცნობილნი ნათესავნი ქვეყნისა”.

*შავი მელანი. XIX ს. 12 ფურცელი. მხედრული.*

260. 2347

ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი “რევმატიზმის და
სხვა ავადმყოფობის წამალი სისუსტისა”

წერილში ავტორი გადმოგვცემს წამლის მომზადების მეთოდს, ბალახის რაოდენობას და დამზადებისათვის საჭირო ჭურჭელს, მისი მიღების დროს.

შავი მელანი. XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.

261. 2360

ქართველ კათოლიკეთა ძველთაგანვე არსებობაზე

ივ. გვარამაძის წერილი ქართველ კათოლიკობის ძველთაგანვე არსებობაზე სამცხეში და მოყვანილი აქვს ფაქტები, რომ თამარ დედოფლის უკანონო ქორწინებას არ დასთანხმდნენ კათოლიკენი.

*შავი მელანი. XIX ს-ს ბოლო, 1 ფურცელი. მხედრული.*

262. 2363

1) ქრისტიანობა.
“არსნა აქეთ ადიდებდეთ აღმატებულს აღმატებით.
ბევრნი ბევრთა ბანბან ბმულნი ბაგე ბადრავენ ბადებით.”
“მცხეთის დედა ეკლესია”
“მაღალი ტაძარი ღვთისა ზეცამდის მიმწთომარეა,
ცა ვერ დაიტევს მაცხოვარს, აქ..... მჯდომარეა.”

2) აიასოფია, 3) ჭრიჭინა, 4) შავი ზღვა, 5) დედის ერთა, 6) ქვეყნის სიბრტყე.....
კონსტანტინეპოლი, მცხეთა, სარატოვი, ახალციხე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი. უთარიღო, 12 ფურცელი. მხედრული.*

263. 2364

ივ. გვარამაძის ლექსები

1) “მეგობარი
“ქვას ქვა მოხვდება კაცს კაცი
სუყველას უნდა გარჩევა
ავს მოშორება, კარგს ბაძი
მეგობარსა ამორჩევა.”
2) ნერგი, მტკვარი, კაცია ადამიანი, კაცის სიცოცხლე.

*შავი მელანი. ავტოგრაფი უთარიღო, 10 ფურცელი. მხედრული.*

264. 2367

ივ. გვარამაძის ლექსები.

“დიდ ხარ მამაო ღვთის მისა”

*შავი მელანი. ავტოგრაფი XIX ს-ის მეორე ნახევარი, 6 ფურცელი. მხედრული*

265. 2368

სამყაროს გაჩენის შესახებ

ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი “სიტყვა” სამყაროს გაჩენის თაობაზე, რომ ღმერთი ექვსი დღის განმავლობაში თანდათანობით აყალიბებდა სამყაროს.

ა) დღეს გააჩინა ცა ქვეყანა და ნათელი.

*შავი მელანი. ავტოგრაფი უთარიღო, 32 ფურცელი. მხედრული*

**266.** **2369**

**ივ. გვარამაძის ლექსი**

ივ. გვარამაძის ლექსი "წუთი ქვეყნის პირველი სამნახველო".

ახალი აღთქმა გალექსილი პოემად. შიგ აკლია ფურცლები, შემდეგი თავი ეხება მეფე ოსტაპის გამეფებას და სხვადასხვა ისტორიულ ფაქტებს.

*შავი მელანი. ავტოგრაფი უთარიღო, 133 ფურცელი. მხედრული.*

**267.** **2371**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი წიგნი**

1). საქართველოს ეკლესიის ისტორიის ნაწილი.
2). პოემის ნაწყვეტი "მასთანვე ამოდიოდა უკვდავების ნექტარი."
3). "ეშმაკები"
4). მოიწვიეს რომაელი ყოველ მმართველი.....
5). "ენუქის ამბავი"
6). "ქართველთა ტომები და მათი მეზობლები"

*შავი მელანი. ავტოგრაფი XIX ს. 53 ფურცელი. მხედრული*

**268.** **2373**

წერილი შეეხება ადამიანის სხეულის აღწერილობას. აქვე აქვს ადამიანის ტანის სხვადასხვა ფორმაში ჩანახატები.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი. მხედრული.*

**269.** **2376**

**ივ. გვარამაძე მ. თამარაშვილის გარდაცვალების გამო**

ივ. გვარამაძის წერილი, რომელშიც იგი გამოხატავს იმ ღრმა მწუხარებას, რომელიც მან განიცადა მიხელ თამარაშვილის გარდაცვალების გამო. "მაშინვე კალამი ხელიდან გამივარდა, თავზარი მეცა, თავბრუ დამეხვია, გამიშრა სისხლი, პირში ნერწყვი გამიწყდა....."

მოხსენებულია პავლე კალაიჯიშვილი.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, 17 ენკენისთვეს. მიხ. თამარაშვილის გარდაცვალების წელს. უთარიღო, 1 ფ. მხედრული.*

**270.** **2377**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი ფელეტონი**

საუბარია ძველი წლის გაცილებაზე და ახლის დადგომაზე, აკრიტიკებს თავისი დროის კაცსაც და ქალსაც. მისტირის ძველებს, მაგალითისათვის მოჰყავს აქაური "სომხები" ამ საცოდავებმა თუმც თავიანთ მეფობასთან ერთად ქონებაც დაჰკარგეს, მამულიც და მიწა-წყალიცა, მაგრამ კათალიკოსობა ყოველგვარის ღირსებით შეურყევლად დაიკავეს დღემდის, ...

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ის მეორე ნახევარი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**271.** **2378**

**კორესპოდენცია**

ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი კორესპოდენცია დიმიტრი ბაქრაძის მიერ დაწერილ საქართველოს ისტორიის შესახებ. წერილს სწერს "დროების" რედაქტორს. ავტორი წერილში შენიშვნის სახით გარჩევას უკეთებს მრავალ ისტორიულ საკითხს, ერთ-ერთი ასეთი საკითხი არის მდ. მტკვრის სახელის წარმოშობა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ის ბოლო, 2 ფურცელი. მხედრული.*

**272.** **2380**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი ფელეტონი**

ავტორი ფელეტონის გადმოცემას იწყებს ანალიზით - "კაც თავისი ბრალი ზურგზე ჰკიდია და სხვისი ცხვირზედო," აღნიშნული ანდაზა აქვს გარჩეული და მოჰყავს ფაქტები, თუ როგორ იკეთებენ სხვისი ხარჯით სახლ-კარს, მდაბიონი კი გულხელდაკრეფილი შესცქერიან მათ.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**273.** **2381**

**ივ. გვარამაძე ზამთრის თვეების სხვადასხვაობაზე**

ივ. გვარამაძის მიერ აღწერილია ზამთრის თვეების ჭირვეულობა, დღეების მიხედვით ამინდის ცვალებადობა.

“მარტის თვე, რომ წინ გიდევს, ზამთარს ნურც აქებ, ნურც აძაგებო”.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**274.** **2383**

**სიტყვათა განმარტებანი**

ივ. გვარამაძის მიერ სიტყვათა განმარტების პატარა ჩამონათვალი: “ბრუდე- არარატი- ნახიჩევანი”.....

ჩამონათვალის ზემოთ დაწერილია ლექსი “საღამოს ზარი”. ლექსის ავტორი უცნობია.

“რაოდენ ფიქრთა აღმძრელი არი! იგი მაგონებს სიჭაბუკის დროს,” ფურცლის მეორე გვერდი დათმობილი აქვს 1902 წლის იანვარ-თებერვლის თვიდან გამოცემებზე მიიღება ხელის მოწერა. “დავიწყეთ სამესხეთო (ახალციხის და ჯავახეთი) და გურიის ზეპირთქმულების ბეჭდვა.”

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლი, 2 ფურცელი. მხედრული.*

**275.** **2384**

ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი “ქართულ ლექსიკონში ჩასამატებელი ნაწილები” “აბიბინება”, ძლიერ აკანკალება.

“აბაგვა - ბაგის აკვრა.”

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო. 1 ფურცელი. მხედრული*

**276.** **2385**

**ივ. გვარამაძე, წერილი**

ივ. გვარამაძე ერთ წერილში მოგვითხრობს თავის დაბადების ამბავს სოფელ ვალეში, მეორე ნაწილში კი საუბარია საფარის მიძინების ეკლესიის შესახებ.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურცელი. მხედრული*

**277.** **2386**

ივ. გვარამაძის წერილი სომეხ კათოლიკეთა თავგასულობაზე. იწყება "სანამ ჭკვიანი დაფიქრდა, გიჟმა ხიდი გაირბინაო."

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ს ბოლი, 1 ფურცელი. მხედრული.*

**278.** **2387**

**ივ. გვარამაძე, ადამიანის ორგანიზმის აღწერილობა**

ივ. გვარამაძის მიერ აღწერილი ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ნაწილები და მათი ურთიერთმოქმედება. აღწერილია კბილების, საყლაპავი მილის, კუჭის, სისხლის მიმოქცევისა და სხვა ნაწილების ერთმანეთთან კავშირი.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს. 1 ფურცელი. მხედრული.*

**279.** **2388**

**ივ. გვარამაძის ხელნაწერი, "უსათაურო"**

ივ. გვარამაძის ჩანაწერი. საუბრობს სომხების გაქრისტიანების შესახებ.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**280.** **2389**

**ივ. გვარამაძის ლექსი: "ოცხის დილა"**

"ოთხშაფათს გათენდა, გაველ, დავდეგ საყდრისა კარზედა,
ღრუბლები ზეცას მირბოდნენ, ირწეოდა ცერად თავზედა".

შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.

**281.** **2390**

**აზრი მცენარეთა ქიმიურ შემადგენლობაზე**

ივ. გვარამაძის მიერ გამოთქმული აზრი მცენარეთა ქიმიურ შემადგენლობაზე. აზოტზე, მის მნიშვნელობასა და სხვა.

ფურცლის ერთი გვერდი დათმობილი აქვს წერილს ივ. გვარამაძისადმი. იგზავნება 1874 წ. ლუკა თომას ძე ხითაროვისგან.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**282.** **2391**

**ივ. გვარამაძე, წერილი**

ივ. გვარამაძის წერილი - შაჰყულიანთ წინაპართა ახალციხეში გადმოსახლების შესახებ. წერილი დაწერილია კონვერტის ნაწილზე.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**283.** **2393**

**ივ. გვარამაძის ლექსი "იქუხა"**

"ცამ იქუხა მოწყალება გააბრწყინა არე მარე,
ცის მნათთ იწყეს სიხარული ელვარებდნენ მზე და მთვარე
კარი გაეღო ზეცასა მრავალ ნიჭთ მადლთა მთოვარე
მოვიდნენ ანგელოზები ღვთის ტახტის წინა მდომარე."

წერილის მეორე გვერდი ეხება დასავლეთ საქართველოს კურთხეულ მიწას.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი. მხედრული*

**284.** **2395**

**ივ. გვარამაძის ლექსი უსათაურო**

"დავბერდი და დავსუსტდი, წვერი შემექმნა ჭაღარა,
გარბატონს მოვძულებივარ, სახლში უნდივარ აღარა,
ისეც აღარ ვარ მოხუცი, ვეღარ დაუკრა ნაღარა
მტერთ ფარ-ხმალი ვარ, მაინცა თავზარდამცემი მახარა."

ფურცლის მეორე გვერდზე ლაპარაკობს "ქალდების და ქართველების" შესახებ.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული*

**285.** **2396**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი ერთ სტროფიანი ლექსი სიმონის შვილის - მაისურაძის დასაფლავებაზე**

“აქ სფლამს ნაშთი მაისურათ სიმონის- ძის მელქონისა.
კარგ კაცის და მადლიანის ჭკუა ცნობის მექონისა.
ღმერთო აცხონე, მის სულს ნათელ სხივი ეკონისა.
ნუგეშ ეც მის ცოლშვილს, ბევრ კარგ კაცს ამ წუთს არ
ეყოვნისა”.

სტროფი დაწერილია საფოსტო წერილის ზურგზე.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღიღო, 1 ფურცელი. მხედრული*

**286.** **2397**

**ივ. გვარამაძის მიერ გადაქართულებული “სული და მცოდინარობა” (სევრის თხზულებისაგან)**

იწყება: “როცა გათავხედებული ვფიქრობდი”.

*შავი მელანი. ავტოგრაფ, XIX ს-ის მერე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

**287.** **2398**

**ივ. გვარამაძის წერილი მისიის მთავარმმართველ ალი ბეგის შესახებ**

ნახსენებია აბულაძის ურიის სარწმუნოებაზედ მიქცევის თაობაზე.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული*

**288.** **2399**

**ივ. გვარამაძის ხელნაწერი. უსათაურო.**

ივ. გვარამაძის მიერ 900 წლის სახარებიდან ამოკრეფილი ცნობები.

მეორე გვერდი დათმობილი აქვს სიმონ ჩილაშვილის წერილს ივ. გვარამაძისადმი, სადაც იგი ულოცავს საეკლესიო დღესასწაულს და ახალ წელს.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX სის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული*

**289.** **2401**

**გარდაცვალებულ პირთა სია**

ივ. გვარამაძის მიერ წერილის კონვერტზე ჩამოწერილი სია, სადაც აღწერილია სხვადასხვა პირთა გარდაცვალების წელი და თვე: "1764 ტერ ლაზარე 21 აპრილს მიიცვალა (ივლიტის მღვდელი)", კონვერტს აქვს რუსული მინაწერიც.

*შავი მელანი. ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული*

**290.** **2405**

**კავშირი სომხურ და ქართულ ენებს შორის**

ივ. გვარამაძე წერილში არკვევს სომხურსა და ქართულ ენებში კავშირს.
"სომხურში ძმისწული - ქართულში ძმა არის"

*შავი მელანი. ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული.*

**291.** **2406**

**ივ. გვარამაძის უსათაურო ლექსები**

"მეოხე არს ქრისტეს მხმოსანი
მესხთ, ქართველთ, იმერთ, კახელთა
ჩემებრ უნდა ამ ლექსს მგოსანი
მით ვმდიდრობთ, რაც გვაქვს დღეს ხელთა.
დაკოდილს გაეღვიძა
იკლალკოდა, ინქრეოდა,
თვალს ჭყეტდა მგელივითა,
თავზარცემით ინგრეოდა"

ხელნაწერი გაცრეცილია. ბევრ ადგილზე გადაშლილია. ძნელად იკითხება.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი. მხედრული*

**292.** **2408**

**ივ. გვარამაძის ლექსი უსათაურო**

"გალობა იყო ესრედი: გვაკურთხოს ღმერთმა ჩვენმანო,
ღმერთმან ჩვენმან და ღმერთმან ყოველ არსთ მყოფმან მჩემნანა
ეშინოდესთ მისგან ყონელთ, აქონ პირთ ჩემმან შენმანო,

მუხლმოყრით და მონობითა, რომ თავს ხატად გვყო მშენმან”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ს მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

**293.** **2418**

**ივ. გვარამაძის პოემა. უსათაურო**

პოემაში მოთხრობილია ოცხის ქალაქზე თავდასხმისა და მისი დაცვისათვის საომარი მოქმედებების ამბები.

“გულწასული დედა იწვა,
ვერ მოეყვანათ მის გონსა,
დიდ სიხარულმან ეს იცის,
სჭვრეტდნენ ძესა დანაღონსა
ოცხის ქალაქს შემოადგნენ,
ვერ შეუშალეს მხარეა,
დიდნი წვრილნი ფეხზე დადგნენ,
ჩაჰკეტეს მაგრა კარია.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული*

**294.** **2419**

**ივ. გვარამაძის პოემა “სამცხის მაზრას ფოცხოვი არს”**

ავტორი პოემაში ხოტბას ასხამს სამცხის ეკლესია-მონასტრებს:

“შემკული ნიჭით ყოველით,
ბუნების ხატ-სახეებითა,
ყანა, ჭალა, ვენახ-ველითა,
ხევან ტყე სანახებითა.
სამცხის ოცდაოთხს მონასტერს
ერთის ეს იყო ქებული
მესხთ ატკბობს, უცხოთ განაცვიფრებს
მშვენივრად ნაწყობ გებული.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურცელი. მხედრული.*

**295.** **2421**

**ივ. გვარამაძის მოთხრობა “მწყემსი ყმაწვილი ქალი”**

ავტორს მოთხრობილი აქვს XIX საუკუნის მორწმუნე მწყემსი ქალის ამბავი. მოთხრობა ზნეობრივი ხასათისაა.

“ხასიათით იყო ტკბილ მორჩილი და მეტადა პატივისმცემელი მშობელთა, თავის სიცოცხლეს მინდორში ატარებდა და თხა - ცხვართა სამწყემსოს——”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი. მხედრული*

**296. 2882**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი ძველი და ახალი აღთქმის შემოკლებული ტექსტი:**

ა) “ქვეყნის დაარსება ყოვლის მპყრობელმან ღმერთმან არა რაისაგან ცა და ქვეყანა დაარსა, დღის ნათელი გააჩინა, აღნიშნული ტექსტი დაყოფილია თავებად: ბ) “პირველ მშობელთა გარისხვა”, გ) ცხომერება და წყალრღვნა და ა.შ.

წიგნი დაშლილია და ფურცლები ერთმანეთისაგან დაშორებულია.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 7 ფურცელი, მხედული.*

**297. 2885**

**ივ. გვარამაძის ხელნაწერი: “დედა მამა და მათი შვილები”.**

ნაწერი ერთ ფურცელზე ორ სვეტად არის შესრულებული, ხელნაწერი ძალზედ წვრილად არის ნაწერი, ძნელად იკითხება, აქვს ჩასწორებები, ჩამატებები, ახასიათებს ორთოგრაფიული თავისებურებანი.

“დასაბამი სიბრძნისა, შიში უფლისაო, იგავთ სოლომონისა. ხელნაწერში გამოყენებულია ციტატები საღმრთო წერილიდან, ესაია წინასწარმეტყველის ნაწერებიდან, ფსალმუნიდან და სხვა. ხელნაწერი წარმოადგენს მრევლისათვის წასაკითხს ერთგვარ ქადაგებას –ლექციას, რომელშიც ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე განხილულია სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხები.

ხელნაწერის პირველ გვერდზე მოთხრობილია სამყაროს შექმნა ღმერთის მიერ, ადამისა და ევას გაჩენა, მათი განდევნა სამოთხიდან და მათი შვილების ცხოვრების დასაწყისი, კაენისა და აბელის მტრობა. ამის საფუძველზე მსჯელობს დიდაქტიკურ საკითხებზე, როგორ უნდა აღიზარდოს მოზარდი, ქრისტიანული ქორწინების წესებზე, მეუღლეთა უფლება-მოვალეობაზე.

შემდგომ მსჯელობა გადადის დედის უზენაეს მოვალეობაზე. საუბრობს ჩვილის გაზრდასა, აღზრდის შესახებ წესებზე. აქვს განხილული მშობლებისა და შვილების ურთიერთობის საკითხბი.

მესამე გვერდზე კვლავ განაგრძობს საუბარს მოზარდის აღზრდის შესახებ. იგი თვლის, რომ შვილის აღზრდა დამოკიდებულია მშობლებზე, მასწავლებლებზე და მოძღვარზედ.

ხელნაწერის შემდეგი გვერდი დათმობილი აქვს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისა და თავადაზნაურთა თავაშვებულობის გაკიცხვას, რომ მათ თავიანთ სიამპარტავნით დაივიწყეს ეკლესია, რომ ეპისკოპოსებმა და სხვა სასულიერო პირებმა დაივიწყეს თავიანთი წმინდა მოვალეობა, რომ წირვა-ლოცვა და მრევლი წლითიწლობით მცირდება, რამაც გამოიწვია ყოველგვარი უკუღმართობა და უსამართლობა, მტრობა, შური, გარყვნილება. გლეხები აუტანელ

ყოფაში ჩაცვივდნენ. აქვე გულისტკივილით საუბრობს ოსმალებისა და სხვადასხვა მტრებისაგან სამესხეთოს შევიწროების შესახებ.

მეოთხე გვარდზე განიხილავს სამცხე-ჯავახეთის და ახალციხის ისტორიულ-პოლიტიკურ მდგომარეობას 1552, 1584, 1587 წ-ში. მესხების გადასახლებით, დაბეგვრისა და მათ მაჰმადიანურ რჯულზე მოქცევას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, ქ. ახალციხე, 2 ფურც. მხედრული.*

**298.** **2886**

**ადამის ცხოვრება**

ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი საეკლესიო ხასიათის ტექსტი ხელნაწერი წარმოადგენს ნაწილს. წინა ფურცელი აკლია. აქვს ბევრი შესწორებები, ძნელად იკითხება. ფრაგმენტზე დარჩენილი შინაარსი მოიცავს ადამის ცხოვრებას და მის შთამომავლობას. ტექსტი გამიზნული იყო მრევლში წასაკითხად.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**299.** **2887**

**ივ. გვარამაძის "წიგნი ქმნისა"**

ივ. გვარამაძის მიერ წარმოდგენილი "წიგნი ქმნისა (დაბადებისა)". ნაწერი ფურცლებზე ორ სვეტად არის შესრულებული. ხელნაწერი ძალზედ წვრილად არის დაწერილი. ძნელი წასაკითხია, აქვს გადაშლილები და ჩამატებები, ახასიათებს მთელი რიგი ორთოგრაფიული თავისებურებანი.

წიგნის შინაარსი საეკლესიო ხასიათისაა და მოგვითხრობს ცისა და ქვეყნის გაჩენის ამბავს. "მზე განაწესა დღის მნათობად და მთვარე ვარსკულავებითურთ ღამისა".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 13 ფურცელი. მხედრული.*

**300.** **2900**

**ივ. გვარამაძის მოგონება მ. თამარაშვილის გარდაცვალებაზე**

ივ. გვარამაძის წერილი მოგონება იმ დღისა როცა გაიგო მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალების ცნობა. დილის წირვის შემდეგ მასთან მისულა პავლე კალაიჯიშვილი და უჩვენებია მისდამი გამოგზავნილი წერილი "თამარათ პატრი მამა მიხეილის მიწერილი". შემდეგ კი იტალიიდან გამოგზავნილი წერილი თამარათის გმირულად დაღუპვის შესახებ. "მეხსავით თავზარი მეცა, თაბრუ დამეხვა, სისხილი გამიშრა, პირ ნერწყვი გამიწყდა, გულ-ღვიძლზედ შხამ გესლით აქაფებული კაეშანი გარდამესახა და გამიმწარდა უიმისოდაც გამწარებული, დანაღვლებული სიცოცხლე".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**301.** **2906**

**ივ. გვარამაძის ორ სტროფიანი ლექსი. უსათაურო.**

“მოეწყურა უფალს ჯვარზედ როგორც კაცსა,
რომელმაც ქმნა ოკიანე ზღვა მამშვენი,
სამარიტელს..... წყალს სთხოვდა წყაროთ უფალი,
რომელმანც ასვა ქვეყანას უკვდავება.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც. მხედრული.*

**302.** **2908**

**ივ. გვარამაძის ლექსი გამოჩენილ პირებზე.**

“მართლად მის დროს მისცემიან ქრისტიანობა ღთის მადლით,
ანდრია მოციქულისგან აღვსიათ სულგული ნათლით,
ღმერთი რომ კაცს მადლსა მისცემს, არ გაუზომავს მას ადლით,
აამაღლებს მას ცათამდის, საძებარ ხდის კაცთა სანთლით.”

“გაჩნდა ვახტანგ გორგასალი, დასცა მტერთა თავზარია,
სწყვეტდა შემბულ ბუმბერაზთა, ოს იყო თუ ხაზარია,
ინდოეთში ინდო სინდით გმირთ წაუხდინა ბაზარია,
სიკვდილამდის მტერთა ჟლეტდა, გაჰქონდა თემთ ზანზარია.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**303.** **2917**

**ივ. გვარამაძის ლექსი “მარიამ ქალწულზე”**

“ანნამაც აქ ადიდა ასულმან ფანოველისა,
ეცადეთ ქალწულ მარიამ დედაა მანოველისა,
ეს ერთი იყო, ასეთსა სხვა, ნუღარავინ ნუ ელის,
ვერვინ ედრება ვერც ანნა დედა ბრძენ სამეულსა.
“რა გითხრა ძმაო რა მეთქმის სარწმუნეობა გვჭირია
იმედი და სიყვარული, წუთი კი ნაღველ ჭირია
გვაცდენს გვიზიდავს გვატყვილებს სულის წაწყდომა ხშირია
გვავიწყებს სულის ცხოვრებას, რაც ჩვენთვის მეტი ძვირია.”

ლექსში გადმოცემულია მარიამ ქალწულის მიერ ქრისტესშობა და მისი აღზრდა, მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში, გზაში წყურვილისა და შიმშილის გაჭირვება.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ს მეორე ნახევარი, 1 ფურც. მხედრული.*

**304.** **2921**

**ივანე გვარამაძის ლექსი "სამებავ საქებელო"**

ლექსის ავტორი გადმოგვცემს იესო ქრისტეს "ღმერთის" ქება დიდებას, მის გამჩენ მარიამს და სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულების სასწაულ მოქმედებებს.

"ქებულ იყავ ღმერთო მამა
დიდებული ქრისტე ძე მისი
და პატივცემულ სული წმინდა
კურთხევა სამთა მათ ერთობას. ამინ.

ლექსის მეორე ნაწილი პირველისაგან განსხვავდება შინაარსითა და ხასითითაც.

"ახალციხეს ტერ საკა მზესავითა გამობრწყინდა,
მწვალებლებში აღიარა კათოლიკე სჯული წმინდა,
წირვაზედა უშიშრად, რომ ერთიან უდგნენ წინადა,
ზოგს მოეწონათ, ზოგთ არა, ზოგიც საყდრითგან გაცვინდა".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც, მხედრული.*

**305.** **2922**

*ივ. გვარამაძის წერილი: "პასუხი აფთიაქარ ანტონ მაისურაძისადმი."*

ფურცლის ერთი გვერდი დათმობილი აქვს ანტონ მაისურაძის წერილს ივ. გვარამაძისადმი, სადაც სთხოვს ბიძამისის იოანე სიმონის ძე მაისურაძის ქართული ლოცვის წიგნების გადაბეჭდვას. ამის პასუხად ივანე გვარამაძე ატყობინებს და აცნობებს, თუ როგორ სიძნელეებთანაა დაკავშირებული წიგნის დაბეჭდვა თბილისში, აძლევს რაღაც იმედს, იქნებ ქ. გორში რაიმე გახერხდეს მაინც.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული*

**306.** **3041**

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი წარწერა საფარის ეკლესიიდან**

ფურცლის პირველ გვერდზე "საფარის წ-ა საბას ეკლესიის სამხრის კარზედ ვრცლად".

"დასავლეთის მხარით იწყება სიტყვით დანარჩენები გადატანილია ეკვტერი ქვაზედ ირგვლივ"

წერილის მეორე გვერდზე

"დასავლეთ სამრეკლოს ეკვტერში წ-ა. მარინეს ეკლესიას"
"ჩრდილოს ეკვტერის კარზედა"
"დიდი ეკლესიის ჩრდილოდ კარზედ".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურცელი, ასომთავრული მხედრული.*

**307. 3043**

**ივ. გვარმაძის ლექსი სამესხეთოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ**

ლექსში გადმოცემულია საერთოდ საქართველოში ურთიერთ გაუტანლობისა და დაპირისპირების ამბავი.

"ძალა ადგა სამესხეთოს რომ არ ინდობდენ გვარეულნი,
არც მეფენი, არც მთავარნი და არცა რა გვარეულნი.
სულ ხმალს სცემდნენ შიგნით, გარეთ მტერები შინა
არეულნი,
მაგრამ თავს ვერ მოსდიოდნენ მთიულნი თუ ბარეულნი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**308. 3167**

**ივ. გვარამაძის მიერ ჩახატული პორტრეტები**

ივ. გვარამაძის მიერ სახატავ რვეულში დახატულია სხვადასხვა პირთა პორტრეტები და ფიგურები.

მეექვსე გვერდზე შედგენილი აქვს ლურსმული თუ სოლური ანბანი"

ჩამოწერილია: "ხმოვანი" "ნახევრად ხმოვანი, უხმო ასოები". სასაში გამოსათქმელნი, ბაგებით გამოსათქმელნი, სისინით გამოსათქმელნი, ამოსუნთქვით გამოსათქმელნი და სხვა.

მეშვიდე-მერვე გვერდებზე გადმოწერილი აქვს სპარსული ანბანი და მუნჯურად სალაპარაკო ხელების მოძრაობის ანბანი. აქვეა გადმოწერილი "ხიზაბავრის ლოდზე" არსებული წარწერა "ხიზაბავრის ლოდზე სწერია ასრე".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ს ბოლო, 20 ფურცელი, მხედრული.*

**309. 3168**

**ივ. გვარამაძის მიერ "ვახუშტისაგან" გადმოწერილი "ქრონიკონი"**

ავტორი შესავალში მიუთითებს რომ ქრონიკონი გადმოწერილია ვახუშტისაგან მესხურ დავთრისაგან, რაც ყოფილა წიგნად "განყოფილი და ეტრატზედ წერებული". ქრონიკონი იწყება: "1201 თამარ მეფე მიიცვალა".

"1215. მესხი შოთა რუსთაველი მიიცვალა რუსთაველის ჟამს იყვნენ სარგის თმოგველი, მოსე ხონელი და ჩახრუხის-ძეცა". ქორონიკონი მთავრდება 1883 წლის 23 მარტის 52 გაზეთის ცნობით:

"აბაშიძეს ახლდნენ იმერეთიდან ახალციხეს რომ გადმოვარდა

ბატონიშვილი (ნაბუშვარი) და ფლანეიშვილი, ნაბუშარმა თავის ყმას ჭუმბურიძეს ასროლინა და მოაკვლევინა ციხის აქეთ ორცხის კლდეზედ რომ სეირნობდა."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 2 ფურცელი. მხედრული.*

**310.** **3172**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი ხელნაწერი წიგნი.**

წიგნს წამძღვანებული აქვს სამსტროფიანი ლექსი:

"აქ სფლამს ნეშთი მაისურათ სიმონიეს ძესა მელქონისა,
კარგ კაცს და მადლიანსა, ჭკუა ცნობის მექონისა
ღმერთო, აცხონე მის სულსა ნათლის სხივნი ეკონისა,
ნუგეშ ეც მის ცოლშვილთ, კარგ კაცს ამ წუთს არ დაეყოვნისა"
"სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესა,
კაც ის არის, ვინც აროდეს, არ ხდება სხვის ამარესა,
მას შვენის ქება-დიდება შორს იყოს თუ ამ არეას
იხსენებენ საუკუნოდ შეუმკობენ სამარესა"...

შემდეგი გვერდები დათმობილი აქვს რუსულ "სლავარს".

მე-15 გვერდიდან იწყება ივ. გვარამაძის მიერ გაზეთ "ივერიაში" 167-168 და 171-ში გამოქვეყნებულ ფელეტონის განხილვას.

წიგნი ნახევრობამდეა დაწერილი და შედგება 41 ფურცლისაგან.

ბოლოს წინა ფურცელზე, შესრულებულია მამაკაცის გრაფიკული ნახატი, ბოლო ფურცელზე კი შავი და ნაწილობრივ ფერად ფერებში შესრულებულია მჯდომარე ღვთის მსახურის ნახატი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 41 ფურცელი, მხედრული.*

**311.** **3173**

**ივ. გვარამაძე, კაცის უფლება-მოვალეობის შესახებ**

ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი წიგნი. წიგნის მეორე ფურცელზე

დაწერილია წინასიტყვაობა, სადაც ავტორი გადმოგვცემს რომ ღმერთმა დაბადა კაცი, თავისუფლებით, გონიერებით შემკობილი, საქებ სადიდებლად და მისი უპირველესი მოვალეობაა: პირველად ღთის მსახურობა, მეორედ თავის თავისა და მესამედ მოყვარისადმი პატივისცემა.

მესამე ფურცელზე ავტორი გადმოგვცემს: “სამესხო ქართლის ცხოვრების ცნობას.” აქ ავტორი აღნიშნავს, რომ “სასოფლო ძველისძველს ისტორიებში მარტო საღამო წერილია დაშთენილი სახსოვრად კაცობრიობისა და ღთისგანგებით”... შემდეგ აღწერილი აქვს ქვეყნის გაჩენა... ხელნაწერი მთავრდება სიტყვების განმარტებით: ედემის სამოთხე (ადამის სამოთხე), ვენახი ( ღვინის ხე), ღვინო (გამღიმებელი) ზენარე - (სადაც ღმერთმა ადამი დასბადა). წიგნი ყდებ შემოცლილია.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 14 ფურცელი მხედრული.*

**312.** **3178**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი პოემა**

პოემა უსათაუროა და იწყება:

“გაფრთხილდით მოწყალებაზედ არა ჰქმნათ კაცთ მოსაჩვენად,
თვარემ საყიდელს დაჰკარგამთ. აღარ გვრჩება რამე ჩვენად
მოწყალება დაფარული არის სულ გული გამამშვენად
რაც გვქონდეს კაც დაფარული, ღმერთი ცხადად მოგვცემს
ჩვენად.

მთავრდება: თაყვანი სცეს და მობრუნდნენ იერუსალიმის ქალაქად
სიხარულით მხიარულნი მოვიდნენ თავეთ ალაგად
იყოფოდნენ ტაძარს შინა, ლოცვა მარხვაზედ და
აქებდნენ ღმერთს ადიდებდნენ, წუთისოფელს თვლიდნენ
ქალაქად.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 45 ფურც. მხედრული.*

**313.** **3182**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი წიგნი “სამესხეთო საქართველოს არქეოლოგიური და ისტორიული ცნობანი”**

წიგნის შესავალი ნაწილი სხვადასხვა ცნობებს აქვს დათმობილი.

მე-4 ფურცლიდან ავტორი იწყებს არქეოლოგიურ და ისტორი-ული მასალის გადმოცემას. ცნობები ზოგადი ხასიათისაა და გვამცნობს ქართველი ტომების დასახლებას (განსახლების) ავტორისეულ მოსაზრებას მესხეთის ტერიტორიაზე. იმოწმებს მთელ რიგ წყაროებს, რა თქმა უნდა წარღვნასა და ნოეს აქ ცხოვრების ჭეშმარიტებას. წიგნი დაშლილია და ყდებშემოცლილი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 10 ფურც. მხედრული.*

314. 3183

## ივ. გვარამაძის წიგნი "წმ. მოღვაწე ნინო"

ავტორს ხელნაწერში გადმოცემული აქვს მეფე მირიანის მოგონება იმ საშინელ განსაცდელიდან გადარჩენაზე, რაც მათ თხოთის მთაზედ შეემთხვათ და დიდ მადლობას სწირავს იესო ქრისტეს სახელს, ნანა დედოფალს ეუბნება, დღეიდან მან უნდა უარყოს კერპმსახურება და იწამოს ქრისტიანობა, ის უნდა გაიხადოს სჯულ კანონად.

"ნანა: მაშ დღესვე შეუდგეთ, ბატონო მეფეო გაქრისტიანობის საქმესა გულიანად. დახანება არ გვარგებს. უთქვიათ: სანამ თონე ხურს, პურგუნდის ჩაკვრა მაშინ მოსწრებააო.

ასევე სასიკეთო საქმისაცა სისწრაფე უპრიანესია!"

ავტორი წიგნს ამთავრებს:

"ღვთის მშობელო, შეგვეწიე აქ მსხდომთ მეფეს და მის ერთა.ეპისკოპოსს მღვდელთ, დიაკონთ, კაცს, ქალსა, ვაჟკაცთა თუ ბერთა, გვაგვარძლიერ, განგვამრავლე შვილის - შვილით ბევრის ბევრთა, რომ მარად გაქოთ – გადიდოთ, მოგვაშორე სულის მტერთა".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 20 ფურცელი, მხედრული.*

315. 3308

ივ. გვარამაძის წერილი "სიტყვათა განმარტების შესახებ" იწყებს სიტყვა: "კაენი"-ით, წერილი მოიცავს ნახევარ გვერდს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

316. 3776

## ივ. გვარამაძის წერილი - გოდებაძე სიმონ მღვდლის შესახებ

გოდებაძეები არიან ხუციანოვები. ხიზაბავრაში ამ გვარის შესანიშნავი მღვდელი ყოფილა პირველად ანტონ მღვდელი ხუციანოვი, რომელმაც მრავალი ტყვე გამოანთავისუფლა ლეკებისაგან გატაცებული.

"გოდებაძე იყო მღვდელი ხუციანოვი, რომელმანც ქართული სტამბა გამოიღო და დაბეჭდა რამდენიმე რიგი ლოცვის წიგნები და მოთხრობები".

გოდებაძე მღვდელი, ბიძაშვილი ყოფილა ანტონ მღვდელ ხუციანოვისა მისგანვე ნასწავლი ჰქონია მოხერხებულობა.

ავტორი მიუთითებს ლოცვის წიგნის ბოლოში მინაწერს "1836 წელს."

"ჩემს ძალზედ მეტი საქმე, დიაკნობაში ავსახე,
სადნობელი მადნისაგან წერვის ასონი ჩავსახე,
საბეჭდავი არ მენახა, ორი საქმე გამოვნახე,
კურსი ვპკარი ჩამოვასხი, ქაღალდზედა ასო ვსახე,
წამკითხველსა გიადვილებს, ამ წიგნის თარიღი ნახე,
ჩინი ასო ხელთ დაიპყარ, სარი მის ახლოს მონახე

ოცდაათი ლასით შეჰკარ, ექვსიც მასთან გამონახე.
სრული თარიღი მან გამცნოს, მეხუთე თვის შვიდი ნახე.
აღვასრულე ქრისტეს ძალით, ზემოთ ხსენებულ თარიღსა,
სასჯელი ბევრი გავსწიე, გვირგვინად მივეც ერსა.
სახელი დავსდევ პარტეზი, ქართულად ბაღი თარგმნესა მომიხსენეთ
მეც ძმანო, თქვენი ლოცვის წილი მხვდესა."
"ეს მღვდელიც 1890 გარდაცვლილა 82 წლისა."

აქვე აქვს სოფელ გოკიის სიძველისა და სიძლიერის შესახებ მონათხრობები
"გოკიას ბაბუნაშვილსა ქორწილი ჰქონდა დიდია,
თემ ქვეყანა შეეყარა, არ ვისგან ჰქონდა რიდია,
ლეკებმა დრო შეურჩიეს, წინ უძღვა მცოდნე ფლიდია,
შუაღამეს თავს დაესხნენ, ხელში შერჩათ გზა და ხიდია.
შეუყენეს მსხვრევა-მტვრევა, წვრიშვილი ფეხქვეშ ჭყლიტესა.

მინაწერი: "ამ ბაბუნათ ქალიშვილი იყო აბბა პეტრე ხარისჭირაშვილი."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურც. მხედრული.*

**317.** **3777**

**ივ. გვარამაძის წერილი: "წერილი ოცხითგან"**

ავტორი გულისტკივილით გადმოსცემს იმ პერიოდის უამრავ საკეთებელს და ამის მქნელი, რომ აღარავინ აღარ არის, რომ ქვეყანა აივსო ათასნაირი სხვადასხვა გვარტომებით, "უბე კალთაში ჩასხდომას არ ჯერდებიან და წვერულვაშს გვაგლეჯენო." ამბობს ავტორი. ბრალდებას უყენებს წინაპართ "ჩვენი ცოდვა ედებათ თავს ჩვენს წინაპართ, ჩვენ მამ-პაპათა, რომ თავიანთ გულუმანკო შორს უმხედველობით ყოველ მომმართველ ტომთათვის კარი გაუღიათ"...
წერილში ლაპარაკია ეკლესიის ქვების გაზიდვაზე ბერძნების მიერ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურც. მხედრული.*

**318.** **3911**

**ივ. გვარამაძის მიერ გადაწერილი "მიხეილ გობრონის თავგადასავალი"**

მისი აღზრდა და ბრძოლა სამშობლოსათვის. მოხსენიებულია: მესხეთის აზნაურისშვილი ანტრაფელა, გურგენ ერისთავის ქალიშვილი ნათელა, აჭარელი აზნაურიშვილი ოთარი და მისი დედა ზენო, მეფე სუმბათი, მეფე ადარნასე და ვინმე ბოცო.
მეორე გვერდს აქვს მინაწერი: "ეს ქართული ენის რვეული ეკუთვნის გაბრიელ გვარამაძეს 1884 წ."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**319.** **3912**

**ივ. გვარამაძის წერილი:**

“შვილო, მომეც მე გული შენი,
საჩივარი იესოს გულისა
აღარავის ვუყვარვარ”.

წერილში ავტორი გადმოგვცემს თანამედროვე ადამიანის დაცემაზე, მისი სულის სიღარიბეზე, ავტორი საზოგადოებას ამცნობს იესოს გულის საჩივარს მათდამი: “ბრმებს თვალნი აუხილე, სნეულნი განკურნე, მკვიდრნი გვიცოცხლე მშიერნი განგვაძღე, შეწუხებულნი ვანუგეშე, მთელი ქვეყანა ცხონებისა და ცხოვრების ნაყოფებით ავავსე და მე კი არავის ვუყვარვარ! “

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**320.** **3914**

**ივ. გვარამაძის ლექსი:**

“მარადის მქონდეს ჭკვიანების, ნდომა სურვილი,
ვინაით ვიქმენ, სულელთა მიერ, მეტად ურვილი,
ცოფთ წინააღმდეგად ვიყო შელესილ, და შეჭურ ველი,
ცოფი უჩრდილებს, წალკოტს ჭკუისას, როგორც ბურ ველი.”

ლექსი დაწერილია ორ ფურცელზე და მთავრდება შემდეგი შინაარსის სტროფებით:

“სხვას არას დავწერ, აწ გამისვენე, ჩემო თვალთა-ჩინო
გთხოვ გულის სიღრმით, შენ უხილაო, ღმერთო უჩინო,
ყოველ ქრისტიანს, წყალობა შენი, გამო – უჩინო.
გიჟიც, ჭკვიანიც, სუფევას გარე არ დაარ-ჩინო.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 2 ფურც. მხედრული.*

**321.** **3915**

**ივ. გვარამაძის წიგნი “ჯვარის გზა”**

წიგნი სასულიერო ხასიათისაა და მთლიანად დათმობილი აქვს იესოსადმი თაყვანისცემასა და ცოდვათა მონანიების აზრს

“მოვედით თაყვანსაცემს ვნებათ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და მონანულნი ვაღიარებდეთ ცოდვათა ჩვენთა.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 8 ფურც. მხედრული.*

**322.** **3916**

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოწერილი “ცოდვილთ მაცხოვნი ლოცვანი”**

“სახელითა მამისა და სიტყვისა ღთისა მისითა და სულისა წმინდისათა საუფლო ლოცვა.”
“მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა მფლობელო,
ყოველსა მყოფი მყრობელი, წმინდა ჰყავ შენი მცნობელი.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 12 ფურც. მხედრული.*

**323.** **3917**

**ივ. გვარამაძის მიერ გადმოცემული ამბავი საფარ ფაშას გათათრების შესახებ**

ფაშის მიერ ქრისტიანი მოსახლეობის განდევნა ქალაქ ახალციხიდან მიმდებარე სოფლებში: სხვილისს, კვანჯღას, აბს, ხაკს, საძელს, წყრუთს, წყრუთა-ჯვარს, სვირს, ტატანისს, კლდეს, წნისს, და სხვა. ხოლო კათოლიკეთა ეკლესიები გრიგორიანი სომხებისათვის მიუციათ, ისინი როგორც ქართველების მტრები მათ არავინ ეხებოდა.

ავტორს წიგნის ბოლოში აქვს მინაწერი ლექსები:
“სიღარიბე მომეწია თავ დაღმა დავჰკიდე,
შვიდი კვამლის ფანტფუნტი სულ ერთ ვირსა ავსკიდე,
სიმშილისგან კინაღამ მე ცოლ შვილი გავსყიდე,
ამისაგან უარესსა საქმეს მოველი კიდეო”
“წისქვილ საფქვავი წავიღე, ავკიდე სამსა კაცსა,
წინ სამნი თაგვნი გადმოდგნენ, ჩამოსხდნენ ალაგ-ალაგსა,
ერთ დავჰკარ, წელი მოვტეხე, მეორე ადგა ალასა,
მესამე გარბის, მიძახის კიდევ დათესამ ყანასა –
ისე გადგიჭრი ერთიან ხელს, ვერ ავლებდე ჩალასა”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 18 ფურც. მხედრული.*

**324.** **3918**

**ივ. გვარამაძის მიერ აღწერილი ბაღდადის ციხის განთავისუფლება**

წერილში გადმოცემულია ამბავი რუსის ჯარის მიერ ციხის აღებისა და მისი ჩაბარება სოლომონ მეფისათვის. იწყება, “მკათათვეს რუსის ჯარი ბაღდადის ციხეს შემოადგა ტ.უ. ზარბაზანი 2 საათში ესროდა და იმავე დღეს აიღო ციხე სოლომონ მეფეს მისცეს რუსებმა.”

შემდეგ ამბების აღწერა შეეხება მეფე ერეკლეს საქმიანობას.
1772 მარტს მეფე ერეკლემ ცხენი მიუძღვნა ქუთაისის გენერალს
1774 9 იანვარს ქ. ქუთაისს აიყარა თათარი
1770 13 იანვარს მეფემ ლეკები გააქცია თათრებისაგან
ასე გრძელდება თარიღების ჩვენება და მოვლენების აღწერა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც. მხედრული.*

**325.** **3919**

**“ტოპონიმ ახალციხის ისტორია”.**

ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი ახალციხის სახელის სიძველის ისტორია. ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის შესახებ, რომ არა მარტო ქვეყნის ისტორია, არამედ მხარისა, ქალაქისა და სოფლის ისტორია არ ვიცითო. ავტორი მიმოიხილავს მრავალი დასახლებული სოფლის სახელების წარმოშობას და ასევე ასკვნის ახალციხის ძველ სახელს “ლომსიას”. წოდება ახალციხისა ლომსია არის ძველის ძველი.

ფურცლის ერთი გვერდი დათმობილი აქვს მოწმობას გაცემულს 1894 წ. სტეფანე გელაზაროვზე, ვაჟიშვილის გარდაცვალების გამო.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურც. მხედრული.*

**326.** **3920**

**ივ. გვარამაძის მიერ ჩამოწერილი ანეგდოტები**

ერთ-ერთში მოთხრობილია: “ერთ ქართველ მაჰმადიანს მეზობელი არაბი ჰყოლია, როცა ქართველი მაჰმადიანის ქალს უმშობიარია და ორი ბიჭი შესძენია თავის უფროს ვაჟიშვილს მიუხარებია მამამისისათვის და უთქვამს: დედა კარგად არის და ორი ბიჭი შეეძინაოო, მაგრამ ძალიან შავებიაო. მამას არ გაჰკვირვებია და ჩაულაპარაკია მე ვიცოდი ეგეთები რომ იქნებოდნენ ჩემი მეზობელი არაბის გამოო.”

ფურცლის მეორე გვერდზე აქვს მინაწერი იოსებ ებრაელის ცნობა. მესხების და ივერნის ერთ ტომ-მოდგმის შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**327.** **3921**

**ივ. გვარამაძის მიერ ქართული ასოებით დაწერილი დასტანი სევასტოპოლისა**

1. სევასტოპოლ უნდა იანთან გემელას ამან ამან
   გიზამ თიფი არა იესი გოგ გოლას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**328.** **3922**

**ივ. გვარამაძის მიერ აღწერილი წელიწადის დრო ზამთარი**

“წელს მსუბუქი თოვლი მოვიდა ჩვენსკენ, მაგრამ მეტად ძლიერ სიცივე ყინვებია, მდინარე, წყლები მთლად გასიპულია სქელი ყინულისაგან, სრულიად აღარ ისმის მათი ჩხრიალი.” ფურცლის მეორე გვერდზე დაწერილია ქართული სიტყვები: რომელთაც ხმარობენ ართვინელი სომხები: დედოფალი, მზითევი, აკვანი, შიბაქი და სხვა. (არივნელი, ახალქალაქში არის სოფელი ვარევანი).

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**329.** **3929**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი ისტორიული**
**და საეკლესიო ხასიათის წიგნი**

“ევედრა აღედგინა: მკვდარი ძე მისი, რომ დამტკიცებულიყო ქრისტეს სარწმუნეობაზედ.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 9 ფურც. მხედრული.*

**330.** **3930**

**ივ. გვარამაძის წერილი “ვინ იყვნენ ჩვენი მოწონებელნი წინაპარნი.”**

წერილში ქებით მოიხსენიებს ავტორი ქვეყნის წინაპრებს “ესენი იყვნენ ნამდვილი ქრისტიანები, ნამდვილი კაცნი, ნამდვილი უფალნი თავიანთ თავსა, თავიანთ საკუთრების და ნამდვილი დამცველნი თავიანთ მამულისა”.

მეორე ფურცელი დაწერილია სომხურად. 1892 წელს.

*შავი მელანი, XIX ს-ის ბოლო, 2 ფურც. მხედრული.*

**331.** **3931**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი სოფლების სია**

ივ. გვარამაძის მიერ ჩამოწერილი სოფლები, დასახელებული ადგილები, ახალქალაქის, ასპინძისა, ახალციხის და ნაწილობრივ ბორჯომის რაიონებში. ბეთლემი, ოშორა, ლაშიხევი, იდუმალა, ინწყარო თეთრაჭალა, კამზა, ინდუსა, რუსთავი, ტობა,

მინაძე, კვალთახევი, ორფოლა, ახაშენი, ონღორა, სახუდაბელი, ძველი, ჭობარეთი, ჭორეთი, ღობიეთი, მუსხი...

*შავი მელანი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**332.** **3935**

**ივ. გვარამაძის მიერ ჩამოწერილი ეკლესიის სახელები, მათი აღმშენებლები და აშენების წლები:**

იწყება: "მეფე ადრიანემ ბანის ეკლესია 881-923. ფურცლის ერთ ნაწილზე აქვს მინაწერი, ანჩის ხატი, მაცხოვრის პირის სახე, რომელიც შეუმკია ანჩელ იოანე მთავარ ეპისკოპოსს - ბექა ათაბაგსა და მიურთმევია მეფისათვის, როცა 5 წლის ყოფილა თამარი 1161 –ს. მთავარი გვარად კნაული ყოფილა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული*

**333.** **4013**

**ივ. გვარამაძის წერილი ნოეს კიდობანის აგებისათვის ღვთისაგან ნებართვისა და ბრძანების მიღების შესახებ**

ლაპარაკია რომ ნოემ კიდობანის აგებას 100 წელი მოანდომა და იგი ამ პერიოდში ქადაგებდა ბოროტ კაცთა მომავალ ღვთის რისხვას, მაგრამ არ უჯერებდნენ...

ფურცლის პირველი გვერდი დათმობილი აქვს მოწმობას, რომელიც გაცემულია იაკობ იოსების ძე კალაიჯევის გარდაცვალების შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურც. მხედრული.*

**334.** **4015**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი სია**

სია ჩამოწერილია ბლოკნოტზე ჩანს, რომ დასაწყისი აკლია.

1. თუმანოვის დისა და ქმრის.
2. სიმონ ბათმანოვი.
3.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურც. მხედრული.*

**335.** **4311**

**ივ. გვარამაძის წიგნი, უსათაურო**

იწყება: "სახლობა და ქვეყანა ერთობით აშენდება და შეუერთობლობით კი დაირღვევა. ყველა ქვეყანაზედ ერთობისთანა სასიამოვნო, მოსაწონარი და სანუგეშო არ არის რა, თუ როდისმე წარმატებულა კაცობრიობა ქვეყანაზედ ერთობით წარმატებულა."

ხელნაწერში აღწერილია სოლომონ ბრძენის ტაძრის ცხოველ-
მოქმედება, მისი ოქროს სვეტები და ბაღის სასწაულ მოქმედებანი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 48 გვერდი, მხედრული.*

**336.** **4366**

**ივ. გვარამაძის ხელნაწერი წიგნი**

წიგნის პირველი ნაწილი დათმობილი აქვს ისრაელთა გამარჯვებისა და მოხელეთა განწესებას; შემდეგ მოდის ღვთის ბრძანება, სამსონის ცხოვრება, ქრისტეს მოსვლა და ცხოვრება მოციქულთა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 37 ფურცელი. მხედრული.*

**337.** **4399**

**ივ. გვარამაძის პიესა**

"თეატრებრი თავშესაქცევი საუბარი". ოთხ განყოფილებად. წარმოდგენა მიმდინარეობს "ფალოშანთ თავსახლში". აღწერილია სახლის ატრიბუტები. პირველი მოქმედი პირნი არიან სამი: ნატალია, ანიკო და სალომე; მეორე მოქმედნი: იოსები მათი ძმა და პეტრე; მესამე: მოქმედნი პირნი უმცროსი დები: აგათი და ფეფრონე; მეოთხე სიძენი- იოვანე, სიმონა და სიმამრ - სიდედრი. პიესაში გადმოცემულია ახალგაზრდა ქალების – დების საუბარი გათხოვების შესახებ, მომავალ საქმროებსა და ქმრებზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 3 ფურც. მხედრული.*

# IV

# მიწერ-მოწერა
# ივანე გვარამაძის წერილები სხვადასხვა პირებთან

**338.** **1825**

**ივ. გვარამაძის წერილი მეუღლის — ანიკოსადმი**

იწყება: “გულის ჩემის ნაკვეთო, დიდად საყვარელო ქალბატონო ანიკო ჩემო”!

“მოგიკითხავ წმინდა მეუღლეობრივს სიყვარულით და თქვენს დღეგრძელ, დღეკეთილ სიცოცხლეს, ყოვლის მპყრობელ მოწყალე ღმერთსა ვსთხოვ, ჩემს ნუგეშად და კეთილ იმედად”. წერილში აცნობებს, რომ იგი მოუნახულებია თავის მამიდაშვილს. ივანე ამ დღეებში ავად ყოფილა და სიცხეც ჰქონებია, ღმერთს მადლობას უხდის, ახლა კარგად გრძნობს თავს. წერილი მთლიანად კერძო ხასიათისაა. ბოლოში ნათესავების მოკითხვით ამთავრებს წერას. 22 მაისი 1864 წ. ქ. ალექსანდრეპოლი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1864 წ. 1 ფურც. მხედრული.*

**339.** **1949**

**ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი თხოვნა ეპისკოპოსს**
**და კავალერს ფრანც ცოტმანს**

ივლიტის წმ. ჯვრის ეკლესიის ერისაგან სოფელ ივლიტის ეკლესიის მრევლი თხოვნას უგზავნის მის უმაღლეს უსამღვდელოებას, რომ დარჩეს თავის ადგილზე სამუშაოდ მღვდელი ივ. გვარამაძე.

“ამისათვის განმეორებით გთხოვთ უმორჩილესად, რომ დაშთეს ჩვენი მღვდელი მესარკოვი გვარამაძე თავის თანამდებობაზედ გამოუცვლელად.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1879 წ. 2 ფურც. მხედრული.*

**340.** **2706**

**ივ. გვარამაძის წერილი “ზედამხედველს” ტერ პრისტავ შაანოვს**

განცხადება: უწერს სიას მასზე გადმოცემული ქაღალდებისა მღვდელ ტერ პოღოს ლაზაროვისაგან დატოვებულს, პირველად 1878 წ. 543 და ა.შ. 1885 წლამდე. განცხადებას ამთავრებს წინადადებით: “კვალად მთელ ბლანკის დაბეჭდილ ფურცლებს გირდგენთ”-ო. ნახსენები არიან: ტერ პოღოს ლაზაროვი, ვ. ხოჯოვანოვი, ს. ფაფაზოვი, ს. ზაქაროვი, პ. სარიევი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 2 ფურც. 1886 წ. 15 აგვისტო, მხედრული.*

**341.** **1822**

**წერილი გაგზავნილი ივ. გვარამაძის მიერ დ. ბაქრაძისადმი**

იწყება: “პატივცემულო ბ. დიმიტრი ზ. ბაქრაძე” ლაპარაკია, რომ გასულ წელს ორი წერილი გაახელით კავკასიის არხეოლოგიის, ისტორიის” საზოგადოების სახელით.” პირველში მოთხრობილი იყო ჩვენი ახალციხის “კათოლიკეთა გვარობის თაობაზე”. მეორეში კი გწერდით

“ჩვენს დაწერილ კრიტიკას ჩემს მიერ სომხურად გადათარგმნილ და სომხურ გაზეთებში” დაწერილი წერილების შესახებ. სთხოვს, რომ დღემდე პასუხი აღნიშნულ წერილზე არ მიუღია და თუ დაიკარგა, აცნობოს, აგრეთვე თუ რამე არის ახალი ცნობები არხეოლოგიის” შესახებ.

მთავრდება თქვენი მარად მლოცველი, უღირსი მონა მესხი ივ.მღ. გვარამაძე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1887 წელი. 1 ფურც. მხედრული.*

**342.** **1824**

**ივ. გვარამაძის წერილი აკაკი წერეთელისადმი**

წერილი იწყება: “თქვენო ბრწყინვალებავ თ. აკაკი წერეთელო”, ქრისტე აღსდგა”.

წერილში სთხოვს, დაუბრუნოს თავისი პოემა “წყალრღვნა” შესასწორებლად. საუბარია, აგრეთვე ივ. გვარამაძის მიერ დაწერილ ლექსიკონზე. მოხსენიებულია ი.ი. ლაზარაშვილი, ილია ჭავჭავაძე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1892 წ. ქ. ახალციხე, 1 ფურც. მხედრული.*

**343.** **2728**

**ივანე გვარამაძის წერილი, ახალციხე, ახალქალაქის არქიტექტორისადმი**

რომ რომის კათოლიკეთა ეპარქიის მიერ ნებადართულია მოხდეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის რესტავრაცია, მითითებულია ხარჯები და სთხოვს უზრუნველყოს ეს საქმე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1895 წ. სექტემბერი, 2 ფურც.*

**344.** **1935**

**ივ. გვარამაძის მოხსენება**

ივ. გვარამაძის მიერ დაწერილი მოხსენება სასულიერო სომეხ კათოლიკეთ მმართველობისადმი.. მოხსენებში საუბარია ჭილიმუზოვის ქვრივის — მარიამის საჩივრის შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1896 წ. 1 ფურც. მხედრული.*

**345.** **1833**

**ივ. გვარამაძის წერილი, იოვანე პავლეს ძე როსტომაშვილისადმი**

წერილში ივ. გვარამაძე რჩევას აძლევს ლექსიკონის შედგენისათვის. იქვე აქვს მითითებული ზოგიერთი ცნობები ქართულ ტოპონიმებსა და ეკლესიის წარწერებზე.

“აი ახლა შეგიძლიათ ჩასწეროთ, რომ ხიზაბავრის მიწაში ყოფილა ნასოფლარი, სადაც ძველთაგანვე ურაველსავით რკინის წყალი არს, აბანო ქვით ამოშენებული, ქარით დახუთულებს რგებსს, ეტყობა ნაეკლესიარიცაა. ნახსენებია ვარხანი, ზადენი, ვარდის ციხე ნასოფლარ ვარევანთან, წახნის ეკლესია, და სხვა.

მოხსენიებულია: თევდორე მანველიძე, სვიმონ მანველიძე, გრ. გამრეკელოვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1899 წ. ქ. ახალციხე 1 ფურც. მხედრული.*

**346.** **1837**

**ივ. გვარამაძის წერილი რედაქტორისადმი**

არ ჩანს რომელ რედაქტორს, მადლობას უხდის ძმებს ლევან, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილებს 300 მანეთის წყალობის გამო, რომლითაც ისინი დაეხმარნენ ახალციხის საერო სასწავლებელს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**347.** **1912**

**ივ. გვარამაძის წერილი**

წერილში არ მიუთითებს ავტორი ვის უგზავნის მას. “ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი რამეთუ იგინი... ღვთისა იწოდნენ”.

მოსხენიებულია სომეხ კათოლიკეთა სასულიერო მმართველობა, მომხდარ არჩევნების ჩატარების შესახებ ნახსენებია უ.პ. ორლოვსკი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც, მხედრული.*

**348.** **1926**

**ივ. გვარამაძის წერილი იოსებ ივანეს ძე ფულომანოვისადმი**

ავტორი ულოცავს ნათლისღების დღესასწაულს ამცნობს, რომ დიდი ხანია მისგან “წიგნი” არ მიუღია და სთხოვს თავიანთების ამბების მოწერას.

წერილი მთვარდება: “თქვენი კეთილის მომსურნე სიძე და ძმა დიაკვანი მესხი ივანე გვარამაძე”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1867 6 იანვარი ქ. ალექსანდრეპოლი, 1 ფურც. მხედრული.*

**349.** **1927**

**ივ. გვარამაძის წერილი ვალეს ღვთისმშობლის ეკლესიის ზედამხედველის, ტერ სტეფანე ზაქაროვისადმი**

ავტორი მადლობას უხდის - დის სოფიას გარდაცვალებაზე მოსვლისა და სამძიმრისათვის. ფურცლის მეორე გვერდზე სტეფანე ზაქაროვი პასუხს სცემს ივ. გვარამაძეს იგი უხსნის, რომ იმ დღეს ახალციხეში ყოფილიყო და აღსარება უთქვამს მისი დის გარდაცვალების გამო. წერილში მოხსენებული არიან: სოფიო გვარამაძე, კაკაჩათ თომა, ტერ სტეფანე გოზალოვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 2 ფურც. მხედრული.*

**350.** **1929**

**ივ. გვარამაძის წერილი ყოვლად სამღვდელობისადმი**

საუბარია 1886 წელს მისი განთავისუფლების შესახებ და მისი საქმეების დეკან ტერ პოღოს იაკობოვისათვის ჩაბარების შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**351.** **1930**

**ივ. გვარამაძის წერილი ეპისკოპოსისადმი**

იგი ინანიებს და განუმარტავს ასლანოვის მიერ უკანონოდ შევიწროვებას, მის მიერვე ცრუ დასმენას საეპისკოპოსოში.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**352.** **1933**

**ივ. გვარამაძის წერილი ყოვლად სამღვდელოების მიმართ**

საუბარია აწ განსვენებულ ახალციხის სომეხ კათოლიკეთა მმართველობის წევრის: ტერ იოსებ ხუციანოვის დადგენილების არა კანონიერად ცნობის შესახებ. ჩამოთვლილია სხვადასხვა ეკლესიის მსახურთა ტიტულები და გვარები, პავლე შაჰყულიანი აცხადებს, რომ ანდერძში

მოხსენებული დუქნები, არცერთი არ გამოდგება გასაქირავებლად. ეპისკოპოსის გვარი არ იკითხება.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**353. 1934**

**ივ. გვარამაძის წერილი ეპისკოპოს ფრანც ცოტმანისადმი**

ავტორი სთხოვს ყურადღება მიაქციოს, რომ კანონიერად დაისაჯოს თომა იოსებიჩ პაპოვი და სისრულეში მოვიდეს სიმართლე კათოლიკეთა ეკლესიისა. მოხსენიებული ჰყავს: კანონიკე ალექსანდრე არარატიანი, თ.ი. პაპოვი, ს. ასლანიანი, კათალიკოსი უ. აზარვანი, ტერ იოსებ ხუციანოვი, ტერ პოღოს ლაზაროვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურც. მხედრული.*

**354. 1953**

**ივ. გვარამაძის განცხადება**

“ყოფილი ახალციხის ივლიტის წმ. ჯვრის ეკლესიის ზედამხედველი იოანე მღვდელი - გვარამაძისაგან 16”.

განცხადებაში ავტორი გაკვირვებას გამოხატავს უმრავლესობის მიმართ, რომლებმაც განუკითხავად ფიცხლად, გამოძებნის გარეშე დასაჯეს იგი. წერილში ავტორი აცნობს მის დღევანდელ მდგომარეობას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 2 ფურც. მხედრული.*

**355. 2086**

**ივ. გვარამაძის წერილი**

ადრესატის ვინაობა არ ჩანს. სათაურად გამოყენებულია: “უნეტაერესო მამაო”.

წერილში ლაპარაკია ადგილობრივ კათოლიკეთა ბედზე, ისინი განიცდიან ქართული ენის ხმარების მოსპობის საშიშროებას, ეკლესიებში სომხის ტიპიკონის გავრცელების გამო. წერილს ბოლოში აქვს მინაწერი.

“ამის კოპიო კონსტანტინეპოლს 9 თებერვალს 1896 წელს პ.სტეფანეს გაუგზავნე”.

“მეორე კოპიო 2 თებერვალს 1897 თამაროვს გაუგზავნე.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ს ბოლო, 2 ფურც. მხედრული.*

**356.** **2116**

**ივ. გვარამაძის წერილი ყოვლად სამღვდელოება,**
**მღვდელთ-მთავარს ლეონ XIII-ს.**

წერილი იწყება: "პატივცემულო ძმანო და საყვარელო შვილნო".

ლაპარაკია წირვა-ლოცვების მნიშვნელობაზე და მასზე მრევლის დასწრება-გადასახადების გადახდის შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურც. მხედრული.*

**357.** **2268**

**ივ. გვარამაძის წერილი ეპისკოპოსისადმი**

წერილის პირველი გვერდი შეეხება ფაბრიკანტების სტეფანოვების ცნობას, ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისა და სხვა საკითხს (რუსულ ენაზე) 1897 წლის აგვისტო. ნაბეჭდი.

ფურცლის მეორე გვერდზე დაწერილია ივ. გვარამაძის საეკლესიო ხასიათის წერილი ეპისკოპოსის სახელზე. მოხსენიებულია პირები:

1. ტერ სტეფან გოზალოვი.
2. იოსებ ანტონის ძე გოზალოვი.
3. მღვდელი სიმონ ასლანოვი.
4. იაკობ აბრამიანი.
5. მიხეილ ქოთნაჯიანი.
6. იაკობ საროიანი.
7. სიმონ ჩილაევი.
8. ტერ სიმონ ბალახოვი.

ეპისკოპოსის გვარი არ იკითხება.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურც. მხედრული.*

**358.** **2270**

**ივ. გვარამაძის წერილი მეუღლისადმი**

"საყვარელო გულისა და სულის ჩემისა გულო და ცხოვრებავ, ყოვლად უძვირფასესო ქალბატონო ანიკო, ყველა ჩემო."

წერილი კერძო ხასიათისაა და მეუღლეს აფრთხილებს და მოაგონებს ბრძენი კაცის ნათქვამს: "ყველა ფრინველი გარეთგან ჭრელია, მაგრამ, ადამიანი კი შიგნითგანა ჭრელიო."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**359.** **2275**

**ივ. გვარამაძის წერილი ეპისკოპოსისადმი**

სთხოვს უ. ნახაპეტიანის გამოცვლას: “უმორჩილესად შეგვისრულოთ სავედრებელი და განათავისუფლოთ ახალციხის ერი თუ მღვდელი ასლანოვის ხელისაგან, რომელიმე საშვალებითა”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**360.** **2283**

**ივ. გვარამაძის წერილი რედაქტორის, ლუარსაბ ბოცვაძისადმი**

სთხოვს დაუბეჭდოს მასალა: ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და ბ. ჩუბინოვის ლექსიკონი ნაწილ-ნაწილ.

წერილში გადმოწერილია თამარ მეფის შემდგომ პერიოდიში სამცხე-ჯავახეთი, კათოლიკობის შესახებ. ნახსენები არიან: ანტონ გნოლისძე, მიხეილ კათალიკოსი, ჭყონდიდელი, ლაშა-გიორგი და რუსუდანი, შაჰყულიანი, ხარისჭირაანთ ლუკა, მიხეილ თუმანოვი, ტერ სტეფანე. “ტერ პეტროსი ხარისჭირათ გვარის კაცი იყო. ესენი ბარალეთელები ყოფილან”.

*შავი მელანი, 1908 წ. 20 იანვარი, ახალციხე 2 ფურცელი. მხედრული.*

**361.** **2292**

**ივ. გვარამაძის წერილი გაბრიელ ეპისკოპოსს**

წერილის შესავალში საუბარია ქალწულ მარიამის წილხვედრ საქართველოზე.

საბუთის დანარჩენი შინაარსი ეხება წირვა-ლოცვას საქართველოს გადარჩენისათვის ურჯულოებისაგან.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**362.** **2722**

**ივ. გვარამაძის წერილი ვ. ასლანოვისადმი**

რომ ღვთისმეტყველებაში დაშლა მხოლოდ “საქვეყნოდ გამოცხადებულ ქორწინებაზედ, და არა ფარულზე.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1889 წ. 14 მარტი, 2 ფურც. მხედრული.*

363. 2725

**ივ. გვარამაძის წერილი იო. ნათლისმცემლის ეკლესიის ახალი სინდიკატებისადმი, ფრანჩისკე მელქონის ძე ხორჯევანოვისა და გრიგოლ კარლოის ძე მღებროვისადმი**

რომ რადგან ისინი უკვე არჩეული არიან ამ საქმეებზე. მიხედონ ეკლესიის სალაროს, სასწავლებელს უძრავი მამულების დოკუმენტები ჩაიბარონ ყოფილი სინდიკი ფაფაზოვისაგან. წერილის მეორე ფურცლებზეც ავტორი მიუთითებს და აფრთხილებს ხოჯევანოვს, რომ რატომ არ ხდება ეკლესიისადმი ყურადღების მიქცევა, რომლის საქმეც უკან - უკან მიდის და თვით გვარამაძე აღარ იქნება პასუხისმგებელი.

*შავი მელანი ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურც. მხედრული.*

364. 2794

**მის უწმინდესობას ტირასპოლის კათოლიკური ეპარხიის ეპისკოპოსს ანტონიო ცერრს ახალციხის სომხურ-კათოლიკური წმინდა იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიის მღვდლის იოვანე გვარამაძის მოხსენება**

მოხსენებაში ავტორი მიმართავს ეპისკოპოსს იმ საჩივრის შესახებ, რომელიც მან მიიღო ეკლესიის მსახურ იაკობ ტამანოვზე. საჩივარზე საკმაოდ ბევრი აწერს ხელს. ეს საჩივარი მიღებული აქვს ივ. გვარამაძესაც. გვარამაძე ეპისკოპოსს აცნობს, რომ საჩივარი ტყუილია და ჭორებითაა სავსე. ტამანოვს იგი ახასიათებს ეკლესიისათვის აუცილებელ საჭირო პიროვნებად და არავითარი დარღვევა არ აქვს ეკლესიის სალაროს. ამის დასტურად მოჰყავს 1895 წ. მოულოდნელად ჩატარებული რევიზია, კომისიას ხელმძღვანელობდა ტიტულოვანი მრჩეველი კონსტანტინ პირომევი და მასში შედიოდა კიდევ სხვა 5 წევრი. მათ შორის იყო სტეფან ისკანდეროვი, ვისი ხელითაც არის დაწერილი საჩივარი. ეკლესიის ქონება, წიგნები, ინვენტარი და სხვა ყველაფერი ადგილზე აღმოჩნდა და ვერავითარი დანაკლისი იქ ვერ იქნა აღმოჩენილი. მოხსენებაში გვარამაძე აცნობებს, რომ საჩივრებზე ხელის მომწერნი უმრავლესობა არ ეკუთვნის აღნიშნული ეკლესიის მრევლს.

ჩამოთვლილია გვარები: სტეპან ბეჟანოვი, სოიანი, ალექსანდრე კარაგაზოვი. ეს ხალხი ცხოვრობს ქალაქის ახალ უბანში, სთხოვს კიდევ ერთხელ გამოგზავნოს კომისია და დარწმუნდეს საჩივრის ცილისმწამებლობაში.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

365. 2804

**მის უწმინდესობას ტირასპოლის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსს კესლერს, ახალციხის სომხურ-კათოლიკური ეკლესიის მღვდლის იოვანე გვარამაძის მოხსენება**

ლაპარაკია, რომ ამ ეკლესიის მრევლის უმრავლესობა, თვით მღვდელი იოვანე გვარამაძე და სხვა მისი მსგავსი ეკლესიის მსახურნი არიან საქართველოს კათოლიკეები და შედიან სომხურ კათოლიკურ ეკლესიაში წარსული პოლიტიკური მიზეზების გამო, მათი მშობლიური ენა ქართულია. ივანე გვარამაძე ძლიერ სწუხს ამის შესახებ, რომ მათ ძლიერ ავიწროვებს სომხურენოვანი მოსახლეობა, უკრძალავენ მათ ქართულ ენაზე წირვას, ლოცვას, გალობას, ქადაგებას. თურქეთის ბატონობის დროს მათი წინაპრები საბუთებში, წიგნებში, მეტრიკებში მოიხსენიებოდნენ როგორც კათოლიკეები ეროვნების გარეშე. ასე გრძელდებოდა 1843 წლამდე.

1845 წელს მაშინდელმა არხიმანდრიტმა შახყულოვმა მათ მოტყუებით ჩაუწერა სომხური დასახელება და მიაკუთვნა სომხური ეროვნება. ჩვენ ქართველი ეროვნების კათოლიკეები მივმართავთ რომის კათოლიკურ ეკლესიას დახმარებისათვის. გვსურდა გამოვსულიყავით სომხურ-კათოლიკურ ეკლესიიდან და შევერთე-ბოდით ჩვენს თანამოძმეებს თბილისიდან, გორიდან და ქუთაისიდან. რომიდანაც მოხსენება გაუგზავნეს ჩვენს ყოფილ ეპისკოპოსს ცერრს, მაგრამ უწმინდესობამ არ მოისურვა ჩვენთვის თანხმობის მიცემა და გვიპასუხა, რომ დავრჩენილიყავით კვლავ სომხურ-კათოლიკურ სამღვდელოების გამგებლობის ქვეშ. იგივე თხოვნა ხელმეორედ იყო გაგზავნილი რომში და ახალ ეპისკოპოსთან – კესლერთან, სადაც ნათქვამია იმის შესახებ, რომ თუ მათ არ დართავენ ნებას გამოვიდნენ სომხურ-კათოლიკური სამღვდელოების გამგებლობიდან, ქართველი კათოლიკეები განადგურდებიან სულით და ხორცით. სთხოვს არ დაუშვას ეს და აიყვანოს კესლერმა თავის მფარველობის ქვეშ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურც. მხედრული.*

366. 2805

**ივ. გვარამაძის წერილი არხიეპისკოპოსისადმი.**

ჩვენ, როგორც ქრისტიანი კათოლიკეები ვამტკიცებთ, რომ ბერები არიან იესო ქრისტეს მოძღვრების მიმდევრები, რომელთაც უნდა მიბაძონ მას თვიანთი ცხოვრებით და მოძღვრებით, ქრისტიანები დააყენონ სწორ გზაზე და უნდა მოუწოდონ მათ აკეთონ კეთილი საქმეები და განაგდონ ბოროტი. ამით ისინი მოიპოვებენ (სიკვდილის შემდეგ) სამუდამო სულიერ სიმშვიდეს. არიან ქრისტეს ღირსეული მიმდევრები, მაგრამ მათ შორის არიან საკმაოდ ბევრი უღირსები, რომლებიც ეკლესიას აფარებენ თავს, რთა უზრუნველად და უშრომლად მოიპოვონ პური არსებობისა და ისინი ემსახურებიან არა ქრისტეს, არამედ არიან ანტი ქრისტეს მიმდევრები.

ბერი ვარძელოვი – არაა ბერი. იგი წარმოადგენს უღირს და თავზე ხელაღებულ პიროვნებას, მასში არაფერი არაა წმინდა იგი ცხოვრობს თვითკმაყოფისათვის.

გთხოვთ ჩემი ეს აღსარება  ცუდად არ ჩამომართვათ, მე მხოლოდ მსურდა თქვენი ყურადღება მიმექცია, გამემახვილებინა ფაქტებზე. ეს არის მწარე სიმართლე ვარძელოვის შესახებ.

მე, როგორც მის ახლოს მდგომ ადამიანს, არ გამომეპარებოდა მისი პატარა ეშმაკობაც კი. მის საქციელს გამართლება არ ექნება, არა მხოლოდ სასულიერო წრის წარმომადგენლებში, არამედ გაუნათლებელ უბრალო ხალხშიც კი.

ვარძელოვი ხიზაბავრაში მცხოვრები ქრისტიანების მცირეწლოვან გოგონებს (15-18 წლ.) აგზავნის სამუშაოდ კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში. ამით აკეთებს ფულს.

გთხოვთ დამიკავშირდეთ ამ წერილთან დაკავშირებით, რათა პირადად გაეცნოთ აქ მოყვანილ ფაქტებს. გთხოვთ მობრძანდეთ კვირის წირვაზე, რათა ბოლო მოეღოს ამგვარ საქციელს. საზღვაური  მიეზღოს ანტიქრისტული საქციელის მიმდევრებს დამსახურებისამებრ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 2 ფურც. მხედრული.*

**367.** **3936**

**ივ. გვარამაძის წერილი ზუბალაშვილებისადმი**

ავტორი წერილში ხოტბას ასხამს ზუბალაშვილებს თავიანთი წინაპრების ქველმოქმედებაზე. “უმრავლეს პირთა შორის ყველაზედ უფრო მაღლა მდგარხართ გულუხვი მოწყალების სათნოებითა, რითაც მუდამ ეკლესიანი და ქალაქი განათლებულ - გაბრწყინებულნი ყოფილან თქვენგან.”

სთხოვს დაეხმარონ საერო სასწავლებელს, რადგან რუსული მასწავლებლის შენახვა უჭირთ და თუ რუსული არ ისწავლება. მარტო ქართულის სწავლა არ შეიძლება.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**368.** **3938**

**ივ. გვარამაძის წერილი ქ. ალექსნდრეპოლიდან მეუღლისადმი - ანიკოსადმი.**

წერილში ავტორი კითხულობს ყველა თავისიანს და უგზავნის მოკითხვას. ასწავლის გამოტანებული გულზე ჩამოსაკიდი ჯვრის ნაწილების ჩაწებებას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

**369.** **3974**

**ივ. გვარამაძის წერილი მეუღლისადმი**
**ქ. ალექსანდროპოლს**

წერილში ავტორი მეუღლეს საყვედურობს, ამდენი ხანია  მისთვის წერილი არავის მიუწერია, მას კი აინტერესებს აქაური ყველა ამბავი. მოყოლილი აქვს ერთი დღის მოგზაურობა

და ცხენის ჯირითი. უხსნის თუ ვისი მეშვეობით შეიძლება სწრაფად გააგზავნონ მასთან წერილი. ასეთი არის ტერ სიმონი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1864 წელი 30 ღვინობისთვისა. 1 ფურც. მხედრული.*

**370.** **3975**

**ივ. გვარამაძის წერილი ილია ჭავჭავაძისადმი**

ავტორი რედაქტორ ილია ჭავჭავაძეს ულოცავს ქრისტეს აღდგომას მკვდრეთით, აღდგომის დღესასწაულს, აცნობებს, რომ უგზავნის საქართველოს ცხოვრების წყაროებს. მოხსენიებულია გრიგოლ იესეს ძე აზნაურავი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**371.** **3976**

**ივ. გვარამაძე, წერილი**

ივ. გვარამაძის წერილი "ღირსო მამისადმი" გვარი ან სახელი არ ჩანს, ულოცავს მარიამობის დღესასწაულს, წერილი საეკლესიო ხასიათისაა და ეხება წირვა-ლოცვას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1864 წ. 31 მარიამობისა ქ. ახალციხე. მხედრული.*

**372.** **2802**

**ივ. გვარამაძის მიმართვა ტირასპოლის ეპისკოპოსის - კესრელისადმი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ**

თხოვნაში აცნობებს, რომ მიიღო 1909 წლის 24 ივნისის დადგენილება 826, რითაც მის უწმინდესობას სურს დაარწმუნოს იმაში, რომ თითქოს წმინდა იოვანე ნათლისმცემლის სომხურ-კათოლიკური ეკლესიას არ გააჩნია არავითარი სახსრები, რომ გადამიხადოს უკვე თქვენს მიერ დაწესებული 120 მანეთი, იმ მოტივით, რომ ჩემს შვილებს აქვთ იმდენი საშუალება რომ შემინახონ, თითქოს მე გამაჩნია იმდენი სახსრები, რომ მე შევძელი მიმეცა მათთვის კარგი განათლება და თითქოს მაქვს ბევრი მიწები. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ყოველივე ეს სინამდვილეს არ შეეფერება.

გთხოვთ, ყურად იღოდ ჩემო თხოვნა და დააკმაყოფილოთ, რათა მე შევძელი მატერიალურად არსებობა და მკურნალობა, გთხოვთ მხედველოვაში მიიღოთ ისიც, რომ მე ეკლესიას ვემსახურებოდი 45 წლის მანძილზე. გკოცნით ხელზე თქვენო უწმინდესობავ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

373. 2803

ივ. გვარამაძის მიმართვა ტირასპოლის ეპისკოპოსს
კესლერს საცხოვრებელი ბინის შესახებ

ამცნობს, რომ 1908 წლის 31 მარტის დადგენილებით უნდა დაეტოვებინა ეკლესიასთან მდებარე ბინა და გადასულიყო სხვა ბინაში. აღნიშნული ბინა უვარგისია და არის ნესტიანი. სთხოვს დააკმაყოფილოს სხვა თუნდაც ივლიტის ახლოს მდებარე ბინით. სთხოვს შეუსრულონ ეს თხოვნა და შვილთან ერთად გამოუძებნონ სხვა საცხოვრებელი ბინა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

# V

# წერილები ივანე გვარამაძესთან

## აკოფოვი ტერ ანტონი

374. 1864

ავტორი ივანე გვარამაძეს ულოცავს ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომას. უგზავნის წირვებისათვის 5 მანეთს და ჩამოწერილი აქვს სია, რამდენი რა აქვს გადახდილი. წერილის დასასრულს წერს: "სხვა რა მოგწეროთ, მომიკითხე უფალი მიხეილ პავლოვიჩი, ტერ ანტონ აკოპოვი და ტერ პეტროსა. როცა მიიღოთ პასუხი შემატყობინეთ".

*შავი მელანი, ა. აკოფოვი, ავტოგრაფი, 1893 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## ალხაზიშვილი ილია

375. 2046

წერილში ჰპირდება, რომ შეხვედრისას მიაწოდებს საინტერესო მასალებს საქართველოს ისტორიის შესახებ.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

## ანტონოვი ივანე

**376.** **2929**

ავტორი მოკითხვასა და მადლობას უხდის ივანე გვარამაძეს გაგზავნილი წერილებისათვის, საეკლესიო ხასიათის საკითხის მიმოხილვის შემდეგ სთხოვს, წირვების ჩატარებას მიცვალებულთა სულებისათვის, წირვების გასწვრივ მითითებულია მიცვალებულთა სახელები "5 წირვა იაკობისთვისა."

*შავი მელანი ქ. ქუთაისი 1878 წელი 6 მარტი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**377.** **2930**

ივანე ანტონოვი ადრესატს ამცნობს, რომ ლუკა ჯაშიკოვს ატანს ბარძიმზე სახმარ თეთრეულს და სთხოვს გადასცეს ივლიტის ღვთისმშობლის ეკლესიას, რადგან დედამისს მის სახელზე შეუწირავს, წინასწარ უხდის მადლობას. მოკითხვას უგზავნის ტერ იოვანე მამულოვს.

*შავი მელანი, ქუთაისი, 1878 წელი სექტემბრის 22, 1 ფურცელი, მხედრული.*

**378.** **3037**

კერძო, ნახსენებია აზარიანი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1879 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**379.** **2931**

აცნობებს, რომ მიიღო მის მიერ გაგზავნილი წერილები, "წიგნები" და ბოდიშს უხდის პასუხის დაგვიანებისათვის, სთხოვს რაც შეიძლება საეკლესიო მსახურნი ერთად, მჭიდრო კავშირში უნდა იყვნენ ერთმანეთთან ყოველთვის და მითუმეტეს ახლა ამ არეულ ქვეყანაში.

*შავი მელანი, ქუთაისი, 1879 წელი 16 იანვარი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**380.** **2932**

ავტორი აცნობებს, რომ წერილის გაგზავნას უგვიანებდა იმის გამო, რომ ყველაფერი რაც მას აინტერესებდა ჯერ- ჯერობით ვერ გაერკვია. წიგნები, რომლთაც იგი თხოულობს, დიდსა და პატარა საქრისტიანოს იმედს აძლევს, რომ მალე მისცემენ. ტერ პეტროსას გაუფრთხილებია,

სანამ ფულს არ მოიტანენ, წიგნები მათთან უნდა დარჩეს. ეს უფრო საიმედოა მისთვის, როგორც კი მივიღებ წიგნებს, თითო პირს ივანე გვარამაძეს მივართმევო.

*შავი მელანი, ქუთაისი, 1879 წელი 8 აგვისტო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**381. 2933**

ავტორი წერილში ივანე გვარამაძეს აცნობებს, რომ იაკობ ფალაშოვისაგან შეიტყო მისი, მღვდლად სხვაგან დანიშვნის ამბავი,
უგზავნის 13 მანეთს წირვებისთვის.

*შავი მელანი, ქუთაისი, 1880 წელი, 15 ნოემბერი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**382. 3934**

ავტორი ივანე გვარამაძეს აცნობებს, რომ მიღებული აქვს საქართველოს ისტორიის წიგნი, მასალები. რომ გარდაიცვალა დონ ანტონი, რომელმაც მეტად შეაწუხა კათოლიკეები, მან მთელი ორმოცი წელი შეალია კათოლიკეთ სამსახურში.

*შავი მელანი, ქუთაისი, 22 ივლისი, 1881 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**383. 2936**

ავტორი ესაუბრება კომპოზიტორ შამანოვსკის შესახებ. აქებს, რომ, იგი დიდად გამოსადეგი კაცია ჩვენი ერისთვის. აცნობებს, რომ იგი მუშაობს საქართველოს ისტორიის შედგენაზე. ლაპარაკია პოემაზე "წარღვნა." შენიშვნას აძლევს ივანე გვარამაძეს, ვიღაც მღვდლის ქებისათვის, რომელიც სინამდვილეში შურითაა სავსე. მოხსენებულია: იაკობ ფალაშოვი, სტეფანე შამანოვსკი, სტეფანე იელიხანოვი.

*შავი მელანი, ქუთაისი, 16 მარტი, 1883 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**384. 2928**

ავტორი ივანე გვარამაძეს აცნობებს, რომ ეპისკოპოსი ჩივის, "ვერაფერი გამიგია მისგან მიღებული წერილებიდანო. ერთნი ერთს იწერებიან მეორენი მეორესო, ვის დაუჯეროს არ იცის." არწმუნებს ეპისკოპოსის სიმართლეში, რომელიც ყველასგან დამოუკიდებლად ნიშნავს თანამდებობებზე სხვადასხვა პირებს. ნახსენებია ვინმე "არარატოვი და შაანოვი."

*შავი მელანი, 20 მარტი 1884 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**385.** **2935**

იოვანე ანტონოვი წერილში სთხოვს იმ სამი კაცის ვინაობას, ვინც ახლა უკურთხებიათ მღვდლად: მარტიროს აკოფოვი, ანტონ ბედოვი- კაზანჯიდან, მიხაილ ვარძელოვი - ახალციხელი.

*შავი მელანი, 22 ოქტომბერი, 1884 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**386.** **2937**

ავტორი მწუხარებას გამოთქვამს ქართული ნაბეჭდი წიგნების აკრძალვის გამო, აძლევს რჩევას და ეუბნება, 'ჯერჯერობით დაწყნარდით ნურაფერ საქმეს ნუ შეებმი. როგორც ვხედამ ყველა საჩივარი ახარებს მტრებს და ყურის გდება კი არავის არ შეუძლიან."

*შავი მელანი, 20 ივლისი, 1884 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი.*

**387.** **2938**

ატყობინებს, რომ ეპისკოპოსმა გადასცა მისი ნათარგმნი წიგნი, მასაც წაუკითხავს და მოსწონებია, მაგრამ მის დაბეჭვდის უფლებას არ მისცემენ, ისე კი ძალიან საჭიროა კათოლიკურ ეკლესიებში წასაკითხად. აძლევს მთელ რიგ შენიშვნებს და ასწავლის, თუ როგორ მოიქცეს შემდეგში მუშაობაში, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაამწვავოს ურთიერთობა სომხებთან.

*შავი მელანი, 18 დეკემბერი, 1884 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი.*

**388.** **2939**

ულოცავს ახალ განვლილ დღესასწაულს - შობას. აფრთხილებს, რაც შეიძლება "სახალხო ჩხუბი" აიცილონ, რომ ეს არეულობაში არ გადაიზარდოს, ეპისკოპოსი ახალციხეში გასამგზავრებლად ამზადებს ცალკე მღვდლებს და ცალკე კაცებს. სთხოვს 20 წირვის ჩატარებას.

*შავი მელანი, 3 იანვარი, 1885 წელი, სარატოვი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**389.** **2940**

აცნობებს, რომ ეპისკოპოზი მაგრად დგას თავის სიტყვაზე და ჯერ თავი დაანებე მაგენს ახალციხიდან მოაშორებენ და მერე სხვა საქმეებსაც უნდა მიხედოსო, აქვს მინაწერი "შესახებ თქვენი გვარისა მე კი აგრე მოგწერ როგორც გინდა, მაგრამ კალენდარში უმინისტროდ არ გამოცვლიან."

*შავი მელანი, 23 იანვარი, 1885 წელი, სარატოვი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**390.** **2941**

იოვანე ანტონოვი ივანე გვარამაძეს ულოცავს ახლად გავლილ დღესასწაულებს. სთხოვს "დროებაში" თუ არ დაბეჭდილა რაიმე ცნობა თვითონ გააგზავნოს წმინდა კირილეს დაკრძალვის თაობაზე, რომში წმინდა კლიმენტის ეკლესიაში.

*შავი მელანი, 29 მარტი, 1885 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**391.** **2942**

საუბარია ივანე გვარამაძის გვარის ხმარებაზე. ურჩევს, ისევ ისე გვარამაძედ იწოდოს ჯერჯერობით და თუ მერე ვინმე საჩივარს დაუწერს მერე გაიმართლოს თავი იმ მტკიცებებით რომელიც მას გააჩნია. კალენდარში კი ისევ იმ გვარზე დარჩება რადგან მისი შეცვლა მინისტრის გარეშე არ შეიძლება. საუბარია ივანე გვარამაძის შვილის სწავლაზე- ურჩევს ცოტა 'ნემენცური" ასწავლოს შვილს თორემ იქ მერე სწავლა გაუჭირდება. წერილში ჩამოწერილია წირვები და მასში გადახდილი თანხა.

*შავი მელანი, 15 მაისი, 1885 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**392.** **2943**

აცნობებს რომ თბილისიდან დაბრუნების შემდეგ, დახვედრია მისი წერილი, საიდანაც გებულობს, რომ საქმეები ისე არ მიდის როგორც მას სურს, ურჩევს მოითმინოს, ყველაფერი ჩადგება კალაპოტში. აცნობებს გოზალოვის დანიშვნის შესახებ.

*შავი მელანი, 12 აგვისტო, 1885 წ. სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**393.** **2944**

კვლავ დარიგებას აძლევს, რომ ნუ გაფიცხდება ყველაფერზე, რადგან შეტაკებით ბევრჯერ საქმე ფუჭდება, ვიდრე კეთდება. აცნობებს, რომ ეპისკოპოსმა გადასცა მისი ნათარგმნი მოთხრობა "ახალი ღმერთი", მოსწონებია და აძლევს სხვადასხვა რჩევას. ნახსენებია: გოზალოვი, ბეზირგანოვი, დონ მიქაილი.

*შავი მელანი, 15 ოქტომბერი, 1885 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**394.** **2945**

ულოცავს შობის დღესასწაულს, უგზავნის წირვების ჩასატარებელ ფულს და ჩუმი ხმიანი წირვების სიას. მოკითხვას უთვლის გადასაცემად მამა შაბანოვისადმი და მოიკითხავს მამა დონ მიხაილს.

*შავი მელანი, 2 იანვარი, 1887 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**395.** **2946**

წერილი იოვანე ანტონოვისაგან არის გამოგზავნილი. ადრესატს ატყობინებს, რომ ძალიან ბევრი წერილები მოდის ახალციხიდან ეპისკოპოსის სახელზე, ისიც ყურადღებას არ აქცევს ამ ქაღალდებს, ურჩევს იყოს დამშვიდებული. ბოლოს მიუღიათ არარატიანისაგან. აცნობებს, რომ წერილებში ანტონოვს ასახელებენ ივანე გვარამაძის - ე.ი. "მესარკოვის კეთილისმყოფნად" და ეს არ ესიამოვნა ეპისკოპოსს.

წერილის ერთი გვერდი ეკუთვნის ივანეს შვილს გაბრიელს, რომელიც მამას სთხოვს გაუგზავნოს ხილეული და ფულიც.

*შავი მელანი, 28 იანვარი, 1887 წელი, სარატოვი, 5 ფურცელი, მხედრული.*

**396.** **2947**

აცნობებს, რომ მას მიუღია მისი და მამა შაბანოვის წერილი, სთხოვს გადასცეს მამა შაბანოვსო, რომ თუკი რამე ეშველება მანდაურ საქმეებს აუცილებლად აუხსნის ეპისკოპოსს. საუბარია ლექსიკონზე, რომლის დახმარებითაც უნდა ითარგმნოს საეკლესიო წიგნი. უგზავნის წირვების ჩასატარებელ თანხას, ჩუმი და ხმიანი ლოცვების სიას.

*შავი მელანი, 21 მაისი, 1887 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**397.** **2948**

აცნობებს, რომ იგი წერილებს დროზე აგზავნის, მაგრამ ეტყობა 'ფოჩტაშიც" ეშმაკობენ ივანე გვარამაძის წინააღმდეგ და დროზე არ მიაქვთ მასთან წერილები. ჰპირდება, რომ ამის შემდეგ "ზაკაზნოი" წერილებს გაუგზავნის. საუბარია, რომ ეპისკოპოს ძალიან მოსწონს მისი ნათარგმნები და უთქვამს 'აი ნახე, ჩვენცა გვყავს მწერალიო." ლაპარაკია ახალციხეში სასულიერო სემინარიის გახსნის თაობაზე.

*შავი მელანი, 2 იანვარი, 1888 წელი, სარატოვი, მხედრული.*

**398.** **2949**

სთხოვს, სასწრაფოდ აცნობოს ერთი ახალციხელი, სოფელ უდეში მცხოვრები, ყმაწვილის სიმონ პეტრეს ძე ჩილაევის შესახებ, მას სურს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება. რეკომენდაციას აძლევს უდის მღვდელი მიხაელ ვარძელოვი.

*შავი მელანი, 19 აპრილი, 1888 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**399.** **2950**

ანტონოვი ივანე გვარამაძეს წერს, რომ მიიღო სტეფანე მეფისოვის წერილი, სადაც სთხოვს, რამე უშველოს ახალციხეში ქართველი გალობის აკრძალვის საქმეს. საუბარია საწირავებზე.

*შავი მელანი, 14 თებერვალი, 1888 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**400.** **2951**

ურჩევს, ჯერ კიდევ მოთმინებით იყოს საჩივრების საქმე განხილვის სტადიაშია. აცნობებს, რომ ახალციხიდან მღვდელ სიმონ ბალახოვის წერილი მიუღია, (ეს მღვდელი ართვინის ეპარხიიდან ყოფილა შემოსული.) რომ დაერთოთ წირვის ნება. ეპისკოპოსს კი უარი უთქვამს ისედაც ბევრი მღვდლები არიანო, უგზავნის წირვების სიას.

*შავი მელანი, 1 აპრილი, 1888 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**401.** **2952**

ანტონოვის წერილი ივანე გვარამაძისადმი, ლაპარაკია სემინარიაში ახალგაზრდების მოწყობის თაობაზე. ავტორი ურჩევს ერთი-ორი კაი ახალგაზრდა ჯერ ავსტრიაში გააგზავნონ რამდენიმე ხნით, იქ ჯერ "ნემენცურს" ისწავლიან და მერე კონსტანტინოპოლში სემინარიაში გააგრძელებენ სწავლასო. აღნიშნულზე უკვე წერილი გაუგზავნია კონსტანტინოპოლში პავლე ყალაიჯოვთან. წერილის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ჩუმი წირვების სიას.

*შავი მელანი, 2 ივნისი, 1888 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**402.** **2953**

შეეხება ივანეს ვაჟის ამბებს, მოთხრობილია ამბავი ძიძისა და ბავშვის ურთიერთობაზე.

*შავი მელანი, ქ. ოდესა, 1889 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**403.** **2954**

ლაპარაკია საეკლესიო ამბებზე, რომ ანტონოვმა ეპისკოპოსს უთარგმნა ორი ქაღალდი ქართულად, ხოლო ამას გაუგზავნიან ივანეს და მან უნდა თარგმნოს სომხურად, რომელიც დაურიგდებათ მღვდლებს.

*შავი მელანი, სარატოვი, 1891 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**404.** **2955**

თანაგრძნობას უცხადებს მეუღლის გარდაცვალების გამო. უგზავნის 60 მანეთს წირვებისათვის.

*შავი მელანი, სარატოვი, 1891 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**405.** **2956**

კერძო, შეეხება ახალციხის ამბებს, ბოლოში ნახსენებია მიხეილ თამარაშვილი.

*შავი მელანი, სარატოვი, 1890 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**406.** **2957**

კერძო, ლაპარაკია თუ როგორ მივიდეს სარატოვში ჩასული ვინმე კათოლიკურ სემინარიაში.

*შავი მელანი, სარატოვი, 1890 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**407.** **2958**

*საუბარია წირვებისა და გაგზავნილი ფულის შესახებ.*

*შავი მელანი, სარატოვი, 1890 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**408.** **3299**

ატყობინებს გვარამაძის შვილის მზეჭაბუკის მშვიდობიანად ჩასვლას. იქვეა მზეჭაბუკის წერილიც.

შავი მელანი, ავტოგფრაფი, სარატოვი, 1890 წელი. 2 ფურცელი.

**409.** **4648**

"ქებული იყოს იესოს სახელი"
ღირსო მამაო იოვანე

წერილი იწყება: "აგერ კარგა ხანია რომ, მინდოდა თქვენთან წერილის გამოგზავნა, მაგრამ მოუცლელობის გამო აქამდინ ვერ ავასრულე ჩემი სურვილი, მიზეზი წიგნის მოწერისა ესარის რომ, მე შევიტყვე ვითამც სამცხების ღვდლებს უნდოდათ ჩემზედ ჩივილი მინისტრთან იმისათვის, რომ თქვენ მანდ აგინებთ და ლანძღავთ ვითომც სამცხების უმეცარ ღვდლებსა და ამა თქვენ მოქმედებაში ვითომც მეც ხელი მირევია. ამბობენ ტერ იოვანე გვარამაძე ვერ გაბედავდა ამდენს ჩვენს გინებას თუ უკეთუ ანტონოვი არ ამხნევებდესო. სომხებმა რომ იჩივლონ ჩემზედა, მე დიდად არ გამიკვირდება, რადგან იმისთანა გოგრა აქვთ, რომ არავის არ დაზოგამენ ვისზეც კი შეიძლება ჩივილი." სთხოვს ეცადეთ, რომ თქვენს მხრით არაფერი მიზეზი არ ჰქონდეთ ჩივილისა და თუ უთქვენოდ მაინც და მაინც იჩივლებენ მაშინ ღმერთმა მშვიდობა მისცეთ. მხოლოდ თვალყური კი გეჭიროთ, თუ რას აპირებენ. ჩამოთვლილი აქვს ჩუმი წირვები და სთხოვს ამ წირვების ჩატარებას. წერილს აქვს მინაწერი მღვდელ მიხაილ ვარძელოვისადმი გადასაცემი.

*შავი მელანი, ავტოგრაგი, 26 ნოემბერი 1890 წ. სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**410.** **4649**

"ქებული იყოს იესოს სახელი"
ღირსო მამაო იოვანე

აცნობებს, რომ მიიღო მისი წერილი, რომ ახლა ელაპარაკა ეპისკოპოსს და მან უთხრა: "რომ ათარგმნინებს სომხურად წმინდა მამის პიო IX - "სამოციქულო ტახტის" წიგნს და როგორც კი მზად იქნება გაუგზავნის.

სთხოვს შეატყობინოს ტერ სტეფან გოზალოვი რომელ სოფელ-შია და თუ "ფოჩტა მიდის იქამდისინა. უკეთუ არ მიდის სად უნდა გაუგზავნოს წიგნი რომ იმას მიუვიდეს." ულოცავს გავლილ ბრწყინვალე დღესასწაულს. უგზავნის წირვებს მიცვალებულთათვის და ცოცხლებისათვის.

*შავი მელანი, 29 დეკემბერი 1890 წ. სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**411.** **1965**

დონ იოვანე ანტონოვის წერილი მიხეილ თამარაშვილისადმი, ულოცავს დაბადების დღეს. უხსნის მიზეზს მოწმობის ვერ გაგზავნაზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1890 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**412.** **2959**

კერძო, ბოლოში გამოთქვამს აზრს, რომ თუ ივანეს დანიშნავენ, მან ჩამოიყვანოს საკუთარი დიაკვნები, ძალიან კარგი იქნება.

*შავი მელანი, სარატოვი, 1891 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**413.** **2960**

შეეხება კათოლიკურ ეკლესიას და ისტორიას.

*შავი მელანი, სარატოვი, 1891 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**414.** **2961**

საეკლესიო ხასიათის, ატყობინებს, რომ ვიღაცამ ივანე ცუდად დაასმინა ეპისკოპოსთან. ნახსენებია: ტერ სტეფანე, პატრი ასლანოვი.

*შავი მელანი, სარატოვი, 1891 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**415.** **2962**

ლაპარაკია, რომ ეპისკოპოსს რომისა ეშინია, თორემ ერთ დღეს არ დააყენებს მას იქ. მეორე ფურცელზე არის წერილი მიხეილ ანტონოვისა.

*შავი მელანი, სარატოვი, 1891 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**416.** **2963**

სთხოვს ნუ წუხდება გაბრიელისათვის, ლაპარაკია ქოლერაზე. უგზავნის წირვებისათვის ფულს.

*შავი მელანი, სარატოვი, 1892 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**417.** **3036**

საუბარია საეკლესიო ენაზე და თბილისის ამბებზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1893 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**418.** **2964**

ატყობინებს, რომ ეპისკოპოსი კვლავ რომშია, პოლონელები ძალიან გაბრაზებულები არიან, ეპისკოპოსი რომ სწუხს ენის ბედზე. ნახსენებია წირვათა რაოდენობა და მისაღები თანხა.

*შავი მელანი, სარატოვი, 1894 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**419.** **2965**

ავტორი სთხოვს, "ახლა ამ სამი საკითხის პასუხი მალე მომცეთ, რომ გავათავო ეს ანგარიში.

1. 22 დეკემბერს 1893 წელს გამომიგზავნია სულ 124 წირვა= 75,55კაპ.

2. 4 იანვარს 1894 წელს გამომიგზავნია 114 ჩუმი (თუმცა ჩემს სიაში წერია 144 და დღეს გავასწორე მაგრამ ფულის გამო ადვილად მიხვდება კაცი) ამ 114 წირვის ფული შედგება 57 მან.

3. 24 იანვარს გამომიგზავნია 12 ჩუმი წირვა - 6 მან. 30 ჩუმი წირვა - 30 მან. წერილში საუბარია ოჯახის წევრების ურთიერთობაზე და მათ საქმიანობაზე.

*შავი მელანი, სარატოვი, 1894 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**420.** **2966**

ატყობინებს გაბრიელის გამომგზავრებას.

*შავი მელანი, სარატოვი, 1894 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**421.** **2967**

კერძო, აქვეა გაბრიელ გვარამაძის წერილიც ისიც კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, სარატოვი, 1894 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**422.** **2968**

კერძო, საუბარია მიმდინარე დროის წირვების ჩატარებაზე.

*შავი მელანი, სარატოვი, 1894 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**423.** **2969**

სთხოვს დაურიგოს სანდო პირებს ჩამოთვლილი წირვები.

*შავი მელანი, სარატოვი, 1894 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**424.** **2528**

ავტორი აცნობებს ივანე გვარამაძეს ჩატარებული წირვების ანგარიშს გამოხატულს ფულად ერთეულში და მომავალი ჩასატარებელი ხმიანი და ჩუმი წირვების სახეობებს.

*შავი მელანი, 24 იანვარი 1895 წელი, სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**425.** **2970**

პირადი ხასიათის, საუბარია წირვების ჩატარების შესახებ.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**426.** **2972**

პირადი ხასიათისაა, საუბარია წირვებზე და მის ანაზღაურების ხარჯებზე.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**427.** **2973**

ლაპარაკია დონ დიმიტრის გარდაცვალებაზე, პარაკლისზე და წირვებზე.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**428.** **2974**

შეეხება წმინდა მამის კონდაკს, რომელსაც ენციკლიკა ჰქვიან. ქართველების უფლებას ქართულ ტიპიკონზე დაბრუნების შესახებ.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**429.** **2975**

საუბარია წირავების შესახებ, მათ ღირებულებაზე.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**430.** **2977**

სთხოვს აცნობოს ქართველ კათოლიკეთა შესახებ, რომელი წყაროებიდან აქვს აღებული ცნობები, რომელიც მას მისწერა. ასევე სთხოვს მისწეროს რის საფუძველზე ყოფს საქართველოს, მხარეებად.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**431.** **2978**

შეეხება საეკლესიო ამბებს, საუბარია წირვების ჩატარების შესახებ.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**432.** **2979**

უგზავნის თხოვნას, რომ თუ რაიმე მიაჩნია საჭიროდ ჩაამატოს.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**433.** **2980**

სამონასტრო ამბები.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**434.** **2981**

ლაპარაკია კაპუჩინებზე, მიხეილ თამარაშვილის მიერ მიცემული ცნობების შესახებ.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**435.** **2982**

ლაპარაკია “თხოვნის” ტექსტზე და “ყმაწვილების” გაზრდის შესახებ.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**436.** **2983**

ატყობინებს, რომ გრაფ შემბეკმა წაიღო თხოვნა.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 1 ფურცელი, მხედრული*

**437.** **2984**

საუბარია წირვების შესახებ და მწუხარებას გამოთქვამს მისი ავადმყოფობის გამო.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**438.** **2985**

ლაპარაკია გადაწყვეტილების მიღებაზე და გატარებაზე, რომელსაც მთავრობის გარეშე ვერ გადაწყვეტენ. (ნაგულისხმევია ქართველი კათოლიკენი.)

*შავი მელანი, სარატოვი, 1896 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**439.** **2986**

სწერს, რომ მისი ხელნაწერები ჯერ არ წაუკითხავს და გვიან გამოუგზავნის.

*შავი მელანი, სარატოვი, 1896 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**440.** **2971**

ლაპარაკია ვარძელოვისა და მზეჭაბუკის გამომგზავრებაზე ახალციხეში.

*შავი მელანი, სარატოვი, 1897 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**441.** **2987**

საუბარია  წირვების შესახებ, შეეხება ჩატარებულ წირვების ღირებულებას.

*შავი მელანი, სარატოვი, 1897 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**442.** **2988**

მადლობას უცხადებს თანაგრძნობისათვის დედის გარდაცვალების გამო.
ნახსენებია ვინმე "სოსნის" იუბილე, გოზალოვის ძმისწულის შესახებ, რომლის მომზადებაც უნდა ივანე გვარამაძეს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1897 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**443.** **2989**

ლაპარაკია წირვების შესახებ, მათი ფასები და საეკლესიო ამბები.

*შავი მელანი, სარატოვი, 1897 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**444.** **2990**

ლაპარაკია ივანე გვარამაძის ლექსებზე, სთხოვს იპოვოს გაბრიელის "თხოვნა" მონასტრის უფროსების შესახებ.

*შავი მელანი, სარატოვი, 1897 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**445.** **2991**

საუბარია საეკლესიო ამბების თაობაზე.

*შავი მელანი, სარატოვი, 1897 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**446.** **2992**

ლაპარაკია მზეჭაბუკზე, წირვებზე და მიხეილ თამარაშვილზე.

*შავი მელანი, სარატოვი, 1897 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**447.** **2993**

ლაპარაკია წირვების შესახებ.

*შავი მელანი, სარატოვი, 1897 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**448.** **2994**

ატყობინებს სემინარიიდან გაბრიელის გამოქცევის ამბავს. (გაბრიელი შვილია ივანესი) წერს, რომ მიიღო თამაროვის წერილი, რომელშიც სწერია, რომ მიიღო წმინდა მამისაგან ახსნა და იგი სარატოვში ეპისკოპოსისათვის გამოუგზავნია.

*შავი მელანი, სარატოვი, 1897 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**449.** **2995**

სიხარულს გამოთქვამს რომ ივანე ხელს უწყობს თამარაშვილს და საჭირო ცნობებს აწვდის. ლაპარაკია მზეჭაბუკზეც. (შვილი ივანესი)

*შავი მელანი, სარატოვი, 1897 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**450.** **2996**

ატყობინებს, რომ მიიღო ივანე გვარამაძის ნათარგმნი წიგნი ეპისკოპოსისაგან. ეს წიგნი ძლიერ სასარგებლო იქნებაო.

*შავი მელანი, სარატოვი, 1897 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**451.** **3280**

შეეხება ქართველ კათოლიკეთა ამბებს. აქვეა გაბრიელის წერილი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1897 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**452.** **2997**

ლაპარაკია "სოსანზე" და საწირავებზე.

*შავი მელანი, სარატოვი, 1898 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**453.** **2998**

ატყობინებს "სოსნის" გადადგომასა და ახალი ეპისკოპოსის დანიშვნას.

*შავი მელანი, სარატოვი, 1898 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**454.** **2999**

ლაპარაკია თამარაშვილზე, საწირავებზე, ივანეს წიგნზე- "შვილები და მშობლები."

*შავი მელანი, სარატოვი, 1898 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**455.** **3000**

ლაპარაკია თამარაშვილზე და გვარამაძის დაკარგულ პოემაზე "წარღვნა."

*შავი მელანი, სარატოვი, 1898 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**456.** **3001**

ლაპარაკია თამარაშვილზე და ქართველ კათოლიკეთა სავალალო მდგომარეობაზე.

*შავი მელანი, სარატოვი, 1898 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**457.** **3259**

ანტონოვის წერილი კერძო საკითხებზეა საუბარი, აქვეა გაბრიელ გვარამაძის წერილი მამისადმი, რომელშიც სთხოვს პატიებას ურჩობისათვის და პირობას აძლევს, რომ იქნება მორჩილი შვილი. სთხოვს ეკონომიურ დახმარებას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1898 წელი. 2 ფურცელი,*

**458.** **3002**

ატყობინებს, რომ ლათინის პატრებს ჯერ ვერ დაუნიშნავენ.

*შავი მელანი, სარატოვი, 1899 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**459.** **3003**

სწერს, რომ წაიკითხა მისი წიგნი "ადამი და ევა." უგზავნის თავის წერილს.
იქვეა გაბრიელის წერილი მამისადმი, რომელიც სთხოვს ეკონომიურ დახმარებას,
რომ მამა გოზალოვი დაინიშნება ტერ პეტროსას მაგივრად. ნახსენებია თამარაშვილი.

*შავი მელანი, სარატოვი, 1899 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**460.** **3004**

ატყობინებს რომ უგზავნის შენიშვნებს გვარამაძეს თარგმანთან დაკავშირებით.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1899 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**461.** **3005**

წერილში საწირავებზე და ეკლესიის ამბებია გადმოცემული .გოზალოვის
მიღებაზე ეკლესიაში.

*შავი მელანი, სარატოვი, 1899 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**462.** **3006**

საეკლესიო ამბები და ჩასატარებელი წირვები.

*შავი მელანი, სარატოვი, 1899 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**463.** **3007**

ატყობინებს, რომ უგზავნის კატეხიზის თარგმანს და სთხოვს გამოუგზავნოს შენიშვნები, მოხსენიებულია: დონ მიხაილი, გიორგი შემაბეკი, ბაჩევსკი.

*შავი მელანი, სარატოვი, 1899 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**464.** **3008**

ატყობინებს ივ. მერაბოვის თხოვნას, რომ სემინარიაში მიიღოს მამა სტეფანე გოზალოვის ძმიშვილი სახელად ანტონი, რომელიც არის 15 წლისა. ნახსენებია გოზალოვი.

*შავი მელანი, სარატოვი, 1900 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**465.** **3009**

ატყობინებს, რომ მიიღო მისი წერილი და მისი გადაწერილი კატეხიზისი.

*შავი მელანი, სარატოვი, 1900 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**466.** **3010**

ულოცავს დღესასწაულს.

*შავი მელანი, სარატოვი, 1900 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**467.** **3011**

მადლობას უხდის ისტორიული ცნობების მიწოდებისათვის, რომ თამაროვი ჩასულა რომში, რათა მოძებნოს საბუთები და პასუხი გასცეს სომხებს. ნახსენებია: თამაროვი - მიხეილ თამარაშვილი. აქვს მინაწერი “გადამალეთ.”

*შავი მელანი, სარატოვი, 1900 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**468.** **3012**

ლაპარაკია ხასანოვზე, რომ სომხები ცდილობენ ეკლესიის წართმევას, თამარაშვილის დარჩენა აუცილებელია რომში რათა ეს საქმე მათ არ მოიგონ. ნახსენებია: მზეჭაბუკი, ხასანოვი, თამარაშვილი, პ. ელიტინი, მამა ნებიეროვი, შაანოვი.

*შავი მელანი, სარატოვი, 1900 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**469.** **3013**

ატყობინებს, რომ მიიღო კატეხიზმი, ლაპარაკია ხიზაბავრის ეკლესიაზე. ურჩევს ფეხით სიარულს და რაც შეიძლება მეტ მოძრაობას.

*შავი მელანი, სარატოვი, 1900 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**470.** **3014**

გამოთქვამს სიხარულს, რომ ივანე აპირებს სარატოვში ჩასვლას, ატყობინებს, რომ წაიკითხა ხახანაშვილის პასუხი და მოეწონა.

*შავი მელანი, სარატოვი, 1900 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**471.** **3282**

სთხოვს ჩამოვიდეს. ატყობინებს მალე ჩასატარებელ წირვებს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1900 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**472.** **3933**

საუბარია მზეჭაბუკისათვის ნების აღებაზე, რათა იგი შევიდეს საეკლესიო სასწავლებელში.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1900 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**473.** **3015**

ატყობინებს, რომ უგზავნის ბანკის ბილეთს.

*შავი მელანი, სარატოვი, 1901 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**474.** **3016**

საუბარი შეეხება საეკლესიო ამბებს, წირვებს.

*შავი მელანი, სარატოვი, 1901 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**475.** **3017**

ატყობინებს, რომ უგზავნის ვიზების წიგნს სათარგმნად სომხურიდან ქართულ ენაზე. ნახსენებია პატრი გაბრიელი.

*შავი მელანი, სარატოვი, 1901 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**476.** **3018**

წერილი საეკლესიოა, შეეხება ქართველ კათოლიკეთ. ნახსენებია წირვების ღირებულება და ბანკის ანგარიშსწორება.

*შავი მელანი, სარატოვი, 1901 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**477.** **3019**

ქებული იყოს იესოს სახელი.
ღრმად და დიდად პატივსაცემო მამაო იოვანე.
წერილი კერძო ხასიათისაა და საუბარია თავის ჩატარებული წირვების ღირებულებაზე და გამოყოფილი აქვს თანხის ჯამი. სულ შეადგენს 100 მანეთს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1901 წელი. 1 ფურცელი, მხედრული.*

**478.** **3020**

ქებული იყოს იესოს სახელი.
ღირსო და დიდად საყვარელო მამაო იოვანე.

“ამასთანავე გიგზავნი ქაღალდს, რომლის ძალით მანდ ხაზინაში მიიღებთ 200 მანეთს.” მთელი წერილის შინაარსი მოიცავს ჩუმი, ხმოვანი და ჩატარებული წირვების ღირებულებების ჩამონათვალს. ბოლოს საუბარია ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონზე და გვარ -მესარკოვზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1901 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**479.** **3021**

მადლობას უხდის, რომ გადაუწერია მისთვის ხახანაშვილის წერილი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1901 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**480.** **3022**

უგზავნის თხოვნას და სთხოვს გადააწერინოს ქართულად და ვისიმე ხელით გაუგზავნოს ტრაპიზონში.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1901 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**481.** **3040**

საეკლესიო, საუბარია საიმედო გარიგებაზე და სხვა.

შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1901 წელი. 1 ფურცელი, მხედრული.

**482.** **3045**

წირვების შესახებ, გადასახდელი თანხებია ჩამოთვლილი და ნახსენებია გაბრიელი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1901 წელი. 1 ფურცელი, მხედრული.*

**483.** **2976**

წირვებისა და ეპისკოპოს როპპის შესახებ.

*შავი მელანი, სარატოვი, 1902 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**484.** **3023**

ატყობინებს, რომ დამატებით გაიგოს კიდევ ცნობები ქართველ კათოლიკეთა შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1902 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**485. 3024**

ქებული იყოს იესოს სახელი.
დიდად საპატივსაცემო მამაო იოვანე.
წერილში აცნობებს სასიამოვნო ამბებს, რომ 'სოსანი" ნამდვილად წაბრძანდა და გაყვება ბარონი როპპიც. საუბარია საეკლესიო მმართველობაში მომავალ ცვლილებებზე. ჩამოთვლილი აქვს წირვები მათი ღირებულებები და ჯამში მიღებული 200 მანეთი, რომელსაც უგზავნის ბანკში მისაღებად.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1902 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**486. 3025**

პატივისცემით ღირსო მამაო იოვანე.
იოვანე ანტონოვი აცნობებს, რომ მიუღია მისი წერილი 25 მაისს. ნახსენებია ბარონი ედვარდ როპპი. ჩამოთვლილი აქვს წირვები. მათი ღირებულებები და ჯამში შეადგენს 30 მანეთს. მინაწერში აცნობებს, რომ "მაშ თქვენი მემართება 44,50 კაპ. რასაც გამოგიგზავნით... დავშვრები თქვენი მცირე მონა."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1902 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**487. 3026**

"ქებული იყოს იესოს სახელი.
ღირსო და დიდად პატივსაცემო მამაო იოვანე."
წერილში საუბარია ენკენის თვეში გაგზავნილ თანხაზე 369,50 კაპ. შემდეგ ჩამოთვლილია ახალი წირვები და აქვს ჯამი გაკეთებული 30,50 კაპ. აცნობებს, რომ ახალი ეპისკოპოსის კურთხევა გადაუდვიათ ოქტომბრისათვის და კიდევ არ იციან რა დღეს იქნება დანიშნული. სთხოვს მალე პასუხი აცნობოს ფულისა და წირვების მიღების თაობაზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1902 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**488. 3027**

"ქებული იყოს იესოს სახელი.
დიდად საყვარელო და პატივსაცემო მამაო იოვანე."

ავტორი მადლობას სწირავს ღმერთს, რომ “მოგვივლინა ღმერთმა ეპისკოპოსი აღზნებული კათოლიკურ სულითა და სიბრძნითა;” საუბარია საეკლესიო ამბებზე და ჩატარებულ ხმიან და ჩუმ წირვებზე, რომელთა ღირებულებაც 64,50 კაპ. შეადგენს.

*შავი მელანი, სარატოვი, 1902 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**489.** **3028**

“ქებული იყოს იესოს სახელი.
დიდად საყვარელო და პატივსაცემო მამაო იოვანე.”
ავტორი წერილში საუბრობს ახალ ეპისკოპოსის ღვთის კაცობაზე. “ამასთანავე მინდა ერთი დიდი რამ გახაროთ, ეს ჩვენი ახალი ეპისკპოპოსი ღვთის კაცია და ნამდვილი სამოციქულო პირია, თანახმა არის ყველა იმ რამეებისა, რომელიც მე თქვენგანა მაქვს ჩაგონებული.”
წერილის დანარჩენი შინაარსი ეხება წირვების ჩატარებას და მათში გადახდილ თანხას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1902 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**490.** **3305**

ღია ბარათი შეეხება საეკლესიო ამბებს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1902 წელი. 1 ფურცელი, მხედრული.*

**491.** **3937**

ღია ბარათი, (საფოსტო). კერძო.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1902 წელი. 1 ფურცელი, მხედრული.*

**492.** **3029**

წერილში ატყობინებს თავიანთი ეპისკოპოსის აზრს ქართველი კათოლიკეების შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1903 წელი. 1 ფურცელი, მხედრული.*

**493.** **3304**

ღია ბარათი, კერძო.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1903 წელი. 1 ფურცელი, მხედრული.*

**494.** **3030**

წერილი კერძო ხასიათისაა, საუბარია ეკლესიაში მიმდინარე საკითხებზე, ნახსენებია ჩასატარებელი წირვები.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1904 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**495.** **3031**

ლაპარაკია ივანე გვარამაძის თხოვნაზე წიგნის დაბეჭვდის თაობაზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1904 წელი. 1 ფურცელი, მხედრული.*

**496.** **3034**

საუბარი შეეხება საეკლესიო ამბებს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1905 წელი. 2 ფურცელი,*

**497.** **3032**

სწერს რჩევას თუ როგორ მიმართოს ეპისკოპოსს თხოვნით.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1907 წელი. 1 ფურცელი, მხედრული.*

**498.** **3033**

საუბარია ახალციხელი კათოლიკეების ლათინურ ტიპიკონზე გადასვლის შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1907 წელი. 1 ფურცელი, მხედრული.*

**499.** **3035**

კერძო, საუბარია საეკლესიო ამბებზე, ჩატარებული წირვების რაოდენობაზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1911 წელი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**500.** **3038**

ლაპარაკია “კარტოჩკების” საიმედოდ გაგზავნაზე და ენციკლოპედიის შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 4 ფურცელი, მხედრული.*

**501.** **1858**

დონ ივანე ანტონოვის წერილი ივანე გვარამაძისადმი, წერილში ავტორი პატივისცემით იხსენებს ქრისტეს სახელს და ივანე გვარამაძეს ულოცავს ახალ წელს. ატყობინებს, რომ მიიღო მისი წერილი, სადაც წაუკითხავს, რომ “ქვეყანა წყალს მიაქვს და კაცი არარის ყურის მგდებელიო.”

წერილში ლაპარაკია კათოლიკე მრევლის და გვარამაძის შვილის საქმეების მოგვარებაზე.

*შავი მელანი, 26 იანვარი, უთარიღო, სარატოვი. 2 ფურცელი, მხედრული.*

**502.** **3924**

ატყობინებს ეპისკოპოსის თხოვნას, რომ გადათარგმნოს სომხურ ენაზე. ლაპარაკია პეტერბურგში გამგზავრებაზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**ანტონოვი მიხაილ**

**503.** **3278**

ღირსო მამაო ტერ-იოვანე
ქებული იყოს იესოს სახელი.

აცნობებს, რომ მიიღო მისი გამოგზავნილი წერილი უკვე ერთი თვეა. საუბარია ეპისკოპოსთან სიახლოვედ ყოფნასა და მასთან ურთიერთობაზე. “მართალია ახლო ვართ, მაგრამ თითქმის არ ერევა საქმეებში”. საუბარია სემინარიის საქმიანობაზე. ჩამოთვლილია 17 ჩუმი და ხმოვანი წირვა და მათი ღირებულება, რომ კარგად არიან, მოიკითხა დონ-ივანემ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1886 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**504.** **2521**

წერილში ლაპარაკია ხმიანი და ჩუმი წირვების ჩატარებისა და მათი საფასურის გადახდის თაობაზე. ჩამოთვლილი წირვების რაოდენობა 26-ია. მათი საფასური 46 მანეთად არის შეფასებული. ახალ ამბებიდან ატყობინებს, რომ გერმანიის იმპერატორი რომში წმინდა მამის სანახავად მიდის, რომ "ჩვენს" მთავრობას აქვს მოლაპარაკება რომის წმინდა მამასთან და აფრთხილებს, ილოცონ იმისათვის, რომ საქმე კარგად წავიდეს.

*შავი მელანი, 27 კათათვე 1888 წ. სარატოვი, 2ფ. მხედრული*

**505. 2522**

წერილში ავტორი აფრთხილებს ივ. გვარამაძეს, რომ ფრთხილად იყოს და რაიმე ქაღალდი არ გაგზავნოს სარატოვში, რადგან ცოტმანი 'გრანიცაში" წასულა და მის ადგილზე თავისი მოადგილე დაუტოვებია, რომელიც არ ყოფილა ივ გვარამაძისადმი კარგად განწყობილი.

წერილის შემდეგი ნაწილი დათმობილი აქვს წირვების სიას და მასში გადასახად თანხის რაოდენობას.

*შავი მელანი, 1 ღვინობისთვე 1888 წ. სარატოვი, 2ფ. მხედრული.*

**506. 2525**

წერილში ავტორი ატყობინებს ადრე გაგზავნილი წირვების ფულის მიღებაზე და უგზავნის ახალი წირვების სიას, სულ 23 წირვაა ჩამოთვლილი.

*შავი მელანი, 31 მარიამობის თვე 1888 წ. სარატოვი, 1ფ. მხედრული.*

**507. 2527**

წერილი შეეხება წირვებსა და მასთან დაკავშირებულ სახარაბას. ავტორი ახსენებს თავის ძმა გრიგოლს და მის სახლობას, რომლებიც მასთან იმყოფებიან და განიცდიან დიდ სიდუხჭირეს. აცნობებს ცოტმანის "ასტავკაში" გასვლის თაობაზე და სთხოვს ეს ამბავი ჯერ საიდუმლოდ შეინახოს.

*შავი მელანი, 22 ენკენის თვე 1888 წ. სარატოვი, 2ფ. მხედრული.*

**508. 2524**

ავტორი ბოდიშს უხდის წერილის დაგვიანებით გაგზავნაზე და ახლა უგზავნის წირვების სიას. სიაში შეტანილია 47 ხმიანი და ჩუმი ლოცვანი, ჩამოწერილი აქვს წირვების გადასახადი თანხა. წერილი ძირითადად კერძო და საეკლესიო ხასიათისაა.

*შავი მელანი, 11 აგვისტო 1889 წ. ქ. სარატოვი, 2ფ. მხედრული.*

**509.** **2530**

აცნობებს, რომ წერილი მიუღია ძმა დონ-ივანესაგან, ლაპარაკია ვინმე მიხ. ანტონოვი - მღვდლის სიკვდილზე. ნახსენებია: იგითხანოვი, გოზალოვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, აბასთუმანი, 1891 წ. 2 ფ. მხედრული.*

**510.** **3264**

მიხეილ ანტონოვი სწერს, მოელაპარაკა დონ-ივანეს ქართული ენის შესახებ და მან ურჩია გამოგზავნონ თხოვნა შუამდგომლობაზე, აღუთქვამს დახმარებას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი. ქ. გორი, 1891 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**511.** **2644**

ლაპარაკია გორში გაჩენილ ქოლერაზე. სთხოვს აცნობოს გაგზავნეს თუ არა საჩივარი რომში. უგზავნის წირვებს.

*შავი მელანი, ქ. გორი, 1892 წ. 1 ფ. მხედრული.*

**512.** **3254**

ავტორი ადრესატს არ ურჩევს შვილის გაგზავნას სარატოვში.

*შავი მელანი, სარატოვი 1892წ. 1 ფ. მხედრული.*

**513.** **3255**

ავტორი მადლობას უხდის ადრესატს დაპატიჟებისათვის.

*შავი მელანი, გორი, 1892წ. 1 ფ. მხედრული.*

**514.** **3296**

პატივცემულო საყვარელო მამაო ივანე.

ქებული იყოს იესოს სახელი.

წერილი იწყება “მოგილოცამ გულითადად მომავალ დიდ დღესასწაულებს, ყრმა იესომ მოგანიჭოს ყველა ის მადლი, რომელიც კი თქვენთვის საჭირო იყოს”. საუბრობს ლათინურ ტიპიკონის მიღების თაობაზე.

*შავი მელანი, აბასთუმანი, 1891 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**515. 3270**

ღირსო მამაო ტერ-იოვანე

წერილში საუბარია წირვების ვალზე და სხვადასხსა დროს ჩატარებულ ახალ წირვებზე. აქვს მინაწერი: “კარგად გაიგეთ, რომ ჩვენი ენით ამ ბატონთან არაფერი კარგი არ გაკეთდება, უფრო განგებ ცუდად მოიქცევა იმისთანა ვინმე არის. იმიტომ მეტი გზა აღარაფერი არა გვაქვს თუ, რომ ღმერთის მეტი, უნდა ველოდოთ, რომ მანდ წამალი რამე დაადოს ჩვენს ეპარხიას”. დასასრულს აცნობებს, რომ მზეჭაბუკი მარჯვედ არის, “სწორედ ნემეცი გახდა”.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1892 წ. 1 ფურცელი, მხედრული*

**516. 3285**

ავტორი სწერს, რომ მზეჭაბუკმა მიიღო ქართული სიმღერების ნოტები და ჟურნალიც. აქვეა სააკოვის წერილიც. ნახსენებია: მერაბოვი, ბალახოვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1892 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**517. 3257**

ავტორი ივ. გვარამაძეს აცნობს საეკლესიო ამბებს, სთხოვს ეს და სხვა წერილებიც გაანადგუროს.

*შავი მელანი, თბილისი, 1893 წ. 1 ფ. მხედრული.*

**518. 3263**

ღირსო მამაო ტერ-იოვანე
ქებული იყოს იესოს სახელი.

ავტორი ივ. გვარამაძეს აცნობებს, რომ მიიღო მისი სასიამოვნო წერილი “ძალიან გამოსადეგი ცნობებით”. საუბარია “მანდაურ საყდრებში სულ ერთიანად ქართული ენის

ხმარების აკრძალვის თაობაზე, რომ ტერ-სტეფანე გოზალოვი აპირებს რომში წასვლას და ძალიან კარგი იქნება ყველა კოპიურები თან წაიღოს.....

საუბარია ჩუმი და ხმოვანი წირვების ჩატარებაზე. მთავრდება დავშთები თქვენი მცირე დონ მიხაილი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი. სარატოვი, 1893 წელი 2 ფურცელი, მხედრული.*

**519. 4650**

მიხეილ ანტონოვის წერილი ივ. გვარამაძისადმი.

ღირსო მამაო-ტერ იოვანე! ქ.ი.ი.ს.

აცნობებს, რომ მიიღო ივ. გვარამაძის წერილი კოპიოთი. სთხოვს აცნობოს შეასრულა თუ არა მისი თხოვნა, "რადგანაც ეს დიდი ბატონი (ცეერი) ეძებს, რომ რეთიმე დაგვიჭიროს, რომ საბუთი ქონდეს აქედან ჩვენი განდევნებისა, რომელიც მისთვის იქნება ძალიან დიდი სიხარული. ჯერ თქვენს მეტს არავის შეუტყობინებია ქართულის ენის სრულებით აკრძალვაზედ. წიგნი კი მოგვივიდა პ. სტეფანესაგან და პ. პავლესაგანაც, სიტყვასაც არ ახსენებენ ამაზედ."

საუბარია 1784 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე. პაპთან რომ ლექსებს გზავნით ასე დააწერთ "უნეტარესო მამაო."

*შავი მელანი, 31 მარტი 1893 წ. სარატოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**520. 2529**

ავტორი აცნობებს ივ. გვარამაძეს, რომ მიუღია მის მიერ გაგზავნილი ზეთისხილი, წინდების მოქსოვაზე ნუღა შეწუხდება, იქ ვინმეს მოაქსოვინებს. ბოლოს ლაპარაკია წმიდა მამის მიერ იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილზე, სადაც საუბარია 6000 ქართველ კათოლიკითა თავის გამოდებაზე.

*შავი მელანი, 8 მარტი 1894 წ. თბილისი. 2 ფ. მხედრული.*

**521. 2643**

კერძო, პ. პავლეს ხმა დაუყრია, რომ მე საქართველოს მზეს ვეღარ დავინახამდიო, მაგრამ .....

*შავი მელანი, ტემირ-ხან-მურიდან, 1895 წ. 1 ფ. მხედრული.*

**522. 3298**

ღირსო მამაო ტერ-იოვანე!
ქებული იყოს იესოს სახელი.

აცნობებს, რომ მიუღია მისი წერილი და დიდად აღტაცებულია კეთილის სურვილებით, რასაც ამდენს არ იმსახურებს. ნახსენებია: იაკობ პეტრეს ძე, ისარლოვი, "პ. ბასილა ქეიფში რომ შევა თურმე აღსარების რამეს ლაპარაკობსო." საუბარია დონ დიმიტრის გარდაცვალების შემდგომ "ქუთაისელებს გამოუყვიათ დონ - იოვანე და იქნობამდისინ არაფერი უთქვია ეპისკოპოზს, არც ჩემზედ ეუბნება რასმეს." ულოცავს მომავალ დღესასწაულებს.

*შავი მელანი, ტემირ-ხან მურიდან, 1895 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**523.** **3291**

ღირსო მამაო ტერ-იოვანე
ქებული იყოს იესოს სახელი.

ატყობინებს, რომ მიუღია ივ. გვარამაძის წერილი. საუბარია წირვების მიღებისა, ჩატარებისა, ღირებულებისა და თანმიმდევრობაზე. "ტერ-პეტროსის მაგივრად პ. ბასილა ნუ გგონიათ, რომ იყოს, პ. პავლე რამდენიმე ხნით დარჩება თავის ტერტერასთან. მანდ მოვა ტერ-პეტროსას მაგივრად პ. ჩილინგაროვი, ვგონებ კარგი ვინმე უნდა იყოს"...

აცნობებს, რომ ნააღმდგომევს გაემგზავრება დანარჩენ "ალაგებში" და ზღვის იქით აღარ წავა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, შურიდან, 1899 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**524.** **3262**

პატივცემულო და ღირსო მამაო
ტერ-იოვანე:
ქებული იყოს იესოს სახელი.

ავტორი წერილში აცნობებს თავის სიხარულს ახალ ეპისკოპოსის მოსვლის გამო. "აგერ თითქმის ორი კვირა სრულდება რაც მოვიდა სარატოვში ჩვენი ახალი ეპისკოპოსი და მსურს გაგინაწილო ის დიდი სიხარული, რომელიც ყველამ ვიგრძენით მისი მიღებით სტანციაზედ, ეკლესიაში და სემინარიაში, სადაც პირდაპირ მოვიდა სტანციიდამ საწირავად." საუბარია პ. გოზალოვის მიერ საკურთხევლად წარდგენილ ერთ კანდიდატზე. წერილის ბოლო ნაწილი დათმობილი აქვს წირვებსა და მათ ღირებულებას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, სარატოვი, 1902 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**525.** **3277**

წერილში ლაპარაკია ლათინურ ტიპიკონზე გადასვლის შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ქ. შურიდამა, 1903 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**526. 3272**

ავტორი საუბრობს მღვდელ მერაბიშვილზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, მარიოპოლი, 1905 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**527. 2526**

წერილში ლაპარაკია კრებაზე, სადაც დაუყენებიათ საკითხი მ. თამარაშვილის გვამის გადმოსვენების თაობაზე, რისთვისაც საჭირო ყოფილა ნებართვა და ფული. აცნობებს დონ ივანეს თანდათან დასუსტებაზე "უკუსვლაზე."

*შავი მელანი, 1/XI- 1911 წ. თბილისიდან. 1 ფ. მხედრული.*

**528. 3261**

ლაპარაკია წირვებზე. სთხოვს აცნობოს, როდის დაარსდა ახალციხეში სომეხ სამღვდელოებისათვის "პრავლენია."

*შავი მელანი, თბილისი, 1911 წ. 2 ფ. მხედრული.*

**529. 3297**

საუბარია თამარაშვილის დაღუპვაზე და მისი ნეშტის გადმოსვენებისათვის ზრუნვის შესახებ.

*შავი მელანი, თბილისი, 1911 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**530. 2523**

მიხაილ ანტონოვი წერილში ატყობინებს, რომ დეპარტამენტს ქართველების თხოვნა რომში გაუგზავნიათ, როცა ტერ აბრამიანი პეტერბურგში ყოფილა, რომ "ამ ვაჟბატონმა იქ ვერაფერი გააწყო და მერე რომში გაიქცა". სწერს, რომ მიხეილ თამარაშვილის გვამის გადმოსატანად მას და მ. ლაზარევს აგზავნიან. ჩამოთვლილია ჩუმი და ხმიანი წირვების სია.

*შავი მელანი, უთარიღო, ქ. სარატოვი, 1 ფურც. მხედრული.*

**531. 3303**

მიხეილ ანტონოვი აცნობებს, რომ სხვისგან გაიგო რომ "დონ დიმიტრი რასაკვირველია ოდესაშია, მანამდისი კანიკულები არ გათავდება სად წავა "აფრთხილებს "ვიზიტორი ბარანოვსკი იცოდეთ დიდი ქვეშქვეშა არის და ამ ბატონებთან დიდი მიწერ-მოწერა აქვს, განგებ დააყენეს მანდ მაგისთანა, რომ როგორც უნდათ ისე იხმარონ, ამიტომ საჭიროა რომ ქართველ კათოლიკენი მასთან მოიქცნენ დაფიქრებით, რომ ისე არ გაუხდნენ ქვეშევრდომნი, როგორც არლოვსკის."

წერილის ბოლოს საუბარია წირვებზე და მის ღირებულებაზე.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**ასლანოვი გაბრიელ**

**532. 2652**

ქებული იყოს იესოს სახელი.

ყოვლად პატივდებულო მამაო გვარამაძე!

Gგაბრიელ ასლანობის წერილი გვარამაძესთან გაგზავნილი სარატოვიდან 1890 წელს იანვრის 21.

"უწყის მამაო, მოსურნე იქნებით ჩემი ვითარების გაგონებისა და ღთის შემწეობით და თქვენის წმინდა წირვა ლოცვით, ღმერთმა ჩემი საქმე დღეს დღევანდლამდისინ კეთილად წარმართთა. შარშან დეკემბრის 13 მოვედი სარატოვში, დონ იოვანეთან. ნოემბრის 6 დავიწყე ეგზამენის მიცემა."

წერილის ძირითადი ნაწილი ეხება საეკლესიო ამბებს, ნახსენებია: ბერნარდე პარმახსუსოვი, რომელიც კონსტანტინეპოლიდან ჩამოსულა და სთხოვს მოიკითხოს ქრისტესია და პ მიქაელ თამაროვი. ატყობინებს მისი მცირე დიაკვნად კურთხევას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1890 წელი, სარატოვი, მხედრული.*

**533. 2655**

ღირსო მამაო მესხო გვარამაძე.

ქებული იყოს იესოს სახელი.

ავტორი აცნობებს, რომ მიიღო მისი წერილი 5 ივნისს. პატიებას სთხოვს პასუხის დაგვიანებისათვის. აცნობებს, რომ მის უმაღლესობას შეუსმენია მისი თხოვნა და გამოუცვლია სამსახური, რომ სწავლობს "ნემცურს" და ღვთის წყალობით მერეც შეისწავლის. აცნობებს თვითონაც ისეთ მდგომარეობაშია, რომ ბიძამისზე შეწევნა არ შეუძლია. 150 მანეთის ნემეცური ენის მასწავლებელს აძლევს წელიწადში. დონ იოვანეს უამბნია გვარამაძის შვილის შეწუხებაზე

სემინარიაში. სწავლა ამ თვის 27 დაიწყება. სთხოვს ეს ხუთი მანეთი და წერილი მ. თამაროვს გადასცეს. წერილის დასასრულს რუსულ ენაზე უწერს თავის მისამართს.

*შავი მელანი, გ. ასლანოვის ავტოგრაფი, 1890 წელი, აგვისტოს 8 სოფ.*

*როვნოე სამარის გუბერნია, მხედრული.*

**534.** **2653**

ღირსო მამაო გვარამაძე!

"სექტემბრის 8 მესამე გზით იქნა გარდამოძახებული ჩემ მიერ ქუთაისის რომის კათოლიკე ეკლესიაში მომავალი შეუღლება სტეფანე პავლეს ძე მაისუროვის ახალციხეში მცხოვრების და მარია ივანე მირიჯანოვის ასულის შორის. საუბარია შეუღლება განქორწინებაზე.

აქვეა მინაწერი: "იოსებ ანგოლის ძე მამულოვის მოწმობა გამოვაგზავნე იმედი მაქვს მიიღებდა."

*შავი მელანი, გ. ასლანოვის ავტოგრაფი, 1895 წელი, ქუთაისი, დეკემბრის 5 მხედრული.*

**535.** **2654**

ღირს და პატივცემულ მოძღვარს მამა იოვანე გვარამაძეს.

აცნობებს, რომ უგზავნის წერილს სოფელ ვალეში მამა სტეფანე ზაქაროვისათვის გადასაცემად. უმორჩილესად სთხოვს წაიკითხოს და მალე გადასცეს. ეს საქმე იმისათვის მოვიმოქმედე რათა ეს ჩვენი გორის კათოლიკეთა ეკლესია არ დახურულიყო და არ გარდასულიყო სხვათა საქმიანობებზედა. აცნობებს, რომ მისი მრევლი ძლივს ათას სულს ითვლის. გულისტკივილით აღნიშნავს მოსახლეობის სხვაგან საცხოვრებლად გადასვლის ამბავს და ამბობს თუ ასე გაგრძელდა 20 წლის შემდეგ ამ ეკლესიას ცუდი რამე შეემთხვევა.

*შავი მელანი, გ. ასლანოვის ავტოგრაფი, 1899 წელი, გორი, მარტის 21, მხედრული.*

**536.** **2656**

სთხოვს გაუგზავნოს პასუხი, ამას წინათ გამოგზავნილი წერილი გადასცა თუ არა ვალეში მამა სტეფანეს. საუბრობს კათოლიკე მრევლის შემცირების შესახებ. "მხოლოდ თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს, ვანო მაისუროვი მანდ რომ აფთიაქი აქვს, ხომ წინააღმდეგი არ იქნება, რომ მე გამოვაცემინო მისი ბიძის დაბეჭდილი წიგნი 1864 წელს, მისგან წერილობითი ნებართვა გამოართვი და გამომიგზავნე. წიგნს აწერია 1 ფურცელზე ლოცვის წიგნი შეკრებილნი ივანე მაისურაძისგან".

წერილს ხელს აწერს გაბრიელ ასლანიშვილი.

*შავი მელანი, ასლანიშვილის ავტოგრაფი, 1899 წელი, მარტი 26, გორი, მხედრული.*

**აფრიამაშვილი (აფრიამოვი) ლეონ**

**537. 3932**

შეეხება საეკლესიო ამბებს. იქვეა ხარისჩაროვის წერილი სთხოვს ფულის გაგზავნას თარგმანისათვის.

*აფრიამაშვილი, ფრანცია-მონტობანი, 1878 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**538. 2357**

ღირსეულო და საყვარელო მამაო, ტერ-იოვანე გვარამაძე!

ქებული იყოს იესოს სახელი.

სამძიმარს უცხადებს ტერ პეტროსის გარდაცვალების გამო და გამოთქვამს დიდ სინანულს. წერილი საეკლესიო ხასიათისაა. აცნობებს: "რადგან რუსული ფული ამ მხარეში მეტად გადის, თქვენმა გამოგზავნილმა 10 მანეთმა დაიჭირა 30 ფრანკი. თქვენი მოწერილი სომხური წიგნები ვიყიდეთ."

შავი და იისფერი მელანი, აფრიამაშვილი, კონსტანტინეპოლი 1891 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.

და ჭორებითაა სავსე. ტამანოვს იგი ახასიათებს ეკლესიისათვის აუცილებელ საჭირო პიროვნებად და არავითარი დარღვევა არ აქვს ეკლესიის სალაროს. ამის დასტურად მოჰყავს 1895 წ. მოულოდნელად ჩატარებული რევიზია, კომისიას ხელმძღვანელობდა ტიტულოვანი მრჩეველი კონსტანტინ პირომევი და მასში შედიოდა კიდევ სხვა 5 წევრი. მათ შორის იყო სტეფან ისკანდეროვი, ვისი ხელითაც არის დაწერილი საჩივარი. ეკლესიის ქონება, წიგნები, ინვენტარი და სხვა ყველაფერი ადგილზე აღმოჩნდა და ვერავითარი დანაკლისი იქ ვერ იქნა აღმოჩენილი. მოხსენებაში გვარამაძე აცნობებს, რომ საჩივრებზე ხელის მომწერნი უმრავლესობა არ ეკუთვნის აღნიშნული ეკლესიის მრევლს.

ჩამოთვლილია გვარები: სტეპან ბეჟანოვი, სოიანი, ალექსანდრე კარაგაზოვი. ეს ხალხი ცხოვრობს ქალაქის ახალ უბანში, სთხოვს კიდევ ერთხელ გამოგზავნოს კომისია და დარწმუნდეს საჩივრის ცილისმწამებლობაში.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურც. მხედრული.*

**365.** **2804**

**მის უწმინდესობას ტირასპოლის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსს კესლერს,**
**ახალციხის სომხურ-კათოლიკური ეკლესიის მღვდლის**
**იოვანე გვარამაძის მოხსენება**

ლაპარაკია, რომ ამ ეკლესიის მრევლის უმრავლესობა, თვით მღვდელი იოვანე გვარამაძე და სხვა მისი მსგავსი ეკლესიის მსახურნი არიან საქართველოს კათოლიკეები და შედიან სომხურ კათოლიკურ ეკლესიაში წარსული პოლიტიკური მიზეზების გამო, მათი მშობლიური ენა ქართულია. ივანე გვარამაძე ძლიერ სწუხს ამის შესახებ, რომ მათ ძლიერ ავიწროვებს სომხურენოვანი მოსახლეობა, უკრძალავენ მათ ქართულ ენაზე წირვას, ლოცვას, გალობას, ქადაგებას. თურქეთის ბატონობის დროს მათი წინაპრები საბუთებში, წიგნებში, მეტრიკებში მოიხსენიებოდნენ როგორც კათოლიკეები ეროვნების გარეშე. ასე გრძელდებოდა 1843 წლამდე.

**1845 წელს მაშინდელმა არხიმანდრიტმა შახყულოვმა მათ მოტყუებით ჩაუწერა სომხური დასახელება და მიაკუთვნა სომხური** ქალდეველები, მარონითელები, იტალიელები, რამდენიმე ფრანცები, ბულგარი.” მოკითხვას უთვლის: ქრისტესიას, პავლეს და სხვა ნათესავებს.

*შავი მელანი, ა. ბათმანაშვილი, ავტოგრაფი, მკათათვის 15, 1903 წელი,*

*კონსტანტინეპოლი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**542.** **2664**

კონსტანტინეპოლი სან ლუის დიდი სემინარია.

მოგილოცავთ ქრისტეს შობას პატივდებულო მამაო. (ივ. გვარამაძე)

ა. ბათმანაშვილი ადრესატს ატყობინებს, რომ აგერ მეშვიდე წელიწადია რაც საქართველო დატოვა და რაც შორს არის, უფრო და უფრო უყვარს თავისი სამშობლო. “იმედი მაქვს ჩემს გულში ეს სიყვარული არასდროს გაჩერდება..” ამცნობს, რომ მას კონსტანტინეპოლში დიდი ხანია საქართველოდან წერილი არ მიუღია და ამიტომაც არაფერი იცის რახდება მის სამშობლოში. “მხოლოდ ამ ბოლო დღეებში ერთი ქართველი მგზავრი მოვიდა საქართველოდამ, ოთხი ყმაწვილი მოიყვანა: სან სტეფანოში მიაბარა. მარტო სამი მიიღეს, მეოთხე ვერ ისწავლისო, კიდევც დაბერებულიაო, ეს მგზავრი ბაზარში შეგვხვდა, სულ გაგვაგიჟა, რამდენი ხანია ერთი ქართველი კაცი არ გვენახა. მაშინვე ვიცანით: მოწითალო ჩოხა ეცვა, წელზეც ხანჯალი ერტყა, რა წამსაცვე მას თვალი მოვკარით დავუყვირეთ ქართველო, ქართველს გაუმარჯოს.” საუბრობს საქართველოს ისტორიაზე, ივ. გვარამაძის “ქართლის ცხოვრებაზე. ქართლის ცხოვრება ვახუშტისა (გამოცემული ზ. ჭიჭინაძისგან); საქართველოს ისტორია ბაქრაძისა, მ. ჯანაშვილისა (გამოცემული თ. ქართველიშვილისა) მაგრამ, საკვირველი ის არის, რომ ყოველი ამ ისტორიის მარტო პირველი ნაწილი გვაქვს.” ნახსენებია ივ. გვარამაძის ‘წარღვნა.” აცნობებს, ამ წელს პატარა სემინარია გაათავა და 8 სექტემბერს ღვდლის კაბა ჩაიცვა. სწერს სამ სტროფიან ლექსს:

“ყველამ დამივიწყა”

“გარე გამაგდეს ყველამ, არ ვინ შემიწყნარაო
ვისაც რამეს მოვსთხოვ, მეტყვის მწარედ “არაო”
ახლა შენცა მოგმართე გეხვეწები “ჩქარაო”
რამ წიგნი მომაწოდე, თვარ დავდნები წყნარაო...”

დავრჩები მუდამ თქვენთვის მლოცველი თქვენგან გამოგზავნილი ალიოზ ბათმანათი. თქვენს წერილს მოუთმენლად ველი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, კონსტანტინეპოლი, 1904 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**543. 2662**

იძლევა ცნობებს კონსტანტინეპოლში დაცულ ძველ ქართულ ხელნაწერებზე. მოხსენიებულია: ზ. ჭიჭინაძე, კ. მესხი, მახარაძე.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1907 წელი 2 ფურცელი, მხედრული.*

**544. 2663**

"ფრიად პატივცემულო მამაო იოანე გვარამაძე."

ავტორი წერილში საუბრობს საქართველოს ისტორიის საკითხებზე, სთხოვს რჩევას ქართულ ლექსიკაში ზოგიერთი სიტყვების სწორ განმარტებას.

"ახალი ბევრი არაფერია აქეთკენ: ნოვიციის წელი შეგვისრულდება 24 აპრილს, 1908 წელსა. შესაძლებელია გაგვიგრძელონ რამდენიმე თვითა - როგორც ამას გვირჩევენ ჩვენი მონასტრის წესდებანი." საუბარია კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოსის გადაყვანაზე ბელგიაში და ვარაუდობს, რომ კარდინალობა გარანტირებილი აქვს. "თქვენს წერილში ერთობაზე გვიქადაგეთ, ძალიან კარგად მოიფიქრეთ მაგაზე ლაპარაკი. მოგეხსენებათ ქართველების დამღუპველი სენი შეუერთებლობა ყოფილა და ახლაც იგი ძვალ-რბილში გაგვჯდომია. ჩემმა მაესტრომ შესაფერად შეისწავლა საქართველოს ისტორია და მითხრა: დიახ ბრწყინვალე ისტორია გქონიან, დიდებულიო, მაგრამ ერთობა არ გქონდათ, ამით წაგიხდათ საქმეო. ეჰ, რაც გინდა შეერთებულნი იყვნენ ქართველები სხვებთან შედარებით მათი ერთობა განხეთქილებას ემსგავსება და ამ მხრივ დარიგება მუდამ ესმოდესთ, ცუდი არ იქნება. "წერილის დასასრულს ავტორი სთხოვს უფალს ივანე გვარამაძის ჯანმრთელობას. 'მოიცადეთ ვიდრე თვალით იხილოთ ჩვენი საბრალო სამშობლოს ფეხზე წამოყენება, რომლისთვისაც იგრე თავგამოდებით გიღვაწიათ. ჩემი თანამოსწავლენი შობას და ახალ წელს გილოცავენ თქვენი უღირსი მოწაფე ალიოზ ბათმანაშვილი."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1907 წელი, კონსტანტინეპოლი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**545. 3292**

ლაპარაკია დედათა მონასტრის საქმიანობაზე. სამშობლოს სიყვარულზე. ნახსენებია მ. თამარაშვილი, რომელსაც ძალიან ბევრჯერ სთხოვეს სემინარიაში მუშაობა და იგი ვერ ახერხებს რომიდან წამოსვლას. ნახსენებია: პ. ალფონსი და მისი კარგი საქმიანობა.

*შავი მელანი, ა. ბათმანაშვილი, ავტოგრაფი, კონსტანტინეპოლი,*

*1907 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

## ბარიკალოვი (ბარიკალაშვილი) მიხეილი

**546.** **2432**

აცნობებს, რომ მან ნამდვილად მიიღო ხელფასი ი. თუმანიშვილისაგან და ფ. ქაჩხოევისაგან. დასახელებული აქვს მასწავლებლობის პერიოდი.

*შავი მელანი, ბარიკალაშვილი, ქ. ახალციხე, 1902 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## ბაქრაძე დიმიტრი

**547.** **4652**

დიმიტრი ბაქრაძის წერილი ივ. გვარამაძისადმი

პატივცემულო მამაო იოვანე!

წერილის დასაწყისი რუსული შრიფტით იწყება და იკითხება თარიღი "4 სექტ. 1882, თბილისი."

ავტორი წერილს იწყებს რომ, მიიღო ივანე გვარამაძის წიგნი და ურჩევს. "თქვენი წიგნი 29 მკათათვეს დაწერილი გვიან მივიღე და მეც არ მეცალა პასუხის მოცემისა. რასაკვირველია უკეთესი იქნება თქვენი არხეოლოგიური მოგზაურობა "დროებას" გადასცეთ ხოლმე უფრო ადვილია მისი დაბეჭდა. წერილში საუბარია ივანე გვარამაძის მიერ "დროებაში" დაბეჭდილ სტატიაზე. "ხმა ხიზაბავრითგან."

აცნობებს, ყარსში და მის ახლოს ქართული ეკლესიების არსებობას და მათზე ამოკითხულ წარწერებს. "მე ჩემის თვალით ვნახე ყარსში ქართული ეკლესიების ნაწერები, ყაღიზმანს ახლო ქართულივე ეკლესიაა წარწერით 1030 წლის, ანში უკეთესი ეკლესია ბაგრატ მე-III-გან მე-X საუკუნეში აშენებული და მე- XIII საუკუნეში დახატული, ქართულის წარწერებით. მხატვრობა ნამდვილათ ქართულია, წმინდა ნინო მშვენივრად დაცულია. ამ ეკლესიას შეცდომით "ბერძნულ ეკლესიას უწოდებენ." როგორც თქვენვე ამტკიცებთ ანში ყაღიზმანში და კარში მჯდარან ქართველი ეპისკოპოსები. საუბარია ბიეთის ეკლესიიდან წარწერის გადმოხატვის აუცილებლობაზე და სხვადასხვა სამომავლო გეგმებზე, რაც არქეოლოგიურ საზოგადოებას აქვს მომავალში დასახული. წერილს დასასრულში აქვს მინაწერი: "ახალციხის წმ. მარიამის ეკლესიაში ერთი ძველი ტყავზედ ნაწერი წიგნია, მე არ მინახავს, მაგრამ ბროსეს მოჰყავს თავის არხეოლოგიურ მოგზაურობაში მე-X საუკუნის წარწერები." სთხოვს გაიგოს წიგნი ხომ არ დაკარგულა, იქ არის თუარა ან ვის ხელშია.

*შავი მელანი, 1882 წ თბილისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**548.** **4651**

**დიმიტრი ბაქრაძის წერილი ივ. გვარამაძისადმი**

მამაო იოვანე.

წერილი იწყება: "თქვენი უკანასკნელი წერილი საზოგადოების პრედცედატელის სახელზედ წუხელს ზასედანიაში მოვახსენე საზოგადოებას." რაზედაც საზოგადოება მადლობას უხდის. სთხოვს მომავალში მიაქციოს ყურადღება შემდეგ საგნებს:

1. საჭიროა თქვენს მხარეში ცნობაში მოიყვანოთ შესანიშნავი ძველი ეკლესიები და ძველი შენობები, რომლებზედაც აქამომდე ჩვენ არავითარი ცნობა არ გვაქვს რა. აიწეროს იგენი და გადმოიხატოს იმათი წარწერები, როგორ მდგომარეობაშიც არიან. ამასთანავე ადგილობრივი თქმულება ანუ გარდმოცემა შეიკრიბოს." სთხოვს აწყვერის ახლოს თისელისა და ბიეთის ეკლესიების წარწერების გადმოწერას.

1. პირველი წიგნი "საზოგადოებისა" იბეჭდება და ივლისის გასვლამდე მიიღებთ, იქიდან დაინახამთ, რაგვარ ცნობებს ეძებს საზოგადოება. მე აქამომდე არ მქონია ბედნიერება თქვენთ გაცნობისა თუმცა ერთხელ ყოფილხარ ქალაქში ჩემთან, მაგრამ მე არ გახლდით შინ. თუ ოდესმე ქალაქში ჩამობრძანდეთ იმედი მაქვს უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ საზოგადო საჭირო საქმეზე. გთხოვთ, როდესაც საჭიროდ დაინახოთ პირადათ მეც მომმართო ხოლმე. ამ ზაფხულში სოფელში გახლდები, მე ვდგავარ ზედ რკინისგზაზე გორთან ხიდის თავში. თუ ჩამოსვლა მოგიხდეთ, ჩემთან შემოიარეთ და მესტუმრეთ, დიდი სიამოვნებით მიგიღებთ მეც და ჩემი სახლობაც. "ადრესი რუსულ ენაზე აქვს მიწერილი. თქვენი მარად პატივისმცემელი დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე.

სთხოვს, აცნობოს მამის სახელი და მისამართი სადაც გაუგზავნიან არქეოლოგიური საზოგადოების წერილებსა და წიგნებს.

*შავი მელანი, 12 ივნისი, უთარიღო, თბილისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**ბოზარჟოვი აგათია**

**549.** **3302**

წერილში ლაპარაკია ავტორის ოჯახურ გაჭირვებაზე, ცხოვრების უკუღმართობაზე. რომ უჭირთ შვილების შენახვა. წერილის ბოლო გვერდს რუსულ ენაზე აქვს მინაწერი "1895 წლის დეკემბერი 29." "გწერთ თქვენი მოწაფე მხევალი აგათია ბოზარჟოვისა.

*აგთია ბოზარჟოვისა, არ ჩანს, 1895 წელი დეკემბერი 29, 2 ფურცელი, მხედრული.*

## ბურჭულაძე გიორგი

**550.** **2050**

### გიორგი ბურჭულაძის წერილი.

დიდად პატივცემულო მამაო იოვანე!

ავტორი გულისტკივილით აცნობებს, რომ "ჩემს ზნეობრივ მოვალეობად მიმაჩნია შეგატყობინოთ, გუშინ რაბათში დაბეჯითებით მითხრეს და დამარწმუნეს, რომ თქვენზე საჩივრის გაგზავნას აპირებენ მინისტრთან და პროკურორთან, რადგანაც ვითომც თქვენ არაფრად აგდებდეთ და თქვენს სინდიკს იაკობ თუმანიშვილს ყველაზე მაღლა აყენებდეთ. ეს სამი წელიწადია ხალხი თხოულობს: სინდიკმა ანგარიში ჩაგვაბაროსო და ახალი არჩევანი მოხდესო, თქვენ კი ამის საწინააღმდეგო ხართ და ხალხის თხოვნას არაფრად აგდებთ. საჩივარი მზად არის და ორშაბათს ან სამშაბათს უნდა გაგზავნონო."

"დიდათ მოხარული ვიქნები, თუ ჩემი წერილი ცოტა ნაყოფს მაინც მოიტანს. ჯერ კიდევ დაგვიანებული არარის, შეიძლება ხვალ დილითვე გაიგოთ, რაშია საქმე. მოთავე ვინ არის ამ საჩივრებისა არვიცი. მარად თქვენი პატივისმცემელი და ერთგული გ. ბურჭულაძე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 3 ღვინობისთვე 1899 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

## გამრეკელი ვასილი

**551.** **2301**

ვ. გამრეკელი გამოთქვამს განცვიფრებას გვარამაძის მიერ ხელნაწერზე გაწეული შრომის გამო. (გამრეკელს იმ ხანებში წაუკითხავს) უგზავნის თავის ხელნაწერს წმ. მარინეს ეკლესიაში ქართული ენის აღდგენისათვის და სთხოვს დაუბრუნოს დროულად, ვინაიდან იგი გამზადებულია დასაბეჭდად.

*შავი მელანი, 1906 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**552.** **1831**

უპატივსაცემულესო მამაო იოვანე!

"უკაცრავად ვარ, რომ გუშინ ვერ მოგართვი პასუხი თქვენს წერილზე. ამის მიზეზი ის იყო, რომ გუშინ მთელი დღე სამხედრო კომისარიატში ვიყავი.

რაც შეეხება ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიას, ეს ბიოგრაფია არც მე მაქვს, რამდენადაც ვიცი არავის მისი ბიოგრაფია არ აქვს. მისი ცხოვრების ბიოგრაფიული ცნობები იყო მოხსენებული ქართულ მწერლობაში. რომ გადაათვალიეროთ იქედან შეიძლება ამოიღოთ, საჭირო თქვენთვის ცნობები.

თქვენი პატივისმცემელი ვასილ გამრეკელი.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**553.** **1832**

პატივცემულო მამაო იოვანე!

“თქვენგან ნაბოძები თქვენი თხზულება გადავათვალიერე. სრულებით წაკითხვა კი ვერ შევძელი იმიტომ, რომ ცოტათი თვალებმა მიღალატეს და წვრილი და ბლომად ნაწერი თხზულება ალაგ-ალაგ წავიკითხე.” საუბარია ფრანგებისა და გერმანელების შეტაკებაზე. უსურვებს ჯანმრთელობას და სიმრთელეს, რომ იგი არის თითით საჩვენებელი სამაგალითო სამღვდელო პირი.

თქვენი პატივისმცემელი ვასილ გამრეკელი.

*შავი მელანი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**გვაზავა გ. ბ.**

**554.** **2052**

ატყობინებს, რომ გამოსაშვებად მზადდება ახალი პროგრესული არა სოციალისტური გაზეთი, ‘ავტონომიური საქართველო” და სთხოვს დახმარებას ხელისმოსაწერად ფულის შეგროვებას, ადგილობრივი ქალების დახმარებას.

*შავი მელანი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**გიორგაძე სტეფანე**

**555.** **2619**

პატივცემულო და ღირსო მამაო იოვანე!

აცნობებს, რომ მიიღო მისი გამოგზავნილი წერილი და გამოთქვამს დიდ სიხარულს, ისე მარტოობაში დარჩენილისათვის როგორშიც ის არის. ნახსენებია სარაჯიშვილი, თამარაშვილი.

*შავი მელანი, 1896 წელი, ფერიქოვი, 3 ფურცელი, მხედრული.*

## გოზალოვი ლაზარე (გოზალიშვილი)

**556.** **2650**

“ფრიად ღირსო მამაო მ. გვარამაძევ. ავტორი ულოცავს დღესასწაულს, რომელსაც ‘ონომასტიკა ეწოდება” უსურვებს ღვთის წყალობით ჯანმრთელობას და სიმხნევეს. ”თქვენი ღრმად პატივისმცემელი უღირსი მონა. ლაზარე გოზალოვი.”

*შავი მელანი, წყალთბილა, 1895 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**557.** **2651**

თქვენო მაღალო ღირსება მამაო იოვანე!

“გარნა პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ მე დღეის შემდეგ აღარ ძალმიძს ვიკისრო თქვენი მოვალეობა, ვინაიდან სხვაგან მივდივარ, ჩემთვის საჭირო საქმე მაქვს, რომლის გამო გაუწყებთ ან ჩამობრძანდეთ თქვენის საქმისათვის ან სხვას რომელსამე ჩააბაროთ. მე მოგახსენეთ სიმართლე და აწი თქვენ იცით”

თქვენი პატივისმცემელი მღვდელი ლაზარე გოზალიშვილი. 16 მაისობასა 1899 წელი, ქ. ახალციხე.

*შავი მელანი 1899 წელი, ქ. ახალციხე, 1 ფურცელი, მხედრული.*

**557-ა.** **2658**

წერს, რომ შესაძლებლობისდაგვარ გაუგზავნა წიგნები მერაბიშვილის ხელით, ხოლო თხზულება ივ. გვარამაძის “ძველი ღმერთი” არ აღმოჩენილა.

*შავი მელანი, ქ. თბილისი, 1909 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## გოზალოვი სტეფანე

**558.** **2290**

საუბარია წირვების შესახებ, ჩამოთვლილია წირვები და მათი ღირებულებები.

*შავი მელანი, ვალე, 1891 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**559.** **2289**

ლაპარაკია წირვებზე, უგზავნის ჩასატარებელ წირვების სიას.

*შავი მელანი, ვალე, 1892 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**560.** **2687**

თქვენო უმაღლესობავ, მამაო გვარამაძე.

“როგორ გავბედო თქვენდამი მოწერა წერილის, როდესაც ჩემი აქ მოსვლის აქეთ არ მომიხსენებიხართ არც ერთი წერილით, არც ერთი ფრაზით, არც ერთი სიტყვით, არც ერთი ლექსით, არა მამაო გული ჩემი მუდამ თქვენთან იყო, ნატრობდა და ნატრობს თქვენს უვნებელ სიცოცხლეს.”

საუბარია მის წასვლაზე მონასტრიდან და სხვა საეკლესიო ამბებზე. ნახსენებია თომა გოზალოვი, ძე იოვანე გოზალოვისა.

*იისფერი მელანი, 1897 წელი, კონსტანტინეპოლი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**561.** **2620**

მამაო იოვანე გვარამაძე.

ქებული იყოს იესოს სახელი.

წერილი საეკლესიო ხასიათისაა, აცნობებს, რომ მიიღო მისი წერილები. გამოგზავნილი წირვები, თითოზე 6-8 მანეთი.

*შავი მელანი, 1896 წელი, ფერიქოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**562.** **2621**

ტერ იოვანე გვარამაძე.

საეკლესიო ხასიათისაა, საუბარია ხარჯებში გადახდილ 15 მანეთზე. 1875 წელს პაპის დეკრეტზე. სტამბულელ გურჯებზე და სხვა.

*შავი მელანი, 1896 წელი, ფერიქოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**563.** **2622**

მამაო იოვანე!

ქებული იყოს იესოს სახელი.

აცნობებს, რომ დღემდე კარგად იყო, რამდენიმე დღის წინ გახდა ავად ბუასილით, ქარებისგან. “ახლა ცოტათი გამოვდექი უძლურად ვარ.”

*შავი მელანი, 1896 წელი, ფერიქოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**564. 2627**

პატივცემულო მამაო იოვანე!

საუბარია იქაურ ამბებზე. “სხვა მხრივ, რომ გწერთ ჰაერი შეიცვალა და ადამიანიც მასთან ერთად, დღე დღეს არ უდგებადა კვირა კვირას”.

*შავი მელანი, 1896 წელი, ფერიქოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**565. 2628**

მამაო იოვანე!

კერძო ხასიათისაა, აცნობებს, რომ ამ წერილთან ერთად უგზავნის წერილს ანტონ გოზალოვთან.

*შავი მელანი, 1896 წელი, ფერიქოვი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**566. 2629**

მამაო იოვანე!

ქებული იყოს იასოს სახელი.

აცნობებს, რომ მიიღო მის მიერ გამოგზავნილი წერილი. უწონებს, რომ “კარგი გიქნიათ მიგიწერიათ, ბევრჯერ უთქმელობას თქმა აჯობებს.” უგზავნის 30 მანეთს ბ. ჩილინგაროვზე გადასაცემად.

*შავი მელანი, 1896 წელი, ფერიქოვი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**567. 2634**

მამაო იოვანე გვარამაძე!

საეკლესიო ხასიათისაა, სთხოვს, რომ ამ წერილთან კიდევ აგზავნის ორ წერილს, წაიკითხოს და გადასცეს პატრონებს.

*შავი მელანი, 1896 წელი, ფერიქოვი, 2 ფურცელი, მხედრული.*

## შვილების წერილები ივანე გვარამაძისადმი

## გვარამაძე ოქროპირი

**568. 2534**

“მოგიკითხამთ დიდის სიყვარულით, უფალსა ვთხოვ თქვენს სიცოცხლეს, რათა ბრძანდებოდეთ მშვიდობით ჩვენდა სასიხარულოდ.” წერილში სთხოვს მოიკითხოს ოჯახის სხვა წევრები. წერილი კერძო ხასიათისაა და საუბარია ფულის გაგზავნა მიღების თაობაზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, Bბათუმი, 1891 წელი, 13 მაისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**569. 2556**

ოქროპირის წერილი ივ. გვარამაძესთან, ატყობინებს, საცხოვრებლად სხვაგან გადასვლის ამბავს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ბათუმი, 1891 წელი, 24 ივლისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**570. 2545**

ოქროპირ გვარამაძის წერილი მამისადმი, შეეხება ოჯახის წევრების ამბებს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ბათუმი, 1893 წელი, 8 ივნისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**571. 2532**

“ფრიად პატივცემულო და ძვირფასო მამაო ჩემო” კითხულობს და უსურვებს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. წერილი კერძო ხასიათისაა. საუბარია მცირე ჯამაგირზე, მის დახარჯვაზე და არყოფნებაზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ბათუმი, 1894 წელი, 6 ივნისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**572. 2536**

ოქროპირი კითხულობს მამამისის ჯანმრთელობას, საუბარია ძმის მიერ ქართველი ქალის შერთვაზე. წერილი კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ბათუმი, 1894 წელი, 13 მაისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**573. 2542**

ოქროპირ გვარამაძის წერილი მამისადმი. კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ბათუმი, 1894 წელი, 18 აგვისტო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**574. 3283**

შვილის ოქროპირის წერილი მამისადმი, შეეხება ოჯახურ ამბებს, უსურვებს ჯანმრთელობას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1894 წელი, 8 ივლისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**575. 2547**

ოქროპირის წერილი მამისადმი, ატყობინებს თავის ამბებს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, Bბათუმი, 1895 წელი, 28 ივლისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**576. 3284**

ოქროპირის წერილი მამისადმი, კერძო ხასიათისაა. ულოცავს დღესასწაულს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1895 წელი, 20 ოქტომბერი, 1 ფურცელი,*

**577. 2557**

ოქროპირის წერილი ივ. გვარამაძისადმი, კერძო ხასიათისაა. შეეხება საოჯახო ამბებს. მოიკითხავს ოჯახის წევრებს, უსურვებს ჯანმრთელობას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ბათუმი, 1896 წელი, 22 ივნისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**578. 2553**

ოქროპირ გვარამაძის წერილი მამისადმი, ატყობინებს, რომ მზეჭაბუკის საქმეზე უარი მოვიდაო.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ბათუმი, 1897 წელი, 21 დეკემბერი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**579. 2555**

ოქროპირი წერილში ულოცავს ივ. გვარამაძეს მღვდლობის 30 წლისთავს, უსურვებს ყოველივე კარგს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ბათუმი, 1898 წელი, 12 დეკემბერი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**580. 2554**

ოქროპირ გვარამაძის წერილი მამისადმი, ატყობინებს, რომ იმ ქაღალდებს რომელსაც ის სთხოვს, მალე გაუგზავნის, ქაღალდები იმყოფება ეზაშვილთან და კოსტასთან.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ბათუმი, 1899 წელი, 10 მაისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**581. 2566**

ოქროპირ გვარამაძის წერილი ძმასთან - ქრისტესია გვარამაძესთან. კერძო ხასიათისაა. საუბარია სწავლის მიმდინარეობაზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1903 წელი, 8 დეკემბერი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**582. 2571**

ოქროპირის წერილი ივ. გვარამაძისადმი, შეეხება საოჯახო ამბებს. კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**გვარამაძე კონსტანტინე**

**583. 2552**

კოსტა გვარამაძის წერილი მამის ივანე გვარამაძისადმი. სწერს, რომ სომხურს თვითონ ასწავლის და ‘კმაყოფილნიც არიანო”.

*შავი მელანი, ართვინი, 1890 წელი, 28 სექტემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**584.** **2550**

კოსტა გვარამაძის წერილი მამის ივანე გვარამაძისადმი. სამდურავს ეუბნება სხვადასხვა საქმეების გამო, მოუთხრობს სიზმარზე სადაც გარდაცვლილი დედა უნახავს და გახარებია.

*შავი მელანი, 1891 წელი, 5 დეკემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**585.** **2577**

კოსტა გვარამაძის წერილი მამის ივანე გვარამაძისადმი. საოჯახო, კერძო ხასიათისაა, სთხოვს გააგებინოს ახალი ამბები.

*შავი მელანი, 1902 წელი, 1 მაისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**586.** **2551**

კოსტა გვარამაძის წერილი მამის ივანე გვარამაძისადმი. ატყობინებს თავისი ჯვრისწერის ამბებს.

*შავი მელანი, 1909 წელი, ოზურგეთი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**გვარამაძე მზეჭაბუკი**

**587.** **3286**

შვილის - მზეჭაბუკის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. სთხოვს გაუგზავნოს ქართული ლექსიკონი და გრამატიკა. რაც აუცილებლად სჭირდება ‘ნემეცურის” სწავლისათვის.

*შავი მელანი, 1891 წელი, 14 ივნისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**გვარამაძე გაბრიელ**

**588.** **3276**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. სადაც მოთხრობილია ამბავი მგზავრობისა და სემინარიაში მოწყობის შესახებ.

*შავი მელანი, 1890 წელი, 23 ენკენის თვე, 2 ფურცელი, მხედრული.*

**589.** **3290**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. იქვეა ი. ანტონოვის წერილიც. ატყობინებს, რომ უგზავნის ფულს წირვის ჩასატარებლად და სთხოვს პასუხში ამბების მოთხრობას.

*შავი მელანი, 1891 წელი, 18 აპრილი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**590.** **3300**

შვილის გაბრიელის წერილი მამის ივანე გვარამაძისადმი. საუბარია ყველა მოსწავლის სოფელში წასვლის თაობაზე და თავის სოფელ ჰფაიფერში წასვლის შესახებ, სადაც დიდი სიცხეებია და ნახევრად იწვის მოსავალი.

*შავი მელანი, სარატოვი, 1891 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**591.** **3287**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. საუბარია ტანსაცმლის დახევაზე და გავრცელებულ ქოლერაზე. რომელმაც მრავალი ადამიანი იმსხვერპლა.

*შავი მელანი, 1892 წელი, 30 აგვისტო, მხედრული.*

**592.** **3253**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. ულოცავს ქრისტეს აღდგომას, ულოცავს დღესასწაულებს აცნობებს, რომ მიიღო მხოლოდ ნახევარი წლის 'სამითანა ჯეჯილი", მეორე ფურცელზე დაწერილია წერილი, რომელსაც ხელს აწერს დონ მიქაელი, სადაც ატყობინებს, რომ დონ ივანე რომშია წასული.

*შავი მელანი, სარატოვი, 1893 წელი, 1 აპრილი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**593.** **3281**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. საეკლესიო ხასიათის. ულოცავს დამდეგ ახალ წელსა და შობას.

*შავი მელანი, სარატოვი, 1894 წელი, 30 დეკემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**594.** **3275**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. შეეხება საეკლესიო ამბებს.

*შავი მელანი, სარატოვი, 1895 წელი, 12 ნოემბერი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**595.** **3288**

შვილის გაბრიელის წერილი მამის ივანე გვარამაძისადმი. ატყობინებს სემინარიის ამბებს.

*შავი მელანი, 1896 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**596.** **3301**

შვილის გაბრიელის წერილი მამის ივანე გვარამაძისადმი. კერძო, იქვეა ი. ანტონოვის წერილი გვარამაძისადმი, შეეხება მის პირად და საეკლესიო ამბებს.

*შავი მელანი, სარატოვი, 1896 წელი, 14 სექტემბერი, მხედრული.*

**597.** **3289**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. კერძო ხასიათისაა. წერილის ბოლოში წერია ვინმე მამა ანდრია, ყოფილა პარიზში და იქ უნახავს დიდი ქართული ბიბლიოთეკა.

*შავი მელანი, ქ. მონტობანი, 1897 წელი, 4 იანვარი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**598.** **3265**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. კერძო ხასიათის. სთხოვს დაწვრილებით მისწეროს ახალციხური და ოჯახის წევრების ჯანმრთელობის ამბები.

*შავი მელანი, ქ. ნოვოროსიისკი, 1898 წელი, 17 აგვისტო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**599.** **3256**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, სარატოვი, 1899 წელი, 17 საქტემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**600.** **3267**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. ულოცავს გავლილ დაბადების დღეს.

*შავი მელანი, სარატოვი, 1899 წელი, 22 ივნისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**601.** **3294**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. კერძო. მეორე ფურცელზე დაწერილია ანტონოვის წერილი, სადაც ლაპარაკია ფულის გაგზავნა- მიღებაზე. ფასიან წირვებზე და სხვადასხვა საეკლესიო საქმეზე.

*შავი მელანი, ქ. სარატოვი, 1899 წელი, 19 ნოემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**602.** **3293**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. საუბარია კონსტანტინეს დაქვრივების შესახებ. წერილი კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, 1899 წელი, 22 ოქტომბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**603.** **3271**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. კერძო ხასიათის.

*შავი მელანი, ს. ქოსტჰაიმი, 1901 წელი, 10 მაისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**604.** **3260**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. ატყობინებს, მშვიდობით ჩასვლას დანიშნულ ადგილზე და მოუთხრობს თავის საქმიანობის შესახებ.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**605.** **3266**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი, ბოლო ნაკლული. კერძო ხასიათის.

*შავი მელანი, სარატოვი, უთარიღო 2 ფურცელი, მხედრული.*

**606.** **3269**

შვილის - გაბრიელის წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. ატყობინებს, რომ დანიშნულია ბათუმის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლაში მასწავლებლად.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**607.** **3295**

შვილის გაბრიელის წერილი მამის ივანე გვარამაძისადმი დაზიანებული, დასვრილი, გადაფხეკილია. საუბარია წირვებზე და მის ღირებულებაზე. მსახურ ჩეჩელია იოსებ ფალაშოვის ასულზე.

*შავი მელანი, 29 ნოემბერი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**608.** **3306**

შვილის გაბრიელის წერილი მამის ივანე გვარამაძისადმი. წერილი დაწერილია ფულის გზავნილის ბარათზე. კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

## გვარამაძე ქრისტესია

**609.** **2546**

შვილის - ქრისტესიას წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. ატყობინებს, რომ უგზავნის ლექსს.

*შავი მელანი, კონსტანტინოპოლი, 1887 წელი, 12 აპრილი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**610. 2541**

შვილის ქრისტესიას წერილი მამის ივანე გვარამაძისადმი. საუბა-რია ივ. გვარამაძის მიერ ნათარგმნ "მწყემსურ დარიგების" წიგნის თაობაზე.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1888 წელი, სექტემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**611. 2533**

შვილის ქრისტესიას წერილი მამის ივანე გვარამაძისადმი. წერილში საუბარია თავის მშვიდობით მგზავრობის შესახებ.

*შავი მელანი, სოხუმი, 1902 წელი, 20 მაისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**612. 2537**

შვილის - ქრისტესიას წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. სწერს, თუ როგორ ცემა სამმა კაცმა იგი.

*შავი მელანი, სოხუმი, 1902 წელი, 30 იანვარი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**613. 2538**

შვილის - ქრისტესიას წერილი მამის ივანე - გვარამაძისადმი. შეეხება ოჯახურ ამბებს.

*შავი მელანი, სოხუმი, 1902 წელი, 5 იანვარი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**614. 2539**

შვილის - ქრისტესიას წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. კერძო ხასიათის.

*შავი მელანი, 1902 წელი, 10 თებერვალი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**615. 2540**

შვილის - ქრისტესიას წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. ატყობინებს, რომ მიიღო თუმანოვის დეპეშა ეკლესიის ანგარიშების შესახებ.

*შავი მელანი, სოხუმი, 1902 წელი, 17 აპრილი, მხედრული.*

**616. 2544**

შვილის - ქრისტესიას წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. უსამძიმრებს მამას დის - ანნას გარდაცვალების გამო.

*შავი მელანი, 1906 წელი, 23 ნოემბერი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**617. 2535**

შვილის - ქრისტესიას წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. ატყობინებს, რომ მიიღო თბილისის სახელმწიფო ბანკის წერილი მის სახელზე.

*შავი მელანი, ნოვოჩერკასკი, 1907 წელი, 19 ოქტომბერი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**618. 2543**

შვილის - ქრისტესიას წერილი მამის - ივანე გვარამაძისადმი. პირადი ხასიათის.

*შავი მელანი, ნოვოჩერკასკი, 1907 წელი, ოქტომბერი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**619. 2549**

შვილის - ქრისტესიას წერილი მამის ივანე - გვარამაძისადმი. აქვეა დედამისის მოსაკითხი წერილიც. წერილში ოჯახური და საეკლესიო ამბებია მოთხრობილი.

*შავი მელანი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**გვარამაძე თამარი**

**620. 2548**

ქალიშვილის - თამარის წერილი მამისადმი. წერილი კერძო ხასიათისაა. საუბარია თავის თავზე, უბედობაზე და სამდურავზე, ერთადერთი ქალი ასე, რომ დააჩაგვრინა ცხოვრებას და

მამამისმა ვერ აღასრულა შვილისადმი დედის მიერ დატოვებული ანდერძი, სიკვდილის წინ რომ უთხრა მეუღლეს.

*შავი მელანი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**621.** **2576**

ქალიშვილის წერილი მამისადმი, სთხოვს სხვადასხვა დახმარებას და უჩივის თავის ბედს, ქმარსა და შვილებს. კერძო ხასიათის.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**გრძელოვი მელქონ**

**622.** **2297**

სთხოვს დაბადების მოწმობის გაგზავნას. მეორე გვერდზე რუსული ტექსტია.

*შავი მელანი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**ერემაშვილი მიხეილ**

**623.** **2296**

თქვენო ღირსებავ მამაო ტერ იოვანე!

“თქვენი პატივდებული წერილი მივიღე, რომელიც სავსე იყო პატიოსანი სიტყვებით. ამისთვის მეც დავალებული გაძლევ იმ თქვენი წერილის პასუხს”.

წერილში საუბარია ივ. გვარამაძის წიგნების გაყიდვასა და აქედან შემოსულ თანხაზე. ავტორი თავს იმართლებს გვარამაძის ბრალდებაზე: “ეგ მატყუარობა თბილისის სომხებისგან გაქვს გამოყოლილიო”.

წერილი მთლიანად კამათის ხასიათისაა.

*შავი მელანი, 1887 16 მაისი წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

## ერისთავი რაფაელ

**624.** **4653**

რაფაელ ერისთავის წერილი ივ. გვაერამაძისადმი
მოწყალეო მამაო!

წერილი იწყება: "შევასრულე, რაოდენადაც შევძელი და ნებას მომცემდა, თქვენი თხოვნა. ეს სახელწოდებანი, რომელიც თქვენთან გიხმარიათ აღარ არის მიღებული ახლანდელს ბუნების გამომკვლევთ წესში: ესენი დაძველებული სახელწოდებანი არიან და ახლა სხვა წესზედ არის დამყარებული ამათი გარკვევა.

თქვენი ლოცვა-კურთხევის მსურველი და პატივისმცემელი, ვითარცა მზრუნველისა საქართველოს ლიტერატურისა და სახელ- დიდებისათვის.

რაფაელ ერისთავი. 25 თიბათვეს 1882 წ. ქ. თბილისი.

*შავი მელანი, 25 თიბათვე 1882 წ. ქ. თბილისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## ეღსანოვი სტეფანე

**625.** **2635**

წერილი კერძო ხასიათისაა. საუბარია ფულის გაგზავნა- გადახდაზე.

*შავი მელანი, 1875 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**626.** **2636**

წერილში მადლობას უხდის გრიგოლას გარდაცვალების შესახებ ცნობის მიწოდებისათვის.

*შავი მელანი, გორი 1876 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**627.** **2637**

წერილში აცნობებს, რომ წაიკითხა გაზეთ დროებაში გამოქვეყნებული მისი სტატია.

*შავი მელანი, გორი 1879 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**628.** **2638**

“მამაო ტერ იოვანე!”
წერილში ლაპარაკია ქართველებისა და სომხების უთიერთობებზე.

*შავი მელანი, გორი, 1882 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**629.** **2630**

ქრისტეს მიერ საყვარელო მამაო ტერ იოვანე!

აცნობებს, რომ კარგა ხანია აპირებდა მისთვის წერილის მოწერას. ატყობინებს, სკოლაში “ყმაწვილების” ტყუილად ყოფნას, რადგან მათ იქ არაფერს ასწავლიანო.

*შავი მელანი, 1884 წ. ქუთაისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**630.** **2668**

წერილი შეეხება სამონასტრო ამბებს, ჩატარებულ და ჩასატარებელ წირვებს.

*შავი მელანი, 1884 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**631.** **2631**

აცნობებს ჩატარებული წირვების რაოდენობას და მათ ღირებულებებს. 21 მანეთი 42 წირვისა.

*შავი მელანი, 1886 წ. ქუთაისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**632.** **2667**

წერილში ლაპარაკია ღვთისმშობლის ძეგლზე, რომელიც მიუღია გვარამაძეს.

*შავი მელანი, 1890 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**633.** **2624**

წერილის ავტორი მამა ივანეს აცნობებს, რომ ამ წერილის მომტანის ხელით უგზავნის “ორს კაბას”, ერთი მოლურჯო მაუდისა არის, მეორე შავი. იმედს გამოთქვამს, რომ ნაწყენი არ დარჩება.

*შავი მელანი, 1891 წ. ქუთაისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**634.** **2625**

მამაო იოვანე ქრისტე აღსდგა!.

წერილში საუბარია დიაკვნების გამგზავრების ამბავზე. ჩუმი და ხმოვანი წირვების ჩატარების თაობაზე.

*შავი მელანი, 1891 წ. ქუთაისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**635.** **2626**

მამაო იოვანე ქრისტე აღსდგა!.

წერილი შეეხება სტმბოლში მომხდარ არეულობას. სთხოვს მისწეროს ახალციხის ამბები.

*შავი მელანი, 1891 წ. ქუთაისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**636.** **2666**

წერილში აცნობებს, რომ მიიღო მისი გაგზავნილი თხოვნა და გაუგზავნა ალფონსს.

*შავი მელანი, ქუთაისი, 1891 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**637.** **2623**

თქვენო ღირსებავ მამა იოვანე:

აცნობებს დონ დიმიტრის გარდაცვალების ამბავს, სთხოვს სანდო პირს გაატანოს საწირავების ფული.

*შავი მელანი, 1895 წ. ქუთაისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**638.** **2633**

წერილში ლაპარაკია ვალების გადახდაზე. ნახსენებია: ანტონოვი და გოზალოვი.

*შავი მელანი,  1901 წ. ქუთაისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**639.** **2632**

“მამაო იოვანე!”
წერილი კერძო ხასიათისაა.  კითხულობს მის “სახლობას”.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**ვარდიძე ბენედიქტი**

**640.** **2688**

წერილში სთხოვს, რაღაც ცნობებს. მთლიანად კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1907 წ. 2ფურცელი, მხედრული.*

**641.** **2702**

წერილში სთხოვს შეატყობინოს ახალციხის ამბები. კითხულობს ვიღაც პავლეს ამბავს.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1907 წ. 2ფურცელი, მხედრული.*

**642.** **1857**

წერილში ადრესატს ატყობინებს, რომ კონსტანტინეპოლში მყოფი ქართველები, ემზადებიან აკაკი წერეთელის იუბილეს მოსაწყობად. ლაპარაკია ამ “საზოგადოების” საქმიანობაზე.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1909 წ. 2ფურცელი, მხედრული*

**643.** **2703**

წერილი შეეხება სამონასტრო ამბებს.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1911 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

## ვარძელაშვილი მიხეილ

**644.** **2590**

წერილი კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, ხიზაბავრა, 1896 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**645.** **1924**

ავტორი ატყობინებს მინისტრის ნებართვას ფულის შეკრებაზე და თავის მომავალ გამგზავრებას რუსეთში.

*შავი მელანი, ხიზაბავრა, 1897 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**646.** **2588**

წერილი კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, ხიზაბავრა, 1902 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**647.** **2589**

წერილი დაწერილია საეკლესიო ამბებზე.

*შავი მელანი, ხიზაბავრა, 1902 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**648.** **2591**

წერილში საუბარია გვარამაძის შვილის - კოსტასათვის ოთახის დათმობის თაობაზე.

*შავი მელანი, ხიზაბავრა, 1907 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**649.** **2595**

წერილი საეკლესიო ხასიათისაა. აქვეა გვარამაძის განცხადება

ვარძელაშვილისადმი.

*შავი მელანი, 1908 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**650.** **2596**

წერილი საეკლესიო ხასიათისაა. აქვს ივ. გვარამაძის მინაწერი.

*შავი მელანი, 1908 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**651.** **2594**

წერილში ლაპარაკია სხვადასხვა სახსრებით დაკმაყოფილებაზე. აქვეა ტერ აბრამიანის ახსნა-საჩივარი, გვარამაძისათვის სახლის არ დათმობის თაობაზე.

*შავი მელანი, 1909 წ 2 ფურცელი, მხედრული.*

**652.** **2592**

წერილი საეკლესიო ხასიათისაა.

*შავი მელანი, ხიზაბავრა, 1911 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**653.** **2593**

წერილში ლაპარაკია გვარამაძის ბინის თაობაზე. მეორე ფურცელზე კი თვით გვარამაძის საჩივარია დაწერილი, რომ ვარძელოვი ბინას არ უთმობს.

*შავი მელანი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**ზაქაროვი**

**654.** **2308**

წერილი კერძო ხასიათისაა. კითხულობს ივანეს ოჯახის ამბებს.

*შავი მელანი, ვალე, 1891 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**655.** **2307**

წერილი კერძო ხასიათისაა. საუბარია წირვების ჩატარებაზე.

*შავი მელანი, ვალე, 1895 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**656.** **2309**

წერილში ულოცავს შობას და ახალ წელს.

*შავი მელანი, ვალე, 1897 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**657.** **2310**

საუბარია წერილების დაგვიანებაზე. მოხსენებულია ლაზარე გოზალოვი.

*შავი მელანი, ვალე, 1897 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**658.** **2324**

წერილში აცნობებს, რომ წირვების ფული სტეფანე ხითაროვის ხელით არ მიუღია.

*შავი მელანი, ვალე, 1898 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**659.** **2352**

წერილი კერძო ხასიათისაა. საუბარია წირვებზე და ოჯახურ ამბებზე.

*შავი მელანი, ს. ვალე, 1902 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**660.** **2327**

ქებული იყოს იესოს სახელი!

მის მაღალ ღირსებას მამა ივანე გვარამაძეს წერილი საეკლესიო ხასიათისაა და საუბარია წერვებზე.

*შავი მელანი, ვალე, 1903 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**661.** **2351**

ქებული იყოს იესოს სახელი!

მის მაღალ ღირსებას - მამა ივანე გვარამაძეს - "სიღრმით მოგიკითხავ თქვენივე ოჯახობითა".

"პატივცემულო მამაო, მივიღე წერილი თქვენი ღირსებისაგან. ეგრეთვე მეც მოგილოცავთ ქრისტეშობასა და ახალ წელს. ინებოს ღმერთმა თქვენი კეთილი სიცოცხლე, უვნებელი ცხოვრება თქვენივე ოჯახობითა... არ ღირს მადლობისათვის ჩვენი მცირედი პატივისცემა თქვენდამი." სთხოვს გაუგზავნოს 25 საწირავი.

*შავი მელანი, ს. ვალე, 1903 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**თამარაშვილი მიხეილ**

**662.** **1964**

**თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი,** მადლობას სწირავს ახალციხური ამბების და სემინარიაში არსებული გარემოების შეტყობინებისათვის. ამცნობს, რომ ეპისკოპოსის დანიშვნის შესახებ ჯერ ახალი არაფერია, რომ გვარამაძის საგაზეთო სტატიები მიუღიათ და დააბეჭდვინებენ, თუ არა არ იცის.

ლაპარაკია დ. ბაქრაძის ვიზიტზე მონასტერში.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 5 აპრილი 1888 წელი, რომი-კონსტანტინეპოლი-ახალციხე,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**663.** **1966**

**თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** ატყობინებს, რომ უგზავნის კრიალოსანს, ჯვარცმას და რომის პანორამას. წერილის დიდი ნაწილი შეეხება ოჯახურ ამბებს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 10 დეკემბერი 1891 წელი, რომი-ახალციხე,*
*1 ფურცელი, მხედრული.*

**664.** **1967**

წერილში მიხეილი წუხს, რომ მამა იოვანესაგან კარგა ხანია წერილი არ მიუღია. კურთხევები, რომელიც უთხოვია პ. სტეფანესათვის გამოუტანებია. საუბრობს რომელიღაც

თარგმანზე, რომელსაც უახლოეს დღეებში მიართმევს წმი. მამას (არ ასახელებს პიროვნებას) და დაბარებულსაც მოახსენებს ზეპირად.

პ. სტეფანეზე ვარაუდს გამოსთქვამს "ვგონებ ტერ სტეფანე გოზალოვი აქეთ აპირებს წამოსვლას. რაღას უცდის ჩამოვიდეს, იქნებ აპრილის დამლევს ან მაისის დასაწყისში. მასვე გამოატანეთ ვინმე ჰზარიანის წერილები, მისსივე თარგმანებით."

მიხეილი ითხოვს თავისი ოჯახის წევრებისაგან წერილების მიწერას. წუხს, რომ და მარიამი გარდაცვლილა. წერილს ამთავრებს აღდგომის მილოცვით "ქრისტე აღსდგა!".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 26 მარტი 1893 წელი, რომი-ახალციხე,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**665.** **1968**

"პატივცემულო მამაო იოვანე!"

"აგერ ძლივს მივიღე ამდენსხნითგან დანატრებული თქვენი წერილი, რომელმაც დიდად მასიამოვნა. იწერებით ქირდად მიგდებდით... ტყუილის ლაპარაკი ისწავლეთ ეს თქვენს წერილში, რომ არ მენახა მე არ ვირწმუნებდი, რომ თქვენ ესრედ გეაზრად, როდესაც მე თქვნთვის სიყვარულისა, პატივისცემისა და მადრიელების მეტი არ მსურს და არ ვფიქრობ". მადლობას უხდის 10 მანეთის გადაცემისათვის. სთხოვს ყურადღება მიაქციოს დედას და სააღდგომოდ გადასცეს 5 ან 10 მანეთი და ამის შესახებ აცნობოს.

"აგერ უკვე 8 წელიწადზე მეტია ერთი ვარგაველი გვყავს. ახლა მანდ წამოსვლას აპირებს და აქაურებისათვის იმისი საქმე ვერ მიგვინდვია".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 18 მარტი 1895 წელი, კონსტანტინეპოლი- ახალციხე,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**666.** **1969**

**თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** წერილში იგი სთხოვს გადასცეს "იტალიურად" დაწერილი წიგნი ტერ სტეფანე გოზალოვის ძმისწულს და მეორე მის დას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 6 იანვარი 1895 წელი, კონსტანტინეპოლი- ახალციხე,*
*2 ფურცელი, მხედრული.*



*მიხეილ თამარაშვილის წერილი ივანე გვარამაძეს*

**667.** **1970**

**თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** ლაპარაკია კონსტანტინეპოლში ბათმანოვის ბავშვის სასწავლებელში გამგზავრების თაობაზე. წერილი შეეხება ოჯახურ ამბებს. მწუხარებას გამოთქვამს. სტეფან გოზალოვის გარდაცვალების გამო.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 6 აპრილი 1895 წელი, კონსტანტინეპოლი- ახალციხე,*
*1 ფურცელი, მხედრული.*

**668.** **1971**

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

“თქვენო ღირსებავ პატივცემულო მამაო იოვანე.”

წერილი კერძო ხასიათისაა. “დიდ მარხვის ბოლო კვირაში გამოგიგზავნეთ წერილი და მასთან ერთად 20 მანეთი. იმედი მაქვს მიიღებდით. ეს ფული იმიტომ გაახლეთ, რომ დედაჩემისათვის წვრილ წვრილად სახარჯო მიგეცათ.” აცნობებს, რომ ამ დღეებში წერილი მიუღია დედამისისგან და გაუგია მისი სახლიდან დათხოვნის ამბავი. “ძლიერ დაუშავებია ჩემ ძმა გრიგოლს, რომ ესრედ შეუფერებლად მოჰპყრობია დედას და არც მისი პატივი შეუნახამს და აღარც ჩემი ხათრი.”

წერილის ბოლოს მოიკითხვას უგზავნის ქრისტესიას და რძალს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, კონსტანტინეპოლი ახალციხე, 1895 წელი, 15 მაისი, 1 ფურცელი.*

**669. 1972**

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** წერილში ლაპარაკია პაპის განზრახვაზე, ბერძენ კათოლიკეთათვის უმაღლესი “მაღალი უნივერსიტეტის” შექმნის თაობაზე. რომ აპირებს ახალი კონდაკის გამოცემას აღმოსავლეთისათვის. სთხოვს კარგი ბავშვები მოამზადოს იქ გასაგზავნად.

**შავი მელანი, ავტოგრაფი, 10 ივნისი 1895 წელი, კონსტანტინეპოლი- ახალციხე, 2 ფურცელი, მხედრული.**

**670. 1973**

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

“თქვენო ღირსებავ პატივცემულო მამაო იოვანე.”

ატყობინებს, რომ “რაც შეიძლება ვცდილობთ მე და პ.სტეფანე რათა ეს ჩვენი სახლი ფეხზე დავაყენოთ და მოვსწიოთ იმ აზრს რისთვისაც არის. აქ მყოფი ჩვენი ძველი წინაპრები, ხომ მოგეხსენებათ რა საქმის მომქმედი და რის შემძლეც იყვნენ. ესენი შორს აღარ იყვნენ, რომ სახელისთვის მალე ბოლო მოეღოთ თავიანთი უთავბოლობით.” უგზავნის 10 მანეთს, რათა დედამისს “დაახარჯოს” როდესაც დასჭირდება.

წერილის ბოლოს ნახსენებია აკაკი წერეთელი. “ვგონებ აქ გამოვლას აპირებს, თუ მოვიდა იმედია შესაფერის პატივს ვცემთ.” სთხოვს მეორე წერილი გადასცეს ანტონ გოზალოვს. კითხულობს ქრისტესიას და მაიკოს.

*შავი მელანი, ფერიქოვი, კონსტანტინეპოლი, 1895 წელი, 28 აგვისტო, 2 ფურცელი.*

**671. 1974**

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** წერილში იგი ატყობინებს მომხდარ აურზაურს, რის შედეგადაც ბევრი სომეხი დაიხოცა. “ცხადია აქამდინ შეიტყობდი აქაური

სომხების არევ-დარევას და სისხლის ღვრასა, რომლებიც ამ ოქტომბრის პირველ დღეებში მოხვდა. ბევრი სომეხი დაიხოცა, რიცხვი სწორედ არავინ იცის. ახალა აქ კი დაწყნარდა, მაგრამ სხვა ქალაქებში თათრები ბევრ აურზაურობას სჩადიან. მარტო ტრაპზონში 189 სომეხი მოეკლათ და 30 დაეწყლულად. თათრები აღელვებული არიან არა მარტო აქ არამედ სახვა ადგილებშიც იყრიან ჯავრს სომხებზე. აგერ 5-6 დღეა სტამბოლთან ახლოს ერთ ქალაქში იზმირში თათრებს 120-ზე მეტი სომეხი მოუკლიათ. თურმე ეს თათრები მანდედან გადმოსული აჭარლებიც ყოფილან, რომლებიც იქ დგანან.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 24 ოქტომბერი 1895 წელი, კონსტანტინეპოლი- ახალციხე,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**672.** **1975**

მონასტრის კრების წევრების: მ. თამარაშვილის, ალექსანდრე ხითაროვისა და ანდრია სიმონათის წერილი ივ. გვარამაძისადმი. წერილში ლაპარაკია მერაბოვის უმსგავსოებაზე და მის ეკლესიიდან გაძევების შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 30 დეკემბერი 1895 წელი, კონსტანტინეპოლი- ახალციხე,*
*1 ფურცელი, მხედრული.*

**673.** **2054**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**
სთხოვს, მიხედოს მის დედას, წერს აღმოსავლეთის ეკლესიის შესახებ. კითხულობს, რატომ არ ჩამოდის ივ. გვარამაძის მოწაფე ბათმანოვი (ბათმანაშვილი).

*შავი მელანი, ავტოგრაფი, კონსტანტინეპოლი, 1895 წელი, 7 დეკემბერი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**674.** **1976**

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი,** ატყობინებს მერაბოვის გაძევებას რომიდან, მისი უღირსი საქციელის გამო. წერილში საუბარია ვანის სომხების ტრაგედიაზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 13 იანვარი 1896 წელი, კონსტანტინეპოლი- ახალციხე,*
*1 ფურცელი, მხედრული.*

**675.** **1977**

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** წერილში გაკვირვებას გამოთქვამს, იმის გამო, რომ მერაბოვი მღვდლად უკურთხებიათ. საუბარია ხიზაბავრის ეკლესიის აშენებაზე. აღნიშნული აქვს რაღაც დოკუმენტები საქართველოს შესახებ. (ნახსენებია რუსუდან და დავით მეფე.) მისიონერების გამოგზავნა საქართველოში. მოცემული ცნობები: 1224, 1321, 1329, 1029 წელი და ა. შ.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი ახალციხე, 1896 წელი, 3 თებერვალი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**676.** **1978**

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** წერილში წყენას გამოთქვამს ჭიჭინაძის წიგნის გამო.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 31 მარტი 1896 წელი, კონსტანტინეპოლი- ახალციხე,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**677.** **1980**

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** წერილში წერს, რომ მიმართონ დახმარებისათვის გრიგოლ მჭედლოვს. ატყობინებს, რომ პაპმა ერთი კონდაკი კიდევ გამოსცა. რომელიც აღმოსავლეთელებს ისე დამოუკიდებლად და თავისუფლად აღარა ხდის.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი-ახალციხე, 1896 წელი, 27 მაისი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**678.** **1981**

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** წერილი პირადი ხასიათისაა. საუბარია სტეფანე (გიორგაძის) საქმიანობაზე. რომელსაც მიხეილ თამარაშვილი ცუდათ ახასიათებს.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი-ახალციხე, 1896 წელი, 18 ივლისი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**679.** **1982**

მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი. წერილი პირადი ხასიათისაა. არის მოკითხვები და შობა - ახალი წლის მილოცვები. წერს ვინმე ფრანგ მღვდელზე, რომელიც მოდიოდა თურმე რუსეთიდან და გამოუვლია თბილისი და ქუთაისი, წუხს, რომ მანდაურობა უპატრონოდაა მიტოვებული და სომხის მღვდელი დაუნიშნავთ, რათა ადვილად ხელში გაიტარონ ეკლესია. ფრანგ მღვდელს ახალციხის და ივ. გვარამაძის ნახვაც ნდომებია, მაგრამ ვეღარ მოუხერხებია. მიხეილი წერს, რომ ფრანგი მღვდელი მალე ჩამოვა მის ნამყოფ

ადგილებში, მას თვითონაც მიუცია ცნობები, მაგრამ ეეჭვება, რომ რაიმეს გაართვას თავი. ბოლოს სთხოვს ხშირ მიწერ- მოწერას და წირვების გაგზავნას.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი-ახალციხე, 1896 წელი, 23 დეკემბერი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**680.** **1983**

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** წერილში საუბარია "თბილისის ამბებზე." სთხოვს აცნობოს რომელია საქართველოს ისტორია სადაც კარგადაა აღწერილი საქართველო და ასევე სამეგრელო სააფხაზო. ატყობინებს, რომ მიიღო 'ივერიის" ის ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო იზოშვილისა და შილდელის სტატიები ქართველ კათოლიკეთა შესახებ. ლაპარაკია გვარამაძის მიერ მიწერილ ქართველების ქართველ კათოლიკებად ჩაწერის შესახებ.

*შავი მელანი, რომი-ახალციხე, 1897 წელი, 30 დეკემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**681.** **1984**

მ. თამარაშვილის წერილი პირადული ხასიათისაა, იგი მადლობას იხდის, რომ დედამისს ეხმარებიან. წერილში საუბრობს პ. სტეფანეს მიერ ქუთაისის საქმის არევ- დარევაზე. მის ურიგო უთავბოლო მმართველობაზე. მიხეილს ხმა ამოუღია მის საქმიანობის წინააღმდეგ, რის გამოც მათ შორის კონფლიკქტიც წარმოქმნილა, შემდეგ გაჩუმებულა და თავი ლოცვა-ვედრებისათვის მიუნდვია, რომ ღვთის შეწევნით ყველამ შეიგნოს თავისი მოვალეობა და შეუდგეს მის შესრულებას გულით. ღვთის შეწევნით მას იმედი აქვს, რომ ყველაფერი გაუმჯობესდა.

ის წერილში ბოლოს ზუსტად წერს თავის ახალ მისამართს და ითხოვს რომ წერილები არ დაუგვიანონ.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი- ახალციხე, 1897 წელი, 7 იანვარი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**682.** **1985**

მ. თამარაშვილი დაინტერესებულია, რომ დედა თავისთან კონსტანტინეპოლში წაიყვანოს ორ ძმისშვილთან ერთად. დეტალურად უბარებს, რომ შეიძლება წასვლა ზღვითაც და ხმელეთითაც და სულაც არ არის საშიში. იწერება, რომ ტიპიკონის შესახებ პრობლემა განიხილება უმაღლეს ინსტანციაში პირდაპირ პაპთან, რომელმაც შეადგინა კომიტეტი აღმოსავლეთის შესახებ და თავმჯდომარეც თვითონვე არის, რის გამოც ეს საქმე ძლიერ გასაიდუმლოვდა. თუმცა მას მიუწერია ერთხელ კომიტეტის ერთი წევრისადმი, შემდეგ მეორე სხვა წევრისადმი, მაგრამ პასუხი არ იცის და ამბობს: "ვნახოთ, ღმერთი როგორ დააბოლოვებსო."

წინასწარ ულოცავს მამა ივანეს აღდგომის დღესასწაულს  წერილი დამშვიდობებით მთავრდება.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1897 წელი, 20 აპრილი, 2 ფურცელი, მხედრული.*

683. 1986

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** საუბარია საქართველოს გაქრისტიანებაზე. კათოლიკობის შემოჭრაზე საქართველოში. კაპუჩინების არსებობაზე საქართველოში. სომეხთა გაძლიერებაზე და კაპუჩინთა განდევნაზე საქართველოდან.

*შავი მელანი, რომი-ახალციხე, 1897 წელი, 6 სექტემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

684. 1987

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** წერილში ნახსენებია ვინმე "წითელი" და "სოსანი" და რაღაც საქმე მათთან დაკავშირებული. წერილში საუბარია ასევე თავის შრომებზე საქართველოს შესახებ ცნობების შესაკრებად. ნახსენებია "დომინილან"- ის ნაწერები, რომელიც დასწრებია ქეთევან დედოფლის წამებას "პერსიაში." ატყობინებს, რომ აქედან იანვარში სტამბულს წავა.

*შავი მელანი, რომი-ახალციხე, 1897 წელი, 22 ნოემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

685. 1993

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**
წერილი შეეხება ოჯახურ ამბებს. სთხოვს რაღაც "თხოვნის" კოპიოს. წერილიდან ჩანს, რომ თამარაშვილი რომში აპირებს გამგზავრებას.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი-ახალციხე, 1897 წელი, 6 ივნისი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

686. 1826

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი**

"თქვენო ღირსებავ - ფრიად პატივცემულო მამა იოვანე," ასე იწყება თამარაშვილის წერილი, სადაც ის მამა ივანეს მადლობას უხდის გაგზავნილი წირვების გამო (პირველად 40 წირვა რომელიც უკვე შეუსრულებია, შემდეგ კი 50 წირვა, რომელსაც აუცილებლად შეასრულებს). გარდა ამისა ივ. გვარამაძეს სთხოვს მცირე მატერიალურ შემწეობას 8 მანეთის ოდენობით, რომელიც დედისათვის უნდა. მიხეილი ივანეს ატყობინებს, რომ ვიღაცას (არ იკითხება) მისთვის სხვადასხვა წიგნები უთხოვია, რომელიც უყიდია და გაუგზავნია, მაგრამ ადრესატს არც მადლობა მოუწერია და არც ის მიიღო თუ არა ეს გაგზავნილი წიგნები. კიდევ ამ

პიროვნებისათავის უთხოვია 6 მანეთი დედამისისათვის, რომ გადაეცა, დეკემბრის თვეში, მაგრამ არ გადაუცია და დედას ფული ივანესათვის უთხოვია.

პატივცემულ პავლეზე კი წერს, რომ მას არ გაუგზავნია "სომხის გაზეთის პასუხი", რადგან არ უთარგმნია და ივანეს სთხოვს მის თარგმნას და გაგზავნას. "მაშ გთხოვ, რომ მალე მომაშველოთ თარგმანი იმ "მშაკში" დაბეჭდილი პასუხისა იზაშვილის საწინააღმდეგოდ"

თამარაშვილი კმაყოფილია პ. პავლეს დაპირებით, 500 მანეთის გაგზავნის თაობაზე, რაზეც ამბობს, რომ "სარწმუნოების შესახებ ყველა დოკუმენტი შემოვკრიფო და ფრანცუზულად დავაბეჭდინო, გარდა, ამ დოკუმენტების დაბეჭდინებისა, კარგი საქართველოს ისტორია შევადგინო და დავაბეჭდინო. და რომ აქ სამუდამოდ დავრჩე." იქ ნანახი და მოძიებული მასალებით თამარაშვილი ხვდება, რომ ევროპა საქართველოს არ სცნობს სათანადოდ. 'აგერ ამ გარემოებამ აღმძრა, რომ ამ საქმეს ჩამოვუდგე, ამისათვის კი უეჭველად ჩემი აქ დარჩენაა საჭირო, რადგან ამ საქმის გატანა თავში ძნელია. ამას გრძელი და დიდი შრომა უნდა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ღვთისაგან და თქვენი დახმარებისაგან ეს ისტორია კარგად დავაბოლოვო. ამ საგანზედ რა საკვირველია ბევრი ქართული ისტორიული წყარო დამჭირდება. იმედი მაქვს, რომ თქვენ მიჩვენებთ გზას და აგრეთვე იმ წიგნებს, რომელიც კარგად გამომადგებიან ამ საგანზედ. რასაკვირველია ისტორია თავიდან უნდა დავიწყო, ე.ი. ნოესაგან. მაგრამ საუბედუროდ, ჯერ აქ არცერთი წიგნი შემხვედრია ნოეს და ნოეს შვილების შთამომავლობაზედ და მემკვიდრეებზედ კარგად და დაწვრილებით ლაპარაკობდეს. გთხოვთ, შემატყობინოთ ის ცნობები ნოეს ჩამომავლებისა და ქართველი გვარ-ტომების შესახებ, რომლებიც მოგყავთ თქვენს მზა პასუხში 'მშაკისადმი", თქვენ საიდან გაქვთ შეკრებილი, ქართული წიგნებიდან თუ ევროპული ისტორიებითგან." თამარაშვილი სთხოვს ივანე გვარამაძეს ჯინიუზელების შესახებ ცნობას. თუმცა, ერთი ორი ცნობისათვის მასაც მიუკვლევია XV საუკუნეში ჯინიუზელების სამეგრელოში ყოფნის შესახებ. მიხეილი გვარამაძეს სთხოვს გააცნოს სანდო ისტორიკოსები, რადგან მას მომავალში უამრავ შეკითხვაზე პასუხი დასჭირდება მათგან. 'თქვენ ვის მირჩევთ?" ეკითხება ივ გვარამაძეს.

მ. თამარაშვილს უპოვია ქართველი მეფის წერილი საფრანგეთის მეფისადმი მიწერილი. ეს არის ფაქტიურად თხოვნა დახმარებისათვის იერუსალიმის - თათრებისგან გადასარჩენად. ქართველი მეფე აგულიანებს დასავლეთელ მთავრებს "ჯვაროსნობის ჩხუბზედ" და ჰპირდება, რომ "20 000 ცხენოსნით შეერთებული, მთელ აღმოსავლეთის ქრისტიან მთავრებთან ვიჩხუბებ თათრების წინააღმდეგო." მეფის სახელი წერილის მიხედვით არის "გორგორა" "ამასთანავე წერს იმავე პირს და, იმავე აზრით პერსიის ხელმწიფე სახელით გიორგი. ის თავის თავს ქრისტიანად აღიარებს.ნუთუ ამ ხანებში პერსიის მეფე ამის სახელისა ქრისტიანი იყო თუ არა?აქ ამაზე ვერაფერი გამოვიკვლიე, იქნება თქვენ მაცნობოთ რამე."

წერილი მთავრდება ივანეს ოჯახის წევრების მოკითხვით, მზრუნველობას და ყურადღებას სთხოვს დედისა და დისადმი. წერილი მთავრდება გულმხურვალე გამომშვიდობებით: "მაშ მშვიდობით, მარად თქვენი კეთილის მოსურნე და თქვენს წირვა-ლოცვაზედ დავედრებული პ. მიქაელ თამარაშვილი."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი, 1898 წელი, 25 თებერვალი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

687. 1827

წერილი მოკლეა და გამოხატავს სიხარულს იმის გამო, რომ ივ. გვარამაძეს მიუწერია "მშაკის" პასუხი, რაშაც პასუხი გაუცია ყველა მის კითხვაზე (21 დეკემბერი). განსაკუთრებით ახარებს ის, რომ გვარამაძის "მშაკის პასუხი" დაუბეჭდიათ. აინტერესებს, ამას როგორ გამოეხმაურა მაშინდელი გაზეთები, ან სომხებმა თუ დაწერეს საპასუხო წერილები. ივანეს ატყობინებს, რომ 9 იანვარს წერილს უგზავნის, სადაც ახალ კითხვებზე პასუხს ითხოვს. ის ითხოვს, რომ თუ სომხებმა, "ჩვენს წინააღმდეგ" რაიმე დაწერეს, მათი თარგმანი გამომიგზავნეო. პ. პავლეს გაუგზავნია წინანდელი თარგმანები, რომელიც განთავსებული იყო 1897 წ. 110, 137, 138, 144, 145, 148, 149. მაგრამ უნდა შემდგომი თარგმანებიც, რადგან იმათი შინაარსის მიხედვით შეუდგეს პასუხის წერას. ითხოვს იმ ნომრებს, რომლებშიც ამ საკითხზე ზ. ჭიჭინაძე წერდა. მას ჰქონია ის ნომრები, რომლებშიც იზაშვილი წერდა ამ თემაზე. მიხეილი ივ. გვარამაძეს სთხოვს გაუგზავნოს პატრიარქ დოზითელის წერილები თუ ქართულად რომელიმე წიგნში იყო დაბეჭდილი, რადგან იქ მას ვერ უპოვია. ის წერს აგრეთვე, რომ უყიდია წიგნი, სადაც წერილია მუსტაფა ფაშას საქართველოში მისვლა და თბილისის აოხრება.

წერილში ულოცავს ქრისტესიას მეორე ვაჟიშვილის შეძენას და აინტერესებს ტერ პეტროს აღუშოვის ამბავი (ჯანმრთელობის შესახებ).

"მარადის თქვენ წირვაზედ დავედრებული პ. მიქაელ თამარათი".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი, 1898 წელი, 25 თებერვალი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

688. 1990

მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი

წერილში საუბარია იმ საბუთებზე, რომლებიც ამტკიცებენ ქართველი კათოლიკეების არსებობას. გამოთქვამს სიხარულს იმის გამო, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაუბეჭდავს გვარამაძეს თავისი წიგნი. "მშობლები და მათი შვილები". სთხოვს ერთი ეგზემპლიარის გაგზავნას.

მწუხარებას გამოსთქვამს კონსტანტინე ფირალოვის გარდაცვალებისადმი. მიწერილია დ. იოანე ანტონოვის ბარათი.

*შავი მელანი, რომი-ახალციხე, 1898 წელი, 8 ნოემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

689. 1991

მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი

ატყობინებს, რომ ახლახან იპოვა დოკუმენტები. "მანდაურ ლათინის პირველ ეპისკოპოსებზედ." სთხოვს, "მშაკში" დაბეჭდილი (ქართველების საწინააღმდეგო) სტატიების თარგმნას.

*შავი მელანი, რომი-ახალციხე, 1898 წელი, 20 დეკემბერი, 4 ფურცელი, მხედრული.*

690. 1989

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გვარამაძის პასუხი ცალკე წიგნად არ დაბეჭდილა. წერს, რომ "მშაკის" პასუხის დაბეჭდვა ფრანგულად ჯერ შეუძლებელია, ვინაიდან ამჟამად ძლიერ სწყალობენ მათ. ატყობინებს, რომ იპოვა საბა-სულხან ორბელიანის 7 წერილი ფრანციის ლუდოვიკო XIV-სადმი მიწერილი. ამ დღეებში ნახა, ალექსანდრე ცაგარელი, რომელიც პეტერბურგში ქართული ენის პროფესორია. ასევე ატყობინებს, რომ აქ ყოფილა ვახტანგის ისტორია ხელთნაწერი და იმედს გამოსთქვამს, რომ მალე ამასაც იპოვის. პარიზში 100-ზე მეტი ქართული ხელნაწერი ყოფილა."

*შავი მელანი, რომი-ახალციხე, 1898 წელი, 7 ივნისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

691. 1992

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი**

საუბარია ახლად ნაპოვნ დოკუმენტებზე, (წერილები კლემენტი პაპი XI-ის) ვახტანგ მეფის ორ წერილზე, (1722წ.) რომლებიც მიუწერია სტამბულში მყოფ ავსტრიის ელჩისათვის და თვით ავსტრიის იმპერატორისათვის. (სთხოვს შემწეობას თათრების წინააღმდეგ.)

სთხოვს "მშაკის" 144 ნომერში გამოქვეყნებული იოსელიანის წერილის (სადაც იოსელიანი ამბობს, რომ სომხები XIII საუკუნეში 50 000 იყო ახალციხის მაზრაში) საფუძველი (ფაქტები) მისწეროს.

I. სომხური ეკლესიის მშენებლობის შესახებ მიაწოდოს რაიმე ცნობები და ართვინელების ქართველობის თაობაზე (ვარაუდობს გაზეთებს: "ივერიასა", "მწყემსს" და სხვა).

*შავი მელანი, რომი-ახალციხე, 1899 წელი, 21 მარტი, 2 ფურცელი, მხედრული.*

692. 1829

მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი. სწერს მის მიერ მოკვლეული მასალების შესახებ. იქვეა მიწერილი დონ იოვანე ანტონოვის წერილი ივ. გვარამაძესთან. წერილს თან ერთვის "ახლად შეკრებილი დოკუმენტების" სია. წერილიდან ჩანს, რომ ივ. გვარამაძე საყვედურობს თამარაშვილს რომში გამგზავრების გამო. მ.თამარაშვილი წერს თავისი საქმიანობის შესახებ და უხსნის რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მის ყოფნას რომში. აცნობებს, რომ რომში "ჭირს" ასე შორეული ქვეყნების კორესპოდენციების გამოქვეყნება. ლაპარაკია მ. თამარაშვილის "კათოლიკობის ისტორიის" შესახებ. წერილში არის ცნობები ქართველ კათოლიკეთა ისტორიიდან. აქვე არის ანტონოვის მინაწერები. სთხოვს აცნობოს, რა შედეგი მოჰყვა "სომხების ყრილობას და აქეთ-იქით სირბილს".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი, 1899 წელი, 14 ნოემბერი, 8 ფურცელი, მხედრული.*

693. 1830

მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი. წერილში იგი აცნობებს გეგმას იმ წიგნისას, რომელშიც მას განზრახული აქვს დაწეროს სომხების წინააღმდეგ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი, 1899 წელი, იანვრის 9, 2 ფურცელი, მხედრული.*

694. 1994

მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.

წერილში საუბარია სომეხ-კათოლიკეთა შესახებ, რომ სომხები ახალციხეში გადმოუსახლებიათ შაჰაბასის დროს. სთხოვს ცნობებს, თუ რით ამტკიცებს ხახანოვი, რომ სომხები V საუკუნიდან არიან საქართველოში. ნახსენებია ალასტანის ეკლესია, რომელზეც ხუცური წარწერაა შემონახული, ასეთივე ხუცური წარწერაა ფარავნის ეკლესიაზე. სთხოვს მისწეროს არიან თუ არა ეს ეკლესიაები ქართველების აშენებულები. თუ არიან, ვის მიერ? არის კათოლიკეების თუ მართლმადიდებლების? ნახსენებია ვინმე სტეფანე, ავთანდილი თფილისის ეპიზკოპოზი, რომელსაც ამოუკითხავს "თამარ დედოფლის და გიორგი მეფის ფულზე წარწერები და უთქვამს, რომ მხედრული ასოები გადმოიღეს 1312 წელშიო." სთხოვს შეატყობინოს ვარძელოვმა დაასრულა თუ არა თავისი ეკლესია.

*შავი მელანი, რომი-ახალციხე, 1899 წელი, 12 ივნისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

695. 1995

მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.

გამოთქვამს წყენას გვარამაძის წერილის გამო. აწვდის ცნობებს, "კაპუჩინების" ჩამოსახლების შესახებ. საუბარია ილ. ჭავჭავაძის წერილზე გაზ. "ივერიაში," ასევე, ზ. ჭიჭინაძეზე, რომელმაც საქართველოს ისტორიის წიგნები უნდა გაუგზავნოს სომხების გადმოსახლებაზე საქართველოში. XVII ს. ანბანის გადმოღებაზე.

*შავი მელანი, რომი-ახალციხე, 1899 წელი, 29 მკათათვე, 2 ფურცელი, მხედრული.*

696. 1996

მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.

ლაპარაკია ალექსანდრე ხახანოვზე, რომელიც იქ ჩასულა იმისათვის, რომ შეკრიბოს დოკუმენტები, ვინაიდან სომხები ახლა რუსულ გაზეთებში გამოსულან ხახანაშვილის სტატიის წინააღმდეგ. ლაპარაკია წიგნზე, რომელსაც თამარაშვილი უშვებს ორ ტომად. ნახსენებია ვინმე პეტრე შვილი ბაღდასარა ჯაოასი ქალაქ გორიდან. ეს სახელი შეხვედრია დოკუმენტებში. წერს, რომ ხელთ აქვს პაპის დოკუმენტი 1546 წ. სადაც მოხსენებულია ყვარყვარე და საქართველოს მეფეები, "რომლებიც ძლიერ მიზიდული ყოფილან რომის ეკლესიაზედ".

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი-ახალციხე, 1900 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**697. 1998**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

აწვდის ცნობებს საბას შესახებ. წერს, რომ ახალციხის შესახებ არაფერი შეხვედრია, გარდა 1773 წ. პავლე ეპისკოპოზის მიერ წარდგენილი მოხსენებისა, რომელშიც ბევრი შესანიშნავი რამეა აღწერილი, ლაპარაკია ხახანაშვილის წერილზე კათოლიკობის შესახებ. სთხოვს მიაწოდოს სომხების მიერ პრესაში გამოქვეყნებული წერილები.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი-ახალციხე, 1901 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**698. 1999**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

სთხოვს დროზე აცნობოს ხოლმე ცვლილებები ტფილისში და ახალციხეში. თუ გადმოვიდა ტერ მიხეილ ვარძელოვი ხიზაბავრიდან ახალციხეში.

*შავი მელანი, ავტოგრაფი რომი-ახალციხე, 1901 წელი 4 აგვისტო,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**699. 2000**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

"თქვენო ღირსებავ პატივცემულო მამაო იოანე, ქებულ იყოს იესოს სახელი".

თამარაშვილი ივ. გვარამაძეს აცნობებს, რომ სამწუხაროდ, ახალციხის შესახებ ძველი დროის დოკუმენტი არაფერი გამოჩნდა, გარდა იმისა, რომელზეც მანამდე მისწერა. კერძოდ, 1459 წელს ყვარყვარე მეორის და მეფე გიორგის მიერ საფრანგეთში გაგზავნილი წერილი ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით. ამის გამო, ისინი ელჩებს გზავნიან ევროპაში. ელჩები ჯერ პაპთან მიდიან ერთგულების გამოცხადების მიზნით და შემდეგ საფრანგეთში გაემგზავრნენ. 1457 წ. პაპის ერთ წერილში მოხსენებულია, რომ საქართველოს მთავრობაში, უმეტესად სამცხეში, პაპს სცნობენ ქრისტიანობის თავად და

ქრისტეს მონაცვლედ. 1546 წ. პაპი თავის წერილში იხსენებს, რომ საქართველოს სხვა მთავრებთან ყვარყვარეც (მეორე) რომის ეკლესიის ერთგული ყოფილა და პაპთან შესაერთებლად მომზადებული. 1610 წ. მანუჩარ-ათაბაგს, სპარსეთში ყოფნის დროს, პატრების წირვა-ლოცვა მოსწონებია და მოუნდომებია პატრების თავის სამთავროში წამოყვანა, მაგრამ პატრები სხვადასხვა გარემოებების გამო, ჯერ ვერ წამოჰყოლიან.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი-ახალციხე, 1901 წელი 3 ღვინობის თვე,*
*1 ფურცელი, მხედრული.*

**700. 2002**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

წერილში ლაპარაკია იმ წერილზე, რომელიც ადრე სთხოვა ივანეს და რომელიც ჯერ კიდევ არ მიუღია. ატყობინებს, რომ "ამ ისტორიიდან" გამოურთავს სომხები, რომელთა შესახებ ცალკე გამოსცემს წიგნს. ნახსენებია აგრეთვე საბა ორბელიანი. სთხოვს მიაწოდოს ცნობები წმ. ნათლისმცემლის ეკლესიის შესახებ, სადაც საბა ყოფილა უფროსი. ნახსენებია დივანბეგ ბარძიმ ერისთავი. ვარაუდობს, რომ ბროსეს "ქართლის ცხოვრებაში", რომ არის მოხსენიებული ის უნდა იყოსო. სთხოვს ამის შესახებ აცნობოს რამე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი-ახალციხე, 1901 წელი 13 მარტი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**701. 1828**

წერილი იწყება იმით, რომ კარგა ხანია მამა ივანეს ამბავი აღარ შეუტყვია, მაგრამ იმედი აქვს, რომ კარგად იქნება. ამასთანავე, გულითადად ულოცავს ახალ წელს და წმინდა დღესასწაულებს. ივანეს ატყობინებს, რომ პ. მირიანაშვილისათვის წიგნი გაუგზავნია დასაბეჭდად თბილისში. წუხს, რომ პ. პავლე და პ. დომინიკე წელიწადზე მეტია აღარაფერს სწერენ. ის ელოდებოდა აგრეთვე ცნობებს ქუთაისიდან კაპუჩინების მეტრიკების შესახებ, მაგრამ არც ის გაუგზავნიათ (გვარი არ იკითხება).

მიხეილს პ. ივანესათვის უთხოვია გაეგზავნა წიგნი მხითარისტების მიერ დაწერილი ისტორია თუ გეოგრაფია, რომელშიც ახალციხე სომხეთად არის შერაცხული. ეს წიგნი ჰქონია ჩილაშვილს. მიხეილს უთხოვია ივანესათვის ამ წიგნის გაგზავნა თარგმანითურთ, მაგრამ მას ესეც და სხვა დაპირებებიც არ შეუსრულებია. ის სთხოვს ივ. გვარამაძეს თარგმანების გადაგზავნას სომხურ ტექსტებთან ერთად, რადგან "ის გამომადგება ჩემს მეორე წიგნში ჩასამატებლად"-ო.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი, 1902 წელი, 2 იანვარი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**702.** **2001**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

წერილში იგი სთხოვს გამოუგზავნოს ადრე ნათხოვი ვენეციელების გეოგრაფიაში დაწერილი ცნობები "სამცხის შესახებ". ამცნობს ცერრის გადადგომას და მის ადგილზე როპპის დანიშვნას. დიდ იმედს ამყარებს ამ ახალ ეპისკოპოსზე საქართველოს სასარგებლოდ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი-ახალციხე, 1902 წელი 3 ღვინობის თვე,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**703.** **2003**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

წერილში ატყობინებს, რომ ის თხოვნა, რომელიც ივანე გვარამაძემ გაუგზავნა ამას წინათ არ გადაუცია, ახლა არის საშუალება და როგორმე დაეხმარება.

*შავი მელანი, რომი-ახალციხე, 1902 წელი, 16 აპრილი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**704.** **2004**

"თქვენო ღირსებავ და პატივსაცემო მამაო იოვანე. მადლი მახარობელს!"

მადლობას უხდის მოლოცვისათვის. აცნობებს, რომ წერილთან ერთად მიიღო "ცნობის ფურცელიც", "მოგზაური" და ტერ მიხაილის შესახებ ცერრის წერილი. აწუხებს "ეს ყველა კარგია, მაგრამ ჩემთვის ეხლა უფრო საჭიროა ის, რაც მანდ სომხებს დაუწერიათ წინააღმდეგი და რაც მინისტრს მოუწერია პაპთან მიმართვის შესახებ. სთხოვს საჩქაროდ გაუგზავნონ ეს ყველაფერი. მანამდე კი "შევაჩერებ ქაღალდის გადაცემას" კიდევ დაუცდი ამ ქაღალდის მოწოდებას." საუბარია მამა ლაზარეს 19 მანეთის ვალზე.

"დიდად ვწუხვარ, რომ ერშიც მაგრე წინააღმდეგობას გიწევენ გულს ნუ გაიტეხთ ღმერთი მოწყალეა. ახალ ეპიზკოპოზის გამოცხადებას მუდამ დღე მოველი, როცა ეს იქნება მაშინ დიდ ვერაფერს გაარიგებენ ბოროტი სულები." უსურვებს სრული ჯანის სიმრთელეს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი, 1902 წელი, 26 მაისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**705.** **2005**

"თქვენო ღირსებავ პატივცემულო მამა იოვანე.
ქებული იყოს იესოს სახელი!"

წერილში საუბარია მ. თამარაშვილის წიგნის წარმატებით გამოცემაზე. "დიდება და მადლი ღმერთსა, ყველა იმის განსაკუთრებული შემწეობით და მოწყალებით იქმნა ერთი ძვირფასი წიგნის გამოცემა. წარმოუდგენელია, თუ რაოდენი სიძნელეები დავსძლიე ამ წიგნის დამთავრებამდის. მე სრულებით არ მოველოდი ამას, მაგრამ მოწყალე ღმერთმა ყველაფერში

ხელი წარმიმართა”.“ ყველაზე უდიდესი სიძნელე აღმომიჩინა ბ.პ. ალფოზიმმა: ყველა გზით ეცადა, წარმოიდგინეთ თვით სულიერ მამასაც მიმართა, რათა ეს წიგნი დამეტოვა და აქედან წავეყვანე, მაგრამ ღმერთმა ამაშიც გამამარჯვებინა და მისგან განმაშორა და ეს ყველა სირცხვილი მაგას დარჩა.

მეორე არანაკლები გულსაკლავი სიძნელე გახლავს ბატონ დომინიკესაგან. ბევრი წიგნი მივწერე, მაგრამ საუბედუროდ მისგან ჯერაც არა მაქვს პასუხი. მე პეტრე მირიანაშვილს მივანდვე წიგნის დაბეჭდვის საქმე. იმანაც სიამოვნებით აიღო თავზე და დააცენზურებინა”. აცნობს მეორე წიგნის შინაარსს, რომელზედაც ამჟამად მუშაობს და მალე დაბეჭდავს. “ჩემი მეორე წიგნი იქნება სომხების პასუხად. ამაში უნდა მოვიყვანო რაც სომხებს უწერიათ ჩვენს წინააღმდეგ და მათი მაჩვენებელი კათოლიკობა. მოვიყვან იმ დოკუმენტებს, რომლებიც ახლა შევკრიბე, რომელთა შორის იქნება თქვენი გამოგზავნილი ტერ ანტონ ხიზაბავრელის არზაც.” სთხოვს, თუ კი იცის რაიმე საბუთი სომხების საქართველოში გადმოსახლების შესახებ, სასწრაფოდ გამოუგზავნოს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი, 1902 წელი, 27 დეკემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**706. 2006**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

სთხოვს გამოუგზავნოს ზუსტი ცნობები სომხების საქართველოში გადმოსახლების შესახებ. აცნობს თავისი მეორე წიგნის მიზანს “სომხების ნაწერების გამტყუნება, ესე იგი იმას, რაც 1897 წ. ჩვენს წინააღმდეგ დასწერეს.”

წერილში იგი ეხება აგრეთვე ოჯახურ ამბებს. მადლობას უხდის ივანეს შვილს - კონსტანტინეს წიგნების გაყიდვისათვის.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი-ახალციხე, 1903 წელი, 23 იანვარი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**707. 2007**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

ლაპარაკია სომეხ ნახაპეტიანის ცდებზე თამარაშვილის წიგნის წინააღმდეგ, გაცრუებისა და მისი წიგნის სომხების საპასუხოდ დამთავრების შესახებ. ატყობინებს, რომ წიგნს გაუგზავნის პეტრე მირიანაშვილს თფილისში დასაბეჭდად.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი-ახალციხე, 1903 წელი, 18 მკათათვე,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

708. 2008

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

ატყობინებს, რომ სულ ახლახან დაამთავრა მეორე წიგნი სომხების საპასუხოდ. გადმოსცემს წიგნის მოკლე შინაარსს. სთხოვს ფული, რომელსაც გამოუგზავნის ივანეს, გადასცეს თავის დას ძუძუნას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი-ახალციხე, 1903 წელი, 6 აპრილი,*
*1 ფურცელი, მხედრული.*

709. 2009

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

ლაპარაკია არეულობაზე, რომელიც თფილისში მომხდარა და დიდ მწუხარებას გამოთქვამს ამის გამო. ატყობინებს, რომ დაუწერია რაპორტი სომხებზე და თფილისის ეკლესიაზეც და დაურიგებია კარდინალებისათვის და სხვა საჭირო პირებისათვისაც. წერილი მთლიანად ეხება სომხებისა და ქართველების უთანხმოებას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი-ახალციხე, 1903 წელი, 3 ივნისი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

710. 2010

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

მადლობას უხდის მოწოდებული ფაქტებისათვის. სთხოვს გაუგზავნოს “ქართული საერო და სასულიერო კილოები ისტორიული.” თვალყური ადევნოს სომხურ გაზეთებს და თუ რაიმე იქნება მათ საწინააღმდეგოდ თარგმნონ და გაუგზავნონ. სწერს, რომ აპირებს ფრანგულად წერილის  დაბეჭდვას, სადაც ლაპარაკი იქნება ქართულ ანბანზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი-ახალციხე, 1904 წელი, 1 მარტი,*
*1 ფურცელი, მხედრული.*

711. 2011

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

წერილში აცნობს თავისი მეორე წიგნის ძირითად მიზანს. წყენას გამოთქვამს ვინმე პ. პავლეს და დომინიკესადმი, მათი უყურადღებობისა, ქედმაღლობისა და უკულტურობის გამო. ჰპირდება, რომ არაფერს დაზოგავს ტიპიკონის გამოცვლის, თუ სხვა სასიკეთო საქმეების გამო, ოღონდ რამე კეთილი საქმე გაუკეთოს საქართველოს.

სთხოვს, "აქ დადებული წიგნი სერაბიმს გადასცენ დაბეჭდილი" და თუ ეპისკოპოსი ნებას დართავს იქადაგონ ყველგან.

ბოლოს ულოცავს მომავალ დღესასწაულს - შობას და ახალ წელიწადს. წერილში ნახსენებია ივ. გვარამაძის ამჟამად დაბეჭდილი ნაწარმოებები.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი-ახალციხე, 1904 წელი, 20 დეკემბერი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**712. 1979**

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

წერილში ლაპარაკია მის მიერ აღმოჩენილ სურათებზე. სურვილს გამოთქვამს ყველა სურათის საქართველოში გამოგზავნისა. ატყობინებს, რომ მამა პ. თათენაშვილს გამოუგზავნა ხატები. იმედს გამოთქვამს, რომ გვარამაძე ლექსიკონს მალე დაამთავრებს.

*შავი მელანი, რომი-ახალციხე, 1906 წელი, 3 აპრილი, 1 ფურცელი მხედრული.*

**713. 2012**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

წერილში იმედს გამოთქვამს, რომ ქართველები გონს მოვლენ ერთი საუკუნის საშინელი გაკვეთილის შემდეგ და შეუერთდებიან კათოლიკობას. აცნობებს, რომ 'სიცილიაში" მიაგნო მისიონერების მიერ დახატულ სურათებს ქართველი მთავრებისას და დიდის წვალებით ჩამოიტანა 137 ცალი და აქედან 3 ცალს უგზავნის ივ. გვარამაძეს. მას მიაჩნია, რომ ამ სურათების შესყიდვით მან დიდი საისტორიო განძი შეუდგინა საქართველოს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი- ახალციხე, 1906 წელი, 6 დეკემბერი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**714. 1962**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

წერილში იგი ატყობინებს, რომ იგი ამთავრებს თავის დიდ შრომას და რომ აპირებს მის დაბეჭდვას. სთხოვს თანხლებული წერილი გადასცეს თათენაშვილს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი 2 იანვარი 1907 წელი, რომი-ახალციხე,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**715.** **1963**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

წერილში სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ივ. გვარამაძეს აღმოუჩენია წარწერები "საზეთეში". სთხოვს წერწერები ბევრი შეკრიბოს და განმარტოს, რომ მომავალ თაობას არ დაეკარგოს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 31 ქრისტეშობის თვე 1907 წელი, რომი- ახალციხე,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**716.** **1988**

**მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.** სიხარულს გამოთქვამს ივ. გვარამაძის მიერ ლექსიკონის დამთავრების გამო და უსურვებს შემდგომ წარმატებებს. ატყობინებს, რომ მალე დაამთავრებს თავის შრომას ფრანგულად და მალე დაბეჭდავს.

*შავი მელანი, რომი-ახალციხე, 1907 წელი, 5 თებერვალი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**717.** **1960**

მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი. მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გვარამაძეს არ უფასებენ ამაგს და პენსიას არ უნიშნავენ. წერილში პასუხი აქვს გაცემული ვანო მერაბოვის თხოვნაზე უდის ეკლესიის ლათინური ტიპიკონზე გადაყვანის თაობაზე. სთხოვს დაბეჭდოს და გადასცეს მერაბოვს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 21 მარტი 1908 წელი, რომი- ახალციხე,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**718.** **1961**

მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი. წერილში აცნობებს, რომ მისი საჩივარი ნამესტნიკთან ეპისკოპოსსა და რომზე უსაფუძვლოა, ვინაიდგან მსგავსი ცვლილება მთავრობის საგანი არ არის და ურჩევს დაფიქრდნენ, ამით უფრო არ გაიფუჭონ საქმე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 19 ნოემბერი 1908 წელი, რომი-ახალციხე,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

719. 1997

“თქვენო ღირსებავ დიდად პატივცემულო მამაო იოვანე”.

წერილის ავტორი ადრესატს აცნობს, რომ მიიღო მისი წერილი, რამაც ძალიან ასიამოვნა. ახალციხელების თხოვნა მიუღიათ და ეპისკოპოსი ყველანაირად ცდილობს დაეხმაროს მთხოვნელებს.

“ეპისკოპოსმა შეიტყო ტერ აბრამიანის ორგულობა, აგრეთვე ისიც, რომ 1883 წელს მანდაურებს ეპისკოპოს ცოტმანთან გაუგზავნიათ დეპუტაცია. მეც რაც შემიძლია ვცდილობ, იმედია ღმერთიც შეგვეწევა. შეიტყობდით ჩემზე და ანტონოვზე აქ საჩივარი მოუწერია ტერ აბრამიანს, ვითომ ჩვენ მანდ ხალხს ვაღელვებდეთ და აგიტაციას ვუწევდეთ.”

ლაპარაკია თავის წიგნზე, რომელიც ფრანგულად დაამთავრა და იმ აღშფოთებაზე, რომელისც გამოუწვევია ამ წიგნს ვენის სომეხ მხითარისტებში.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი-ახალციხე, 1910 წელი 18 გიორგობისა,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

720. 1458

## მიხეილ თამარაშვილის წერილი ქრისტესია გვარამაძისადმი

“დიდად პატივცემულო ქრისტესია” იწყება წერილი, სადაც მიხეილი გამოხატავს დიდ სიხარულს ქრისტესიასგან მიღებული წერილის გამო, თუმცა იგი ებოდიშება კიდეც, რადგან პასუხი დროულად ვერ დაუბრუნა მოუცლელობის გამო. ‘რადგან ვაბეჭდინებ ჩემს საქართველოს ეკლესიის ისტორიას ფრანგულად და სრულებით არა მაქვს მოცლა ამ დღეებში.” მიხეილი აგრეთვე გახარებულია იმით, რომ აქაურ მოსახლეობას მთავრობისადმი თხოვნა გაუგზავნიათ ლათინურ ტიპიკონზე გადასასვლელად, რაზედაც თანხმობა მიუღიათ. მაგრამ მიხეილს აწუხებს ის, რომ ამ საქმეში ერი და ბერი გაერთიანებული არ არის, მეტ პასუხისმგებლობას ეკლესიისგან ითხოვს: “თხოვნაზე ნება დაურთვია ლათინის წესზედ, რაც ადვილად მოსალოდნელი არ იყო, ხოლო დიდად სამწუხაროა, რომ ამისთანა საქმეებში მღვდლები და ერი ერთად არ არიან, რადგან ამისთანა საქმე უფრო მღვდლების მონაწილეობით უნდა იქნას, ვინემც ერის.”

მიხეილ თამარაშვილი წერილში ძალიან წუხს იმ ფაქტზე, რომ ტერ აბრაამიანს ხალხისა და მღვდლების ხელმოწერით რომისთვის რაპორტი გაუგზავნია და რომს სთხოვს: “არ იქნას და არ იქნას აქაურ კათოლიკეებს ლათინურ ტიპიკონზედ გადასვლის ნება მისცეთო.” აგრეთვე “აბეზღებს ანტონოვებს, რომ აქ აგიტაციას ეწევიანო” ვატიკანს უთხოვია მიხეილისათვის, რომ “ხალხს ჩააგონე წყნარად იყოს, არაფერი უწესობა მოახდინოსო” და დასძენს, რომ მართლაც “უწესობა კი არა, ერთობაა საჭირო” “ეცადეთ, ყველა შეერთდით, ერი და ბერი, როცა მანდ ყველა კათოლიკეს ერთი პირი გექნებათ, ეგ აბრაამიანი ვეღარაფერს გააწყობს, ათასი რაპორტიც რომ მოიწეროს.” თუმცა წუხს, რომ “აქ მოწადინებული არ არიან, რომ ჯერჯერობით მანდაურები ლათინურ ტიპიკონზე გადაიყვანონ, რადგან ხომ იცით, მთელ აღმოსავლეთში აკრძალეს აღმოსავლეთელების “გალათინება”, მაინც იმედი გადაწყვეტილი არ არის, თუ მღვდლების და ერის ერთობა იქნება, როცა ეპისკოპოსისაგან თხოვნა მოვა, მე რაც შემიძლია ვეცდები.”

წერილში დაფიქსირებულია ივ. გვარამაძისადმი მოკითხვა, მიხეილი წუხს მის ავადმყოფობაზე და წინასწარ ულოცავს აღდგომის დღესასწაულს. თან ბოდიშს იხდის, რომ ივ. გვარამაძეს პირადად ცალკე წერილს ვერ უგზავნის მოუცლელობის გამო. ის უბარებს მოკითხვას ქრისტესიას მეუღლეს მაიკოს, ძმებს: პიოს, სიმონას, სტეფანეს, პ. ნებიერიძეს, ამბობს, რომ აქვე აგზავნის კიდევ ერთ წერილს პავლე კალაიჯევისათვის გადასაცემად. კითხულობს თავის დას ძუძუნას, რომლის ამბავიც ბევრი ხანია აღარ იცის და ძუძუნას უბარებს, რომ მისწეროს, შეეხმიანოს მას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი, 1910 წელი, 22 აპრილი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**721. 2013**

**მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი.**

წერილში საუბარია "ახალციხელების საქმეზე", მათ ლათინურ ტიპიკონზე გადაყვანაზე. აცნობებს, რომ მარტო მისი ცდა არაა საკმარისი, საჭიროა ეპისკოპოსის ჩარევა. ურჩევს იქონიონ ერთობა არა მარტო ერში, არამედ თვით მღვდლებშიც.

ბოლოს ულოცავს წმ. აღდგომას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რომი- ახალციხე, 1911 წელი, 10 აპრილი,*
*2 ფურცელი, მხედრული.*

**თარხანოვი გ.**

**722. 2055**

"პატივცემულო მამაო იოვანე!"

წერილის შესავალი იწყება "თქვენი თხოვნა მე არ დამვიწყებია, მაგრამ მომიტევეთ, რომ აქამდისინ ვერ მოგართვით, რადგანაც მე თვითონ ვაპირებდი თბილისში ჩასვლას., საიდანაც მინდოდა გამომეგზავნა თქვენთვის "ქართლის ცხოვრება", ამისათვის აღარ დაუბარე, ეს იყო მიზეზი რომელმაც დამაგვიანებინა დაბარება ქართლის ცხოვრებისა". იწონებს მის განზრახვას, რომ იმუშაოს ქვეყნის ისტორიის შესწავლაზე.

"როდისმე მიაღწიოს სისრულემდის ჩვენი ქვეყნის ისტორიამ. მე იმედი მაქვს, რომ უამისოდ არ იქნება, მითუმეტეს ჩვენი ქვეყანა იმისთანა კუნჭულია, რომლის გამორჩევა და გაცნობა დასაბამიდგან აქამდის ყველასთვის საინტერესო არის".

"დავშთები მარად მსურველი თქვენის განზრახულის აღსრულებისა. თქვენი მონა თარხნიშვილი."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1882 წელი, 12 იანვარი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## თაყაიშვილი ექვთიმე

**723.** **2174**

მოწმობა ივანე გვარამაძის "საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" ნამდვილ წევრად არჩევს შესახებ.

აუწყებენ, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1908 წლის 18 ნოემბრის კრებამ აირჩია საზოგადოების ნამდვილ წევრად. "გაუწყებთ რა ამას, გაახლებთ საზოგადოების წესდებას, გთხოვთ: წერითი მასალის მოწოდებით, თუ ნივთიერი შემწეობით აღნიშნულ საზოგადოებას დახმარება გაუწიოთ".

ხელს აწერენ: საზოგადოების თავმჯდომარე: ე. თაყაიშვილი, მდივანი: ს. გიორგაძე.

ფურცელს დაბლა აქვს მინაწერი, საფოსტო ადრესი რუსულ ენაზე. მოწმობა შევსებულია ნაბეჭდი და ხელნაწერი შრიფტით.

*შავი მელანი, 1908 წელი, თბილისი, 1 ფურცელი. რუსული მხედრული,*

## თუმანოვი ლუკა

**724.** **2325**

"თქვენო მაღალ ღირსება, სულიერო მამაო მამა იოანე გვარამაძე!"

"პირველად ვეამბორები თქვენს მარჯვენასა და მერმედ უფალს ვსთხოვ თქვენს კეთილ ცხოვრებასა. ახლა მამაო, თქვენს სახელზე ვაგზავნი 30 მანეთს და გთხოვთ გადასცეთ მამაჩემს სტეფან თუმანოვს. გთხოვთ გამომიგზავნოთ მისი წერილი". აინტერესებს აცნობოს ლაზარე გოზალოვის ამბავი, ეკურთხა თუ არა მღვდლად. ბოდიშს იხდის შეწუხებისათვის. სთხოვს წერილის პასუხის მალე დაბრუნებას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1895 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## თუმანოვი დიმიტრი

**725.** **2642**

"ღირსო მამაო ტერ იოვანე, ქებული იყოს იესოს სახელი."

ავტორი ადრესატს ბოდიშს უხდის: 'უკაცრავად გახლავარ, რომ ეს 30მანეთი ამ ერთი წლის წირვისათვის ნათქვამი გექნებათ და მე დღემდისინ ვერ გაახელით, პავლეს ყოველთვის

ვეუბნებოდი, ერთი იქნებ ეს სამი თუმანი გამიგზავნო ვინმეს მგზავრის ხელით ისიც მეუბნებოდა სულ - კარგიო და დარჩა.”

საუბარია ქუთაისში გადასვლაზე.

*შავი მელანი, 1882 წელი 5 თებერვალი, ქ. თბილისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**726.** **2640**

“ღირსო მამაო იოვანე.”

ავტორი ულოცავს ახალ წელიწადს და უსურვებს, რომ ღმერთმა არ მოაკლოს სულიერი და ჟამიერი მადლი. აცნობებს, რომ მიუღია მისი წიგნი. საუბარია “ალექსანდრეს” თვალის შოვნაზე. “სასიამოვნო იყო სმენა თქვენი შვილის ამბავისა, ღმერთმა ინებოს, რომ სემინარია კარგად დაასრულოს და კეთილი მღვდელი გამოვიდეს”.

კითხულობს ტერ პეტროს აგაშოვს, პრისტავს ტერენტი აკოფოვს და გვარამაძის სახლობას.

*შავი მელანი, 1890 წელი, 31 დეკემბერი, ქ. ოდესა, 1 ფურცელი, მხედრული.*

**727.** **2641**

“ღირსო მამაო ტერ იოვანე.”

ავტორი ულოცავს ყველა გავლილ დღესასწაულს და უსურვებს, რომ “მაცხოვარმა იესომ მოგცეს თავისი მადლი და კურთხევა”.

უგზავნის 30 წირვას და სთხოვს ეს წირვები თვითონ ან ვინმეს შეასრულებინოს. ამასთანავე უგზავნის 30 მანეთს. სთხოვს პასუხის დაბრუნებას.

*შავი მელანი, 1893 წელი, ქ. ოდესა, 2 ფურცელი, მხედრული.*

**იაკობაშვილი ანტონი**

**728.** **2353**

“ფრიად პატივცემულო მამაო!”

“მარადის და უკუნისამდე იყოს ქებული იესოს სახელი.”

ულოცავს ყველა დღესასწაულს, უსურვებს უვნებელ სიცოცხლეს. საუბრობს თავის გაუარესებულ ჯანმრთელობაზე.

“მე ვაპირებდი ამ დღეებში წამოსვლას, მაგრამ სიცივეებში ვერ გამიბედია ჩემი სნეულება მაწუხებს.”

*შავი მელანი, ს. არალი, 1899 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**729.** **2354**

“ღრმად მოწყალე მამაო ტერ იოვანე!”

“ქებული იესოს სახელი.”

წერილი კერძო ხასიათისაა, საუბარია თავის ჯანმრთელობაზე, რომ დაუნიშნეს მასაჟები და “ელექტრონის ვანა.”

*შავი მელანი, აბასთუმანი, 1899 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**730.** **2355**

“ღირსო მოწყალე მამაო!”

წერილში საუბარია ერთი ყმაწვილის მონათვლაზე. მამის სახელია მიხაილ პავლეს ძე ფალოევი. იგი ეკუთვნის ივ. გვარამაძის მრევლს. და სთხოვს ჩაწეროს მის წიგნში. ჩამოთვლილი ყავს დამსწრე პირები: ანტონ სტეფანეს ძე შანშილოვი, სტანისლავ კაჯევანოვი.

*შავი მელანი, აბასთუმანი, 1899 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**იგითხანოვი თომა**

**731.** **2291**

“თქვენო კეთილო ღირსებავ მამაო იოვანე!”

“ვთხოვ ყოვლის მპყრობელ ღმერთსა, რათა მოგცეს გვამის სიმრთელე და დაგიფაროსთ ყველა ნაირი სულიერი თუ ხორციელი განსაცდელებისაგან. შემდგომად ამისა, ვიცი თქვენი კეთილი მამობრივი გულმოწყალება და ჩემს ვითარებას იძიებთ, მადლობა აწ კარგათ გახლავართ.”

ულოცავს ხარისხის მინიჭებას. საუბარია, სწავლა-განათლების წინ წაწევის საქმეზე. აცნობებს, რომ მას ყმაწვილობიდანვე სურდა სასულიერო წოდებაში შესვლა, რაც ვერ მოხერხდა. წერილი მთლიანად საეკლესიო ხასიათისაა.

*შავი მელანი, ქ. ართვინი, 1890 წელი, 29 სექტემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**იგითხანოვი იაკობ**

**732.** **2292**

“თქვენო მაღალო ღირსებავ!”

“პატივცემულო ძმაო, ტერ იოვანე გვარამაძე, სიმდაბლით მოკითხვა, ძმობილო სიყვარულითა.”

თქვენო ღირსებავ, თქვენგან მიღებული 16 წირვის წყალობის ფული სრულიათ შევასრულე და ამაზე გაძლევ ცნობას, რომ იმედიანად იყო. ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ თქვენ ღირსებას, თუ კიდევ გექნებათ წირვის წყალობა, გთხოვთ ნუ დაგავიწყდებით და აგვისტინეს ხელით გამომიგზავნოთ.

*შავი მელანი, ს. კარტიკამი, 1902 წელი, 13 ენკენისთვე, 1 ფურცელი, მხედრული.*

**იგითხანოვი თომა**

**731.** **2291**

“თქვენო კეთილო ღირსებავ მამაო იოვანე!”

“ვთხოვ ყოვლის მპყრობელ ღმერთსა, რათა მოგცეს გვამის სიმრთელე და დაგიფაროსთ ყველა ნაირი სულიერი თუ ხორციელი განსაცდელებისაგან. შემდგომად ამისა, ვიცი თქვენი კეთილი მამობრივი გულმოწყალება და ჩემს ვითარებას იძიებთ, მადლობა აწ კარგათ გახლავართ.”

ულოცავს ხარისხის მინიჭებას. საუბარია, სწავლა-განათლების წინ წაწევის საქმეზე. აცნობებს, რომ მას ყმაწვილობიდანვე სურდა სასულიერო წოდებაში შესვლა, რაც ვერ მოხერხდა. წერილი მთლიანად საეკლესიო ხასიათისაა.

*შავი მელანი, ქ. ართვინი, 1890 წელი, 29 სექტემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**იგითხანოვი იაკობ**

**732.** **2292**

“თქვენო მაღალო ღირსებავ!”

“პატივცემულო ძმაო, ტერ იოვანე გვარამაძე, სიმდაბლით მოკითხვა, ძმობილო სიყვარულითა.”

თქვენო ღირსებავ, თქვენგან მიღებული 16 წირვის წყალობის ფული სრულიათ შევასრულე და ამაზე გაძლევ ცნობას, რომ იმედიანად იყო. ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ თქვენ ღირსებას, თუ კიდევ გექნებათ წირვის წყალობა, გთხოვთ ნუ დაგავიწყდებით და აგვისტინეს ხელით გამომიგზავნოთ.

*შავი მელანი, ს. კარტიკამი, 1902 წელი, 13 ენკენისთვე, 1 ფურცელი, მხედრული.*

**ისარლიშვილი იაკობ**

**733.** **2048**

“დიდად პატივცემულო მამა ბატონო ივანე!”

“სიყვარულით და კეთილის გულით მოგიკითხამთ და გისურვებთ თქვენს კარგად მყოფელობას, ღმერთმა აგისრულოთ თქვენი გულის სურვილი. ამ ზაფხულს ვაპირებ აბასთუმანში ერთი თვით ცხოვრებას, რა- საკვირველია ერთმანეთს ვნახამთ, წავალთ კიდეც ზარზმაში ჩვენს მამა-პაპეულ საყდრის სანახავად.” სთხოვს “ბატონო, ეს ოცდახუთი მანეთი მიიღოთ და ერთი წირვა ბრძანოთ, ჩემის მამა- პაპეულის სულის მოსახსენებლად.”

*შავი მელანი, 1904 წელი, 20 იანვარი, 2 ფურველი, მხედრული.*

**კაიბეგოვი**

**734.** **2335**

კერძო ხასიათისაა. საუბარია 1500 მანეთის სასწრაფოდ გაცემაზე, “რომ საქმე კარგად წაუვიდეთ.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1898 წ. 1 ფურც. მხედრული.*

**კალატოზოვი**

**735.** **2311**

“ღრმად პატივცემულო მაღალ ღირსებავ მამაო იოვანე.” ავტორი ბოდიშს იხდის წერილის დაგვიანებისათვის.

“იმედია მაპატიებთ ამდენხანს ჩემთან დაყოვნებით ჩემის პასუხისა “მშაკისადმი”, შეუძლებელი იქნა მაგისი სომხურად დაბეჭდვა. მონასტერი კამათში არ ერევა. მაგას რაღა დამტკიცება უნდაო.”

წერილის დანარჩენი ნაწილი დათმობილი აქვს ოჯახის წევრების მოკითხვას. აქვს რუსულით მინაწერი მისამართი.

*შავი მელანი, ოზურგეთი, 1902 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**736.** **1925**

"ღირსო მამაო იოვანე გვარამაძე." წმ. იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიას ახალციხეში.

სასულიერო მმართველობა ავალებს აუხსნას მათ, რა საფუძვლით წაიკითხა და ხელი მოაწერა იმ უდიერ მოქცევას, რამაც მრევლში "შფოთი და აყალმაყალი გამოიწვია". "გავალებთ ამ ორი მუხლის შესახებ შემოიტანოთ თქვენი პასუხი არაუგვიანეს ორი დღისა."

ფურცელს მარცხენა კუთხეში აქვს შტამპი სომხური შრიფტით. 9 მარტი 1905 წელი 137.

*შავი მელანი, 1905, 1 ფურცელი, მხედრული.*

**კალაიჯევი პავლე**

**737.** **2670**

საუბარია არარატიანის უსამართლო საქციელზე. "დროების" იმ დროინდელ რედაქტორზე სერგეი მესხზე. აცნობებს, რომ ხარისჩაროვს აქვს სურვილი გამოსცეს გვარამაძის ნათარგმნი წიგნები.

*შავი მელანი, მოზდოკი, 1876 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**738.** **2597**

"ძმური სიყვარულითა და პატივისცემით მოგიკითხავ და მოგილოცავ გავლილ დღესასწაულებს, უფალი იესოს აღდგომასა, გისურვებ, რომ მისსივე აღდგომის მადლით დაცულ იქნეთ ყოველნაირი განსაცდელისაგან." საუბარია გოგინოვის ავადმყოფობაზე და "შესაბრალებელს" მდგომარეობაში ყოფნაზე. ნახსენებია სოფიო გოგინევის ქვრივი. საუბარია ივლიტის ეკლესიის ზედამხედველად ტერ იოკიმ მაზმანოვისა და მისი სიკვდილის შემდეგ ეკლესიის გამგებლობაზე. ავტორი ამშვიდებს ივ. გვარამაძეს "უჩივით თქვენი მრევლის სიღარიბესა, უნდა მოგახსენო, რომ ეგ სნეულება აქ მოზდოკშიც არის. აქაურებიც ისე ღარიბები არიან და ცოტანი, რომ როდესაც ავადმყოფთან მიძახიან ხოლმე და ნუგეშს ვაძლევ სულის ცხონების შესახებ სიტყვებითა, ისინი საიდუმლოების მიღებაზე უწინ მთხოვენ ნივთიერს ნუგეშისცემას."

"თქვენი მაღალ ღირსების უმორჩილესი მონა."

*შავი მელანი, ქ. მოზდოკი, 1878 წელი, 5 მაისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**739.** **2598**

“თქვენო მაღალ ღირსებავ უფალო ტერ იოვანე.
ქრისტე აღსდგა ალლელუია.”

“ძმობრივი გულითადი სიყვარულით მოგიკითხავ და ვისურვებ თქვენთვის მრავალჟამიერს, უვნებელ სიცოცხლესა.”

აცნობებს, რომ მიუღია მისი გაგზავნილი წერილები. ელოდება ვინმე სანდო მგზავრის გამოჩენას, რომელსაც გაატანს წიგნებს ახალციხეში. სთხოვს, მომიხსენიოთ თქვენს ლოცვა-ვედრებაში, თქვენი უმცროსი ძმა.

წერილი დაზიანებულია.

*შავი მელანი, თბილისი, 1884 წელი, 2 მაისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**740.** **2600**

“თქვენო მაღალ ღირსებავ უფალო ტერ იოვანე.
ქებული იყოს იესოს სახელი.”

ავტორი ივანე გვარამაძეს აცნობებს, რომ “თქვენი ჩემთან დატოვებული “ქართლის ცხოვრების” 400 ეგზემპლარი და 100 ფურცელი კორექტიული შეცდომებისა, ივანე მეფისოვს გავატანე ქუთაისში თქვენს ცოლის ძმასთან გასაყიდათ. ხოლო დანარჩენები ჩემთან არიან, თუ ინებებთ რამდენ ეგზემპლარსაც ისურვებთ აქ ჩავაბარებ ცენტრალურ მაღაზიაში.” ზ. ჭიჭინაძეს მისთვის მხოლოდ 197 ფურცელი გადაუცია.

საუბარია აკაკი წერეთლის იმ ხანებში მათთან ყოფნის თაობაზე. საუბრობს ქართველი სტუდენტების 3 წლით სიბირში გაგზავნაზე. ესენია: სტეფანე ბერულაშვილი, ვანო ნანეიშვილი, მიშა ყიფიანი. მოკითხვას უგზავნის დონ დიმიტრი.

*შავი მელანი, თბილისი, 1884 წელი, 8 აგვისტო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**741.** **1852**

“ღირსო მამაო, უფალო ტერ იოანე!
ქებული იყოს იესოს სახელი!”

“თქვენი ორი წერილი მივიღე, მაგრამ პასუხები კი საჩქაროდ ვერ მოგწერეთ, თუმცა კი თქვენი მონდობილი საქმეების შესრულება არ დამზარებია, ვცდილობდი აღმესრულებინა”. საუბარია ურთიერთ გაუგებრობაზე “მართლა ეგრედა გგონივართ მე, რომ ვიყო ისრე გაამპარტავნებული და გასიებული...” თქვენს შვილის ქრისტესას მეორე დღესვე ავართვი პასპორტი და მესამე დღეს გავაგზავნე ქუთაისში პ. სტეფანესთან. გზის სახარჯო ფულიც გავატანე. ის ახლა სტამბულში იქნება. ვსცან, რომ “ტერ სტეფან გოზალოვს უდისთვის თავი

დაუნებებია და ხულგუმოს წასვლას აპირებსო.” წერილის შინაარსი ეხება საეკლესიო ურთიერთობებს.

*შავი მელანი, ქ. თბილისი, 1885 წელი 13 ნოემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**742. 2601**

“მაღალ ღირსო უფალო ტერ იოვანე.
ქრისტე აღსდგა ალლელუია.”

ავტორი მთელი სიყვარულით ულოცავს ქრისტეს Eაღდგომის დღესასწაულს და უსურვებს ყველანაირ ბედნიერებას. გვარამაძეს აცნობებს, რომ უნახია ექვთიმე ხელაძე, იგი დაჰპირებია ერთ კვირაში ფულის ჩაბარებას. როგორც კი აიღებს ფულს მაშინვე გაუგზავნის ვინმეს ხელით ან ფოსტით. სთხოვს “მანდაური” კათოლიკეები რომელნიც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, ეგენი მართლაც ქართველნის შთამომავალნი არიან თუ სომხისა. თუ ქართველები არიან როდის და რა მიზეზის გამო მიუღიათ ქართული ტიპიკონი, ამ საკითხზე სთხოვს დაწვრილებით პასუხს. საუბარია ველიდან ახალქალაქში გადმოსახლებულ ოთხი სოფლის მოსახლეობაზე.

*შავი მელანი, თბილისი, 1885 წელი, 3 აპრილი, 1 ფირცელი, მხედრული.*

**743. 2599**

“თქვენო მაღალ ღირსებავ უფალო ტერ იოვანე!”

ავტორი მადლობას უხდის მისი თხოვნის შესრულებისათვის, საუბარია ქართულ ენაზე, შანოვის უსამართლო მოქმედებაზე. “დაეხსენი, რაც უნდა ქნას. ჩვენ ვიცით, რომ ეგ უსამართლობაა.”

‘ექვთიმე ხელაძე ჯერაც ტყუილების მეტს არაფერს არ იძლევა.” მოგიკითხავთ სიყვარულით, თქვენი უმცირესი.

*შავი მელანი, თბილისი, 1886 წელი, 3 დეკემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**744. 2602**

“თქვენო მაღალ ღირსებავ უფალო ტერ იოვანე.”

ავტორი ივ. გვარამაძეს აცნობებს, რომ მიიღო მისი წერილი. საუბარია საეკლესიო ტიტულებზე და მათ ხელფასზე. დიდ მადლობას უხდის, რომ გაერკვია იმ ისტორიულ ამბებში, რომელიც ახალციხის ქართველობას შეეხება. იმედს გამოთქვამს მომავალშიც აცნობებს ამისთანა საკითხებს.

*შავი მელანი, თბილისი, 1886 წელი, 2 მაისი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**745.** **2603**

"ღირსო უფალო ტერ მამაო იოვანე.
ქებული იყოს იესოს სახელი."

კალაიჯევი აცნობებს, რომ "თქვენი წერილი მივიღე. მადლობას მოგახსენებ, რომ ჩემი მინდობილობა შეგისრულებიათ, ფულები დაგირიგებიათ მათთვის, ვისაც მე გამოუგზავნე. მხოლოდ იმას კი არ მიწერთ, რომ მიეცით თუ არა გოგინავას ასულს 10 მანეთი." წერილში ავტორი არწმუნებს, რომ თბილიში არავითარი "ამღვრეულობა" არ არის. მხოლოდ "მხიტარისტები" ცდილობენ ეკლესიების ხელში ჩაგდებას. საყვედურობს, რომ ივანე გვარამაძეს და ტერ ანტონს ცალკე პარტია შეუდგენიათ და არ დათანხმებულან იმ ქაღალდზე ხელის მოწერას, ეს კაის არაფერს მოუტანთ მათ.

*შავი მელანი, თბილისი, 1887 წელი, 18 დეკემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**746.** **2604**

"ღირსო უფალო ტერ მამაო იოვანე.
ქებული იყოს იესოს სახელი."

იწყება: "გუშინ მივიღე თქვენი პატიოსანი წერილი, მადლობას მოგახსენებ ჩემი მინდობილი საქმეების შესრულებისათვის." საუბარია საწირავებში დაშვებულ შეცდომებზე. ურჩევს, მან აიღოს თავის თავზე და დაწეროს "ისტორია საქართველოს კათოლიკე ეკლესიისა", რომელიც დაფუძნებული იქნება მყარ არგუმენტზე და ფაქტებზე. საუბარია მასწავლებელ ბარიკალოვის შესახებ.

*შავი მელანი, თბილისი, 1887 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**747.** **2605**

"მაღალო ღირსო უფალო ტერ მამაო იოვანე."

საუბრობს ადრე გაგზავნილ წერილზე, რომლითაც სთხოვდა ვექსილი ჩაებარებინა ანტონ ხარისჩაროვისათვის და გამოერთმია მისთვის სტამბოლში მიცემული წერილები. "თქვენი შვილი კონსტანტინე როდესაც თბილიში იმყოფებოდა, მან ჩემთან დატოვა რამდენიმე თავისი დოკუმენტი და მერე უნდა გამოეარა, ბოლოს შევიტყვე, რომ ეგ თქვენი შვილი მანდ გხლებია, რადგან თბილიში ავად გამხდარა. რაიმე რომ ჩემთან არ დაიკარგოს მისი დოკუმენტები, მას ექვთიმე ხელაძის ხელწერილს და ღია წერილს ქუთაისიდან ერთად გიგზავნით."

მოგიკითხავ მამობრივი სიყვარულით და გთხოვ, რომ მომიხსენიოთ თქვენს წმინდა წირვაზედ.

*შავი მელანი, თბილისი, 1887 წელი, 7 დეკემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**748.** **2607**

“ღირსო მამაო უფალო ტერ იოვანე!”

კარგა ხანია რაც ერთმანეთისთვის წერილი არ მიგვიწერია, რადგან საჭირო საქმე აღარა გვქონდა ერთმანეთისათვის გასაკეთებელი. ახლა აცნობებს, რომ მასთან ყოფილა ეშტიელი მღვდელი და მან ამბავი ჩამოიტანა, რომ მანდაურ ხალხს მიუწერია ეპისკოპოსისათვის თხოვნა ნება დაერთოთ ქართული ენით წირვის თაობაზე. მაგრამ უარი მიუღიათ, რომ “მარტო წირვაზე ნუ იხმარებთო და წირვის გარეშე შეგიძლიანთ ხმარებაო.”

წერილი მთლიანად ეხება ქართული ენის ხმარებას და გადარჩენას. “ყველამ თავთავის ქალაქიდან და სოფლებიდგან შეადგინონ თხოვნა შინაგან საქმეთა მინისტრთან, თითოც ეპისკოპოსთან, რომ იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, ეცადნონ, რომ ყველა კაცმა ხელი მოაწეროს, იმედია ამნაირად მიიღებთ ნებას ქართული ენის ხმარებისა.”

საუბარია წირვებზე და მათში გადახდილ დატოვებულ 10 მანეთზე.

*შავი მელანი, თბილისი. 1891 წელი, 22 ნოემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**749. 2608**

ღირსო მამაო ტერ იოვანეს!

ქებული იყოს იესოს სახელი.

აცნობებს, რომ მიიღო ივ. გვარამაძის წერილი. ასევე სტამბის უფროსის ექვთიმე ხელაძის ქაღალდები. საუბარია ხელაძის საქმეების წარმოებაზე. რომელიც უნდა ეწარმოებიან იოსებ მურადოვს, რისთვისაც გასამრჯელოდ უნდა აიღოს 10 მანეთი. “ქართული ენის ხმარების აკრძალვის გამო, აქ მხოლოდ ეპისკოპოსის ქაღალდი მოვიდა და არა გუბერნატორისა.” აფრთხილებს, რომ “უსაფუძვლოდ ტერ სტეფან გოზალოვისა, მე გარწმუნებთ, რომ ეგრეთი არ არის, არამედ იგი იქცევა დიპლომატიურად, რადგან ამ ყველა დროში ყველა ოსტატი კაცები ეგრეთ იქცევიან, რადგან სხვანაირად პირდაპირ გამოსვლა არ ევარგება.”

მოკითხვას უგზავნის ხელზე ამბორით წერილის ავტორის ძმა იოსებიც.

*შავი მელანი, თბილისი, 1892 წელი, 7 დეკემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**750. 2610**

“ღირსო მამაო ტერ იოვანე!”

აცნობებს, რომ მიიღო მისი წერილი, პასუხი მალე ვერ დაუბრუნა, რადგან მარტოა და საქმეები კი ბევრი აქვს, ნახა მურადოვი და მისგან გაუგია რომ “სუდში დიდი მეცადინეობის შემდგომ მოუგია საქმე, ექვთიმე ხელაძესთან ასაღები 9 თუმანი”. ამ ფულიდგან მურადოვი დაიტოვებს თავის გასამრჯელოს ერთ თუმანს, 87 მანეთს კი თქვენთვის გამოაგზავნის.

წერილი საეკლესიო ხასიათისაა. შეეხება არსებულ დაბრკოლებებს.

“დავშვრები თქვენი გულითადი მეგობარი უმცროსი.”

ხელს აწერს პ. პავლე კალაიჯიშვილი.

*შავი მელანი, თბილისი, 1893 წელი, 3 ფურცელი, მხედრული.*

751. 2326

“ღირსო და პატივცემულო მამაო, უფალო ტერ იოვანე!
ქებული იყოს იესოს სახელი!”

წერილის შინაარსი შეეხება ავტორის ჯანმრთელობის გაუარესებას, რომ “წელს მე დიდი შეწუხება მეწვია. ბედნიერ დღეებში მეტად გავცივდი ეკლესიაში, მერე დამაწყებინა საშინელი ხანგრძლივი ძარღვების ტკივილი, ასრე, რომ იანვრის ცამეტამდე ჩავვარდი ლოგინათ. თითქმის დღევანდლამდე ლოგინიდან ვერ ავმდგარვარ. ჩემს ავადმყოფობას დაემატა გაციება და ბოლოს გარდაიქცა ფიცხელ მარილების ტკივილად. ერთი სიტყვით დიდი ტანჯვა და შეწუხება გავსწიე, საშინელი ტკივილები მქონდა, მუხლებისა, ფეხებისა, მხრებისა, ხელებისა, კისრისა და წელისა. ორი დოქტორი მწამლობდნენ და რაც კი წამლობა იცოდნენ მახმარდნენ. პირში და ტანზეც მახმარდნენ. სიცხე მქონდა უმადობა და უძილობა. მადლობა ღმერთს ახლა ცოტაოდნათ უკეთ შევიქმენი, სახლში ჯოხით დავდივარ, კარში გამოსვლა აკრძალული მაქვს. მერე გოგირდის წყლის ვანები უნდა მივიღო ხოლმე აქაურ აბანოებში. ზაფხულში კი დაჩად წასვლა დამჭირდება.”

საუბარია იოსებ მურადოვის მიერ მოტანილ და ჩაბარებულ 8 თუმანზე, რომელიც გამოუგზავნია ექვთიმე ხელაძეს. აქედან 20 მანეთსა და ხელაძის წერილს უგზავნის ივ. გვარამაძეს.

საუბრობს ჩუმ და ხმოვან წირვებზე და მათ ღირებულებაზე.

წერილი მთავრდება: “მოგიკითხავ ძმობრივი სიყვარულითა და გისურვებთ ყოველნაირ კეთილსა”.

*შავი მელანი, ქ. თბილისი, 1894 წელი 15 მარტი, 2 ფურცელი,*

752. 2609

“მაღალ ღირსო მამაო ტერ იოვანე!”

აცნობებს, რომ მიიღო 30 ღვინობისთვეს მისი წერილი და პასუხის გაგზავნა დააგვიანდა სხვადასხვა მიზეზების გამო. ბათმანაშვილის სტამბოლში გასაგზავნად თანახმად პატრი სტეფანეს მოწერილობისა, გამოვგზავნი 10 მანეთს, მაშინ როდესაც მისი გაგზავნის დრო იქნება. “აქნობამდის არ გამოვგზავნე ფული, რადგან ცუდი დარების გამო თითქმის ყველგან გზები გაფუჭებულნი იყვნენ.” ულოცავს მომავალ ახალ წელიწადსა, უსურვებს ჯანის სიმრთელეს.

*შავი მელანი, თბილისი, 1895 წელი, 23 დეკემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

753. 2611

“თქვენო მაღალ ღირსებავ ტერ იოვანე!”

აცნობებს მისგან გაგზავნილი წერილის მიღებას, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო აქამდის პასუხი არ მიუწერია. საუბრობს თავისი ჯანმრთელობის სისუსტეებზე, რომ არ შეუძლია წირვებისა და სხვა ცერემონიალების შესრულება, რომ მან არ იცის ქართული და რუსული ენები,

მაშასადამე მას არ შეუძლია ქართულად აღსარების მოსმენა, საქრისტიანო მოძღვრების სკოლაში სწავლება და ანუ სუდებში მოწმეების რუსულ და ქართულ ენებზე დაფიცება. იმედს აძლევს, რომ ამ დღეებში მოვა გუბერნატორის კანცელარიაში და ეცდება ეკლესიის პლანი მალე წარადგინონ "სადაც ჯერ არს.."

*შავი მელანი, თბილისი, 1896 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**754.** **2612**

"მაღალო ღმერთო, მამაო ტერ იოვანე!"

"რამდენიმე დღის წინ აქაურ საგუბერნიო მმართველობაში ვიკითხე თქვენი წარმომადგენელი ეკლესიის პლანის გამო და შემდეგი პასუხი მივიღე, რომ თქვენი ეკლესიის აშენების გამო მოხსენებულა, მმართველობას მიუწერია ახალციხის უეზდნი ნაჩალნიკისათვის. აგრეთვე საქართველოს ეგზარქოსისათვის, რომ მან მისწეროს თავისი აზრი ცხადია, რომ ეგზარხოსიც მისწერდა მანდაურს რუსის სარწმუნოების ბლაღოჩინსა." ურჩევს მანდ ადგილზე ეცადეთ, რომ უეზდის ნაჩალნიკმა დადებითი მოთხოვნა გამოაგზავნოს.

*შავი მელანი, თბილისი, 1896 წელი, 2 დეკემბერი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**755.** **2616**

"მარად ღირსო-მამაო ტერ იოანე!
ქებული იყოს იესოს სახელი."

"ძმობილი სიყვარულით მოგიკითხავ და მოგილოცავ ქრისტეს აღდგომის წმინდა დღესასწაულსა და გისურვებ მრავალჟამიერ ბედნიერ სიცოცხლესა." აცნობებს, რომ ამ დღეებში "მანდეთ" მოდის თავისი ნათესავები საკუთარი საქმის გამო და მას გამოატანს საწირავების ფულებს. სამდურავს გამოთქვამს თავისი ჯანმრთელობის გამო "დიდს სისუსტეს ვგრძნობ" და თუ ცოცხალი დარჩება აუცილებლად მომავალ ზაფხულში დასჭირდება აბასთუმანში მინერალურ წყლებზე წასვლა  და აბაზანების მიღება.

*შავი მელანი, თბილისი, 1896 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**756.** **2613**

სთხოვს გაუგზავნოს ცნობები კათოლიკობის შესახებ და თავისი გვარის წარმოშობის ცნობები საეკლესიო საბუთებიდან. "ეს ჩვენი გვარი კალაიჯევი, ხომ თათრული სიტყვაა, ამ გვარითაც ხიზაბავრაშიც სცხოვრობენ."

*შავი მელანი, თბილისი, 1897 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**757.** **2614**

აცნობებს, რომ მათი ეკლესიის მტერი - ნახაპეტოვი წამოსულა ახალციხეში, რათა შეაერთოს ახალციხელი და თბილისელი სომხები და ერთიანი ძალით იბრძოლონ ეკლესიის ჩამორთმევისათვის.

*შავი მელანი, თბილისი, 1898 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**758.** **2615**

ლაპარაკია ნახაპეტოვზე და მის ხრიკებზე. "მანდ მოვა ეგ ჩვენი ეკლესიის შეურიგებელი მტერი მამა გაბრიელ ნახაპეტოვი და გთხოვ, რომ გაგებრთხილებინა ზოგიერთი მღვდლები, რომ მისგან არ მოტყუებულიყვნენ. ახლა შევიტყვე მაგ ბატონს მიზნად ჰქონია არზრუმშიც სომხის კათოლიკეების ზოგიერთ სოფლებში, მაგ. წყალთბილას, ბავრას, ალასტანს და სხვაგან მოახდინოს მღვდლების და მრევლის კრებანი.."

*შავი მელანი, თბილისი, 1898 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**759.** **2617**

"ღირსო და პატივცემულო მამაო, ტერ იოვანე!
ქებული იყოს იესოს სახელი."

აცნობებს, რომ მიიღო მისი წერილი, მაგრამ ჯანმრთელობის გამო ჯერ პასუხს ვერ სწერს "რადგან კვირის წინათ, გაცივებით ავათ გავხდი ისრე, რომ მთელი 15 დღე ლოგინად ვიწექი."

საუბარია ვინმე კალატოზოვის - ეპისკოპოსის მიერ წმინდა უდაბნოში დანიშვნის შესახებ. ავტორი უმხელს მთელ რიგ არაკანონიერ გარიგებებს საეკლესიო უწყებაში. ბოლოს სთხოვს, "როდესაც ამ წერილს წაიკითხავთ მერმე იგი დასწვათ."

*შავი მელანი, თბილისი, 1899 წელი, 18 ღვინობისთვე, 2 ფურცელი, მხედრული.*

**760.** **2618**

"თქვენო მაღალ ღირსებავ უფალო ტერ იოვანე!"

"ძმობილი სიყვარულით და პატივისცემით მოგიკითხავ და ვისურვებ თქვენთვის ჯანმრთელობასა და სხვათა კეთილთა." აცნობებს თავისი ჯანმრთელობის გაუარესებას და ამცნობს, რომ გასულ წელს არავისთან არაფერი მიწერ- მოწერა არ ჰქონია. "რადგან ამოდენი მრევლისა და სკოლის საქმეები საეკლესიო ცერემონიის შესრულება მარტოთ მიწევს, ასე, რომ ზოგჯერ პურის ჭამისთვისაც ვერ მომიცლია."

საუბრობს სომეხ კათოლიკეებზე. ნახსენები ჰყავს: “თვით ნახაპეტიანი, საფაროვი და მარქარიანი არ არიან გულით კათოლიკენი..”

*შავი მელანი, თბილისი, 1899 წელი, 19 ივლისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**761. 2673**

აცნობებს, რომ მიიღო მისი გაგზავნილი ნაწერები “ქართველ კათოლიკეთა ისტორიისათვის,” გამოთქვამს სურვილს მის დასაბეჭდად.

საუბარია ვინმე “გარსევანათ იოანე მღვდელზე, რომელიც იყო დიდებული კეთილ მოღვაწე მნათობი, ღვთისმსახურებით ქებული, მწვალებელთ ვერ მოუთმინეს ღვთის სიტყვა, ღვთის მბრძანებელი ოქრო ბაგეთ შეიწირა მოციქულებრ წამებული.”

*შავი მელანი, თბილისი, 1911 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**762. 2606**

“ღირსო და პატივცემულო მამაო ტერ მამაო იოვანე.

ქებული იყოს იესოს სახელი.”

აცნობებს, რომ მიიღო მისი წერილი, რაზედაც მადლობას მოახსენებს დაუზარელი პასუხის მიწერისათვის. ამჟამად არ შეუძლია მისი მოწერილი აზრების შესრულება. “თქვენ მწერთ, რომ ჩემ სიძეს ბ. ფლორენცია მაისურაძეს სტოროჟად გამოგიგზავნით თუ რიგიანი ჯამაგირი ექნება. ამაზედ მოგახსენებთ, რომ ჩვენ ეკლესიას სტოროჟის ადგილი არ აქვს თქვენი სიძის მაისურაძისათვის. აქაური ეკლესიის სტოროჟს აქვს თვიური 15 მანეთი, რომელიც რიგიანი ცხოვრებისათვის კაცს არ ყოფნის.”

საუბარია საეკლესიო პირების კარგად ცნობაზე, ცხოვრებაზე, კანონებზე, მმართველობაზე. ნახსენებია ეპისკოპოსი ცოტმანი.

*შავი მელანი, თბილისი, უთარიღო, 3 ფურცელი, მხედრული.*

**763. 2669**

აცნობებს, რომ წიგნები ძნელად იყიდება, ანგარიშს გვიან გაუგზავნის. წერილს მიწერილი აქვს გვარამაძის ლექსები.

შავი მელანი, თბილისი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.

**კალაიჯევი იოსებ**

**764. 3307**

ღია ბარათი. ულოცავს აღდგომის დღესასწაულს.

“პატივცემულო მამაო იოვანე, გილოცავ აღდგომას იესო ქრისტესას. უფალსა ვსთხოვ მოგანიჭოს თქვენ დღეგრძელობა. მიულოცეთ ჩემს მაგივრად კონსტანტინ ივანიჩს ოჯახობითა.”

*შავი მელანი, ბათუმი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

## კანდარიშვილი ელენე

**765.** **3258**

ყოვლად ძვირფასო ბატონო, სულიერო მამა იოანე, მღვდელო გვარამაძე.

“პირველად გისურვებთ, რომ ბრძანებულიყო კარგად. მეორედ მოწყალე ღმერთსა ვსთხოვ, რომ ჩვენი მოყვრობა საბოლოოდ კეთილად ყოფილიყოს. მე ბატონო, რავარც მესმის და მეყურება, ორივე ხომ ქრისტიანნი პირჯვარის დამწერავი ვართ”.

წერილი მთავრდება: “მეგრელის ქალი ვარ, ქართული კარგად არ ვიცი და მაპატიე”.

წერილს ხელს აწერს კონსტანტინე გვარამაძის სიდედრი ელენე ხუბილავა, კანდარიშვილი.

*შავი მელანი, უთაროღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

## კარბელაშვილი ვასილი

**766.** **2035**

ვასილ კარბელაშვილის ხელწერილი — “ხელთნაწერი სახარება ეტრატზედ ნაწერი ვითხოვე მე მამა იოვანესაგან მე მთავარ დიაკონმა გიორგი კარბელაშვილმა, რომელიც უნდა დაუბრუნო უკან ერთი თვის განმავლობაში, რომელზედაც ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ მთავარ დიაკონი ვ. კარბელაშვილი.

*შავი მელანი, 1895 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**767.** **2034**

მამაო პატივცემულო ივანე.

მოგეამბორები ძმურის სიყვარულ-პატივისცემით და ვთხოვ ღმერთსა თქვენს მშვიდობით სუფევას სახლობითურთ. აცნობებს, რომ “ჩემი მეუღლე ეხლა აპირებს წამოსვლას და გთხოვთ, რომ ერთი ის სახარება ერთის კვირით ან დიდი ერთის თვით მათხოვოთ, რადგან ის წარწერა რომელიც მე გადმოვსწერე ძალიან საინტერესოა და უნდა შეუფარდდეს აქაურ სახარებებს. იმედი მაქვს, რომ არ დამიჭერთ და დიდადაც დამავალებთ.”

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

768. 2037

სწერს რომ უგზავნის “სამოთხის ყვავილს” ერთს მას და მეორეს დიმიტრის.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

## კერესელიძე ივანე

769. 2059

ჰპირდება, რომ დაბეჭდავს მის წერილს, თხოვს დაეხმაროს გაზეთზე ხელის მომწერთა გავრცელებაში. “ახალციხის მაზრაში წარმოიდგინეთ, არც ერთი არა გვყავს ხელის მომწერი, ნუთუ მანდ იმდენი გავლენა არ გაქვთ, რომ ერთი ათიოდე გვიშოვნოთ. ადრე რომ გამოვცემდი, მაშინ საკუთარი სტამბა მქონდა, ახლა სხვის სტამბაში ვაბეჭდინებ და თვეში ერთხელ მარტო ბეჭვდაში ათ თუმანს ვაძლევ, შემოსავალი კი ნახევარიც არ არის. მიხეილ მეფისოვს წიგნი მივწერე და გაზეთებიც გამოუგზავნე, ვთხოვე დახმარება და გაზეთის გავრცელება.”

*შავი მელანი, ქ. ტფილისი, 1887 წელი, 21 იანვარი, 2 ფურცელი, მხედრული.*

770. 2060

“უღრმესის გულით და სულით პატივსაცემო, მამაო.”

“თქვენის კეთილის მოქმედება ბევრგზით მომისმენია. გთხოვთ უმორჩილესად იმ საგანზედ, რა საქვეყნო საგანსაც შევდგომივართ. იმედი მაქვს კეთილის გულის თვისებებისაგან ამ ჩვენ გულითად თხოვნას ქართულის სიტყვიერების სახელობით, მიიღებთ.

მოისმენდით, რომ ჩვენ შევუდექით სამეურნეო გაზეთის გამოცემას ქართულ ენაზედ. ეს გაზეთი “ცისკარი” როგორც დარწმუნდებით, გახლავთ სამეცნიერო. შემიტყვია თქვენი ქართული ენის სიყვარული და გთხოვთ დაეხმარნეთ მწერლობით და განამშვენებდეთ თქვენის კალმით ჩვენს გაზეთს, გარდა ამისა, მოიხმაროთ ის ღონისძიებაცა, რომ მაგ თქვენის ახალციხის უეზდში განავრცოთ “ცისკარი,” ფოსტით მოგერთმევათ გაზეთი. ყოველთვის თავ-თავის დროზე მიიღებთ ხოლმე.”

ფურცელს მარცხენა მხარეს აქვს ქართული ნაბეჭდი შრიფტით დასმული შტამპი: “ქართულის სამეურნეო გაზეთის “ცისკრის” რედაქცია. 1 იანვარი, 1887 წელი, ქ. თბილისი.”

*შავი მელანი, ქ. თბილისი, 1887 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

771. 2061

აცნობებს, რომ წერილი ისე დაამახინჯა აქ ცენზორმა, რომ ვეღარ იცნო მისი იყო თუ არა. “თუ არ იცით ვინ გახლავთ ცენზორი ეს არის: ლუკა სტეფანიჩი ისარლოვი. თქვენი სარწმუნოებისა - “ფრანგი.”

*შავი მელანი, ქ. ტფილისი, 1887 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

## კოკოჩაშვილი ვასილ

772. 2300

“პატივცემულო მამაო ივანე!”

წერილში აცნობებს, რომ კოკოჩაშვილი ასრულებს დონ დიმიტრი თუმანოვის “მონდომებულობას” და ამ წერილთან ერთად უგზავნის ექვს მანეთს 12 წირვისათვის, რომელიც უნდა იწიროს მაგ ფულის მომცემის სახელზედ.

*შავი მელანი, ქ. ქუთაისი, 1893 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## კოკოჩოვი ანნა

773. 2333

“მისს ღირსებას, მოძღვარს მღვდელ ტერ იოვანე გვარამაძეს.”

მოიკითხავს პატივისცემით და ღმერთს სთხოვს ადრესატის სიცოცხლეს. სთხოვს შინაურულად მოარიგოს გაყიდული სახლიდან მისი წილის მიღებაზე, თუ არა “ადვოკატს ჩავანდობ საქმეს და სულ დაირღვევა მაგათი დამტკიცებები.”

ხელს აწერს ანნა კოკოჩოვისა სიმონას მეუღლე. ადრესი რუსული შრიფტით აქვს მიწერილი.

*შავი მელანი, ქ. ქუთაისი, 1891 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## კროპინსკი

774. 2314

წერილში საუბარია წმინდა იოვანეს ეკლესიის პროექტზე.

*შავი მელანი, 1896 წ. 1 ფურცელი, რუსული.*

ლაზარაშვილი

775. 2014

ლაპარაკია ქართული ენის აკრძალვაზე და ურჩევს როგორ მოიქცეს, რომ შეუნარჩუნოს მრევლს თავისი დედა ენა.

"თბილისში ასე გადავწყვიტეთ ე.ი წინა ნათქვამის დაგვარ, უკაზის თანახმად, მხოლოდ წირვის დროს მოვსპეთ ქართულად ლოცვების ხმარება, სხვა დროს კი ისევ წინანდებულად ვასრულებთ. აბა მივხედოთ თუ რა თავგანწირვით იღწვიან ჩვენზედ უფრო ცოტა სხვა ხალხოსნობა თავიანთი ინტერესებისათვის. შეაგულიანეთ და ურჩიეთ სხვა ქართველთ კათოლიკეთ მრევლსაც. ამით კარგს კი არა, დაუვიწყარ ღვაწლს მოუტანთ თქვენს ერს და საზოგადოდ ქართველობას".

*შავი მელანი, თბილისი, 1891 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

776. 2015

"პატივცემულო მამაო იოვანე." წერილში ლაპარაკია გოგებაშვილის წიგნების შეძენაზე. აცნობებს, რომ "გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნები გამოატანა და თუ რამე დააკლდა ითხოვს სიას.

"ვამაყობ, რომ ერთი კაცი ჩვენს მხარესაც მოჩანს ქვეყნისათვის გულშემატკივარი".

*შავი მელანი, თბილისი, 1894 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

777. 2016

"პატივცემულო მამაო იოვანე."

"ბოდიშს უხდის წიგნების დაგვიანებით გაგზავნაზე, რადგან ზაფხულობით ახალციხიდან მგზავრი იშვიათად მოხვდება ხოლმე. აცნობებს, რომ უგზავნის გოგებაშვილის ყველა გამოცემას. სულ ერთი თუმანის ღირებულებისა იქნება.

*შავი მელანი, თბილისი, 1894, 1 ფურცელი, მხედრული.*

778. 2017

"პატივცემულო მამაო იოვანე."

ლაპარაკია ქვემო ეკლესიისათვის სანთლის შესყიდვაზე. ნახსენებია - გოძიაშვილი.

*შავი მელანი, თბილისი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

## მამულოვი ივანე

**779.** **2321**

ავტორი წერილში სწერს თურქული ლექსის სტროფებს. სთხოვს ნუ დასძრახავს და შეუსწოროს დაწერილი.

"ყოვლად ღირსო პატივცემულო მამაო იოვანე, ვემთხვევი კურთხეულს მარჯვენასა თქვენი ღირსებისასა, მოვიკითხამ პატივით თქვენს ოჯახობასა, თანაც გთხოვ, რომ შეწუხდეთ და წაიკითხოთ ქვემოთ დაწერილი და სადაც ნახოთ შეცდომანი შეასწოროთ."

"ნურდენ ნურ ფარდენ დინ, გითხუნგიდე ღოქ შავქლერი.
იმან გეთ ლრანლერი, ჰაზლორეთმიშსეფა ზევ ქლერი.
თემლზლ ათარი დლრ, ჩიქდე სევარო ფაქლერი.
ქირლიელერი ჯახნამა ათარ ბენლმ ბიგი ქიოფაქლერი".

ფურცელის შუა ნაწილი ამოგლეჯილია, დაზიანებულია, იკითხება მხოლოდ საწყისი და ბოლო ნაწილი.

*შავი მელანი, 1889 წელი, დეკემბერი 14, 1 ფურცელი, მხედრული.*

## მანველოვი ალექსანდრე

**780.** **2684**

"ჩემო გულითადო, საყვარელო მამაო გვარამაძევ."

ულოცავს ქრისტეს შობისა და ახალი წლის დღესასწაულს.

"უბრწყინვალესმა ღმერთმა მოგანიჭოს სიწმინდე სულისა და სიმრთელე ტანისა ჩემდა სასიხარულოდ, ამინ".

სთხოვს დახმარება გაუწიოს თითო- ოროლა წიგნის შესაძენად. "ამისათვის თურომ შეიძლება თქვენგნით, როგორც წერა - კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების მწევრი, შეიძლოთ მიღება და ცოტა ოდენი წიგნების ორ ორი ეგზემპლარი მიბოძო, რადგან ქართველ თათრებმა ყველაწაიღეს და ზოგიც მათგანი კიდეც გაკვეთილს იღებენ ჩემგან, წიგნების სიმცირემ მეტის მეტად შეწუხება მომაყენა."

მოკითხვას უთვლის ქრისტესია გვარამაძეს და სხვა ყველას.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1896 წელი, 28 დეკემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**781.** **2685**

"ჩემო საყვარელო მამაო გვარამაძევ."

წერილში აცნობებს, რომ ქალები არ გაგზავნონ, ვინაიდან ქართული მონასტერი არაა კარგ დღეში.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1898 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## მერაბოვი ანტონ

**782.** **1928**

წერილი შეეხება პირად საქმეებს, მის სასწავლებელს. ერთ ფურცელზე დაწერილია ორი წერილი. ერთი ტრაპიზონში, მეორე რომში. "იმედი მაქვს ჩემი ნასწავლი კბილის ტკივილის წამალი არ დაგავიწყდებოდათ, ამისათვის გთხოვთ, რომ ეგ წამალი როგორც გასწავლეთ, ისრე მისწეროთ პ. სტეფანეს, რადგანაც იმასაც სჭირდება ახლა". პატივისცემით მოიკითხავს მთელს ოჯახს.

*შავი მელანი, ტრაპიზონი - რომი, 1891 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

## მერაბიშვილი სერაბინ

**783.** **2287**

"მაღალო ღირსო მამაო!"

აცნობებს, რომ მის მიერ მიცემული სამი თაბახი გადასაწერი კორესპოდენციისა გაატანა სინდიკს იაკობ თუმანოვს. სთხოვს სიკვდილის მოწმობის გაგზავნას ვინმე აფრიამოვის დისწულზე. "მამა მისის გულის საჯერებლად".

ფურცელის მეორე გვერდი დაწერილია ივ. გვარამაძის ხელით.

*შავი მელანი, სოფ. ტურცხი, 1901 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**784.** **2288**

ლაპარაკია რაღაც ხელის მოწერილობის ქაღალდზე, რომელიც ქრისტესიას შეუნახია. თუ ვერ ნახეს ახლის გაკეთება იქნება საჭირო. ატყობინებს, რომ საგაზაფხულოდ აპირებს სახლების გაახლებას და "შკოლის" გამართვას.

*შავი მელანი,სოფ. ტურცხი, 1905 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

## მერაბიშვილი (მერაბოვი) “უდელი პატრი”.

**785. 2675**

“პატივცემულო მესხი-გვარამაძე.”

“შეიძლება დამტკიცება ამ შემდეგი რამეებისა?” ჩამოთვლილი აქვს კითხვები საქართველოს გაქრისტიანების შესახებ.

1. რომ ანდრია მოციქული არს საქართველოს განმანათლებელი?..
2. რომ წმ. ნინოს მობრძანებიდან ახალციხეს არ გაწყვეტილა ქრისტიანობა?

6. დღეს სად ინახება კვართი რომელიც ქრისტეს გააძვრეს?
7. წმ. ნინოს ნაწილები მოიპოვება? და სხვა...

აცნობებს, რომ მოიკითხა მ. თამარაშვილმა. საუბრობს თავის ჯანმრთელობაზე. “პარიზის ჰაერმა ძალიან მარგო ასსეთ ჯანზე არასოდეს არ ვყოფილვარო.”

*შავი მელანი, პარიზი, 1887 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**786. 2677**

“თქვენო ღირსო უფალო მამაო გვარამაძე.”

ულოცავს მაღალ დღესასწაულს ახალ წელიწადს.

“ღმერთმა მრავალგზის დაგასწრას ბედნიერად, ჯანის სიმრთელით, თქვენის ნატვრების შესრულებით.” აცნობებს იქაურ ამბებს ქოლერის არსებობაზე. “მონასტრის ამბებს თუ იკითხავთ მადლობა ღმერთს ყველანი კარგად გახლიან ძმანიც და დანიც.” საუბარია ქრისტესიას ჩასვლის თაობაზე.

წერილის ბოლო ნაწილი დათმობილი აქვს მერაბიშვილების გვარის არსებობაზე ქართლში და მერაბოღლები ბეგები სხვაგან.

*შავი მელანი, 1893წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**787. 2038**

“პატივცემულო მამაო გვარამაძე.”

საუბარია წირვების ჩატარებასა და მათ ღირებულებაზე. წერილი შეეხება საეკლესიო ამბებს.

*შავი მელანი, სტამბული, 1896 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**788.** **2302**

პატივსემულო მამაო გვარამაძე.
ლაპარაკია წირვის წიგნებზე. ჩამოთვლილია და გაკეთებული აქვს ღირებულების ჯამი.

*შავი მელანი, სტამბული, 1896 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**789.** **2681**

წერილში საუბარია უდის ეკლესიის დანგრევისა და ახლის აშენების თაობაზე.

*შავი მელანი, სტამბული, 1896 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**790.** **2679**

მერაბოვის წერილი ძმისადმი. კერძო ხასიათისა.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1897 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**791.** **2676**

"პატივცემულო მამაო მესხ გვარამაძეს."
წერილი კერძო ხასიათისაა და შეეხება გაგზავნილ 237 მანეთს, სთხოვს მიღებისთანავე დაუბრუნოს პასუხი.

*შავი მელანი, არ ჩანს 1903 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**792.** **2674**

"თქვენო მაღალ ღირსებავ მამაო ი. გვარამაძე."
აცნობებს, რომ სერაფიმ მღვდელს დაჰპირდა და უგზავნის სწავლისათვის იმ წიგნს, რომლითაც თვითონ სწავლობდა.
წერილში მოკითხვას უთვლის ოჯახის ყველა წევრს.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1905 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**793.** **2319**

“თქვენო მაღალღირსებავ ტერ იოვანე გვარამაძე.”

“მოგიკითხავ სიყვარულითა და მოგილოცამ ამბორითა დღესაწაულთა მაცხოვრის შობასა და ახალსა წელიწადსა”. უსურვებს დღეგრძელობასა და ტანით მრთელ სიცოცხლეს. სთხოვს, რომ შეიტანოს მთავრობაში სათხოვარი ტყუპ ძმების დასახმარებლად. სალდათობისა ნუ ეშინია, რადგან მთავრობა დედისერთას არ წაიყვანს.

წერილი მთლიანად კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**794.** **2680**

წერილში საუბარია საეკლესიო მომსახურეობაზე.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**795.** **2682**

წერილი საეკლესიო ხასიათისაა. ლაპარაკია მიწების მიკუთვნებაზე და სხვადასხვა ამბებზე.

*შავი მელანი, უდე, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**მეფისაშვილი**

**796.** **2306**

“მამაო იოვანე.”

წერილი კერძო ხასიათისაა. საუბარია ბინის გაქირავებაზე.

*შავი მელანი, ახალციხე, 1894 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## მეუნარგია იონა

**797.** **2049**

"მამაო იოვანე."

ავტორი აცნობებს, რომ მიიღო მის მიერ გაგზავნილი ლექსები, აინტერესებს მისია თუ ჩაწერილი აქვს ვინმესგან.

"თქვენგან გამოგზავნილი ლექსები აბასთუმანშივე მივიღე, მაგრამ წიგნის მოწერა ვერ მოვსხერხე. ზოგი სიზარმაცით და ზოგიც დროის უქონლობით, მადლობელი ვარ შრომისათვის. თავის დროზე შეგატყობინებთ როგორ ვაპირებ მე ამ ლექსების დაწერას, ახლა გთხოვთ, შემატყობინოთ რას ნიშნავს თქვენს წერილში დასმული ჯვრები. თქვენ ბრძანებთ, რომ როცა ჯვარი უზის ჩემგან დაწერილი არისო, კარგად გარკვევით შემომითვალეთ თქვენგან შეთხზული არის ის ლექსები როცა ჯვარია? თუ თქვენგან მარტო გადაწერილია? ან შეკრებილი. ე.ი. თქვენ ხართ ამ ლექსების შემქმნელი თუ გადამწერელი. "თქვენის პასუხით დიდად დამავალებთ. მოვიკითხავ პატივისცემით თქვენს სახლობას."

თქვენი ღრმად პატივისმცემელი. ხელს აწერს იონა მიხაილის ძე მეუნარგია.

*შავი მელანი, 1884 წელი, 17 ოქტომბერი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## მირიანაშვილი ესტატე

**798.** **2299**

"პატივცემულო მამაო იოვანე."

წერილი იწყება: "მოგიკითხავთ პატივისცემით და ვისურვებ თქვენთვის ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, სასარგებლოდ ერისა და ქვეყნისა."

საუბარია ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი კითხვის გაჩენაზე, რომელიც შეეხება ქართველ-კათოლიკეთ. სთხოვს ამის შესახებ აცნობოს, რომელ ჟურნალში ან გაზეთშია დაბეჭდილი მისი წერილები, თუ არის ასეთი, მიუთითოს წელი და ნომერი.

"გთხოვთ მიჩვენოთ რომელ სოფლებში ცხოვრობენ მანდ მხარეს ქართველი კათოლიკეები." აინტერესებს სოფლები და გვარები ქართველ კათოლიკეთა, რა ენაზე ლაპარაკობენ და ასრულებენ ღვთისმსახურებას. განირჩევიან თუ არა იგენი შეხედულებით, ზნე-ჩვეულებით, ენით, ხასიათით სომხებისაგან?" სთხოვს თუ არ შეწუხდება გაუგზავნოს მისი თხზულება "ქართლის ცხოვრება." საფასურს კი ფოსტით მიაწვდის.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1898 წელი, 29 იანვარი, ბოჟიპრომისლი, 2 ფურცელი, მხედრული.*

## მუღაშოვი დომინიკე

**799.** **1861**

"პატივცემულო მამაო."

"კვალად თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რომ მე დიდი შრომა დავტოვე და გამოვეცი თქვენი წიგნი "ვიზიტნი ალფონს დენიგორელისა." ამის გამოცემაზე დღეს აქამდე დამეხარჯა 143 მანეთი, კორექტურის გარდა. მე ეს ფული დღესაც არ მიმიღია თქვენგან. მაგრამ სამდურავი კი სამდურავზე მესმის. გთხოვთ, რომ მალე გადამიხადოთ. ეს ზემოდ მოხსენებული ვალი, რადგან ამ დროში დიდად მჭირდება. და ისეც არავარ როგორც თქვენ ავრცელებთ ხმებს, რომ ყველას ჯიბეში უძვრებოდე." სთხოვს თუ სხვა რამე აქვს დაწერილი გაუგზავნოს საგაზეთოდ "ჯვარი ვაზისათვის".

*შავი მელანი, თბილისი, 1904 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**800.** **1862**

"საყვარელო მამაო – ივანე გვარამაძე."

აცნობებს, რომ მიიღო მისგან გაგზავნილი 50 მანეთი. რომელიც გამოაკლდება წიგნების დაბეჭვდაში "დადებულ" ვალს. სთხოვს დარჩენილი 65 მანეთიც გაუგზავნოს და ნუ სწყინს ამისათვის. "მალე გამომიგზავნოთ, რადგან ძალიან მჭირია, ხარჯები ბევრი მომივიდა."

*შავი მელანი, თბილისი, 1905 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**801.** **1842**

აცნობებს, რომ უახლოეს ხანში გამოვა კათოლიკური გაზეთი "ჯვარი ვაზისა." სთხოვს გაუგზავნოს მისი წიგნის დაბეჭვდაზე დახარჯული 143 მანეთი. ჩამოთვლილი აქვს გაზეთის პროგრამა რომელიც შედგება 8 პუნქტისაგან.

1. სტატიები შეეხება სარწმუნოებასა და საყოველთაო ეკლესიურ ცხოვრებას.

2. ოფიციალური განცხადებანი სასულიერო მთავრობისა, რომისა და ეპისკოპოზის ხრონიკა და ცხოვრება. "გაზეთი ეღირება 4 მანეთი წელიწადში - ნომერი 10 კაპიკი."

ყოველ კვირას გამოვა თითო ნომერი.

*შავი მელანი, თბილისი, 1906 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**802.** **1860**

წერილში საუბარია ხარჯებზე, რომლითაც წიგნების განახლებაა საჭირო. “ქაღალდში და დაბეჭვდაში ეს ფული თქვენ უნდა გადაიხადოთ და არა დონ იოვანემ, წიგნი თქვენია. უთვლის სამდურავს ფულის დაგვიანებით გაგზავნისათვის.

*შავი მელანი, თბილისი, 1906 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**მღებრიშვილი ანსელიმო**

**803. 2329**

“თქვენო ღირსებავ ტერ იოვანეს.”

აცნობებს ერთი წერილის გაგზავნას ქუთაისიდან ახლა სთხოვს, რომ ახალციხეში ყოფილა იაკობ ყაუხჩოვი. რომელიც სტამბოლში საქმიანობს. ნახოს და გაიგოს როდის აპირებს სტამბოლში წასვლას, უნდა პატარა ამანათი გაატანოს. უგზავნის ფოსტის ორ მარკას.

*შავი მელანი, გორი, 1877 წელი, 8 აპრილი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**804. 2298**

“თქვენო ღირსებავ ტერ იოვანე.”

წერილის მთელი შინაარსი ეხება მიღებულ წირვებს და მასში გასაგზავნ ფულს.

3 წირვა მიცვალებულ გრიგოლ კანდიროვისათვის - 2 მან. 50 კაპ.

4 წირვა მიცვალებულ მამაჩემის თომა მღებროვის ხსენებისათვის - 3 მან.

*შავი მელანი, მოზდოკი, 1879 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**805. 2334**

“მამაო ტერ იოვანე.”

ულოცავს ახალ წელიწადს, უსურვებს “ღმერთმან მრავალს შეგასწროთ სხვა ახალს ბედნიერ წელიწადს.” აცნობებს, რომ გასულ კვირაში დეკემბრის 24- ს დედამისი მარიამი “გამოგვესალმა საუკუნოდ” და სთხოვს 10 წირვა სწიროს მისი სულისათვის. ფულს მალე გაუგზავნის.

*შავი მელანი, გორი, 1892 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

## პარმახისოვი ნინა

**806.** **1921**

წერილში იგი სთხოვს აცნობოს თავისი მშობლების ამბავი. შეშფოთებულია ახალციხეში გაჩენილი ქოლერის გამო. წერილს  აქვს მიწერილი გამომგზავნის მისამართი.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1892 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

## როსტომაშვილი ივანე

**807.** **2045**

აცნობებს: თხზულება დაიბეჭდება იმ პირობით, თუ მას კომიტეტი გაყიდის თავის სასარგებლოდ.

წერილის ერთი გვერდი დაწერილია (ეპისკოპოს - ლეონიდის მიერ).

*შავი მელანი, თბილისი, ჭავჭავაძის ქ.  24, 1898 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**808.** **1840**

წერილში ავტორი სთხოვს გამოუგზავნოს თავისი ბიოგრაფია. მეორე ფურცელს ბოლოში აქვს მინაწერი გვარამაძის ხელით დაწერილი თავისივე ბიოგრაფია.

*შავი მელანი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**809.** **1841**

აცნობებს, რომ გვარამაძის წიგნი დააბრუნეს ცენზურიდან, რადგან ძალიან წვრილი ასოებით იყო დაწერილი.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**810.** **1853**

ავტორი მადლობას უხდის ლექსიკონის მასალის მიწოდებისათვის. ფურცელს აქვს გვარამაძის ხელით მინაწერი: “გოდებაძე მღვდელი მეტად საინტერესო პირი ყოფილა.”

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**811. 2047**

აცნობებს, რომ მიიღო ივ. გვარამაძის ბიოგრაფია. სთხოვს მიაწო-დოს სხვა ცნობებიც მათი გვარიდან გამოჩენილი პირების შესახებ სწერს, რომ გამოვიდა ლექსიკონის პირველი და მეორე წიგნი.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**საბაევი (საბაშვილი) ნიკოლოზ**

**812. 2350**

ულოცავს შვილის ქორწინებას. იქვეა ივ. გვარამაძის ნაწერი სია.

*შავი მელანი, ბათუმი, 1893 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**813. 2348**

ლაპარაკია ქანდაკებაზე, მისი ვარაუდით არლის უნდა იყოს.

*შავი მელანი, ბათუმი, 1894 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**814. 1850**

ავტორი სამძიმარს უცხადებს მეუღლის გარდაცვალების გამო.

*შავი მელანი, ბათუმი, 1891 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**სააკოვი დომინიკე**

**815.** **2342**

წერილში საუბარია პოლონურის შესწავლასა და თბილისში დაბრუნებაზე.

*შავი მელანი, სარატოვი, 1891 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**სარალიძე ალექსანდრე**

**816.** **2039**

ს. ხიზაბავრას
"თქვენო კურთხევავ მამაო ტერ იოვანე!"

წერილი იწყება "ამ წერილთანვე გეგზავნებათ ჩემგან მისა-მძიმრების წერილი, შესახებ მამა დეკანოზ გიორგი გამრეკელისა. უმორჩილესად გთხოვთ და დარწმუნებულიც გახლავართ, რომ ახლციხის ქრისტიანები რაც შეიძლებოდეს საჩქაროდ დააბეჭდინებთ სამძიმრის წერილს გაზეთ "დროებაში".

*შავი მელანი, ახალციხე-ხიზაბავრა, 1883 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**817.** **2040**

სამძიმარს უცხადებს გიორგი გამრეკელის გარდაცვალების გამო.

*შავი მელანი, ახალციხე-ხიზაბავრა, 1883 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**818.** **3279**

წერილში ლაპარაკია განცხადებაზე, რომელიც გამოქვეყნდა "დროების" 40-ში გამრეკელის გარდაცვალების შესახებ.

*შავი მელანი, ახალციხე-ხიზაბავრა, 1883 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**საფაროვი პ.**

**819.** **2313**

წერილში ლაპარაკია დასანგრევ და ახლად ასაშენებელ ეკლესიებზე. მინაწერში ავტორი ამბობს, რომ ქართული კარგად არ იცის.

*შავი მელანი, ფეოდოსია-ახალციხე, 1897 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**უმიკაშვილი პეტრე**

**820. 2051**

აცნობებს, რომ მისი შვილის ხელით უგზავნის წიგნებს. მოეწონა გვარამაძის წერილი კათოლიკეთა შესახებ. ამ წერილს დააბეჭდინებს "ივერიაში". წერილში ჩანს, რომ იგი არ იცნობს გვარამაძის მიერ შედგენილ ლექსიკონს.

*შავი მელანი, თბილისი, 1892 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**ფალაშოვი იოსებ**

**821. 2315**

ავტორი სამძიმარს უცხადებს ანიკოს გარდაცვალების გამო.

*შავი მელანი, ქუთაისი, 1891 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**ფალაშოვი სარა**

**822. 2331**

წერილი გაგზავნილია შვილ - ანიკოსადმი, კერძო ხასიათის.

*შავი მელანი, არჩანს, 1887 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**ფაფაზოვი თომა**

**823. 2344**

საუბარია ავტორის დამნაშავედ ცნობაზე, როგორც საზოგადოების აღმშფოთებლისა.

*შავი მელანი, ახალციხე, 1883 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

ფეიქაროვი ფრანც

**824.** **2321**

ავტორი სთხოვს თავისი შვილის მეტრიკის გაგზავნას.

*შავი მელანი, ბათუმი, 1902 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

ფილევი ალ.

**825.** **2686**

შეეხება საეკლესიო ამბებს, რომელიც "საიდუმლოა."

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1898 წ. 3 ფურცელი, მხედრული.*

ფირალოვი პეტრე

**826.** **2343**

ავტორი სთხოვს აცნობოს ფირალოვების წარმოშობის შესახებ. იგი ვარაუდობს, რომ ახალციხედან უნდა იყვნენ.

*შავი მელანი, ქუთაისი, 1895 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**827.** **2322**

წერილი საეკლესიო ხასიათისაა.

*შავი მელანი, ქუთაისი, 1901 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

**828.** **2305**

წერილი კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, ქუთაისი, 1902წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

ფრანკოლი ალ.

**829.** **1943**

ავტორი სთხოვს თანამშრომლობას გაზეთ “პეტერბურგსკი ვედემოსტში.” მეორე გვერდზე გვარამაძის ნაწერი პასუხია.

*შავი მელანი, თბილისი, 1879 წ. 1 ფურცელი, მხედრული.*

ღამბაშიძე დავით

**830.** **2057**

ავტორი აცნობებს, რომ დაბეჭდავს მის წერილებს.

*შავი მელანი, შორაპანი, 1884 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**831.** **2056**

ავტორი აცნობებს, რომ სინოდის განკარგულების გარეშე მის სტატიებს ვერ ბეჭდავს “მწყემსის” რედაქტორი.

*შავი მელანი, შორაპანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**832.** **2058**

ავტორი გამოთქვამს კმაყოფილებას, რომ გაეცნო და სთხოვს გაუგზავნოს წერილები.

*შავი მელანი, შორაპანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

ყაზაროვი

**833.** **2304**

ავტორი წერილში სთხოვს ფულის გაგზავნას.

*შავი მელანი, არ ჩანს. 1895 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

ყიფშიძე გრიგოლი

**834.** **3977**

“წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება”, ილია ჭავჭავაძის ხელის მოწერით, აცნობებს, რომ თუ სოფლის საზოგადოება ისურვებს ხიზაბავრაში სკოლის გახსნას, მაშინ დაეხმარებიან სკოლის აშენებაშიც, მასწავლებლის მოძებნაშიც და წიგნებით მომარაგებაში.

*შავი მელანი, თბილისი, 1881 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

შეშაბერიძე ვ.

**835.** **2294**

ავტორი სთხოვს აცნობოს ახალი ამბები.

*შავი მელანი, სოფ. ეშტია, 1905 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

ჩილაშვილი ს.

**836.** **2359**

წერილში საუბარია ერთმანეთის დაბეზღებაზე.

*შავი მელანი, სოფ. უდე, 1901 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**837.** **2358**

წერილი კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, სოფ. უდე, 1903 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

ჩილინგაროვი ბენედიქტე

**838.** **2696**

წერილი კერძო ხასიათისაა, მიწერილია ქრისტესია გვარამაძისადმი.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1892 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**839.** **2697**

წერილი ივანე გვარამაძისადმი, საუბარია სასულიერო ამბებზე.

*შავი მელანი, სარატოვი, 1896 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**840.** **2698**

წერილი საეკლესიო ხასიათისაა.

*შავი მელანი, სარატოვი, 1897 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**841.** **2699**

წერილი კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, სარატოვი, 1897 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**842.** **2700**

წერილში ავტორი ატყობინებს თათრებისა და სომხების  დამოკიდებულებას.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1997 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**843.** **2701**

წერილი შეეხება სამონასტრო ამბებს.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1899 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## წერეთელი აკაკი

**844.** **4654**

"ბატონო იოვანე!"

"თქვენმა მეგობრულმა წერილმა მეტად მასიამოვნა, მით უფრო რომ ეს პირველი წერილია თქვენგან, რომ მივიღე და გარწმუნებ ჯერ ამის მეტი არ მიმელოს, თორემ, უპასუხოდ ჩემგან არ შეიძლებოდა. თქვენმა შვილმა გვიან მომიტანა, თორემ უფრო მაღალ კლასში მივაღებინებდი. კარგის თვალით უყურებენ, ჯერ თვითონაც კარგად სწავლობს და თუკი ჭკუას იხმარს სრულებით გამოადგება. შრომა მოგმატებიათ მომილოცავს. მე კარგად ვიცი, რომ თქვენი ბუნების კაცი უშრომელად ვერ დადგება. აღარც მე ვმუშაობ გაზეთში. ესე ჯერ ბევრი აკლიათ რედაქტორებს, რომ თქვენი ნაწერი დააფასონ. შენი .მეგობარი აკაკი წერეთელი."

ვერტიკალურად მინაწერი: "პოემა საჩხერეში დამრჩა და როცა ჩამოვიტან გამოგიგზავნი."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**845.** **4658**

"ბატონო იოანე!"

"მე ახლა მივიღე ერთი წერილი თქვენი და პასუხიც თქვენს ვაჟს გადმოვეცი, მეტი მე აღარ მიმიღია, თორემ განა უპასუხოდ  დავტოვებდი და ისიც თქვენს წერილს. თქვენი პოემა, რომელიც მე პირადად მომწონს, არა თუ არ დაკარგულა,  დიდის მოწიწებითაც



ვუფრთხილდები, რადგან ახალი კანონია, რომ ექსარხოსმა უნდა დართოს ნება და ეს არ მოხერხებულა.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

## წინამძღვრიშვილი ა. ს.

**846.** **2689**

ავტორი სათხოვს, რომ გაუგოს თავისი დაბადების წელი. მიუთითებს ეკლესიას, სადაც მოინათლა.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1897 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## წინამძღვარი ანდრია პ.

**847.** **2692**

ავტორი სამძიმარს უცხადებს ბაბადიას გარდაცვალების გამო. მადლობას უხდის "ანთიკების შემოწირვისათვის." ატყობინებს, რომ ქმნის ნაციონალურ ქართულ ბიბლიოთეკას, სთხოვს ხელნაწერებს მის შესავსებად.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1891 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**848.** **2690**

ავტორი წერს არეულობაზე, ხოცვა-ჟლეტის თაობაზე. ტერ მურადოვის ნათესავის საბუთების გაგზავნაზე.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1896 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**849.** **2691**

აცნობებს, რომ აპირებს გვარამაძის ლექსიკონის დაბეჭდას საფრანგეთში.

*შავი მელანი, ქ. მონთობანი, 1897 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

## ჭიჭინაძე ზაქარია

**850.** **1838**

"კურთხეულო მამაო, პავტიცემულო გვარამაძე."

წერილი იწყება "უკაცრავათ შენი ჭირიმე, რომ თქვენი სახელი არ ვიცი, გვარს გიწოდებთ. ამ ზაფხულს თქვენი გამოგზავნილი წერილი ჩემდამი მივიღე, რომლისთვისაც გმადლობთ და

ამასთანავე ვიხდი ბოდიშს, რომ აქამდის პასუხი ვერ მოგწერეთ, არ ვიცოდი სად მომეწერა” და სხვა “.

წერილში საუბარია პოემა “წყალ-რღვნა”-ს შესახებ. შესახებ თქვენი პოემისა “წყალ-რღვნა” ძალიან კარგია... მე მოვახსენე აკაკის და რაფიელ ერისთავსა და თქვენი წერილი წავაკითხე. თქვენ გამოგზავნეთ და თუ რამე იქნება საჭირო თქვენს ერთგულ მოსამსახურეთ აქ გვიგულეთ.

აცნობს, რომ გიორგი წერეთელმა ქებით მოიხსენია მისი სახელი თავის ლექციაში.

“ჩვენ ქართველები დავალიანებული ვართ თქვენგან და აქ ყველა თქვენს მეცადინეობას და შრომას ბედკრული საქართველოსათვის დიდად აფასებენ. თქვენგან დაწერილი ისტორიული მასალები დაუფასებელ ადგილს დაიჭერს საქართველოს ისტორიაში. თქვენს შესახებ უფ. გიორგი წერეთელმა თავის ლექციაში კარგად და პატიოსნად აღიარა. ჩვენ თუ არა, უეჭველია ოდესმე მაინც საქართველოს მომავალი ახალი თაობა თავიანთი წარსულის ისტორიულის წერილების გამო დიდ მადლობას მოგიძღვნიან. ეს ჩემგან მლიქვნელობაში არ ჩამომართვათ, არამედ მე მოგახსენებთ სისწორითა და პატიოსნებითა”.

წერილის დასასრულს ხელს აწერს ზაქარია ჭიჭინაძე. მეორე ფურცელი ბოლოში დაზიანებულია.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 25 ოქტომბერი 1880 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**851. 2026**

“პატივცემულო მამაო!”

წერილში ურთიერთ მოკითხვის შემდეგ საუბარია ივ. გვარამაძის დამსახურებაზე საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე. “მე დიდათ დავაფასე და ვაფასებ კიდეც თქვენს ისტორიულ მასალებს, რომლებიც ჩვენ გადახლართულ ისტორიას მასალათ ძალიან გამოადგებიან და განაშვენებენ, არა თუ მარტო მე, არამედ უფ. აკაკი წერეთელი, ნიკო მთვარლიშვილი და თვით უფ. დიმიტრი ბაქრაძეც”. საუბარია, რომ ზაქარია აპირებს შეადგინოს ქართული წიგნების კატალოგი “ყველა იმ წიგნებისა, სადაც კი რამ საქართველოზე დაწერილა, ანუ ვისგან და როდის”.

სთხოვს თუ კი აქვს რაიმე ძველი ხელთნაწერი წიგნები, მათი სათაურები გადაუწეროს და გაუგზავნოს.

*იისფერი მელანი, ავტოგრაფი, 1880 წ. 24 მისი. 1 ფურცელი, მხედრული.*

**852. 1865**

“კურთხეულო მამაო, ძვირფასო იოვანე!”

ავტორი აცნობებს, რომ აკაკი წერეთელს ძალიან მოეწონა მისი პოემა “წყალ-რღვნა”. ბოდიშს უხდის წერილის პასუხის დაგვიანებისათვის. “ბოდიშს ვიხდი წერილის ასე დაგვიანებისათვის, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის ცენზურის კომიტეტს უცდიდი პოემის გამო და შემდეგ კიდევ სხვა და სხვა პირებსა, რომლებიც კითხულობდნენ. სხვათა შორის, აკაკი წერეთელმა ძრიელ მოიწონა და მითხრა: რომ კაი იქნება თუ დაიბეჭდებაო, ენა არს მშვენიერი და პოეზიაო.” იმედს აძლევს პოემა მალე დაიბეჭდება, შეეცდება იაფი დაუჯდეს და გაყიდვაშიც დაეხმარება. საუბარია მიღებულ ფულში გაგზავნილ ქართული წიგნების რაოდენობაზე.

ჭიჭინაძე გამოთქვამს სურვილს, რომ ივ. გვარამაძემ დაწეროს საქართველოს ისტორია, კერძოდ მესხეთის ისტორია - “იქნება, რომ მოკლე ანუ გვარიანი საქართველოს ისტორია

დაწეროთ, რომ შეიძლებოდეს დაბეჭდვა და სახალხოთ გავრცელება. სირცხვილია ჩვენთვის,რომ აქამდის “საქართველოს ისტორია” მოკლედ მაინც



*ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძეს*

ხალხისათვის არა გვაქვს გამოცემული.” ბაქრაძის დაწერილი ბროშურები ვერ აკმაყოფილებს ხალხს. ან ეგები სამცხის დაწეროთ თუ როგორ ჩამოგლიჯა ოსმალეთმა, როგორ გაათათრეს ქართველები და სხვა”.

წერილის დასასრულს იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში პასუხს მისწერს პოემა “წყალ-რღვნის” შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1881 წელი 11 მარტი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**853.** **2027**

“კურთხეულო მამაო, ძვირფასო იოვანე!”

წერილში საუბარია პოემა “წყალ-რღვნა”-ზე, რომ გადასცა რამდენიმე ქართველთ პირებს. მათ წაიკითხეს და მოეწონათ. “აკაკი აქამდის აქ არ იყო, ამ დღეებში ჩამოვიდა, თწვენი წერილი გადავეცი, წიგნი კი ამჟამად “ცენზურის კომიტეტშია” განსახილველად. კომიტეტს ალექსანდრე ეპისკოპოსისათვის წარუდგენიათ, რადგან სასულიერო წიგნების ცენზორი სასულიერო სინოდისაგან არის დანიშნული. თქვენს პოემას დაბრკოლება არ ექნება რა”. აცნობებს, რომ მოიკითხა რაფიელ ერისთავმა და აკაკი წერეთელმა დიდის სიყვარულით. სთხოვს გაუგზავნოს მიმართვა და ჩამოწეროს სია იმ წიგნების, რომელიც სკოლას სჭირდება. ასწავლის მიმართვის დაწერის ფორმას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1881 წელი 20 იანვარი, 2 ფ თბილისი, მხედრული.*

**854.** **2030**

“კურთხეულო მამაო, ძვირფასო იოვანე!”

საუბარია მიღებული კორესპონდენციების რედაქციაში ჩაბარებაზე. “უფ. რაფიელ ერისთავი ამზადებს ქართულს ენაზე ლექციის წაკითხვას ქართულ სამოქალაქო და სასულიერო მწერლობაზე უნდა, რომ გააცნოს საზოგადოებას.”

წერილში გაანგარიშებულია დაბეჭდვისა, ქაღალდისა და სხვა ხარჯებისათვის ჯამი. ჩამოთვლილია თუ რა დაჯდა გამოცემები:

1. “ახალი გამოკვლევა” (დაჯდა 1200 წიგნი - 33 მანეთი.)
2. ალექსანდრე ჭავჭავაძისა (დაჯდა 1200 წიგნი - 150 მანეთი.)

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ქ. თბილისი, 1881 წელი, 15 მკათათვე, 2 ფურცელი, მხედრული.*

**855.** **2025**

“პატივცემულო მამაო!”

ავტორი მოიკითხავს დიდის სიყვარულით მთელ ოჯახობას მეუღლეს და შვილებს. წერილში საუბარია ახალი წიგნების გაგზავნაზე. გეოგრაფია, რადნოისლოვო-ს მეორე ნაწილი და სხვადასხვა. აცნობებს, რომ ნივთები გადასცა გენერალ კომაროვს, დღეიდან გაეგზავნება “დროების” ნომრები. ურჩევს როგორ დაწეროს მოთხოვნა იმ ჩამონათვალი ნივთების მისაღებად, რომელიც სკოლას სჭირდება და აკლია. “თხოვნის სათაურს შემდეგი მიაწერეთ: “საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას”. წერილს ხელს აწერს ზაქარია ჭიჭინაძე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1881 წელი 10 დეკემბერი, თბილისი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**856.** **2024**

"პატივცემულო მამაო, ძვირფასო იოვანე!"

ავტორი წერილში ივ. გვარამაძეს მოიკითხავს მთელ სახლე-ულობით. აცნობებს, რომ "კომაროვს ამ მოკლეს ხანში ვნახავ და მოვახსენებ, აბა რა საკადრისია ის, რაც იმისთანა კაცს არ შეეფერება. ყველა იმ ნივთებს, რომლებსაც იწერებით, გამოვართმევ და ამ მოკლე ხანებში გაახლებთ." წერილში საუბარია ივ. გვარამაძის ხელნაწერებზე. "დ. ბაქრაძეს ძალიან მოსწონს, დიდად დააფასა, დიდი მნიშვნელობა მისცა თქვენს ისტორიას, სთქვა: რომ "ახლა კი ვერ დააფასებენ, შემდეგ კი როდესაც ისტორია მეცნიერულს გზას დაადგება, მაშინ კი დიდ მნიშვნელობას მისცემენ მასო. ეს სიტყვები და ცნობები მრავალთ წინაშე სთქვა." ჰპირდება, რომ მომავალ წელს ახალციხისკენ ვაპირებ წამოსვლას და აუცილებლად ნახავს. ჯანაშვილს, ერისთავსაც და სხვებსაც მოკითხვა გადასცა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1889 წელი, 10 დეკემბერი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**857.** **2031**

ზ. ჭიჭინაძე,

კვიცარიძე ისიდორე გრიგოლის-ძე

"ჩემგან გულით პატივცემულო მამაო იოვანე!"

წერილში საუბარია გარკვეულ წყენაზე. "ჩემ სინდისის წინაშე მართალი ვარ, რომ თქვენს წინაშე მე ცუდი და სამტყუნის არა მიმიძღვის რა. მე კი ვფიქრობ, რომ ამაზე დარწმუნებული არ ხართ. ამის შესხებ თქვენ, მაშინ დარწმუნდებით, როცა იმხელა წიგნს დაბეჭდავთ და შეიტყობთ მის ხარჯს თუ ის რა ჯდება. ამის შესახებ მე სხვას არას მოგწერთ."

წერილის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ისიდორე გრიგოლისძე კვიცარიძის წერილს. იგი წერს, რომ ერთხელ მივიდა ზ. ჭიჭინაძესთან სახლში და მან უთხრა: "შენ რომ, თეოფრასტეს" ნაწერები გადმოთარგმნე ის შენს გარდა სხვასაც ქონია გადმოთარგმნილიო." "მე აქ იმას არ მოგახსენებთ, თუ როგორ მომეწონა თქვენი ნათარგმნი, მხოლოდ ერთ-ორ სიტყვას კი დავძენ, რომ თქვენსა და ჩემს თარგმანში ბევრი განსხვავებაა, როგორც ენაში ისევე თარგმანშიც. თქვენი არ ვიცი და ჩემს ნათარგმნს თუ იკითხავთ ის კი რუსულითგანაა. მე რომ თქვენი ნათარგმნი მცოდნებოდა, გარწმუნებთ მე არ გადმოვთარგმნიდი მას."

წერილში გამოთქვამს სურვილს ერთმანეთის პირდაპირ გაცნობისათვის. თუ კი წერილის მიწერას მოისურვებს, უწერს მისამართს, რომელზეც შეიძლება წერილის გაგზავნა. წერილი მთავრდება: "გწერს თქვენი მორჩილი შვილი ისიდორე გრიგოლის-ძე კვიცარიძე. 1889 წელი, ნოემბრის 11."

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1889 წელი, 11 ნოემბერი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**858.** **2033**

ჭიჭინაძე ზ.
ჯანაშვილი დიმიტრი.
"ძვირფასო ივანე!"

წერილი იწყება: "ქართლის ცხოვრების" გასწორება "დროების" რედაქციისაგან მივიღე. ს. მესხი ავათ არის, იმის ძმებს მიეგდოთ საცაღა, "მოვიკითხე და ვიპოვეთ." საუბარია ფულის უქონლობაზე, რომელიც მას ამჟამად არ გააჩნია, საბინინის წიგნი მიუღია, მაგრამ ჯერ ვერ "გამოისყიდა" რადგან 130 მანეთი უნდა.

წერილის სამი გვერდი დათმობილი აქვს დ. ჯანაშვილის წერილს. იგი კითხულობს ივ. გვარამაძის ჯანმრთელობას და მის ოჯახობას. ავტორს განხილული აქვს, რომ "ალბანელნი და ივერნი ერთი და იგივე ქართველი ხალხია, რომ მესრობს ალბანელთათვის ცალკე, იბერიელთათვის სხვა ანბანი არ შეუდგენია." სთხოვს ამოუწეროს ამ საკითხზე ქართველ სხვადასხვა მეცნიერთა აზრი და გაუგზავნოს რაც შეიძლება მალე.

თქვენი ქრისტეს მიერ ძმა მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი, 1889 წლის 18 მარტი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1889 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**859.** **2022**

"დიდად პატივცემულო იოვანე!"

ავტორი ივ. გვარამაძეს ამშვიდებს, რომ "პოემა უეჭველად დაიბეჭდება, ამას ფიქრი არ უნდა. ჯავახეთის ქართველთა სასარგებლოთ რამდენიმე წიგნი იბეჭდება. მათში ეს წიგნიც დაიბეჭდება. ამ წიგნის გამოსაცემად ხელის მოწერაც არის გამართული. ერთი ხელის მოწერა ალხაზიშვილს გამოუგზავნე. სულ ექვსნაირი წიგნი იბეჭდება და მეშვიდე თქვენი იქნება. წიგნს ზედ მიხეილის სურათიც ექნება. დაიბეჭდება 1500 ცალი, სულ მუქთად დასარიგებლად, დანარჩენი წიგნებისაც 1000 ცალი იქნება და მანდეთ სულ 8000 ცალი წიგნი გამოიგზავნება. ასევე სვანეთში, სამეგრელოში და მთიულეთში უნდა გაიგზავნოს." საუბარია "ივერიის" და "კვალის" რედაქციაში წერილების გაგზავნაზე. მოიკითხავს ქრისტესიას და კოსტას. წერილს ხელს აწერს ზ. ჭიჭინაძე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ტფილისი, 1895 წელი, 23 აპრილი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**860.** **2023**

"დიდათ პატივცემულო მამაო იოვანე!"

წერილში საუბარია ივ. გვარამაძის წერილების "ივერიაში" არ დაბეჭდვის თაობაზე. "თქვენი წერილები "ივერიაში" ვერ დაბეჭდეს. ი. ჭავჭავაძესაც წაუკითხავს. არ ვიცი რა გაუხდათ მიზეზად არ დაბეჭვდის. ახლა ეგ წერილები მე გამოვართვი, წავიკითხე მომეწონა ყველაფერი გავიგე. ისარლოვებსაც წავაკითხე, მათაც მოეწონათ. მე მიკვირს ასე დატოვება. ეს წერილები ცენზორს გადავეცი, მალე დამრთამს ნებას და ამ ერთი თვის განმავლობაში ცალკე წიგნათაც

დაიბეჭდება. თუ თქვენ ამის წინააღმდეგი არ იქნებით მაცნობეთ თქვენი აზრი.” აცნობებს, რომ მისი ადრესი მის გამოცემულ წიგნებს აწერია.

მარად თქვენი პატივისმცემელი ზ. ჭიჭინაძე. სთხოვს შეხვდეს ივ. მამულოვს და მიაწოდოს მისი საქმიანობის შესახებ ცნობები.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, ქ. ტფილისი, 1898 წელი, მხედრული.*

**861. 2018**

“ჩემგან გულით უღრმესად პატივცემულო მამაო იოვანე!”

ავტორი სწერს, რომ მისი “არქეოლოგიური ფურცლები” მარტის კრებულში დაიბეჭდება. “თქვენი წერილი “კრებულში” წავიკითხე, მესიამოვნა. იქვე გადავეცი თქვენი წერილი ხელთნაწერი “არქეოლოგიური ფურცლები”, რომელიც ჩემთან დიდი ხანია რაც ინახება. მარტიდან კრებულში დაიბეჭდება”. უგზავნის წიგნებს ახალქალაქში გასანაწილებლად. “ეხლა გიგზავნით ევტუშევსკის არითმეტიკის წიგნებს და გთხოვთ, რომ ეს წიგნები ახალქალაქის მაზრის სოფლის სკოლებს დაურიგოთ ან იქ, სადაც თქვენ უფრო საჭიროთ და უკეთესათ დაინახავთ”. აცნობებს, რომ იგი ერთი თვეა მგზავრობაში იმყოფება და როგორც კი ჩავა თბილისში გაუგზავნის ამ ბოლო დროს ქართულ ენაზე დაბეჭდილ ყველა წიგნს. საუბარია, რომ აპირებს შაჰყულიანის შესახებ წიგნის გამოცემას და სთხოვს მიაწოდოს ცნობები. “მე გამოვკრიბე რუსულის წიგნებიდან პავლე შაჰყულიანის ცნობები, მის საიდუმლო ცნობებიც კი შვკრიბე “კავკასიის აქტებიდან”. მე მინდა ამ პირის ცხოვრებისა და ზოგიერთი ცნობები ცალკე წიგნათ დავბეჭდო, ამიტომ მუდარებით გთხოვთ, რომ მის საფლავის წარწერა გადმომიწეროთ და ზოგი ერთი რამ ცნობები, თქვენ ან სხვებმა თუ იციან გამომიგზავნოთ, დიდათ დამავალებთ. ძლიერ დაგიმადლებთ. მინდა ნამეტურ შევიტყო, თუ მასა და ხარისჭირაშვილს როგორი განწყობილება ჰქონდათ, მანდაური ხალხი როგორ უმზერდა”. აინტერესებს მოძღვარ აღოშოვზეც მიაწოდოს ცნობები. ატყობინებს ახალციხეში ახლო მომავალში სტამბის გახსნის შესახებ.

“ახალციხეში, ერთს კარგს ქართველ კაცს სტამბის გახსნა უნდა, სტამბას კარგათ მოაწყობენ, რუსულ, ქართულ ასოების გარდა, სომხური და ევროპული ანბანიც ექნებათ. კარგი სტამბა იქნება. ქართულ ენაზე დასტამბავენ სხვადასხვა ქართულ გამოცემებს და წიგნებს, მანდაურს კუთხეში მარდათ გაავრცელებენ”. სთხოვს ნახოს მღვდელი ხახუტაშვილი და გაიგოს მისი აზრი სტამბის შესახებ. აინტერესებს ორივეს აზრი.

დასასრულს სთხოვს წერილის პასუხის არ დაგვიანებას.

მარადის თქვენი ღრმად პატივცემული. ჭიჭინაძე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1899 წელი 22 თებერვალი, ბორჯომი 2 ფურცელი, მხედრული.*

**862. 2019**

“ძვირფასო მამაო!”

ავტორი საუბრობს თავისი ჯანმრთელობის გაუარესებაზე. “ამ მაისში ერთობ ავათ გავხდი, თავის ტკივილით და ეს ძალიან მაბრკოლებდა და დღესაც ასე ვარ”.

აცნობებს, რომ დაიბეჭდა მისი ისტორია 128 გვერდამდის. “ასე რომ ამ კვირაში უეჭველათ გათავდება და როგორც გამოვიანგარიშეთ ასე 265 გვერდამდის გამოვა. 1200 წიგნი ჯდება სულ 214 მანეთი. ეს ისეთის ხარჯით, რომელზე იაფათ აღარ შეიძლება ბეჭვდა”. უგზავნის ანგარიშს, მიღებულ და გასაგზავნ თანხის შესახებ. იმედს აძლევს “ნუ გეფიქრება არ იზარალებ, რასაც დახარჯამთ იმას მალე აიღებ, იმ ფულისა მარტო ქუთაიში გაგეყიდება.”

აცნობებს, რომ ბაქრაძემ მისი წერილი წარუდგინა კრებას. უგზავნის სამ ახალ წიგნს, რომ საბას ლექსიკონის გამოცემაც შეჩერდა. ნახსენებია: ალხაზიშვილი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**863. 2020**

“პატივცემულო მამაო!”

წერილი იწყება: “მოკითხვა დიდის სიყვარულით, კარგა ხანი ერთმანეთის წერილი არ მიგვიღია, მაგრამ მე ყოველთვის თქვენთან ვარ. შარშან კინტრიშის სოფლებში ვიყავი, წელს აჭარას მივალ. 17 ათასი წიგნი მიმაქვს თან. მათთვის დავბეჭდეთ, ანბანებით: 1. თამარ მეფე; 2. დავით აღმაშენებელი; 3. მაჰმადის ცხოვრება და სხვანი. ვნახოთ საქმე როგორ წავა, რომ ქართული ანბანი მათში მოიფინება. მე დავწერე მათი ლოცვები და ცალკე დავბეჭდავთ ქართულის ასოებით.”

სთხოვს, შეუსრულოს ერთი თხოვნა პეტრე ხარისჭირაშვილის წიგნის გამოცემისათვის: სჭირდება ცნობები და სურათი, რაც შეეძლება მალე გაუგზავნოს. აცნობებს, რომ მისი “ქართლის ცხოვრება” 50 წიგნი გაიგზავნა ქუთაისში ნესტორ წერეთლის მაღაზიაში. იქ მალე გაიყიდება.

წერილს ხელს აწერს ზ. ჭიჭინაძე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**864. 2021**

“ყველა ქართველისაგან უღრმესად პატივცემულო მამაო იოანე!”

ავტორი აცნობებს, რომ “გაახლებთ” “მშაკის” ნომრებს, რომ ეს წერილები ნათარგმნი თამარაშვილსაც უნდა ჰქონდეს. ყალაიჯევი სთარგმნიდა. პატივისცემით კითხულობს ქრისტესიას.

წერილს ხელს აწერს ზ. ჭიჭინაძე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**865. 2028**

“ძვირფასო იოვანე!”

აცნობებს, რომ მიიღო მისი წერილი, წერილი რომელიც ჯანაშვილს ეკუთვნოდა გადასცა. რაც შეეხება წიგნს “საქართველოს სამოთხისა” ამ მოკლე ხანში გაუგზავნის. საუბარია

მურადოვზე რომელიც ეხვეწება ბილეთი მალე გაუგზავნონ თორემ მისი საქმე ცუდად არის და პოლიცია უპირებს გაგზავნას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფ. მხედრული.*

**866.** **2029**

ძვირფასო იოვანე!

წერილში საუბარია გამოცემული წიგნების რაოდენობაზე და ფასზე. “რა უნდა უყოთ ამ გამოცემებს, აქ ქალაქში 300 ეგზემპლარი ეყოფა, ქუთაისშის 300. სხვა გამოგიგზავნოთ თუ აქ დავტოვოთ”. სწერს ისარლოვის ცუდ კაცობაზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფ. მხედრული.*

**867.** **2032**

“ძვირფასო იოვანე!”

ავტორი წერილში სთხოვს კვლავ გაუგზავნოს ის “შეცდომები,” რომელნიც ადრე მიაწოდა, მაგრამ თვითონ დაკარგა დუქნის დაცლის დროს. აცნობებს, რომ ლექსიკონი უშოვნა და ამ დღეებში “უსიკვდილოდ გაუგზავნის, საბინინის წიგნი კი ჯერ არ მოსვლია. მოიკითხავს მეუღლეს და შვილებს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**ხარისჩაროვი პეტრე**

**868.** **2183**

ბოდიშს უხდის, რომ ვერ დააბეჭდინა “საღმრთო წერილი” აცნობებს, რომ სურს რამდენიმე წიგნის თარგმნა. (სია თან ერთვის)

*შავი მელანი, სტამბული, 1873 წელი, 1 ფურცელი, მხედრული*

**869.** **2645**

საუბარია გაგზავნილი წიგნების მიღებაზე, სთხოვს გადათარგმნოს
ღრამატიკა და სხვა წიგნები.

*შავი მელანი, სტამბული, 1873 წელი, 3 ფურცელი, მხედრული.*

**870.** **2646**

ატყობინებს, რომ მიიღო მისი ნათარგმნი სასულიერო წიგნი.

*შავი მელანი, სტამბული, 1873 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**870-ა.** **2203**

წერილში სთხოვს ქართული გრამატიკის გაგზავნას.

*შავი მელანი, სტამბული, 1876 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**871.** **2649**

კერძო ხასიათისაა. იქვეა წერილი ქრისტესიასადმი.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1885 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**872.** **2202**

აცნობებს, რომ მიიღო ესტატეს ლექსი და უგზავნის ლოცვის წიგნს.

*შავი მელანი, სტამბული, 1894 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**873.** **2204**

საუბარია ქართველი მღვდლების მომზადებაზე ახალციხისათვის, სთხოვს თავიანთ წიგნების გადაწერას, "სუფთა ცოცხალი ქართულით," როგორც "დროება" წერს.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**ხარისჩაროვი ივანე**

**874.** **2647**

წერილში ატყობინებს მეუღლის გარდაცვალებას.

*შავი მელანი, არტაანი, 1898 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**875.** **2639**

წერილი კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, არტაანი, 1902 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**ხახუტაშვილი დ.**

**876.** **2053**

წერილში უკმაყოპილებას გამოთქვამს სომეხთა საქმიანობის მიმართ.

*შავი მელანი, ახალციხე, 1896 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**ხელაძე ექვთიმე**

**877.** **2041**

საუბარია ივ. გვარამაძის წიგნის დაბეჭდვის შესახებ.

*შავი მელანი, თბილისი, 1883 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**878.** **2042**

წერილში ატყობინებს, მისი წიგნის ფასს. რომ უნდა გადასცეს ცენზურას.

*შავი მელანი, თბილისი, 1884 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**879.** **2044**

წერილში ატყობინებს, რომ დაიწყო მისი წიგნების ბეჭდვა.

*შავი მელანი, თბილისი, 1884 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**880.** **2043**

წერილში ატყობინებს, რომ შეჩერდა მისი წიგნის ბეჭდვის საქმე.

*შავი მელანი, თბილისი, 1884 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

## ხითარიშვილი ალფონს

**881.** **2657**

წერილი ეხება ახალციხელთა სარწმუნოების დაცვას. ატყობინებს მუღაშოვის გარდაცვალებას.

*შავი მელანი, არ ჩანს, 1899 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

## ხითარიშვილი მარკოზ

**882.** **2683**

წერილში აღწერილია ახალი ეკლესია. ნახსენებია: "უფროსი არის ალფონს ხითაროვი, რომ მეორედ გაძარცვეს ლურდის ღვთის მშობელი.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1901 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

## ხოსტარიძე ალე

**883.** **2660**

წერილი ლექსად, ნახსენებია უდელი სიმონ ბალახოვის ვალების გაგზავნაზე.

*შავი მელანი, არ ჩანს, 1896 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

## ხუნდაძე სილოვან

**884.** **1821**

წერილი კერძო ხასიათისაა. წერილი საფოსტო ბარათზეა დაწერილი.

*შავი მელანი, არჩანს, 1915 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

ხუციანოვი სიმონ ივანეს-ძე

**885.** **1915**

ავტორი წერილში მადლობას უხდის გაგზავნილზე და სთხოვს კიდევ რაღაცეების ყიდვას. ფურცლის მეორე გვერდზე ივ. გვარამაძის ხელთნაწერი აქვს. იწყება: "საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში პირველი ადგილი უჭირავს სამესხეთოსა თავისი მდიდარი წყაროებითა..."

*შავი მელანი, სოფ. ხიზაბავრა, 1877 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

ხუციანოვი იოსებ

**886.** **2247**

საუბარია გვარამაძის მიერ დავალებულ საწირავებზე აქვს ივ. გვარამაძის მინაწერი: ჟ. მაქსიმელიანე პრულოვსკის.

*შავი მელანი, არ ჩანს, 1889 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

ჯინივიზოვი როჭე ლუკას-ძე

**887.** **2303**

წერილი კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, არ ჩანს, 1907 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

იმ პირთა წერილები რომელთა გვარები არ იკითხება

**888.** **1839**

საუბარია ეკლესიის საქმეების მიმდინარეობაზე ქ. ახალციხეში და მისი ივ. გვარამაძის სასარგებლოდ გადაწყვეტაზე.

*შავი მელანი, ქ. ახალციხე, 1882 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**889.** **2330**

საუბარია ვინმე მღვდელზე, რომელიც ჯვარს წერს საიდუმლოდ ახვრებში, თვრება და არცხვენს სამღვდელოებას.

*შავი მელანი, ს. ეშტია, 1885 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**890.** **2332**

წერილში უცხადებს, რომ კიდევ უქეიფოდ ყოფილა.

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1890 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**891.** **2648**

აცნობებს, რომ ამანათი ვერ გადასცა ზ. ჭიჭინაძეს, სთხოვს აცნობოს ვის გადასცეს სხვას.

*შავი მელანი, თბილისი, 1895 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**892.** **2295**

დიაკვნების წერილები, შეეხება ფულად ანგარიშსწორებას.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**893.** **2317**

წერილში საუბარია სომხების მიერ ბანკის გატეხვაზე. ფურცლები შუაზე გახეულია და დაზიანებულია.

*შავი მელანი, უთარიღო, 1896 წელი, 2 ფურცელი, მხედრული.*

**894.** **2318**

წერილი კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**895.** **2320**

წერილში ურჩევს, რომ მანამდე არ აგრილდება იმ წამლის მიღება არ შეიძლება.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**896.** **2323**

წერილი კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, უთარიღო, 1900 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**897.** **2337**

წერილში თანაგრძნობას უცხადებს მეუღლის გარდაცვალების გამო. სთხოვს სარატოვიდან მიღებული ქაღალდის კოპიოს, აცნობებს, რომ რასაც სთხოვს მისი შოვნა ადვილია. გამოგზავნა კი ძნელი. შეიძლება უსიამოვნება შეემთხვეს ამის გამო.

*შავი მელანი, ტრაბზონი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

**898.** **3039**

წერილში საუბარია ქართველ და სომეხ კათოლიკეთა შესახებ. ბოლო ნაკლულია.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**899.** **2345**

წერილი კერძო ხასიათისაა.

*შავი მელანი, უთარიღო, 1883 წელი, 1 ფურცელი, მხედრული.*

**900.** **2693**

წერილი ლექსად. (იოსებ მღვდელი).

*შავი მელანი, კონსტანტინეპოლი, 1885 წელი, მხედრული.*

**901.** **3268**

ავტორი აცნობებს, რომ გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს საქართველოს ცხოვრების აღწერა და რომ ამავე საქმით დაინტერესებულია ფრანგი მღვდელიც. წერილში მოკლედ აქვს მოყვანილი ის ფაქტები, რასაც ეყრდნობა.

*შავი მელანი, უთარიღო, 2 ფურცელი, მხედრული.*

## VI

## სხვადასხვა

**902.** **2582**

**ივ. გვარამაძის განცხადება სასულიერო მმართველობაში,** დაწერილია 1874 წლის 28 აპრილს ს. ხიზაბავრაში. განცხადებაში ავტორი ზემდგომ ორგანოებს აცნობებს, რომ ჩამოსვლისთანავე სოფელ ხიზაბავრაში ღვთისმშობლის ეკლესიაში მუშაობის დაწყებისთანავე 1873 წ. შენიშნა. ამავე ეკლესიის სინდიკის იაკობა პაპაშვილის "უწესო მოძრაობა თავის თანამდებობაში"..... წერილში მოყვანილი აქვს სხვადასხვა ფაქტები პაპაშვილის უწესო მუშაობის შესახებ.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1874 წ. 2 ფურცელი, მხედრული.*

**903.** **2707**

წერილი ბაგრატ მეფისაშვილისა, რომ მას მიუღია მღ. იოვანე გვარამაძისაგან ოცი მანეთი გადასაცემად მღ. დიონისი კალატოზოვისადმი.

*შავი მელანი, ბ. მეფისაშვილის ავტოგრაფი 1 ფურც. 1898 წ. 6 ღვინობისთვე. მხედრული.*

**904.** **2704**

ტელეგრამა სარატოვიდან ივ. გვარამაძეს, რომ სანამ არ გადასცემს საეკლესიო ქონებას და არ გაემგზავრება სოფ. ხიზაბავრაში "დისტანცია" არ შეიძლება მოეხსნას.

ეპისკოპოსი ცოტმანი

*შავი მელანი, სარატოვი. 1 ფურც. ტელეგრამის ბლანკი, 1879 წ.*

**905.** **2767**

ივ. გვარამაძეს პეტერბურგიდან გაზეთ "პეტერბურგის ვედამოსტის" რედაქციიდან სთხოვენ, რომ გააგზავნოს მასალები რედაქციაში, ისინი ითარგმნება და ეცნობება ავტორს. განსაკუთრებით საჭიროებენ არქეოლოგიურ და მიმდინარე ამბების მასალებს. საუბარია ანაზღაურების შესახებაც.

*შავი მელანი, ა. ფრენკელი, რუსული ხელნაწერი, პეტერბურგი, 1879 წ. 15 თებერვალი 1 ფურც.*

906. 2738

**დეპეშა მღვდელ ივ. გვარამაძეს. (მესარკოვს)**

სარატოვიდან ეპისკოპოსი ცოტმანი წერს, რომ "აღმორჩევა ეკუთვნის განსაკუთრებით ნასტოიატელსა და რადგან თქვენ გამორიცხული ხართ თანამდებობისგან, არ გაქვთ უფლება მაგის ქნისა".

წერილი წარმოადგენს დეპეშის ფორმის ფურცელზე ფანქრით რუსულად ნაწერ ტექსტს.

ცოტმანის ხელმოწერა 1880 წ. აქვს ქართული მინაწერი.

*შავი მელანი, რუსული ხელნაწერი, 1880 წ. სარატოვი, 1 ფურც.*

907. 2740

**ივ. გვარამაძის განცხადება უმაღლეს უსამღვდელოობას.**

რომ იგი უსამართლოდ გადაიყვანეს ივლიტის ეკლესიის ზედამხედველებიდან. ასლანოვის მტრობით 1879 წლის ზაფხულში, მას შემდეგ ერთი წელია იბრძვის სიმართლისათვის, მაგრამ ნაცვლად აღდგენისა, იგი დაუმტკიცებიათ ხიზაბავრის მღვდლად, რაც მის ოჯახურ მდგომარეობას არ ეხერხება. ნახსენებია: ტერ შაანოვი, ასლანოვი, მეფისოვი, გაბელოვი, ჩილინგაროვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1880წ. 1 ფურც. მხედრული.*

908. 2570

შეტყობინება ხიზაბავრის ეკლესიის მღვდელ მსახურს ივანე გვარამაძეს (მესარკოვს), გამოგზავნილია 1884 წელს, როსტოვიდან, რუსულ ენაზე. ხელს აწერს ანტონიო ცერრი, ფურცელს აქვს შტამპი. შეტყობინებაში ივ. გვარამაძეს აფრთხილებენ შეეშვას 'ინტრიგებს" ახალციხის სომეხ კათოლიკური ეკლესიის მიმართ.

*შავი მელანი, როსტოვი, 1884 წ. 1 ფურც. რუსული ხელნაწერი.*

909. 2580

შეტყობინება ივ. გვარამაძის (მესარკოვის) მიმართ გამოგზავნილი ქ. სარატოვიდან 1884 წ. რუსულ ენაზე. ხელს აწერს ანტონიო ცერრი, ფურცელი შტამპულია, შეტყობინებაში ივ. გვარამაძეს აცნობებენ, რომ მან აწარმოოს სომხურ კათოლიკური ეკლესიის საქმეები.

*შავი მელანი, სარატოვი, 1884 წ. 1 ფურც. რუსული ხელნაწერი.*

910. 2581

შეტყობინება ხიზაბავრის ეკლესიის მსახურს იოვანე მესარკოვს. საუბარია სომხურ კათოლიკურ ეკლესიასთან რამდენიმე საკითხის გაუგებრობაზე და მის მოგვარებაზე.

*შავი მელანი, 2 დეკემბერი, 1884 წ. 910. 1 ფურც. ქ. ახალციხე, რუსული შრიფტი.*

**911. 2739**

სინდიყ პავლე სარიევის მოხსენება.

საეკლესიო სკოლის ზედამხედველს, ივ. გვარამაძეს სთხოვს დაიბაროს ის პირნი, ვისაც ეხება, რომ ჩაიბარონ ანგარიშები შემოსავალ გასავლისა წმ. იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიის კათოლიკური ეკლესიის სკოლისა, რადგან თვითონ სარიევი გამგზავრებას აპირებს სხვაგან.

*შავი მელანი, პავლე სარაევის ავტოგრაფი, 1885 წ. 7 დეკემბერი.*

**912. 2712**

წერილი ივ. გვარამაძეს, რომ წარმოადგინოს სია შვიდ დღეში ერთჯერ. დაქვემდებარებულ მრევლიდან რამდენი ავადმყოფი იქნება საოფლის სნეულებით, რამდენი განიკურნება და რამდენი მოკვდება.

*შავი მელანი, ვ. ასლანოვი (მმართველობის საპატიო წევრი)*
*1885 წ. 1 მარტი, 1 ფურც. მხედრული.*

**913. 2503**

ივ. გვარამაძის მიმართვა სომეხ კათოლიკურ სასულიერო მმართველობისადმი. 1886 წ. რუსულ ენაზე.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1886 წელი, 1 ფურც. რუსული.*

**914. 2705**

**მოხსენებითი ბარათი 160-ის მიმართვის პასუხად სასულიერო მმართველობაში.** მოახსენებს გრ. მღებროვის გამორიცხვის შესახებ, ანტონ ცეერის მიერ იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სინდიკობისაგან და ახლები სხვები კიდევ ვინ არიან, არ იცის. დასახელებული კანდიდატებად ახსენებს ვინმე პავლე მესარკოვს - რომ დასახელდეს კანდიდატად. (აქვეა რუსულ ენაზე დაწერილი სტატია ისკანდაროვის ხელნაწერი მღებროვისადმი სასამართლო წიგნის გადაცემის შესახებ)

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1886 წ. 1 ფურც.*

915. 2711

**ივ. გვარამაძისადმი გამოგზავნილი წერილი კავკასიის სომეხ კათოლიკე სასულიერო მმართველობისა.** განცხადებაში აცნობებენ, რომ მას დაუხარჯავს ფული ივლიტის ეკლესიის თანხა 75 მან. და 80 კაპ. ამით დაიკარგა სარგებელი 18 მან. 80 კაპ. ეპისკოპოსის განკარგულების თანახმად მას უნდა დაეწეროს ანგარიში და გადაიხადოს დაკარგული სარგებლის რაოდენობა.

ს. ასლანოვის ავტოგრაფი, ხელს აწერს ტერ შაანოვი და საქმის მწარმოებელი ალექსანდრე.

*შავი მელანი, 1886 წ. 19 თებერვალი, 1 ფურც. მხედრული.*

916. 2747

**განცხადება ივ. გვარამაძის სომეხთ კათოლიკეთა მმართველობისადმი.** ითხოვს მისცენ ტირასპოლის რომის კათოლიკეთა მმართველის ანტონ ცეერისადმი გაგზავნილი ქალალდის პირი, სადაც მასზე წერია ცრუ საჩივრები.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1886 წ. 14 თებერვალი, 1 ფურც. მხედრული.*

917. 2760

**ივ. გვარამაძის განცხადება სომეხ კათოლიკეთ სასულიერო მმართველობის მიმართ.**

საუბარია, რომ ივლიტის ეკლესიის მღდელს თ. ჩილინგაროვს 1885 წ. 21 დეკემბერს უჩივლია ივ. გვარამაძეზე. თითქოს მას ივლიტის ეკლესიაში ზედამხედველობის დროს გახარჯული ჰქონდა ამ ეკლესიის თანხა საკუთარი საჭიროებისათვის. მოითხოვს საქმის გარკვევას. ფურცლის მეორე გვერდზე შედგენილია მოწმობა ივლიტის ეკლესიის მრევლის, რომლებიც მოწმობენ, რომ ეკლესიის ფული გაიხარჯა 1875 წელს ეკლესიის საჭიროებისათვის.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1886 წ. 7 თებერვალი 1 ფ. მხედრული.*

918. 2742

**ივ. გვარამაძის განცხადება სასულიერო მმართველობი-სადმი**, სთხოვს თავისი შვილის - გაბრიელის სარატოვის რომის კათოლიკეთა სემინარიაში სასწავლებლად გაგზავნას.

*შავი მელანი ავტოგრაფი. 1890 წ. 1 ფურც. მხედრული.*

919. 2744

**ივ. გვარამაძის განმეორებითი განცხადება** ა/კ სომეხთ კათოლიკეთა სასულიერო მმართველობაში, ზემოხსენებული საქმის გამო. კოპიო.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1890 წ. 10 ღვინობისთვე, მხედრული.*

**920.** **2746**

**ივ. გვარამაძის განცხადება ამიერკავკასიის სომეხ კათოლიკეთა სასულიერო მმართველობას.**

განცხადებაში მოთხრობილია ხიზაბავრელ თომა იოსების ძე პაპაოევზე, რომ მას ვალად ჰქონებია აღებული 7 თუმანი ფული. ახალციხის ეკლესიების კონსტანტინეპოლში ყოფილი უძრავი მამულების მეარენდატორებისაგან: ბ.ი. ბეჟანოვი და ბ. პეტრე ბაკაკოვისაგან.

ივ. გვარამაძე ითხოვს მისცენ ამ არენდატორებისაგან ხსენებული ვალის დოკუმენტის კოპიო და უგზავნის 80 კაპიკიან მარკას.

ნახსენები არიან: თომა პაპაოევი, პეტრე ბაკაკოვი, იოსებ ბეჟანოვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1890 წ. 10 ღვინობისთვე 1 ფურც. მხედრული.*

**921.** **2732**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი მიწვევის ფურცელი მოსახლეობისადმი (კათოლიკეთათვის)**, რათა მოელაპარაკოს, რომ ვინაიდან წმ. იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიის საერო სასწავლებელი გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ამიტომ ხალხმა გაიღოს შესაწირი. 1834 წლის 3 ენკენისთვე, სიაში 67 კაცია ჩაწერილი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1894 წ. 1 ფურც. მხედრული.*

**922.** **2756**

ბილეთი ხელნაწერი ა/კავკასიის სომხურ კათოლიკური სასულიერო მმართველობის წევრის შაანოვისა, გაცემული იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიის ზედამხედველის ივ. გვარამაძის სახელზე.

იგი ნებას რთავს ივ. გვარამაძეს ამ ბილეთით წავიდეს ახალციხიდან ქუთაისში პირადი საქმეების შესასრულებლად. 1895 წ. 20 მარტიდან 24 მარტამდე.

*შავი მელანი, ა. შაანოვის ავტოგრაფი, რუსული ხელნაწერი, 1895 წ.*

**923.** **2781**

ივ. გვარამაძის მიმართვა, მის უდიდებულესობას რომის კათოლიკური ეკლესიის ზედამხედველს ეპისკოპოს ფრანც ცეერს.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რუსული ხელნაწერი, 1896 წ.*

**924.** **2776**

**ივ. გვარამაძის "რაპორტი" მის უდიდებულესობას ტირასპოლსკისადმი.** ლაპარაკია ვარძელოვის მიერ ორი ოთახის გადმოცემის თაობაზე საეკლესიო საქმიანობისათვის, სადაც იგი მიუხედავად მრავალი თხოვნისა ამ შენობას ვერ ღებულობს. ნახსენებია ვარძელოვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1897 წ. 25 დეკემბერი 2 ფურც. მხედრული.*

**925.** **2782**

მიმართვა ტირასპოლის რომის კათოლიკური ეკლესიის ანტონიო ცეერისა. ივ. გვარამაძის ნაწერების დაწუნების შესახებ.

*შავი მელანი, რუსული ხელნაწერი, 1897 წ. 1 ფურც.*

**926.** **2780**

ივ. გვარამაძის მიმართვა ტირასპოლის ეპისკოპოსს ანტონიო ცეერს. დამრიგებლური წიგნის ადამი და ევას ცენზურისათვის ქართულ ენაზე.

*შავი მელანი, ივ. გვარამაძის ავტოგრაფი, რუსულ ენაზე 1898 წ. 18 დეკემბერი.*

**927.** **2784**

ანტონ ცეერის მიმართვა ივ. გვარამაძისადმი სთხოვს შუამდგომლობას ჭალაევის მღდვლად კურთხევისათვის.

*შავი მელანი, რუსული ხელნაწერი, 18 მაისი 1898 წ. 1 ფურც.*

**928.** **2733**

ანტონ ცეერის მოწოდება, რომ რომში შესრულებული დიდი იუბილე (1900 წელს) წ-მ. მამა ლეონ XIII–საგან, გავრცელდეს მთელი ქვეყნების კათოლიკობაში. 1901 წლის 20 მაისიდან 19 ნოემბრის საღამომდე.

დღესასწაული ჩატარდეს ყველა კათოლიკურ ეკლესიაში და ქველმოქმედ საკრებულოში.

*შავი მელანი, ანტონ ცეერის ავტოგრაფი, 1901 წ. 15 მარტი, 1 ფურც. სარატოვი, რუსული.*

**929.** **2750**

ამიერკავკასიის სასულიერო ცენტრის მოთხოვნა მღვდელ გვარამაძისადმი, ანგარიშის წარდგენის თაობაზე.

*შავი მელანი, 15 ივნისი 1901 წ. 1 ფურც. რუსული შრიფტი.*

**930.** **2763**

**წერილი ივ. გვარამაძეს ტირასპოლის რომის კათოლიკეთა სასულიერო მმართველობიდან.**
ატყობინებენ არჩევნების შესახებ და რომ თან იქონიონ ბეჭედი. 1905 წ. 11 თებერვალი. აქვეა მეტრიკის ამონაწერის ფორმა შევსებული ივ. გვარამაძის ხელით. მეტრიკა გაცემულია ახალციხეში ი. ნათლისმცემლის ეკლესიაში ვინმე ნატალია ბალახოვის ნათლობის თაობაზე.

*შავი მელანი, რუსული ხელნაწერი, 1901 წ. 13 მაისი, მხედრული.*

**931.** **2736**

თხოვნა გაგზავნილი, ახალციხის მომრიგებელ სასამართლოს სამომრიგებლო განყოფილების უფროსის ჟოზეფინე მეფისოვის საქმის განხილვის გადადების შესახებ, რადგან ავტორის თქმით, იგი ავადმყოფობს ამ დღეებში.
მღვდელი ივ. გვარამაძე 1903 წ. 17 აპრილი.

*შავი მელანი, 1 ფურც. 1903 წ. რუსული ხელნაწერი.*

**932.** **2737**

ივ. გვარამაძის გამოძახება, სახალხო სასამართლოზე დასწრების შესახებ. რუსული ხელნაწერი.

*შავი მელანი, 17 აპრილი, 1903 წ. 1 ფურც. რუსული შრიფტი.*

**933.** **2520**

“სია ვექსელებისა”, სია არ არის ივ. გვრამაძის ხელნაწერი. იგი იწყება: “სია ვექსელებისა რომელიც გადავეცი იაკობ თუმანოვს 15 ივნისს 1904 წ. ოკრუჟენო სუდში წარსადგენად.”.
1). სტეფან გასპარას ძე საანოვისა 100 მანეთის 1898 წელს.
ჩამოთვლილია შვიდი პიროვნების გვარი .....
ფურცელს ხელს აწერს იაკობ ლუკას ძე თუმანოვი, ვექსელის ფურცელის ჩაბარების ამბავს ხელის მოწერით ადასტურებს ივ. გვარამაძე და იქვე იმოწმებს დამსწრედ მღვდელ სერაბინ მერაბიშვილს მისსივე ხელმოწერით.

*შავი მელანი, ივ. გვრამაძის მინაწერი, 1904 წ. 1 ფურც. მხედრული.*

934. 2729

**შეტყობინება ივ. გვარამაძისადმი.**

რომის-კათოლიკური სასულიერო ტირასპოლის მმართველობისა, აცნობებენ რომ მიღებული აქვს თუ არა პროცენტი 28 მანეთი და 25 კაპ. გააკეთოს მოხსენება ამის შესახებ. 1183 აგვისტოს 16-ის ბრძანებით.

*შავი მელანი, უცნობი ავტოგრაფი, 1905 წ. 22 სექტემბერი, 1 ფურც. მხედრული.*

935. 2768

**წერილი ივანე გვარამაძისადმი.**

ავტორი სთხოვს მას შეატყობინოს სასწრაფოდ როდიდან დართო ნება (თუ არის შემთხვევა) მას გზაჯვარედინების სახელების (ქართული) ძიებისა.

ავტორის ვინაობა არ იკითხება.

*შავი მელანი, რუსული ხელნაწერი, 1905 წ. 22 მარტი. 1 ფურც.*

936. 2772

**რომის კათოლიკეთა ეკლესიის წერილი ივ. გვარამაძისადმი**, საუბარია, რომ ივ. გვარამაძეს კავკასიაში ყოფნის დროს ლიტურგია ჩაუტარებია ერთ-ერთ მოკლულ რევოლუციონერის პატივსაცემად, რაც უარყოფითად შეფასდა მის საქმიანობაში. ეპისკოპოსი ითხოვს ახსნა განმარტებით ბარათს ამასთან დაკავშირებით.

*შავი მელანი, ეპისკოპოსი კესლერი, 1906 წ. 1 მარტი. ქ. სარატოვი, 1 ფურც.*

937. 2773

**რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსის წერილი, ახალციხის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ზედამხედველის მღვდლის ივ. გვარამაძისადმი.**

მას წარმოუდგენენ ახალციხეში მცხოვრები პ.ლ. ჯინიუზოვის თხოვნას, რადგან თქვენ უარი გითქვამთ ჩაგეტარებინათ წირვა გარდაცვლილ არქიმანდატრის პ. შაჰყულოვის საფლავზე. გთხოვთ თქვენს უწმინდესობას წარმომიდგინოს პატაკი ყოველივე ამის შესახებ. დააბრუნეთ წარმოდგენილი თხოვნა და განაჩენი. წერილს აქვს ეპისკოპოს კესლერის ხელის მოწერა.

*შავი მელანი, ი. კესლერის ავტოგრაფი, 10 მაისი 1906 წ. სარატოვი.*

938. 2735

**თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წერილი ივ. გვარამაძეს.**

რომ 1907 წელს 1 თებერვალს საოლქო სასამართლოს საქმეებში შემოსული ვექსელის 300 მანეთის თანხის შესახებ ვერ მოხერხდა იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიის საქმის მოძებნა, ფაფაზოვის ირგვლივაც არ ხერხდება საქმის ძიება.

*შავი მელანი, 1907 წ. 27 თებერვალი, 1 ფურც. რუსული ხელნაწერი.*

939. 2752

**წერილი ივ. გვარამაძისადმი,** შეეხება 1892 წლის დადგენილებას რომელიღაც ეკლესიის მშენებლობის შესახებ. დაწერილია რუსულ-ქართულ ენაზე.

*შავი მელანი, ავტორი არ ჩანს 1907 წ. 29 იანვარი, 2 ფურც.*

940. 2777

ივ. გვარამაძეს, რომის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსი ავალებს დაემორჩილოს ბრძანებას და გადავიდეს მისდამი მიჩენილ შენობაში. ამონაწერი გამოგზავნილია სარატოვიდან.

*შავი მელანი, რუსული ნაბეჭდი შრიფტით, 1907წ.*

941. 1778

წერილი ივ. გვარამაძეს.

სომხური კათოლიკური ეკლესიის სამმართველოსგან აცნობებენ, რომ მის მიერ დაკავებული ბინა გათავისუფლდეს და გადავიდეს სხვა ბინაში, რასაც აჩვენებს მიხეილ ვარძელოვი. ხელს აწერს იოსეფ კესლერი.

*შავი მელანი, ნაბეჭდი რუსული შრიფტი. 1907 წ.*

942. 2741

ივ. ნათლისმცემლის ეკლესიის ყოფილი ზედამხედველის ივ. გვარამაძის განცხადება, ამავე ეკლესიის ზედამხედველ მიხ. ვარძელაშვილისადმი.

საუბარია მის გაყვანაზე საეკლესიო სახლიდან მისი შვილის კონსტანტინე გვარამაძესთან ერთად, ცხოვრების მიზნით.

ივანე ითხოვს დახმარებას, რომ კონსტანტინე ცოლშვილით გავა მამისგან და იგი დატოვებული იქნეს ამ ბინაში.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, 1908 წ. 19 აპრილი, მხედრული.*

**943.** **1931**

ივანე გვარამაძის მიერ ჩამოწერილი ს. ხიზაბავრის მცხოვრებთა სია, რომლებთაც მისაცემი ჰყავთ ქათმები:

1. გლავა - 2 ქათამი.
2. თენოთ პალეი - 2 ქათამი.
3. ლარათ ბებერი - 2 ქათამი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, უთარიღო, 1 ფურცელი, მხედრული.*

**944.** **2710**

წერილი ივ. გვარამაძეს (იგივე მესარკოვს). საპატიო წევრები წერენ, რომ კავკასიის სომეხთ კათოლიკე მმართველობის ბრძანებით 26 მარტს ჩააბაროს ახალ ამორჩეულ სინდიკებს ეკლესიის ქონება და ფულიანი ბარათები, ხოლო "ისპოლნიტელნი ლისტები", თანახმად ეპისკოპოსის არჩევანისა, უნდა იყოს უ. ფაფაზოვის უფლებაში, ყოველივე ეს უნდა აწარმოოს თვითმმართველობის და არა ამ ეკლესიის ადგილობრივმა კომისიამ. ივ. გვარამაძეს აფრთხილებენ, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში ტელეგრამით აცნობებენ ეპისკოპოზს.

*შავი მელანი, უთარიღო, ასლანოვის ავტოგრაფი, ხელს აწერს ტერ შაანოვი და საქმის მწარმოებელი. ქ. ახალციხე, 2 ფურც. მხედრული.*

**945.** **2673**

ავტორი პასუხს სცემს ივ. გვარამაძის შეკითხვებს, რომელიც მისთვის მიუწერია. საუბარია თუ როგორ უნდა შეასრულოს მღვდელმა აღსარების წესები. პასუხი გადმოცემულია ოთხ პუნქტად.

*შავი მელანი, უთარიღო, 2 ფურც. ავტორი არ ჩანს, მხედრული.*

**946.** **2713**

ივანე გვარამაძეს-მესარკოვს სასულიერო მმართველობის წერილი, რომ ტირასპოლის ეპარქიის მმართველმა ეპისკოპოსმა ანტონ ცეერმა მაისის 19, 1886 წ. დანიშნა იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიის ზედამხედველად, სომეხთ კათოლიკე ტერ შაანოვი და ავალებენ ივ.

გვარამაძეს სამი დღის ვადაში კანონის წესით და სინდიკატების თანადახმარებით ჩააბაროს (სტ. ფაფაზოვისა და იაკობ თუმანოვს) ეკლესიისა და მისი სამრევლო სასწავლებლის მოძრავი თუ უძრავი ქონება, თანხა საქმეები და ბეჭედი.

*შავი მელანი, ვ. ასლანოვის ავტოგრაფი, 1886 წ. 31 მაისი, 1 ფურც. მხედრული.*

**947.** **2731**

თხოვნა ახალციხის მაზრის ქართველ კათოლიკე მოსახლეობისა, რომის კათოლიკეთა ეპარქიის ეპისკოპოსს ბარონ ედუარდ როპისადმი. გაგზავნილი სოფლების აბასთუმნის, უდის, ბოლაჯურის, არლის, ვალის, ხიზაბავრის, ვარგავისა და ბნელას მოსახლეობის მიერ, უხსნიან თავიანთ ისტორიას და ქართველობას. სთხოვენ დართონ ნება რათა ტიპიკონი (სომხური) შეუცვალონ და დართონ ნება ქართული ტიპიკონისა, სთხოვენ აგრეთვე, რომ დაუქვემდებაროს თბილისის საეპისკოპოსო სამღვდელოებას.

*შავი მელანი, ავტორი არ ჩანს, რუსული ხელნაწერი უთარიღო,*
*1 ფურც. სავარაუდოდ შედგენილია ივ. გვარამაძის მიერ.*

**948.** **2734**

არქიმანდრიტ მანველოვის მიერ დაწერილი ანდერძი, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისი ვერცხლეულის ნაწილი გადაეცეს შვილს. ანდერძს ხელს აწერს: გალუსტოვი, სტეპანოვი და სხვები.

*შავი მელანი, უთარიღო, 1 ფურც. რუსული ხელმოწერა.*

**949.** **2743**

ივ. გვარამაძის განცხადება ა/კ სომეხთ კათოლიკე სასულიერო მმართველობისადმი.
იგი უკანონო საქმედ მიიჩნევს, რომ ტერ ი. ხუციანოვის დახმარებით ცდილობს სასულიერო წოდებაში შესვლას ტომა პაპაევი, რომელიც სახელგატეხილი პიროვნებაა, აღწერს პაპაოევის უსინდისო საქციელს ხიზაბავრაში და ამტკიცებს. რომ მის მღდვლად მიღება დანაშაული იქნება, მითუმეტეს არა აქვს სასულიერო განათლება. მომხსენებულები არიან: 1). ილია სულთფეზოშვილი; 2). ხუციანოვი; 3). თ. პაპაოევი; 4). პოღ ისკანდაროვი; 5). პეტრე ისკანდაროვი; 6). ა. შეშაბერიძე; 7). ი. ხუცოვი; 8). პოღოს მუღაშოვი; 9). თ. მურადაშვილი; 10). გ. კალაიჯევი; 11). ანტ. ხითაროვი; 12). ი. იგითხანოვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც. მხედრული.*

950. 2745

**ივ. გვარამაძის "რაპორტი" მღვდელ მიხეილ ვარძელოვს** (ახალციხის ნათლისმცემლის ეკლესიის ყოფილ ზედამხედველს).

რაპორტში გვარამაძე მოახსენებს, რომ რომის კათოლიკეთა ეპარქიის ტირასპოლის ეპისკოპოსის - კესლერის 1729 ბრძანებით, იგი ნებას რთავს ადგილობრივ სამღვდელოებას, რომ გვარამაძეს გამოუყონ ორი ოთახი საეკლესიო სახლში.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც. მხედრული.*

951. 2754

**ივ. გვარამაძის დეპეშა ეპისკოპოს ცოტმანისადმი.**

აცნობებს რომ სასულიერო მმართველობამ იგი გაანთავისუფლა მღვდლობიდან.

ივ. გვარამაძე სთხოვს ეპისკოპოსს, რომ ადგილობრივი სასულიერო მმართველობის მიერ დაბეზღების შემთხვევაში, ნუ გადაწყვეტს საკითხს მისი მოხსენების გარეშე.

დეპეშა იგზავნება სარატოვში მღვდელ მესარკოვის სახელით.

*შავი მელანი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, რუსული ხელნაწერი, ივ. გვარამაძის ხელმოწერა.*

952. 2764

ნაბეჭდი შრიფტი, ივ. გვარამაძეს აცნობებენ, რომ მალე გამოვა გაზეთი "ავტონომიური საქართველო" რომლის პრინციპი იქნება "შინაური თავისუფლება და რუსეთთან ერთობა". ითხოვენ გაზეთთან თანამშრომლობას. გამომცემელი კნ. ელ. ირაკლის ასული ჯაბაკურ-ორბელიანი

რედაქტორი: გ. ბ. გვაზავა

*შავი მელანი, უთარიღო, თბილისი, 1 ფურც. მხედრული*

953. 2779

**წერილი "ქართველთ მქონე კათოლიკე მრევლთაგან".** გაგზავნილი რომის კათოლიკე ეპარქიის ეპისკოპოს უფალის იოსებ კერსლერისადმი. მრევლის თხოვნაა, რომ ამდენი ხანია და მათი საჩივარი უყურადღებოდაა მიტოვებული და დღემდე ისევ მათთვის აკრძალულია ეკლესიაში ქართულად ლოცვა-კურთხევა.

წერილი ჩასწორებულია ივ. გვარამაძის ხელით.

*შავი მელანი, ავტოგრაფი უცნობია, შესწორება ივ. გვარამაძისა XIX ს-ის ბოლო, 2 ფურც. მხედრული.*

**954.** **2783**

ივ. გვარამაძის განცხადება, მისი ივლიტის წმინდა ჯვრის ეკლესიის ზედამხედველად დანიშვნის თაობაზე. განცხადებაში საუბარია მანამდე აქ მომუშავე ტერ იოკიმ შამანოვის საქმიანობაზე. ნახსენებია თომა ფაფაზოვი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც. მხედრული.*

**955.** **2785**

ახალციხის სომეხ კათოლიკური ეკლესიის თხოვნა მის აღმატებულებას ტირასპოლის რომის კათოლიკური ეკლესიის ეპარქიის ეპისკოპოსს კავალერს ანტონი ცეერს. თხოვნაში მთელი ყურადღება გამახვილებულია შაანოვის ქალაქიდან და ეკლესიიდან გაძევების აუცილებლობაზე.

*შავი მელანი, რუსული ხელნაწერი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც*

**956.** **2786**

მის აღმატებულებას ტირასპოლის რომის კათოლიკურ-ეკლესიის ეპარქიის ეპისკოპოს კავალერს ანტონი ცეერს. მღვდლების თხოვნა. მღვდლები: 1). სტეფანე გოზალოვი; 2). ივანე გვარამაძე; 3). თომა ჩილინგაროვი; 4). სტეფანე ზახაროვი; 5). მიხეილ ვარძელოვი; 6) სიმონ ბალახოვი; 7). ანტონ აკოფოვი.

*შავი მელანი, რუსული ხელნაწერი, უთარიღო, 1 ფურც.*

**957.** **2787**

მის აღმატებულებას, ტირასპოლის რომის კათოლიკური ეკლესიის ეპარქიის ეპისკოპოს - კავალერს ანტონ ცეერს ახალციხეში მცხოვრებ სომეხ კათოლიკური საზოგადოების თხოვნა. თხოვნა შეეხება მღვდელ შაანოვის ცუდ საქმიანობას და სთხოვენ მისგან საზოგადოების დახსნას.

ივ გვარამაძის ავტოგრაფი.

*შავი მელანი, რუსული შრიფტი, XIX ს-ის ბოლო, 1 ფურც.*

958. 2788

ახალციხის სომეხ კათოლიკეთა ეკლესიის ზედამხედველის ივ. გვარამაძის მიმართვა (ახსნა-განმარტება) თავისი რევმატიზებით ავადმყოფობის შესახებ. თხოვნა გაგზავნილია ანტონ ცეერის მიმართ.

*შავი მელანი, რუსული ხელნაწერი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც.*

959. 2789

**ივ. გვარამაძის (მესარკოვის) ახსნა-განმარტება ანტონიო ცეერისადმი,** ავტორი განმარტებას აძლევს, რომ მის მიერ დავალება პოღოს აკოფოვის მიმართ არ იქნა მიღებული, იმის გამო რომ აკოფოვმა არაფერი არ იცის თქვენგანო. გვარამაძეს რამდენჯერმე შეუხსენებია აღნიშნულის მიმართ, მაგრამ მაინც არ იქნა მიღებული.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რუსული ხელნაწერი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც.*

960. 2790

ანტონ ცეერისათვის გაგზავნილი ახსნა-განმარტება სომეხ-კათოლიკური ეკლესიის ზედამხედველის იოვანე მესარკოვის მიმართ. მისდამი ყველა წიგნებისა და საქმის გადაცემის შესახებ, მაგრამ ტერ პოღოს აკოფოვი არ ემორჩილება ამ გადაწყვეტილებას.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რუსული ხელნაწერი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც.*

961. 2791

**ივ. გვარამაძის მოხსენებითი ბარათი ანტონ ცეერისადმი.** განმარტებით ბარათში ნახსენები არიან იაკობ თუმანოვი და ფრანცისკო კაჩხოევი.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, რუსული ხელნაწერი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც.*

962. 2894

**ივ. გვარამაძის წერილი.** წერილი წვრილი ასოებითაა დაწერილი. ძნელად წასაკითხია. იწყება: “დღემან იწყო მიდრეკად და მზემან დასვლად. ჰაერმან სხვად ფერად უფერულობა.”

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 1 ფურც. მხედრული.*

**963.** **3174**

**ივ. გვარამაძის მიერ შედგენილი ძველი მესხური კარაბადინი.**

კარაბადინი იწყება "ღვიძლის ტკივილისათვის" საჭირო მცენარეების აღწერით: 1). "მრავალძარღვა და ნიორი დანაყე და თბილითა წყლითა სვით დილასა."

ავტორს ჩამოთვლილი აქვს სხვადასხვა ავადმყოფობისათვის საჭირო სამკურნალო რჩევა დარიგებები.

6). დედაკაცსა თუ ყრმა მუცელსა შიგან მოუკვდეს,...

7). დედაკაცსა თუ ძუძუ გაუსივდეს, ხახვი შეწვი, დააწყე, რძით მოხრაკე და ზედ დასდევ.

წიგნის ბოლო ფურცლები დათმობილია ლექსიკონის, ლექსებისა და აფორიზმებისათვის.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის ბოლო, მხედრული.*

**964.** **3175**

**ივ. გვარამაძის მიერ აღწერილი გურული წეს-ჩვეულებანი.**

პირველ ნაწილში გადმოცემულია გურული კაცის სამზადისი "კალანდა" (ახალი წლისათვის). აქ აღწერილია ის თადარიგი რომელსაც წინასწარ იჭერდნენ საახალწლო სამზადისისათვის, თუ როგორ ასუქებდნენ ქათმებს, იხვებს, ღორს და ახალი წლის წინა დღეებში მათ კლავდნენ. შემდეგ მოდის ბარბარობა, შობა და სხვადასხვა დღესასწაულის აღწერა.

*შავი მელანი, ავტოგრაფი, XIX ს-ის მეორე ნახევარი, 6 ფურც. მხედრული.*

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. შოთა ლომსაძე — “მესხები”, 1997 წ. თბ., “მოლოდინი” გვ. 36;
2. დავით კოჟორიძე — “განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში”, თბ., 1986 წ. გვ. 128;
3. ზაქარია ჭიჭინაძე — “ქართველკათოლიკე მოღვაწე ივანე გვარამაძე,” თბ., 1904 წ. გვ. 18;
4. ნატო ყრუაშვილი — “ივანე გვარამაძის როლი მესხურ განმანათლებლობაში”, თბ., 2008 წ. გვ. 67;
5. მანანა მიჩიტაშვილი — ივანე გვარამაძის საისტორიო და საზოგადოებრივი შეხედულებანი”, თბ., “მეცნიერება”, 1995 წ. გვ. 34;
6. ილია მაისურაძე — “სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები”, კრებული მესამე, “განათლება”, თბ.,1968 წ. გვ. 43;
7. ილ. აბულაძე, მ. ქავთარია, ც. ჭანკიევა — “ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა”. თბ., 1987 წ. გვ. 2;

# საძიებლები

## პირთა საძიებელი

### — ა —


აბაზაძე ანანე 230 (2179)
აბაშიძე 309 (3168), 111 (3170)
აბელი 297 (2885)
აბრამი 124 (131)
აბრამიანი 357 (2268), 651 (2594)
ადამი და ევა 217 (2133), 459 (3003)
ადარნასე 223 (2139), 318 (3911)
ადრიანე 134 (139)
აზარიანი 378 (3037)
აზნაურიშვილი ანტრაფელა 318 (3911)
აზნაურიშვილი ოთარი 318 (3911)
აზნაუროვი გრიგოლ იესეს ძე 370 (3975)
ათუნოვი 203 (2115)
აკოფოვი ანტონ 374 (1864), 726 (2640), 956 (2786), 959 (2789), 960 (2790)
აკოფოვი მარტიროს 385 (2935)
ალფოზიმმა ბ. პ. 705 (2005)
ალფონსი 636 (2666)
ალხაზიშვილი ილია 376 (2046), 862 (2019)
ანნა 616 (2544)
ანიკო 338 (1825), 358 (2270), 368 (3938)
ანტონოვი ივანე 501 (1858), 688 (1990), 719 (1997), 93 (3934)
ანტონ კათალიკოზი 237 (2227)
ანტონოვი მიხეილ 415 (2962), 504 (2521)
ანტონ მნათე 205 (2118)
არარატიანი ალექსანდრე 175 (1897), 237 (2227)
არარატოვი 384 (2928), 737 (2670)
არისტოტელე 28 (2414)

ასლან ფაშა 98 (1900)
ასლანოვი 175 (1897), 359 (2275)
ასლანოვი (ასლანიშვილი) გაბრიელ 532 (2652)
ასლანოვი ვ. 912 (2712),
907 (2740)
ასლანოვი სიმონ 94 (2095),
237 (2227), 357 (2268),
414 (2961), 944 (2710),
915 (2711)
აფრიამოვი 783 (2287),
539 (2356)
აღბუღა 137 (152)
არუშოვი პეტროს 177 (1902),
687 (1827), 726 (2640)

## — ბ —

ბაბადია ანიკო 94 (1894)
ბაბუნაშვილი 316 (3776)
ბაგრატ კურაპალატი 165 (1880)
ბაგრატ მეფე 138 (167),
223 (2139), 237 (2227),
43 (2918)
ბათმანოვი გაბრიელ 4 (2453)
ბათმანაშვილი (ბათმანათი) ალიოზ
540 (2661), 673 (2054)
ბათმანოვი სიმონ 5 (2502),
334 (4015)
ბაკაკოევი პეტრე 920 (2746)
ბაკურისძე ფარსმანი 198 (2110)
ბალახოვი სიმონ 357 (2268),
400 (2951), 516 (3285),
956 (2786)
ბარალელი ძუძუნა 211 (2126)
ბართლომე ეპისკოპოსი
237 (2227)
ბარიკალოვი იოსებ 201 (2113)
ბარიკალოვი (ბარიკალაშვილი)
მიხეილი 308 (2932), 746 (2604)
ბარლი მანდატის-ძე 205 (2118)
ბაქარი 159 (1874)
ბაქრაძე დიმიტრი 69 (2286),
271 (2378), 542 (2664),
548 (4651), 662 (1964),
852 (1865), 856 (2024),
851 (2026)
ბაღდასარი 696 (1996)
ბაღდასაროვი მარიამი 2 (2226)
ბებუთოვი 6 (138)
ბედოვი 385 (2935)
ბეზირგანოვი 393 (2944)

ბეჟანოვი ბ.ი. 920 (2746)
ბერნარდო თეოფანოვი
237 (2227)
ბურულაშვილი სტეფანე
740 (2600)
ბექა 137 (152)
ბექა აღბუღა 204 (2217),
332 (3935)
ბოზარჟოვი აგათია 549 (3302)
ბოლნისელი 205 (2118)
ბოცვაძე ლუარსაბ 360 (2283)
ბოცო 318 (3911)
ბურჭულაძე გიორგი 550 (2050)
ბუღა 223 (2139)

## — გ —

გაბრიელ ეპისკოპოსი 114 (1893,)
34 (2292)
გაბრიელი 395 (2946), 544 (2663),
420 (2966), 421 (2967),
448 (2994), 459 (3003),
475 (3017), 457 (3259),
451 (3280), 918 (2742)
გაბელოვი 907 (2740)
გალილეი 31 (2417)
გალუსტოვი 54 (3171)
გამრეკელი გიორგი 816 (2039),
817 (2040)
გამრეკელი ვასილი 552 (1831)
გასპაროვი სტეფანე 54 (3171)
გვაზავა გ. ბ. 952 (2764)
გვარამაძე 6 (138)
გვარამაძე ივანე 956 (2786)
გვარამაძე ზ. 7 (1836)
გვარიძე 6 (138)
გვარამაძე კონსტანტინე (კოტე)
99 (174), 108 (1906),
584 (2550), 765 (3258),
941 (2741)
გვარამაძე ოქროპირი 571 (2532)
გვარამაძე მზეჭაბუკი 587 (3286)
გვარამაძე სოფიო 349 (1927)
გვარამაძე ქრისტესია 581 (2566),
611 (2533), 780 (2684)
გიორგაძე სტეფანე 555 (2619), 678
(1981), 723 (2174)
გიორგი მეფე ბრწყინვალე 125 (1920),

201 (2113), 237 (2227),
20 (2402)
გიორგი საფარელი 361 (1876)
გნოლის-ძე ანტონ 360 (2283)
გობაძე ივანე 108 (1906)
გობრონი მიქაელ 74 (175),
205 (2118)
გოდეზაძე 810 (1853)
გოგეზაშვილი 203 (2015), 777(2016)
გოგინოვი იოსებ 235 (2212),
738 (2597)
გოგლიევი მარია 201 (2113)
გოზალიშვილი იოსებ ანტონის ძე
357 (2268)
გოზალიშვილი ლაზარე 249 (2271),
556 (2650)
გოზალოვი ანტონ 565 (2628),
670 (1973)
გოზალოვი 393 (2944), 442 (2988),
459 (3003)
გოზალოვი (კოჭიბროლაშვილი)
სტეფანე 52 (1927), 357 (2268),
559 (2289), 664 (1967),
666 (1969), 956 (2786),
109 (1908)
გოზალოვი თომა 560 (2687)
გორგასლანის ძე დაჩი 198 (2110)
გრიგოლი 157 (1872), 507 (2527),
626 (2636)
გრძელოვი მელქონ 622 (2297)
გურამი 223 (2193)

## — დ —

დადიანები 111 (3170)
დავით მეფე 205 (2118),
216 (2138)
დავით ნარინის შვილი ვახტანგი
205 (2118)
დავით კურაპალატი 223 (2139)
დანიელი 160 (1875)
დარეჯან დედოფალი 210 (2124)
დედა მარიამი 144 (180)
დიმიტრი მეფეთა მეფე 155 (1870),
216 (2132)

დონ დიმიტრი 107 (1892), 179
(1907), 531 (3303),
637 (2623), 740 (2600)

## — ე —

ეგნატი 168 (1883)
ელიზბარ 205 (2118)
ელიოზი 133 (137)
ელიტინი პ. 468 (3012)
ელკენკაშენდი შიხაბედინ 104 (2185)
ემანუელი გიორგის ძე 161 (1876)
ერეკლე მეფე 210 (2124), 111 (3170)
ერემაშვილი მიხეილ 623 (2296)
ერისთავი ბარძიმ დივანბეგი 700 (2002)
ერისთავი რაფაელ 174 (1890), 106 (1891), 850 (1838), 624 (4653)
ესტატე 136 (144)
ეფრემ ბერი 138 (167)
ექვთიმე 205 (2118)
ეღსანოვი სტეფანე 637 (2623)

## — ვ —

ვართაპეტ პეტროს 62 (2883)
ვარდამოვი იოსებ 4 (2453), 5 (2502)
ვარძელოვი ბერი 368 (2805)
ვარძელოვი (ვარძელაშვილი) მიხაილ 385 (2935), 397 (2949), 440 (2971), 645 (1924), 694 (1994), 956 (2786)
ვახუშტი 131 (135), 182 (2093), 309 (3168)
ვახტანგ მეფე 690 (1989), 200 (2112)
ვახტანგის-ძე 30 (2416)
ვესპასიან 136 (144)

## — ზ —

ზაქარია მანდატისძე 205 (2118)
ზაქაროვი სტეფანე 349 (1927), 655 (2307), 956 (2786)
ზენო 318 (3911)
ზოსიმე კუმურდოელი 163 (1878)

ზუბალაშვილი იაკობ 346 (1837)
ზუბალაშვილი ლევან 346 (1837)
ზუბალაშვილი პეტრე 346 (1837)
ზუბალაშვილები 367 (3936)

— თ —

თამარ მეფე 120 (124),
125 (1920), 309 (3168),
332 (3935)
თამარ და ძე გიორგი 155 (1870)
თამარ მეფის მამა გიორგი
209 (2123)
თამარაშვილი მიხაილ
300 (2009), 555 (2619),
686 (1826), 864 (2021),
393 (2944), 394 (2945),
445 (2991), 448 (2994),
454 (2999), 455 (3000),
456 (3001), 463 (3007),
467 (3011), 468 (3012)
თათენაშვილი 714 (1962)
თარბა (აბრამის მამა) 212 (2128)
თეიმურაზ I 237 (2227)
თემურ ლენგი 237 (2227)
თმოგველი სარგის 309 (3168)
თუმანოვი იაკობ 946 (2713),
961 (2791)
თუმანოვი სტეფანე 334 (4015), 360 (2283)

— ი —

იაკობაშვილი ანტონ 730 (2353)
იაკობოვი პოღოს 350 (1929)
იგითხანოვი იაკობ 248 (2269), 509
(2530), 949 (2743),
361 (2292)
იგითხანოვი თომა 731 (2291)
იელიხანოვი სტეფანე 383 (2936)
ივ. ვარძელისძე 205 (2118)
იოსებ (ებრაელი) 136 (144)
იოსელიანი ავთანდილი 96 (134)
იოსელიანი 691 (1992)
ისკანდაროვი 914 (2705),
949 (2743)
ისაკი 124 (131)
ისაკ ფაშა 125 (1920)
ისარლოვი იაკობ პეტრეს ძე
522 (3298)
ისარლოვი ლუკა სტეფანეს ძე

771 (2061)

## — კ —

კაბადოკიელი საბა 167 (1882)
კაენი 297 (2885)
კაიბეგოვი 734 (2335)
კაკაჩათ თომა 349 (1927)
კალაიჯევი 227 (2154)
კალაიჯევი იაკობ იოსების ძე 333 (4013)
კალაიჯევი იოსებ 754 (3307), 949 (2743)
კალაიჯევი პავლე 269 (2376), 741 (1852)
კალატოზოვი 736 (1925)
კანდარიშვილი ელენე 765 (3258)
კარბელაშვილი გიორგი 766 (2035)
კარბელაშვილი ვასილი 767 (2034)
კაჩხოევი ფრანცისკო 961 (2791)
კერესელიძე ივანე 769 (2059)
კესლერი 937 (2773)
კვირიკე 133 (137)
კვიცარიძე ისიდორე გრიგოლის ძე 857 (2031)
კლემენტი პაპი XI 631 (1992)
კოკოჩაშვილი ვასილი 772 (2300)
კოკოჩოვი ანნა 773 (2333)
კომაროვი (გენერალი) 855 (2025)
კონსტანტინე 205 (2118), 706 (2006)
კროპინსკი 774 (2314)

## — ლ —

ლაზარაშვილი ი. ი. 342 (1824), 775 (2014)
ლარიონ თვალელი 205 (2118)
ლაშა-გიორგი 360 (2283)
ლეონ ეპისკოპოსი 105 (171)
ლეონ XIII პაპი 184 (2095)
ლეონიდი 807 (2045)
ლეცხელი- თეთრუაი 211 (2126)
ლიპარიტი 161 (1876)
ლომსაძე შოთა 96 (134)
ლოცავანოვი რაფაელ 5 (2502)
ლუკა 122 (2884)

## — მ —

მაზმანინი იოკიმ 16 (2427),
738 (2597)
მათე 122 (2884)
მაისურაძე იოანე 81 (1905)
მაისურაძე იოვანე 16 (2427),
305 (2922)
მაისურაძე ფროლენცია
762 (2606)
მაისურაძე სტეფანე პავლეს ძე
534 (2653)
მაკედონელი ალექსანდრე
199 (2111)
მამულოვი ივანე 779 (2321)
მამულოვი იოსებ ანგოლის-ძე
534 (2653)
მანუჩარი 7 (1836), 699 (2000)
მანდატურთ უხუცესი 137 (152)
მანველიძე თევდორე 345 (1833)
მანველიძე სიმონ 345 (1833)
მანველოვი ალექსანდრე 846 (2689)
მარიამი 80 (130), 124 (131)
მარი ბროსე 237 (2227)
მარქარიანი 760 (2618)
მაწყვერელი იოანე 152 (1873)
მაწყვერელი შიო 166 (1881)
მახარაძე 542 (2662)
მერაბოვი ივ. 702 (2008),
674 (1976)
მერაბიშვილი 526 (3272), 516 (3285),
557 (2651), 786 (2677)
მერაბიშვილი სერაბინ 783 (2287)
მერაბიშვილი (უდელი პატრი)
787 (2038)
მესარკოვი, გვარამაძე 339 (1949),
478 (3020)
მესარკოვი ელენე 7 (1836)
მესარკოვი იოვანე 4 (2453)
მესარკოვი პავლე 2 (2226)
მესხი კ. 543 (2662)
მესხი სერგეი 74 (175), 737 (2670)
მეუნარგია იონა 797 (2049)
მეფისაშვილი 796 (2306),
903 (2707), 907 (2740)
მეფისოვი გრიგოლ 237 (2227)
მეფისოვი ჟოზეფინე 931 (2736)
მზეჭაბუკი 440 (2971), 446 (2992),
449 (2995), 468 (3012),
516 (3285)
მთვარლიშვილი ნიკო 851 (2026)
მირიან მეფე 118 (133)

მირიანაშვილი ესტატე 798 (2299)
მირიანაშვილი პ. 705 (2005),
707 (2007)
მირიჯანოვი მარია ივანეს ასული
534 (2653)
მოსე წინასწარმეტყველი 143 (178),
221 (2137)
მოსე ხონელი 199 (2111),
309 (3168)
მუსხელოვი ელენე 98 (1900)
მურად ხანი 133 (137)
მურადაშვილი თ. 949 (2743)
მურადოვი 865 (2028)
მურვანის ძე 168 (1883)
მურვან ყრუ 205 (2118)
მუღაშოვი დომინიკე 801 (1842)
მღებრიშვილი ანსელომო 804 (2298),
914 (2705)
მღებრიშვილი გრიგოლ კარლოს ძე
914 (2705)
მღებრიშვილი სტეფანე 116 (1909)

## — ნ —

ნაზარეველი იესო 239 (2248)
ნახაპეტიანი პავლე 162 (1897),
237 (2227), 707 (2007),
758 (2615), 760 (2618)
ნებიერიძე სიმონ 720 (1458)
ნებიერიძე სტეფანე 720 (1458)
ნებიეროვი ი. 235 (2212),
468 (3012)
ნემზარი 135 (140)
ნიკო მარი 99 (174)
ნინო დედოფალი 118 (133)
ნინო წმინდელი 205 (2118)
ნოე 135 (140)

## — ო —

ორბელიანი საბა 245 (2263),
690 (1989)
ორლოვსკი უ.პ. 347 (1912)
ოქროპირ ხახულელი 205 (2118)

## — პ —


პავლე მოციქული 63 (1530)
პაპაევი ბ. 3 (2450)
პაპაოევი თომა იოსების-ძე 920 (2746)
პაპაშვილი იაკობ 902 (2582)
პაპი XXII იოანე 237 (2227)
პარმახისოვი ნინა 806 (1921)
პლატონი პ. 857 (2031), 294 (2419)
პეტრე მოციქული 44 (2919)
პეტროსა 379 (2931)
პირომევი კონსტანტინე 364 (2794)


## — რ —


როპპი 702 (2001)
როპპი ედვარდი 181 (2976), 947 (2731), 486 (3025)
როსტომ ფაშა 125 (1920)
როსტომაშვილი ივანე პავლეს-ძე 345 (1833), 808 (1840)
რუსთაველი შოთა 309 (3168)
რუსუდანი 360 (2283)


## — ს —


სააკოვი დომინიკე 516 (3285), 815 (2342)
საარევი პავლე 5 (2502)
საბაევი (საბაშვილი) ნიკოლოზ 814 (1850)
სალიმ ფაშა 125 (1920)
სარალიძე ალექსანდრე 816 (2039)
სარაჯიშვილი 555 (2619)
სარიევი პავლე 340 (2706), 911 (2739)
საფაროვი პ. 760 (2618), 819 (2313)
साროიანი იაკობ 357 (2268)
საფარ ფაშა 323 (3917)
სიმონი 369 (3974)
სოიანი 962 (2794)
სოკრატე 14 (2414)
სოლომონი 297 (2885), 335 (4311)
სოლომონ მეფე 324 (3918)
სოსთენე 138 (167)

სპანელი 133 (137)
სტეფანე 664 (1967), 670 (1973),
681 (1984)
სტეფანოვები 357 (2268)
სულთფეზოშვილი ილია 949 (2743)
სუმბატ ნიკოლოზ 157 (1872),
318 (3911)

## — ტ —

ტალაფორი უ. 101 (126)

## — უ —

უნიკაშვილი 240 (2252),
15 (3165), 722 (2055)

## — ფ —

ფალაშოვი იაკობ 381 (2933),
386 (2936)
ფალაშოვი იოსებ 607 (3295),
821 (2315)
ფალაშოვი სარა 822 (2331)
ფალოევი მიხეილ პავლეს-ძე
730 (2355)
ფაფაზოვი თომა 823 (2344)
ფაფაზოვი ს. 340 (2706),
946 (2713)
ფაფაზოვი უ. 944 (2710)
ფეიქაროვი ფრანცი 824 (2321)
ფილევი ალ. 825 (2686)
ფირალოვი პეტრე 828 (2305)
ფრანკოლი ალ. 829 (1943)
ფულომანოვი იოსებ ივანეს-ძე
348 (1926)

## — ქ —

ქაიხოსრო 43 (2918)
ქაჩხიევი 5 (2502)
ქეთევან დედოფალი 684 (1987)
ქელიმ ეფენდი 247 (2267)
ქოთხაჯინი 357 (2268)
ქრისტესია 687 (1827), 501 (1858),
864 (2021), 859 (2022)
ქურჩჩიბაშოვი თომა 54 (3171)

## — ღ —

ღამბაშიძე დავით 831 (2056)
ღოღობერიძე სიმონ 237 (2227)

## — ყ —

ყაზაროვი 833 (2304)
ყაზბეგი ალექსანდრე 100 (1895)
ყვარყვარე II 699 (2000)
ყიფიანი მიშა 740 (2600)
ყიფშიძე გრიგოლი 834 (3977)
ყორღანათ გაბრიელაი 211 (2126)

## — შ —

შაბურის ძე ერისთავთ-ერისთავი 166 (1881)
შალვა 205 (2118)
შალიკაშვილი ოთარ 43 (2918)
შაანოვი 340 (2706), 384 (2928), 468 (3012), 946 (2713), 907 (2740), 922 (2756), 955 (2785)
შამანოვსკი სტეფანე 383 (2936)
შაჰაბასი 694 (1994)
შაჰყულიანი 54 (3171), 360 (2283), 365 (2804), 937 (2773)
შაჰყულიანი პავლე 237 (2227), 345 (1833)
შემაბეგი გიორგი 463 (3007)
შეშაბერიძე 949 (2743)
შმიდტი 16 (2427)

## — ჩ —

ჩახრუხის ძე 306 (3168)
ჩითჯიანი იაკობ 237 (2227)
ჩილაევი სიმონ პეტრეს ძე 357 (2268), 398 (2949)
ჩილაშვილი სოლომონ 288 (2399), 837 (2358)
ჩილინგაროვი ბენოდიქტე 838 (2696), 956 (2786)
ჩილინგაროვი პ. 907 (2740), 917 (2760)
ჩუბინოვი 15 (3165), 360 (2283)

## — ცაგარელი —

ცაგარელი ალექსანდრე 690 (1989)
ცოტმანი 175 (1897), 762 (2606), 906 (2738)
ცეერი ანტონ 365 (2804), 702 (2001), 946 (2713), 928 (2733), 923 (2781), 955 (2785), 956 (2786), 957 (2787), 958 (2788) 959 (2789)

## — ძ —

ძუძუნა 720 (1458)

## — წ —

წერეთლების 111 (3170)
წერეთელი აკაკი 342 (1824), 670 (1973), 740 (2600), 535 (2654), 852 (1865), 851 (2026)
წერეთელი გიორგი 850 (1838)
წინამძღვარი ანდრია პ. 848 (2690)
წინამძღვრიშვილი ა. ს. 846 (2689)
წმინდა ირინე 122 (2884), 44 (2919)

## — ჭ —

ჭავჭავაძე ალექსანდრე 854 (2030)
ჭავჭავაძე ილია 342 (1824), 360 (2283), 370 (3975), 695 (1995)
ჭიჭინაძე ზაქარია 244 (2262), 542 (2664), 676 (1978), 695 (1995), 740 (2600), 850 (1838)
ჭუმბურიძე 309 (3168)
ჭყონდიდელი 360 (2283)

## — ხ —

ხარისჩაროვი ანტონ 747 (2605)
ხარისჩაროვი 874 (2647)
ხარისჩაროვი (ხარისჭირაშვილი)
პეტრე 316 (3776), 737 (2670),
861 (2018), 863 (2020)
ხარისჭირაანთ ლუკა 360 (2283)
ხახანაშვილი 470 (3014),
479 (3021), 697 (1998)
ხახუტაშვილი დ. 861 (2018),
876 (2053)
ხელაძე ექვთიმე 747 (2605),
877 (2041)
ხითაროვი ანტონ 949 (2743)
ხითაროვი იაკობ 54 (3171)
ხოჯევანოვი ვ. 340 (2706)
ხოჯევანოვი მელქონ 363 (2725)
ხოჯესანათ ტერ იოანე 90 (134)
ხუციან (გოდეზაძე) ანტონ
116 (1909)
ხუციანოვი ანტონ 64 (128),
116 (1909), 316 (3776)
ხუციანოვი იოსებ 237 (2227),
352 (1933), 949 (2743)
ხუციანოვი სიმონ ივანეს ძე
885 (1915)

## — ჯ —

ჯანაშვილი დიმიტრი 858 (2033)
ჯაფარ 1172 (887)
ჯაფარ ხანი 133 (137)
ჯაყელი 107 (1892)
ჯაყელი სარგის 125 (1920)
ჯიმშეროვი პეტრე 54 (3171)
ჯინივიზოვი როჭე ლუკას ძე
887 (2303), 937 (2773)

# გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

## — ა —

აბასთუმანი 182 (2093),
509 (2530), 514 (3296),
729 (2354), 730 (2355)

აბი 323 (3917)
აზავრეთი 164 (1879), 116 (1909)
ადარბადაგანი 21 (2403)
ალბანია 197 (2109)
ალექსანდრეპოლი 338 (1825),
348 (1926), 369 (3974)
არარატი 212 (2128)
ართვინი 583 (2552)
ახალციხე 12 (1834), 123 (123),
113 (127), 88 (130),
118 (133), 140 (173),
105 (171), 126 (183),
501 (1858), 106 (1891),
107 (1892), 114 (1893),
89 (1896), 109 (1908),
125 (1920), 190 (2101),
67 (2140), 235 (2212),
274 (2383), 16 (2427),
92 (3166), 325 (3919),
342 (1824), 346 (1837),
399 (2950), 876 (2053),
944 (2710), 922 (2756),
937 (2773), 957 (2787)
ახალქალაქი 116 (1909),
331 (3931)
არალი 116 (1909), 728 (2353)
არტაანი 170 (1885), 191 (2102)
არტანუჯი 191 (2102)
ასპინძა 116 (1909), 311 (3931)
აწყვერი 116 (1909), 191 (2102),
235 (2212), 251 (2276)
აჭარა 191 (2102), 9 (2889)

## — ბ —

ბავრა 165 (1880)
ბათუმი 539 (2356), 571 (2532),
568 (2534), 572 (2536),
573 (2542), 570 (2545),
575 (2547), 578 (2553),
580 (2554), 579 (2555),
569 (2556), 577 (2557),
764 (3307), 813 (2348),
812 (2350), 779 (2321)
ბანა 332 (3935)
ბარალეთი 116 (1909)
ბაღდადი 324 (3918)
ბეთლემი 331 (3931)
ბიეთი 153 (1868)

ბორჯომი 331 (3931), 861 (2018)
ბოჟოპრიმოხლი 798 (2299)
ბურნაშეთი 160 (1875)

## — გ —

განძა 161 (1876), 162 (1877)
გოკიო 116 (1909)
გურია 964 (3175)
გორი 513 (3255), 510 (3264),
535 (2654), 536 (2656),
627 (2637), 628 (2638),
803 (2329), 805 (2334)

## — დ —

დადეში 116 (1909)
დანია 31 (2417)

## — ე —

ეგვიპტე 212 (2128)
ევროპა 26 (2412)
ენგური 215 (2131)
ერაყი 21 (2403)
ეშტია 163 (1878), 889 (2330)

## — ვ —

ვალე 116 (1909), 276 (2385),
349 (1927), 654 (2308),
656 (2309), 657(2310),
658 (2324), 660 (2327),
661 (2351), 659 (2352)
ვარდის ციხე 345 (1833)
ვარევანი 345 (1833)
ვარხანი 345 (1833)

## — ზ —

ზადენი 345 (1833)
ზარზმა 733 (2048)
ზედა ვარძია 156) 1871

## — თ —

თბილისი 104 (2185), 305 (2922),
527 (2526), 520 (2529),
517 (3257), 528 (3261),

529 (3297), 769 (2059),
780 (2060), 771 (2061),
739 (2598), 743 (2599),
740 (2600), 742 (2601),
744 (2602), 745 (2603),
746 (2604), 747 (2605),
748 (2607), 753 (2611),
755 (2616), 763 (2669),
761 (2673), 775 (2014),
776 (2015), 777 (2016),
802 (1860), 799 (1861),
800 (1862), 807 (2045),
820 (2051), 859 (2022),
860 (2023), 855 (2025),
877 (2041), 878 (2042),
879 (2044), 880 (2043),
952 (2764)
თეთრიჭალა 331 (3931)
თრიალეთი 191 (2102)
თურქისტანი 21 (2403)

## — ი —

ინგლისი 31 (2417)
ინდუსა 331 (3931)
ინწყარო 331 (3931)
იტალია 93 (3934)
იყალთო 202 (2114)

## — კ —

კავკასიის მთები 59 (2250)
კამზა 331 (3931)
კარტიკამი 361 (2292)
კვალთახევი 331 (3931)
კვანჯღა 223 (3917)
კიზიკი 215 (2131)
კინტრიში 863 (2020)
კლდე 323 (3917)
კონსტანტინეპოლი 538 (2357),
543 (2662), 544 (2663),
542 (2664), 541 (2695),
560 (2687), 610 (2541),
609 (2546), 640 (2688),
666 (1969), 671 (1974),
675 (1977), 676 (1978),

677 (1980), 678 (1981),
679 (1982), 681 (1984),
685 (1993), 673 (2054),
792 (2674), 794 (2680),
781 (2685), 825 (2686),
838 (2696), 842 (2700),
843 (2701), 846 (2689),
848 (2690), 847 (2692),
871 (2649), 900 (2693)
კუმურდო 163 (1878)

— ლ —

ლაშიხევი 331 (3931)
ლორე 59 (2250)

— მ —

მარიოპოლი 526 (3272)
მარმარილოს ზღვა 215 (2131)
მაჭატია 165 (1880)
მესხეთი 43 (2918), 313 (3182)
მინაძე 331 (3931)
მოზდოკი 738 (2597), 737 (2670)
მონთობანი 597 (3289), 849 (2691)
მუსხი 331 (3931)
მცირე აზია 215 (2131)
მცხეთა 262 (2363)

— ნ —

ნოვორორისკი 598 (3265)
ნოვოჩერკასკი 617 (2535), 618 (2543)

— ო —

ოდესა 402 (2953)
ოზურგეთი 586 (2551), 735 (2311)
ოლთა 191 (2102)
ონღორა 331 (3931)
ორფოლა 391 (3931)
ოშორა 331 (3931)
ოცხე 67 (2140)

— პ —

პარიზი 785 (2675)
პეტერბურგი 908 (2767)

— რ —

რომი 532 (3253), 171 (1886),
687 (1827), 701 (1828),
692 (1829), 693 (1830),
802 (1860), 800 (1862),
663 (1966), 152 (1867),
667 (1970), 668 (1971),
669 (1972), 670 (1973),
674 (1976), 712 (1979),
680 (1983), 684 (1987),
716 (1988), 98 (1990),
691 (1992), 694 (1994),
695 (1995), 719 (1997),
698 (1999), 699 (2000),
702 (2001), 700 (2002),
703 (2003), 706 (2006),
707 (2007), 950 (2745),
955 (2785), 956 (2786),
711 (2011), 713 (2012),
721 (2013)
როვნიე (სოფელი) სამარის
გუბერნია 533 (2655)
როსტოვი 908 (2570)
რუსთავი 331 (3931)
რუსთავის ციხე 59 (2250)

## — ს —

საბერძნეთი 212 (2128)
სამესხეთო 126 (183), 274 (2383),
15 (3165), 313 (3182)
სამცხე 125 (1920) 331 (3931)
სამცხე-საათაბაგო 191 (2102)
სან-სტეფანო 542 (2664)
სარატოვი 384 (2928), 385 (2935),
386 (2937), 387 (2938),
389 (2940), 390 (2941),
391 (2942), 392 (2943),
393 (2944), 394 (2945),
395 (2946), 401 (2952),
403 (2954), 404 (2955),
406 (2957), 412 (2959),
416 (2963), 418 (2964),
425 (2970), 483 (2976),
437 (2984), 444 (2990),
455 (3000), 466 (3010),
476 (3018), 484 (3023),
498 (3033), 491 (3937),
504 (2521), 505 (2522),

506 (2525), 524 (3262),
532 (2652), 522 (3253),
599 (3256), 605 (3266),
421 (2967), 601 (3294),
590 (3300), 596 (3301),
815 (2342), 839 (2697),
840 (2698), 841 (2699),
904 (2704), 951 (2754),
945 (2773), 940 (2777)
სარო 155 (1870)
საფარა 157 (1872)
საქართველო 313 (3182), 542 (2664)
საძელი 323 (3917)
სევასტოპოლი 327 (3921)
სვირი 323 (3917)
სირია 220 (2136)
სმადა 158 (1873), 166 (1881)
სოხუმი 611 (2533), 612 (2537),
613 (2540)
სტამბული 191 (2102), 671 (1974),
788 (2302), 872 (2202),
869 (2645), 870 (2646)
სხვილისი 123 (3917)

## — ტ —

ტატანისი 323 (3917)
ხორასანი 21 (2403)
ტემირ-ხან-მურიდან 522 (3298)
ტობა 331 (3931)
ტრაპიზონი 897 (2337)

## — უ —

უდე 116 (1909), 837 (2358), 836
(2359)
ურაველი 154 (1869), 345 (1833)

## — ფ —

ფეოდოსია 819 (2313)
ფერიქოვი 539 (2356), 555 (2619),
561 (2620), 562 (2621),
563 (2622), 564 (2627),
565 (2628), 566 (2629),
567 (2634)
ფია 159 (1874)
ფრანცია- მონტობანი 537 (3932)

## — ქ —

ქიზიყი 215 (2131)
ქოსტჰაიმი 603 (3271)
ქუთაისი 324 (3918), 376 (2929),
377 (2930), 379 (2931),
380 (2932), 381 (2933),
382 (2934), 534 (2653),
637 (2623), 633 (2624),
634 (2625), 629 (2630),
638 (2633), 636 (2666),
725 (2642), 773 (2333),
821 (2315), 828 (2305),
826 (2343), 866 (2029),
922 (2756)

## — ღ —

ღობიეთი 331 (3931)

## — შ —

შავშეთი 121 (2102)
შეერთებული შტატები 31 (2417)
შორაპანი 831 (2056), 830 (2057),
832 (2058)
შვეცია 31 (2417)
შური 325 (3277)

## — ძ —

ძველი 331 (3931)

## — წ —

წახანი 345 (1833)
წნისი 323 (3917)
წუნდა 218 (2134)
წყალთბილა 556 (2650)
წყრუთი 116 (1909), 323 (3917)
წყრუთიჯვარი 323 (3917)

## — ჭ —

ჭობარეთი 331 (3931)
ჭორეთი 331 (3931)

## — ხ —

ხერთვისი 152 (1867), 116 (1909)
ხვილიშა 116 (1909)

ხიზაბავრა 74 (175), 71 (182),
116 (1909), 249 (2271),
15 (3165), 308 (3167),
345 (1833), 645 (1924),
646 (2588), 647 (2589),
644 (2590), 648 (2591),
817 (2040), 252 (2279),
907 (2740)
ხორასანი 21 (2403)
ხორენია 165 (1880)

— ჯ —

ჯავახეთი 135 (140), 165 (1880),
191 (2102), 197 (2109),
69 (2286), 274 (2383)

## თემატური საძიებელი*[1]

აგიოგრაფია 78 (125), 78 (126),
113 (127), 64 (128),
129 (129), 118 (133),
96 (134), 137 (152),
97 (166), 138 (167),
121 (168), 139 (169),
84 (172), 181 (2076),
184 (2095), 207 (2120),
217 (2133), 236 (2215),
76 (3220)
არქეოლოგია 135 (140), 72 (2173),
75 (2236), 80 (2238),
77 (2379), 313 (3182)
ლექსიკოლოგია 73 (170),
99 (174), 147 (190),

[1] ივ. გვარამაძის შემოქმედებითი მასალა ისტორიული ხასიათისაა, ამიტომ საძიებელში ამ შინაარსის მქონე წერილების ნომრების გამოტანას არ ვთვლით საჭიროდ.

228 (2175), 234 (2211),
246 (2266), 255 (2284),
274 (2383), 275 (2384)
მედიცინა 963 (3174), 260 (2347),
278 (2387)
პოეზია 132 (136), 74 (175),
146 (185), 148 (1492),
150 (1848), 151 (1855),
211 (2126), 218 (2134),
224 (2142), 233 (2205),
56 (2249), 59 (2250),
85 (2259), 250 (2274),
252 (2279), 69 (2286),
55 (2361), 65 (2362),
262 (2363), 263 (2364),
95 (2365), 117 (2366),
266 (2369), 274 (2383),
280 (2389), 284 (2395),
285 (2396), 291 (2406),
292 (2408), 293 (2418),
294 (2419), 86 (2424),
307 (3043), 87 (3142),
310 (3172), 312 (3178),
50 (3181), 16 (3776),
320 (3914), 323 (3917)
პოლემიკა 193 (2105), 194 (2106),
195 (2107), 214 (2130),
219 (2135)
ფოლკლორი 210 (2124)

# სარჩევი

შესავალი;
I. ივანე გვარამაძის ბიოგრაფიის ამსახველი მასალა;
II. საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა;
III. შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა;
IV. მიწერ-მოწერა. ივანე გვარამაძის წერილები
სხვადასხვა პირებთან;
V. წერილები ივანე გვარამაძესთან;
VI. სხვადასხვა;
გამოყენებული ლიტერატურა;
საძიებლები;
პირთა საძიებელი;
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი;
თემატური საძიებელი.

გარეკანზე: ივ. გვარამაძის ხელნაწერი მინიატურული წიგნი

დაკაბადონდა სიმური თარხნიშვილის მიერ
კომპიუტერულ ცენტრში “ცოდნა”
ქ. ახალციხე, ნიკოლაძის ქ. №33

Джваридзе Григорий Гиоргиевич

# ОПИСАНИЕ ЛИЧНОГО АРХИВА ИВАНА ГВАРАМАДЗЕ, ЗАШИЩЁН В ФОНДЕ РУКОПИСЕЙ САМЦХЕ-ДЖАВАХЕТСКОГО ИСТОРИЧЕСКОГО МУЗЕЯ им. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

(на грузинском языке)